

032  
1996

ISSN 0134 3459



# ԳԵՏԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ



2

1996



გამოჩენილ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, რუსთაველისა და ორჯის სახელმწიფო /ლიტერატურისა და ტექნიკის დარგში/ პრემიების ლაურეატს ბატონ გურამ ფანჯიკიძეს სულ ახლახან მიენიჭა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ დაწესებული მემედ აბაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემია რომანისათვის "ეშმაკის ბორბალი"

საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაცია და ჟურნალ "ჭოროხის" რედაქცია გულწრფელად ვულოცავთ ბატონ გურამ ფანჯიკიძეს ამ ჯილდოს და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს.

საქართველოს მწერალთა კავშირის  
აჭარის ორგანიზაცია  
ჟურნალ "ჭოროხის" რედაქცია

# ქროსი

გამოცემის 38-ე წელი

2

მარტი - აპრილი

რა მშვენიერი ზღვა გვაქვს, აჭარა,  
რა მომავალი, ძვირფასი ბედით..  
ქალაქი — ჩვენი ქვეყნის ფანჯარა  
აღმოსავლეთით და დასავლეთით.



ბატუმი

---

საქართველოს მწერალთა კავშირისა და აჭარის  
ორგანიზაციის სალიტერატურო-საზოგადოებრივი  
ჟურნალი

მთავარი რედაქტორი  
სანდრო ბერიძე

სარედაქციო კოლეგია:

ვახტანგ ახვლედიანი

ზურაბ გორგილაძე

მამია ვარშანიძე

(პასუხისმგებელი მდივანი)

შოთა ჯორიძე

დავით თედორაძე

ალექსანდრე სამსონია

რამაზ სურგანიძე

ბურაბ ფანჯიკიძე

ამირან ხაბაჯი

ფრიდონ ხალვაში

ჯემალ ჯაყელი

## პოეზია, პროზა

ჯამალ ჯაყელი

### დღე ხვალინდელი

20109  
ხომ ცხელია მზე, მაღალია ლაყვარდის ბანი,  
დღეს ხელთუქმნელი ზომ იქმნება, შექმნილა ოდეს,  
დრომ დაგვაკისრა მაინც სულ სხვა საოცრებანი,  
დადუმება და დამშვიდება კი არასოდეს!

თენდება ხვალე, გუშინდელის მაღალი მსჯავრით,  
ახლა დუმილი თვითონ ელის შეტევის სიგნალს.

მეცხრე ტალღაზე შემართული კეთილი მავრი  
ხელეზგაწვდილი ვეგებები საყვარელ გრიგალს.

და ჩემში ახლა რაიც ხდება ღირსების ფასად –  
წონასწორდება საუკუნის სესხი და ვალი.

აქა მაქვს ზეცა მარგალიტის ელვარე თასად  
და იალბუზი – უსუფთესი ტრიბუნა ხვალის.

მაშ, ყველა იმედს, გრიგალებო, ფრთა მიახალეთ,  
თქვენზე სწორდება პოეტური სიმების უღერა!

გადაუქროლეთ საქართველოს და მიახარეთ,  
რომ ხვალ იწყება ახალი დღე, ახალი ერა!

რომ ხვალ იწყება ახალი დღე, ახალი კერა,  
მისი თაკარა ახლოვდება და სულს ედება.

მე დღეის დღისა ჭეშმარიტად ვიცი და მჯერა  
და ხვალე უფრო, ხვალე უფრო მეიმედება!

## იმედი

მართლაც ამოა თუ კი არის ამოება,  
მართლაც თუ კლდეზე ამოდის ხე, მკვიდრდება ფესვი,  
რად ვერ შევქმენი მე ახალი სარწმუნოება,  
რად ვერ შევცვალე ამ ცხოვრების ბებერი წესი.  
რად ვერ შევქმენი სიმართლესთან, იმედთან ერთად  
ახალ ტაძრისკენ მიმავალი მრევლი და ხიდი,  
ალბათ იმიტომ, რომ სამშობლოს ვთვლი

ჭეშმარიტ ღმერთად,

სარწმუნოება და ტაძარი იგია დიდი.  
სარწმუნოება და ტაძარი იგია ჩემი  
ვისაც ესა სწამს, ღვთაებრივი სწყალობს დიანა,  
ტალღებს მიაპობს უნათლესი ცხოვრების გემი,  
ზოგჯერ ბარბაცით, მაგრამ მაინც იმედიანად.  
იმედიანად რადგან ტალღის თეთრი ფაფარი  
ზურგის ქარების ულამაზეს იმედს მოება,  
სხვა ყველაფერი, ყველაფერი არის ზღაპარი.  
და თავისთავშიც ამოა ამოება.

## დადგება ჟამი

ართვინის ციხის ქონგურიდან გადმოჰყურებს  
ათათურქის სურათი და მისი დროშა.

სახელით კაცთა შერცხვება დრო-ჟამს  
და აღსრულება ნებაი ღმერთის,  
ვინც გააჭენა უცხოთა დროშა  
და დამიძალა ტაძარი ტბეთის.  
ტაძრები: ტაო, ხახული, ხანძთა,  
სიცხე და თოში ბზარებს რომ აცრის  
თუნდ დადგეს გორად სიკეთე განძთა,  
სულში მაინც ჟღერს ზარები ტაძრის.  
მცირე ნატეხიც, ლიბოს რომ მოწყდა,  
მიწას დაემხო ჯვარით და შუბლით,  
დიდის დიდებად დღემდე რომ მომწვდა  
წიბომიგრეხილ ვენახის ქუბით.  
დადგება ჟამი, შერცხვება დრო-ჟამს,  
თრთოლვით ჩამოჰკრავს სევდის ჩონგურებს  
დავითის სახე და მისი დროშა  
აბრიალებს დაღლილ ქონგურებს.

## ტაიბ - აუტი

თუნდაც ცისკარი სხივებს აქსოვდეს,  
ზღვაურს ტალღათა ზათქი გაუდის,  
ცხოვრების ომში მე არასოდეს  
არ ამიღია ტაიმ-აუტი.

ყოველ ცისმარე იმედად ჟღერდა  
წესრიგგამრიგე, როგორც სარდალი,  
მზიური ფუნჯით იმედებს წერდა  
ჩემი ცეცხლგამძლე სული მართალი.  
ფეთქავდა სისხლის წვეთი ნაგრემი -  
რვა საუკუნის მწვანე აკვანი,  
არ დაჩოქილა ჩემი აქლემი  
და არ შეუსვამს მხრებზე მავანი.  
როგორც მაღალი ნადავლი ოდეს,  
მომაქვს ჭრილობა - ბასრი საბუთი,  
ცხოვრების ომში მე არასოდეს  
არ ამიღია ტაიმ-უტი.

## ღირსება კაცთა

ამ საუკუნის მიმწუხრისას,  
როგორაც მწერი,  
ავლება ბევრი,  
ბიწიერი ჩნდება კერები  
მაგრამ მე ვიცი,  
გამოცხვება ობოლის კვერი,  
ათინათლება ღირსებათა  
სუფთა ფერები.  
დადგება ფეხზე იმედი და  
მომავლის ღვრიტად  
ამოეყრება მწვანე ვარჯი  
ხეს გადანაჭარს,  
ღირსება კაცის დაფასდება მეტად და ბევრად  
და მოიკვეთენ  
მიწითა და სინდისით ვაჭარს.

თ უ ნ თ ა

ნოველა

კაი ხანია, რაც ქალაქში გავთხოვდი, შვილები დაგვეზარდნენ, მალე შვილიშვილებიც გვეყოლება. მარაა... გამოგიტყდები, გო, გარეგნულად ვარ ქალაქელი, გარეგნულად. ადრე ამას არ ვამბობდი, ახალგაზრდა ვიყავი და მრცხვენოდა ვითამ. არ ვკადრულობდი და იმიტომ. სიზმარში კი სულ იქ ვიყავი, კლდეს მიჭუჭკულ ჩემ სოფელში. იქ დავფრინავდი პეპელასავით. ახლაც იქა ვარ. ახლა — უფრო ხშირად. სიზმარში, გო, სიზმარში. კი, ქალაქი ქალაქია, სხვანაირს გაგზდის — ლაპარაკითაც, ჩაცმულობითაც, მიხრა-მოხრითაც. კმაყოფილი ვარ, მაგრამ... სიზმარში, გო, სიზმარში, ჩემ სოფელში დავფრინავ დღესაც.

ოჯახი? ორი გოგო და ერთი ბიჭი გვყავს, ენაცვალოთ ღედა. უკვე დიდები არიან. უფროსი გავათხოვეთ, ამიტომაც გითხარი, მალე ბებია გაგზდები-მეთქი. ისე, ცოტა მეხამუშება, გო... ადრეა ჩემი ბებიობა. ბევრი ჩემი ტოლი ამ ასაკში თხოვდება და ბაღნებს აჩენს. ჩვიდმეტისაც არ ვიყავი, ელდარმა რომ... უშენოდ ყოველი წუთი ჩემთვის ჯოჯოხეთიაო. რა მექნა, გო? მართლა ხომ არ დავწვავდი ბიჭს. ავდექი და გავყევი. კი არ ვნანობ, პირიქით, კაი კაცი შემხვდა, ჭკვიანი, შეხედული... მარა, სიზმრებში მაინც ი სოფლელი გოგო ვარ!..

ელდარაზე გეუბნებოდი, ჩემ ქმარზე. ისეთია, ქვიდან წყალს გამოადენს. ეშმაკია — უუ! ამ ცხოვრებას მაშინვე აულო ალლო. ბიზნესმენია ახლა. ადრე? ვინ ვიყავით ჩვენ ადრე! იგი გეოგრაფიას ასწავლიდა. უმაღლესში კი არა, სკოლაში. მე კილო — მდივანი... ქალაქკომის არა! პირადი მდივანი, გო, სეკრეტარმა. ხუთი მინისტრი გამოვიცვალე, ხუთი, ხუთივეს მოსვლისთანავე, რაცხა იმელები ჰქონდა. ხომ ხვდები... კაი გოგო ვიყავი, კააი. რომ ჩავივლიდი, კაცები ოო-ხხ! ამოიგნეშებდნენ, ერთი მაგიო!... მე კი ჩემი კაცის ერთი შემოხედვა მთელ დუნიას მერჩივნა. ახლაც მირჩევნია მარაა... კაცი მაინც კაცია. ალბათ, ჩემი კაციც უკუტკუტებს თავის სეკრეტარმას. ლამაზი შეურჩევია-აა! ფეხები — შხვანტალა. თმები — მარიანასავით ხვეული და ფუშფუშა. მარა შენი ცინდალივით მარიანა სად



მივა იმ... გასასკიპარჯავთან. ხმაიც ნაზი-ნაზი, მიკნავებულ-მიბნედილი: "ბატონო ელდა-ა-არ!" ერთი ჩავაფარო-მეთქი მომინდება, მარა რა ვქნა, მიზეზი არ მაქ, გო, მიზეზი, სულ თითო-თითოდ დავაგლეჯდი იმ ფუშფუშა თმებს. "ბატონო ელდა-ა-არ!" უხხ!

სხვა მხრივ, რა მეთქმის, კაი ჩაცმა, კაი დახურვა, მანქანა - "მერსედესი", უკანასკნელი მოდელის. შიგ რადიო, მაგნიტოფონი, ტელევიზორი, ტელეფონი. ბინაც გამოვძიცვალეთ. ადრე ერთოთახიანში ვიჭექებოდით, გო. ახლა... მოიცა, დავითვალოთ... ლოჯიანად ხუთი ოთახია, თანაც, გარემონტებულ-გაწკრილებული. სხვები რომ ღროშებს აფრიალებდნენ და "გაუმარჯოს, გაუმარ-ჯოს!" იძახდნენ, სინამდვილეში კი ქვეყანას ანგრევდნენ, ჩემი კაცი საქმეზე ფიქრობდა მაშინ, საქმეზე. შემოტანაზე ფიქრობდა. იმიტომ რომ ბიზნესმენია ნიჭით. ღროშების ტრიალით და "ჯოს-ჯოს" ძახილითა რა საქმეც გაკეთდა, კი ხელავ.

მე თუ მკითხავ, პოლიტიკა ქალის საქმე არაა, გო. ქალი ქალინა იყოს, ქალაქში რომ გამოვა, ქუჩებზე დაეცეოს. ახალგაზრდა აღარ ვარ. მალე შვილიშვილები-ჰჰ! მაინც ვცდილობ. შინაც და გარეთაც ჩემ კაცს ვაწონებ თავს.

ისე, კაი კაცი შემხვდა, კაი. არაფერი რომ არ შეეშლება, ისეთი. იცის ვისთან, სად, როგორ. მაგაში ხუ-თი-ა-ნი უწერია! მერე კილო, იმისთანა გამძვრალია, წინასწარ ხვდება, ვის დანიშნავენ, სად დანიშნავენ, რატომ დანიშნავენ, წინასწარ! გადირევი, გო, საიდან ხვდება, როგორ ხვდება... რომ ვკითხე, მეც არ ვიციო, სიცილით მიპასუხა. თვლებში შევხედე, ხომ არ მატყუებს-მეთქი. მართალს მეუბნებოდა. იტყვის - შესრულდება, იტყვის - შესრულდება. უკვე შევეჩვიე. არ დამიჯერებ და, მგონი, ისინიც ბაიბურში არ არიან, ვისაც დაწინაურებას უპირებენ, ამან - უკვე იცის! საჭირო კაცია ჩემი ქმარი. დიდიდან დაღამებამდე და დაღამებიდან დილაამდე საქმეშია. ძნელი ყოფილა ბიზნესმენობა, ძალვან ძნელი, მარა... გამაგებია ერთი, საზღვარგარეთ როგორაა ნეტაი, ბიზნესმენები ცოლებს არ ეფერებებიან? თუ იმ ფეხებზე ვანტალა სეკრეტარშას ბრალია? მთავრობაშიც გავლენა აქვს. ჩემ ქმარზე ვამბობ, გო, საჭირო კაცია. სპონსორობა უყვარს, რა? სპონსორობა რა არის, არ იცი? როცა სხვას ფულით ეხმარები. კი არ ჩაასესხებ, ეხმარები. იგია სპონსორობა. დღეს უფულოს და უპატრონოს რა გამოლევს, ჰოდა, სტუმრებია ჩამოსული - ელდარ! კონცერტია მოსაწყობი - ელ-დარ, წიგნებია გამოსაცემი - ელდაარ! ამ ჩემ ქმა-

რსაც ყველა ეცოდება გო, ყველა, ამიტომაც უყვართ და სტა-  
სებენ, ნეტაი იმ ფეხებშხვანთალასაც უყვარს? თუ უყვარს, რა-  
ფერ? ა?

ერთ დღეს, ვხედავ, თურქული უსწავლია. როდის მოასწრო  
კი არ ვიცი. გასულ კვირას თურქი ბიზნესმენები გვეწვია  
ოჯახში. სამი კაცი. ვხედავ, ჩემი ქმარი ჭიკჭიკებს თურქულად  
აკრუჭუნებს ენას მათებურად. ვდგევარ და ვუყურებ პირდაღებ-  
ული. აგი ჩემი ელდარია თუ მეჩვენება-მეთქი? სტუმრები რომ  
გავაცილებთ, ვეკითხები, - ჭო, თურქული იცოდი? საიდანო,  
მიბასუნა, ჩაფუჯეჩი და სამ თვეში შევისწავლეო. სამ თვეშიო,  
გო! სკოლაში პირველი კლასიდან მეათემდე გაბლუკვილი სამ-  
ოსანი იყო თურმე, ახლა, საქმეს რომ დასჭირდა, სამ თვეში,  
გო!..

ჰოდა, იმას გეუბნებოდი, გარეგნულად ვარ ქალაქელი, თვარა  
სიზმრებში ისევ იქ დავფრინავ, მაღალ კლდეს მიჭუჭკულ ჩემ  
სოფელში.

რა მკითხე? ხანდახან თუ ავდივარ?

მე გულის მოკვლა მინდა კიდევ, გო? სადღაა ჩემი სოფელი,  
ხან ლაყვარლებში მოფარფატე, ხან ნისლებთან მოჩურჩულე  
ჩემი სოფელი სადღაა-მეთქი. ამ ხუთი წლის წინ ცალი მხარე  
მოწყდა და უფსკრულში ჩავარდა სახლებიან-ყანებიანად. სამი  
კაცი ჩაიტანა. დღესაც იქ არიან. უფრო სწორედ, ორი კაცი და  
ერთი ქალი. სხვები გახიზნეს. ზოგი სად, ზოგი სად. დაცარიელ-  
და ჩემი სოფელი, იყო და აღარ არის, გო.

სიზმრებში კი იქა ვარ, ჩემი ბავშვობის სოფელში. პეპ-  
ელასავით დავფრინავ და ვკრეფ და ვკრეფ ყვავილებს. თან  
ვლილინებ. უცებ დედის ხმა შემომესმება: - თუნთაა! - ლამაზი  
ხმა აქვს, მუსიკასავით ლამაზი, - თუნ-თაა! მე ვბასუნობ: - აქა  
ვაარ, ნენიკო - და მივრბივარ მისკენ. ყვავილების თაიგულით  
მივრბივარ. გზადაგზა დამივარდება ყვავილი. ვჩერდები, ვიღებ  
და ისევ მივრბივარ. დედა ჭიშკართან დგას - ლამაზი, ამოლტ-  
ილი. რა მკითხე? ჩემსავით? მე მასთან სად მივალ, გო. დგას  
ხელებგამოწვდილი. მოშორებით, ლობის იქით, ბაღში, მამა ბა-  
რს დაბჯენია და გვიყურებს.

უცებ დედა ქრება, მამაც. ვდგავარ ხელებგაწვდილი, ცალ  
ხელში ყვავილების თაიგულით. ირგვლივ ნისლია. დროდარო  
დედიკოს სახე გამოჩნდება მქრქალად - თუნთაა! მამის სახეც  
გაიელვებს წამიერად, მერე ნისლში იძირება ყველაფერი.

საკუთარი სლუკუნნი მალვიძებს. მარტო ვარ. ელდარი, ჩვე-  
ულებრივ, უთენია წასულა. არც მოსვლა გამიგია მისი და არც



წასვლა. ლოგინს ეტყობა, ვო, ლოგინს, რომ წოლილა. ჩემს გვერდით წოლილა ჩემი ქმარი. მარტო ვარ. საკუთარ ცრემლებთან ერთად. ვიცი, იმისკენ მიუწევს გული... თმაფუშფუშასკენ... ფეხებშხვანტალასაკენ. მეხი ეცა, ვო, მეხი “მერსედესსაც,” დოლარებსაც. მეხი ეცა ხუთთოთახიან ბინას. ბაროკო-როკოკოთი გაწყობილ-გაწყვრილებულს. რომ შეიძლებოდეს... ვიდეოლენტივით ყველაფრის უკან დატრიალება რომ შეიძლებოდეს, უყოყმანოდ დავაჭერდი ღილაკს თითს... დავაჭერდი და უფსკრულიდან ამოვიტანდი ნახევარ სოფელს... იქ ცოცხლად ჩამარხულ დედ-მამასთან ერთად... სოფლელებს მოვაბრუნებდი სახლებში...ყველას, ყველას! მერე პატარა გოგონად გადავიქცეოდი, გავშლიდი ხელებს და - ე-ე-ჰე-ჰეი!.. პეპელასავით გავფრინდებოდი მინდორში ყვავილების დასაკრეფად და ისევ ერთად ვიცხოვრებდით მე, დედა, მამა და მალალ კლდეს მიკრულ-მიჭუჭკული ჩემი სოფელი.

### გუხრის პირას

რა მითხარ, ჩემო ბატონო? პატარაა ჩემი სოფელი?

ეს სხვებისათვისაა პატარა, თორემ , აბა, მე მკითხეთ ერთი. მთელი ქვეყანაა... არა, მთელი სამყაროა ჩემთვის ეს სოფელი.

გვარიანად თოვს, არა? ითოვოს, რა გვენაღლება. ზამთარი იმიტომაა, რომ ითოვოს. ბავშვებს გუუჭირდებათ ცოტა. სხვაფრივ რა უშავს. ბავშვებს იმიტომ, რომ სკოლა მეზობელ სოფელშია, რვაწლიანი. ჩვენ რატომ არა გვაქვს? აკი თვითონ ბრძანეთ, პატარა სოფელიაო. ჩვენც იმ სკოლაში დავდიოდით. ზამთარში გვიძნელდებოდა. მოგეხსენებათ, მთაში თოვლი იცის!.. ზოგჯერ გახედავ და, საკვამურები მოჩანს მხოლოდ, ქათქათა მთები, ქათქათა ტყეები, ქათქათა ბორცვები და, სახლების ნაცვლად, საკვამურები... საკვამურები... ორი-სამი თვე თოვლქვეშ ვცხოვრობთ დათვებივით, ჩემო ბატონო. შეჩვეულები ვართ. გაზაფხულ-ზაფხულში კარგად იშრომებ, ზეცასაც მადლს ეტყვი და მიწასაც, ასწილად დაგებრუნებს ე დალოცვილი იმითანა მიწაა. შემოდგომა იცის ჩვენთან... რა გინდა, სულ - სიმინდი, ლობიო, ჩვენი კარტოფილი ხომ მთელ მსოფლიოშია განთქმული. ხილი გინდა, ბოსტნეული გინდა... თამბაქოც გვარიანი შემოდის. გავაწყობთ, ასე, ჩიბუხებს და ვაბოლებთ ბუხრის პირას. თან ვწრუპავთ ჩვენებურ არაყს. ცოტას რომ შევზარხოშდებით, ყოლსამასაც ჩამოვუვლით.

ხემოდან თეთრი თოვლი გვაქვს გადაბენტილ-გადაფენელი, ქვეშ  
კი ყოლსამას ვუვლით. სუფრაზეც არაფერი გვაკლია. რატომ გვა-  
ქვს, ჩვენია. ჩვენი სოფლის მადლია. კაიმალი გაგისინჯავს?  
ჩვენებური მთის კაიმალი თუ გაგისინჯავს-მეთქი. სინორი?  
ბორანო? იცი, რა არის? გვერდით კილო ახალგამომცხვარ მჭადს  
რომ აუღის ოხშივარი, იცი, რა არის? უუჰ! ათი-თხუთმეტი  
წუთი და, ყოლიფერი შენს წინ გაჩნდება, ჩემო ბატონო. მერე  
თითოსაც ჩამოვისხამთ... ქალო, დაგვიჩქარე მანდ ცოტა,  
თორემ შევირცხვინეთ თავი ამ ხენწიფის ტოლ სტუმართან.

ჰოდა, იმას გეუბნებოდი, მეზობელ სოფლის რვაწლიან  
სკოლაში დავდიოდით-მეთქი. ძალიან მიყვარს ი სკოლა... ერთი  
ჩვეულებრივი მოსწავლე ვიყავი, სამები და ჯანმრთელობაო,  
რომ იტყვიან ისეთი მარაა... ი სკოლა მიყვარს. რატომ, ვერ  
აგისხნით. თვითონ მიხვდებით. მწერალი ბრძანდებით. ასე ვთ-  
ქვათ, სულის ინჟინერი... ქალო, ვახშამის საქმე როგორ მიდის?  
.. ხომ იცით დიასახლისები... სტუმრებისათვის განსაკუთრებით  
უყვართ თავის გამოღება. სამაგიეროდ, ვახშამი გვექნება, ჩემო  
ბატონო, მეფეს შემუშრდება, მე-ფეს! სუნით ვგრძნობ, თქვენც,  
ხომ? ჰოდა, რალა გვინდა მეტი, ვაგშალოთ ტაბლა ამ გუზგუზა  
ბუხართან, თითო-თითოც გადავკრათ და ვიჭუჭუკოთ. ითოვოს  
გარეთ. ითოვოს რამდენიც უნდა. რას დაგვაკლებს, რა ბრძანეთ?  
ხვალ აუცილებლად უნდა წახვიდეთ? კი ბატონო, თქვენი ნებაა.  
ამალამ აღარ დადებს თოვლს. მალე გაჩერდება. იმიტომ რომ  
დიდთოვლობისათვის ადრეა ჯერ. აი, ნახავთ, გათენდება და გზა  
მშვიდობისას დაგილოცავთ კიდევაც. ახლა კი ჩემი სტუმარი  
ხართ, თვით ღმერთმა გამომიგზავნა თქვენი თავი. ხედავთ, რა  
გემრიელად გურგულობს ბუხარი? გეგონება, იცინისო. უხარია  
და იმიტომ. ახლა რომ ადგე და წახვიდე, მოიწყენს. ბუხარი  
მოიწყენს, კედლებიც, ჭერიც. ვახშამის ეს გემრიელი სურნ-  
ელიც გაქრება, ქალო-მეთქი!.. ჰო, სკოლაზე გეუბნებოდი.  
კაი სკოლა გვქონდა, ძელით ნაშენი. თბილი-თბილი. თურმე  
ჩემთვის იყო თბილი, ჰი-ჰიიი! ჰოდა, იმიტომაც მიმეჩქარებოდა,  
იყო-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ათი წელია, დაშალეს და ახა-  
ლი ააშენეს, ქვიტკირისა. მარა მე ის ძველი მირჩევნია მაინც...

ჩვენს სკოლაში ერთი გოგონა იყო. სახელად იზა. ჰო,  
მაშინდელ ამბავს გიყვებით, ჩემი ბავშვობის დროინდელს. სწავ-  
ლით ვერ დაიკვებინდა. გაკვეთილების გაცდენა და მახლობელ  
ტყეში ჩიტების გალობის მოსმენა უფრო უყვარდა. გამხდარი  
იყო იზა. გამხდარი და დიდთვალედა. უცნაური, მოუხელთებ-  
ელი. ხან დამყოლი, ხანაც... უჯიაკზე უჯიაკი. ხან ენად გაიკრ-

იფებოდა, ხანაც გულჩათხრობილი დადიოდა. განსაკუთრებით არავისთან მეგობრობდა, თავისთვის იყო უფრო. კაცმა რომ თქვას, არც ამხანაგებს მისდიოდათ გული მისკენ. იზას ახლით, თორემ ჟურნალში იზაბელა ეწერა. იზა... ბელაო, თქვა ერთმა, იზა... ბელაო... და ჩვენც მაშინვე ავიტაცეთ. ავიტაცეთ და იმ დღიდან იზა დავივიწყეთ, ბელას ვეძახდით, მარტო ბელას. იცით, რას ნიშნავს? ჩვენებურ-კუთხურად იცით, რას ნიშნავს ბელა? რას და უბედურებას, მეორედ მოსვლას, ქვეყნის დაქვევას...

- მე ბელა კი არა, იზაბელა მქვია. დედამ დამარქვა ეს სახელი, - მოგვიგებდა ამაყად. ამ სიტყვებზე კიდევ უფრო ჩავიხიბობით-ჩავიკუჭკუჭებდით გოგო-ბიჭები, იმიტომ რომ ტყუოდა იზაბელა. მას ჯერ თვითონაც არ ენახა საკუთარი დედა. პატარა იყო, სულ პატარა, წლისა თუ წლინახევრისა, სადაცოდან მამამ რომ მოიყვანა თურმე.

კარგი კაცი იყო მამამისი, ჩემო ბატონო, შრომისმოყვარე, სიტყვაძვირფასი და ზნეკეთილი. დღითან - დიდი, პატარასთან კიდო - პატარა. ბელასათვის დედაც იგი იყო და მამაც, მაგრამ თქვენც კარგად მოგეხსენებათ, კაცი მაინც კაცია, ქალის ხელი სხვაა, სხვა. სხვანაირი სიტბო დაჰყვება, ხომ მართალი ვარ?

მარტოობა უყვარდა ბელას. დაჯდებოდა თავისთვის, განმარტოებით, იდაყვებით დაეყრდნობოდა მუხლებს, ხელისგულებში ჩაირგავდა ნიკაპს და ჩაფიქრდებოდა. რაზე ფიქრობდა, არავის გაანდობდა, ა-რა-ვის, საკუთარ მამასაც კი.

დადიოდა ბელა სკოლაში. ისე, ტყუილად. რა ცოდნითაც მოვიდოდა დილით, იგივე მიჰქონდა უკან. მაინცდამაინც არავის აწუხებდა მისი სიზარმაცე. ხანდახან რომელიმე მასწავლებელი თუ გადაჰკრავდა, ცარიელი ტომარა ხარო. კაცმა რომ თქვას, კლასში არავის გვიკვირდა ამისთანა ლანძღვა, იმიტომ რომ ნახევარზე მეტი "ცარიელი ტომარები" ვიყავით.

ერთხელ, ჩვეულებრივ, იჯდა ბელა თავისთვის, თვალებშილულვით იჯდა, ნიკაპი ხელის გულებში ჰქონდა ჩარგული. თავის სამყაროში იყო წასული. რა სამყარო ჰქონდა ისეთი, არავინ ვიცოდით. იქ ყოფნა უფრო ურჩევნოდა ბელას, ვიდრე ჩვენთან. მაშინ სახეზეც სხვანაირი იყო. უფრო მშვიდი, ოდნავ ღიმილიანი და... ძალიან ლამაზი...

მასწავლებელი მიუახლოვდა. იმ მასწავლებელს რატომღაც უყვარდა ბელა. იქნებ ეცოდებოდა და იმიტომ?... მიუახლოვდა და თავზე ხელი დაადო.

- დედაშენი გელოდება დერეფანში, იზაბელ.

შეირხა ბელა. ჯერ შეირხა ოდნავ, მერე წამოდგა, კაბა გა-

ისწორა და წავიდა. მიფარეულივით მიდიოდა, უფრო სწორედ, ანგელოზივით... გეგონებოდათ მიწაზე კი არ დააბიჯებს, ჰაერში მისრიალებსო, მიფარფატებსო, ოლონდ ნელა-ნელა. სახეც მშვიდი ჰქონდა, ოდნავ ღიმილიანი და ლამაზი. თვალები ისევ ისე მილულული, გრძელი წამწამებით დაჩრდილული. ისე მიდიოდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს... თითქოს ყოველ-  
ღვე მოდიოდა დედამისი მის სანახავად.

დერეფანში ქალი იდგა, თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე.

- რამხელა გაზრდილხარ, შვილო, გამალლებულხარ... დამ-  
შვენებულხარ... ამოიკვნესა და გულში ჩაიკრა. ეხუტებოდა და  
კოცნიდა და კოცნიდა.

ტიროდა ბელაც, იკრავდა დედის თბილ სხეულს და ტიროდა...

უცებ გონს მოეგო. ცრემლები მოიწმინდა და გრძელწამწამ-  
იანი ქუთუთოები დაბნეულად აახამხამა.

გარს ვეხვიეთ. ვიცინოდით. ვკუჭკუჭებდით ჩვენებურად.

ბელას გაკვეთილზე ჩაძინებოდა...

რაო, რა მკითხეთ, ჩემო ბატონო? საიდან გავიგე ე ყოლ-  
იფერი?

აგერ, ჩემი ბედნიერებაც და უბედურებაც, აშენებაც და დაქ-  
ცევაც, გვალვაცა და თაზისიც ჩემი - ჩემი იზაბელ! შეხედე,  
მოდის ხელებდამშვენებული... არ მოგვკალ, ქალო შიმშილით?!

## სურათი

სოფელი კაპრეშუმი, ალბათ, გაგინონიათ.

დედაჩემის სოფელია.

პატარა რომ ვიყავი, ისე შორს მეჩვენებოდა, მეგონა, ქვეყნ-  
ის კიდეშია-მეთქი. ჯერ ჩვენი სოფლის აღმართი უნდა აგვე-  
ლო... გზა მთის კალთაზე გადადიოდა და ხეობაში ეშვებოდა.  
გზა კი არა, ბილიკი, ეს ახლაა გზა, მაშინ ბილიკი იყო. უფრო  
სწორედ, გზაბაწარა.

ბილიკზე ყველა გაივლის, სოფლელიც და ქალაქელიც. გზა-  
ბაწარაზე - ვერა. დიდი მზაკვარია და იმიტომ. ხან ხრამის ნა-  
პირ-ნაპირ იკლაკნება, ხან კლდიდან კლდეზე გადარბის, ხან მალ-  
ლა მიიწევს, ხან ძაფივით დაეკიდება თავდაღმართში. აქ ყოველ  
კენჭს, შვერილს, ბუჩქს, მიწიდან ამოწვერილ ფესვს მნიშვნ-  
ელობა აქვს, ზოგჯერ გადამწყვეტიც.

ჰოდა, ჩავათავებდით გზაბაწარას თუ არა, შავ ლელეს მივ-  
ადგებოდით.

მართლა შავი კი არ იყო, ასე ერქვა. ახლაც ასე ჰქვია.

არადა, იმაზე სუფთა მდინარე მთელს ღუნიაზე არ მეგულება. თუმცა ეს მაშინ იყო სუფთა და წყალუხვი. ახლარამდენჯერაც ვნახავ, იმის შიში მიპყრობს, ეს საცოდავი არ გაქრეს-მეთქი.

ტანმალალი და ტოტებგაბარჯგული ხეების გვირაბში მიედინებოდა შავი ღელე. მათ ჩრდილში რაღაც გამოუცნობი ფერი დაჰკრავდა წყალს - მუქი და იღუმალის... რომ გიზიდავს და თანაც გაშინებს, ისეთი.

ვინ იცის, იქნებ იმიტომაც დაარქვეს შავი ღელე.

ან იქნებ იმიტომა, რომ ავდარში სხვანაირი გაავება იცოდა.

გამოჩნდებოდა ცისკიდურაზე საავდრო ღრუბლები და გადაირეოდა შავი ღელე. არა, ჯერ დაიგრუხუნებდა მთებში, იქ, სადაც სათავე ჰქონდა, თითქოს აფრთხილებდა სულიერსა და უსულოს, მოვდივარ და იცოდეთო...

დაიგრუხუნებდა და ავარდებოდა შავი ღელე. ეცემოდა ლოდებს და ააყირავებდა. მიაგორ-მოაგორებდა, თითქოს სიმძიმეს უსინჯავსო, მერე აიტაცებდა და გრიალ-გრიალით წაიღებდა თავქვე. ნაპირებს მიასკდებოდა, ერთბაშად გამოუღებდა ძირს და ხრიალით ჩამოაშვავებდა.

ხიდეები არ უყვარდა.

ადამიანები ყოველთვის იქ აშენებენ ხიდეებს, სადაც ყველაზე მოსახერხებელია მათთვის და მიუწვდომელია მდინარისათვის.

შავი ღელე არად დაგიდევდათ მაგისტანა მულამებს. ხიღს რომ დაინახავდა, დატრიალდებოდა მის ქვეშ. აქეთ ეცემოდა, იქით ეცემოდა, საყრდენებს გამოაცლიდა და ჩამოანგრევდა. მერე აიტაცებდა, ტალღაზე შეისვამდა და მახლობელ ლოდს სტყორცნიდა, სტყორცნიდა და ნაფოტებად აქცევდა საცალფეხო ხიღს.

მსმენოდა, განსაკუთრებით, ქალებს მტრობსო. მსმენოდა და, მე და დედა მდინარეს როცა გადავდიოდით, შიში მიპყრობდა, არ მომტაცოს - მეთქი, მაგ გიჟმა დედა და არ წამართვას-მეთქი.

არადა, ჩვენი გზა ისე იდო, შვიდჯერ უნდა გადაგვეკვეთა შავი ღელე. ხან საცალფეხო ხიღზე მივაბიჯებდით ხელი-ხელჩაკიდებულები, ხან თავთხელზე გადავიდოდით. უფრო სწორედ, დედა მიარღვევდა, მე კი ზურგში ვყავდი ატატებულის...

ეჰ, სადღაა ახლა შავი ღელის ბობოქრობა და იღუმალება. ერთი პატარა ღელე მოხტის ქვეებს შორის. ისე წვრილია, იფიქრებ, გაქრება ჰა და ჰაო. მიწაში ჩავძრება და გაუჩინარდებო.

აბა, რა დაემართებოდა, ხეები მოჭრეს და ბუჩქნარი გაკაფეს – სამოსელი შემოაძარცვეს ერთ ღროს ამაყ მდინარეს, შეურაცხყვეს და დაამცირეს, რომ შეხედავ, გეგონებოდა, საკუთარი სიშიშვლისა რცხვენია საბრალოს და მიწაში მიძვრებაო.

ვლგევარ ზოგჯერ მის წინაშე თავდახრილი, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მე ვარ დამნაშავე, რომ ასე გავაშიშვლეთ. ვლგევარ და თვალს ველარ ვუსწორებ...

ჰო, იმას ვამბობდი, შვიდჯერ უნდა გადაგვეკვეთა-მეთქი.

– წყალში ნუ იყურები, თავბრუ დაგეხვევა! – გამაფრთხილებდა დედა, როცა საცალფეხო ხილზე მივაბიჯებდით.

შავი ღელე ერქვა იმ სოფელსაც.

მერე გამოუცვალეს. ჩვენი ქვეყნის ნათელ მომავალს ასეთი შავი სახელი არ შეეფერებო, აიღეს და გამოუცვალეს.

ჟურნალ-გაზეთებში ახალი სახელით იხსენიებენ, ტრიბუნებიდანაც... ხალხი კი ისევ შავ ღელეს ეძახის.

მერე აღმართს შევუღლებოდით. ნამდვილი კაპანი იყო.

ვივლიდით, ვივლიდით ასე კაპან-კაპან და სოფლის თავსაც მივალწევდით. იქედან ბილიკი მთის გადაღმა ეშვებოდა და კაპრეშუმში შედიოდა.

ლამაზი სოფელია კაპრეშუმი. ოთხივე მხრიდან მთები აკრავს, თვითონაც ფერდობებზეა შეფერილი. ზღვა აქედან არ მოჩანს, მაგრამ მაინც ლამაზია. მე რომ მკითხოთ, მთელ ქვეყანაზე ორი სოფელია ყველაზე ლამაზი, ჩემი მშობლიური მახინჯაური და დედაჩემის – კაპრეშუმი.

ბექობზე ცაცხვი იდგა, მალალი, ამაყი, რომ შეხედავდი, კენწეროთი ცას ეხებო, იფიქრებდი. ერთხელ იმ ხეზე ავცოცდი. ახლაც მიკვირს, როგორ გავბედე!.. როცა შემნიშნეს, კენწეროს ვუახლოვდებოდი თურმე.

დამინახეს და შეიცხადეს, მერე კიბე მოაყუდეს და ისე ჩამომიყვანეს. კიდე კარგი, დედა იქ არ იყო, თორემ, ხელი ჰქონდა – მტრისას.

მკითხეს: იმხელა ხეზე რა გინდოდა, რისთვის მიცოცავდიო?

ზღვის დანახვა მსურდა-მეთქი, ვუბასუხე.

ეკ, მიტყებვას მაინც ვერ გადავურჩი...

კინაღამ დამავიწყდა: კაპრეშუმში მისვლამდე კიდევ ერთი ხიფათი გველოდა.

სოფლის თავში, დიდი ტოტებგაბარჯული წაბლის ქვეშ, ფიცრულა ოდასახლი იდგა. სწორედ იმ სახლთან უნდა აგვევლო მე და დედას.



ეზოში დიდი მურია ცხოვრობდა. ისეთი საშინელი ძალღიჯი არ მენახა. რამდენი წელი გველი და მას შემდეგ... სად არ ვყოფილვარ, რა არ მინახავს, ისეთი ქოფაკი ჯერ არსად შემხვედრია. ახლაც მაქრობს გახსენებაზე.

შავ-შავი იყო, ნამდვილი მუ-რი-ა! ახლა ისიც წარმოიდგინეთ, ღრენით რომ წამოვიდოდა!.. გაავებული შავი ღრუბელი შურდულივით რომ მოჰქრის და თან ცეცხლს აფრქვევს, ხომ საზარელი სანახავია, ისეთი იყო მურიაც. ყფითა და ღრენით რომ წამოვიდოდა ის მართლა პირშავი, ისა, მეგონა, ქვეყანა ზანზარებს - მეთქი.

მე მეშინოდა, ღელას - არა. ახლაც ვფიქრობ, ისეთი რა ჯადო ჰქონდა - მეთქი. მახსოვს, სამზარეულოდან ეზოში რომ გამოვიდოდა, ქათმები, ბატები, ინდაურები მათი წიწილებ-ჭუჭულებიანად, კატა, ძაღლი, პატარა ხბოც კი ამალასავით გაჰყვებოდნენ უკან. სამზარეულოდან-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ სულ იქ ფუსფუსებდა ღელა. აბა, რა ექნა, ხუთი მგელივით კაცი ვყავდით დასაპურებელი: მამა და ჩვენ ოთხი ვაყი.

ჰოდა, იმას ვამბობდი, მე მეშინოდა იმ შავი ქოფაკისა, ღელას არა.

- ქუცი, ქუცი!.. - ეტყოდა და, ისიც შედგებოდა, ბალანს დაუშვებდა და ცნობისმოყვარე მზერას მიაპყრობდა. თავს ხან აქეთ, ხან იქით გადასწევდა და შეათვალთვლიერებდა. მერე მზერას ჩემზე გადმოიტანდა და ისევ აეშლებოდა ბალანი...

ბებიას და ბაბუას ძალიან ვუყვარდი. იმიტომაც მიმიხაროდა კაპრეშუმისაკენ.

კიდეც იმიტომ, რომ ხილი ბევრი ჰქონდათ. ჩვენც გვექონდა ხეხილის ბაღი, მაგრამ ჯერ კიდეც ახალგაზრდა იყო. ზოგი ხე ისხამდა უკვე, ზოგიც ჯერ კიდეც არა.

ვაშლი და ატამი მიყვარდა. კიდეც მსხალ-ბატონი. ეს სახელი წინაპრებს დიდი პატივისცემის გამო დაურქმევიათ. ისეთი გემრიელია, ენას ჩაიკვნეტ. გემრიელი და სურნელოვანი.

უფრო იმიტომ მიყვარდა დედულეთს სტუმრობა, რომ იქ ენვერი მეგულეობდა - ჩემი თანატოლი ბიძაშვილი. მთელი ღლეები ერთად ვთამაშობდით და ვჭიდაობდით.

ახლა თქვენი მტერი დაეჭიდა, იმხელაა, რომ, ვთქვათ... რა ენვერი და რა ზღაპრის ამირანი. ხანდახან ვფიქრობ, ახლა ამას დევი რომ შეხვდეს ... უცებ ზღაპარში რომ გადავსახლდეთ და დევი შეხვდეს, ნეტავი რომელი დაჯანის - მეთქი! ნამდვილი გოლიათია. სოფლის სატვირთო მანქანაზე მუშაობს. თუ

ორმოში ჩაუვარდება, დიად არ ნაღვლობს, შეუდგება მხრებში და ამოიტანს.

ერთმანეთს რომ შევხვდებით, ბავშვობას მოვიგონებთ. გახურებულ ჩხუბსა და ჭილაობაშიც რომ გვიყვარდა ერთმანეთი, იმას მოვიგონებთ...

ხატვა მიყვარს ბავშვობიდანვე.

ერთხელ ფატი დავხატე - ენვერის უფროსი და.

ფატი ჩვენზე ოთხი თუ ხუთი წლით იყო უფროსი. გამორჩევით მიყვარდა, იმიტომ, რომ კეთილი, გამრჯე და წყნარი გოგონა იყო. ჩუმად დავხატე, თვითონაც რომ არ იცოდა ისე, მერე სურათი მის ოთახში, კედელზე, მივაკარნემსით.

რომ დაინახა, მოულოდნელობისა და სიხარულისგან იკივლა: - ნახეთ, ნახეთ... ჩვენმა სტუმარმა ძამიკომ დამხატა!... - სურათით ხელში შემოირბინა მეზობლები, შეხეთ, როგორ მიამსგავსაა!

დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, მთელი ორმოცი წელი. ფატი ახლა სხვა სოფელში ცხოვრობს. შვილებითა და შვილიშვილებით დაზრუნული ქალია და მოცლა ადარა აქვს, მაგრამ მშობლიურ კაპრეშუმს მაინც ეწვევა ხოლმე, მე - უფრო იშვიათად.

ამ სამიოდ წლის წინ ავედი. ფატი იქ დამხვდა.

- რაღაც უნდა გიჩვენო, - მითხრა, - ვიცოდი, რომ ამოხვიდოდი და საგანგებოდ წამოვიდე.

მეორე ოთახში გავიდა და ჩარჩოში ჩასმული სურათი გამოიტანა.

მე რომ დავხატე, ის იყო.

შევხედე და, მართალი გითხრათ, არ მომეწონა. ეს რა დამხატავს - მეთქი, გავიფიქრე და თვალის ავარდე.

გულმა არ მომიტმინა. ისევ შევხედე...

ჰოი, საკვირველებავ! ჩემს ბავშვურ ნახატს სინათლის სვეტი დაეცა თითქოს.

ჰო, განათდა სურათი. შიგნიდან განათდა და გაბრწყინდა თითქოს.

მერე უცებ ფანქრის ოკრობოკრო მონასმებში. საკუთარი ბავშვობა დავინახე: ჩემი მახინჯაური და გზაბაწარა ბილიკები, შავი ღელის იდუმალი მიმზიდველობა და ჭკვიანი ავი მურია, კაპრეშუმი და ჩემი ბიძაშვილი ენვერი...

ბავშვების ყრიაშულმა გამომაფხიზლა.

ფატის შვილიშვილები შემოხვეოდნენ. სურათს ათვალიერებდნენ.


მე შევყურებდი და ნაღვლიანად ვიღიმებოდი. გულში კი ტკივილს ვგრძნობდი... იმიტომ, რომ ასეთ სურათს ველარასოდეს დავხატავ.



## დილაადრიან ზღვისპირა პარკში

დილის ექვსი საათიდან ვგროვდებით ზღვისპირა პარკში და ვიწყებთ ვარჯიშს. საკუთარ ღიბებს და კარზე მომდგარ ასაკს ვებრძვით თავგამოდებით.

- გუშინ რატომ გააცდინე?
- შევუბერე...
- სად?
- ერთ ოჯახში,
- რამდენი?
- ოთხი.
- გვარიანია.
- აჰა! წყალში ჩავყარე, კაცო, ამდენი ნავარჯიშევი!
- შეილო, გაანებე თავი მაგ ჰანტელებს, მსუბუქი ვარჯიშები შეასრულე. გაიგე, არ შეიძლება ეგრე გადატვირთვა დილით.
- მოეშვი, თუ ძმა ხარ... ეგ შენთვისაა დატვირთვა. ვერ ხედავ, რამხელა მუტრუკია?
- მაგაზე ნაკლები მუტრუკი კი არ იყო, გუშინ ინფარქტით რომ გაწვა.
- მერე, როგორაა ახლა?
- ყოფნა - არყოფნის საკითხს წყვეტს.
- საბრალო.
- გამაგებინე ერთი, რა ხდება ამ ჩვენს ქვეყანაში. შენ ისეთი თანამდებობა გაქ, ჩვენზე მეტი იცი.
- ?!
- როდის დავგადგება საშველი- მეთქი.
- როცა, ვისაც არ ეხება, პოლიტიკას მოეშვება და საქმეს მოკიდებს ხელს.
- შენ რატომ მპასუხოვ, ძმაო, მე ამ კაცს ვეკითხები.
- ერთი ქალი მკითხავთან მისულა თურმე...
- ზღაპრები მინდა ახლა მე?
- მომისმინე, ჭკუაში დაგიჯდება -
- აჰა, გისმენ.
- სულ ასე გასაჭირში უნდ ვიცხოვრო?- უკითხავს.
- იმან, რაო?
- ორმოც წლამდე მასე იქნებო.



- მერე?
  - მერე... შეეჩვევით.
  - ჰი-ჰიიი!..
  - ცოცხალი ყოფილა თურმე, იცი?
  - ვინ?
  - ისა...
  - არ გადამრიო!
  - სსს... საქვეყნოდ კი არ მითქვამს.
  - შენ რა იცი?
  - ვიცი.
  - ეს ისევ თავის არღანს ატრილებს, ხალხო!
  - არ გჯერათ? ისეთმა კაცმა მომიტანა ამბავი, ი - იმასთან პირდაპირ კავშირში რაა.
  - ჰიტლერზეც და ბერიაზეც დადიოდა მასეთი ხმები, მარა...
  - ჰი-ჰიიი!..
  - იცინეთ, იცინეთ, აი, გავა ცოტა დრო და ...
  - გამარჯობათ, ყმაწვილებო!
  - ვაჰ, თინიკო, თინიკო, არ მოგვკალი ლოდინით? ნანა სადღაა?
  - ბავშვი გაუხდა ავად.
  - გრიპით?
  - ჰო, ბადმინტონი ვითამაშოთ?
  - თქვენთან, ჩემო თინიკო, ბადმინტონი რა ყოფილა!...
- მეზობლის მუჯლუგუნი:
- ენა, კრეტინო!
  - ისე კაი ქალია, ა?
  - რაც არი, არი.
  - ორმოცდაორის ყოფილა, წარმოგიდგენიათ?
  - არ გადამრიო?
  - შეხედე შენ?
  - კაააი ქალია, კაააი.
  - უ-უჰ!
  - რომ ულაწუნებ, ჰო, მაგ ჩოგანს, ქალს ეთამაშები, ქალს. ნაზაად, რბიიილად... კიდევ! მომეცი, გაჩვენო ერთი!
  - პირიქით, პირიქით, ლიუბლიუ ოსტრიე აშჩუშჩენია.
  - გეიგონე? გეიგონე? ესეც მე ვარ!
  - ნუ ხარ შენ მოლრეკილი გონების კაცი.
  - რამ გამოგაშტერათ, ხალხო! აბა, ცოტაც გავირბინოთ.
- ჰობ-ჰობ, ჰობ-ჰობ!..
- ვებრძვით ღიბებს და კარზე მომდგარ ასაკს.

ქვეყნად, ალბათ, არ იქნება სოფელი ასე მშვენიერი და ასე ულამაზო სახელით — მახინჯაური.

პატარაობიდანვე მაწუხებს კითხვა: ვინ და რატომ დაარქვა ამისთანა დალოცვილ ადგილს ასეთი სახელი?

ერთი მხრიდან ზღვა აკრავს, ხან ცისფერი და მოალერსე, ხან კიდეც ისეთია, რომ შეხედავ, შიშისგან ტანში გაგცრის. დაიგრიანებს ქარი და აიფოფრება ზღვა. მთებივით წამოიძარ-თება ტალღები და ქშულით გამოექანება ნაპირებისაკენ. ისე მოაქანებს ქაფიან ტალღებს, გეგონება, მთელი ქვეყნიერების ჩაყლაპვა სურსო.

როცა ასეთ ხასიათზეა, სჯობს, ახლო არ გაეკარო, არ დაგი-ნდობს. ერთი სული აქვს, რაღაცა დაამტვრიოს, დაანგრიოს, შთანთქოს თავის შავ სტომაქში. ამას რომ გააყეთებს, დამ-შვიდდება, დაწყნარდება, ფეხებთან გაგერთხმება, ლოკვასა და ლაქუსს დაგიწყებს. ისე გელაციცება, იფიქრებ, თავისი ნამოქმედარის გამო რცხვენია და ახლა პატიებას გთხოვსო.

სამი მხრიდან მთები გადმოჰყურებს. ჩემს პატარაობაში ეს მთები ულრანი ტყეებით იყო დაფარული. რა ცხოველები და ფრინველები არ ბინადრობდნენ იქ. ახლა რომ გავხედავ, გული, ამტკივდება... სადაა ეს ტყეები.

მწვანე კონცხი მახინჯაურის მშვენიებაა, იგი ომბალურის მთების უშუალო გაგრძელებაა და თხემივითაა შეჭრილი ზღ-ვაში.

ომბალურის მთებიდან იწყება ყოველი დილა აქაური კაც-ისათვის. დიდი და პატარა, გაღვიძებისთანავე, თვალების ფშვინეტითა და ხელის მოჩრდილვით ამ მთებს მიაპყრობს მზერას და, თუ მის წვეროებს იისფერი სინათლე ადგას გვირგვინად, გულს დაიმშვიდებს- დღეს კარგი დარი იქნებაო.

ავდრის მოახლოებასაც ყველაზე პირველად ომბალურის მთები იგრძნობს. ჯერ შეიშმუშნება, ფერი აუვლ-დაუვლის, ერთბაშად მოიწყენს და ბაც- ნაცრისფერს დაიდებს. თითქოს მშრომელ კაცს აფრთხილებს: აბა, იჩქარე, თორემ, ხომ ხედავ, მეც მაჩქარებენო...

...აღმოსავლეთით ცაში ატყორცნილა შავი ტყე. ეს ულ-რანით დაფარული მთაა. ამ მთის იქით კიდეც უფრო მაღალი მთებია. შავი ტყე ისეთია, გზას ვერ გაიკვლევ. გიგანტური ხეების ტოტები ერთმანეთშია გადახლართული. დაბლა შქერის, მოცხარის, ასკილისა და კაცისათვის გაურკვეველი უთვალავი

სხვა სახეობის ბუჩქები ჩახვეულ - ჩახლართულა. ამას ეკალ-  
ბარდების თავხედობაც დაუმატეთ! ტყე ისეთია, მზის სხივები  
ვერ ატანს შიგ. სხვა მთები თუ შორიდან მუქლურჯად მოჩანს,  
ეს რუხია. საავდროდ გამზადებულ ღრუბელსა ჰგავს, ჩაბოღმ-  
ილ-ჩაბოროტებულს, გულგასიებულს, შეხედავ და გაიფიქრებ,  
აი-აი ახლა თვალის მომჭრელად იელვებს მთის სიღრმეშიო. გა-  
იფიქრებ და ხელებს ყურებზე მიიჭდობ უნებურად, მჭახე ჭექა-  
ქუხილმა არ გამაყრუოსო. ავდარში შავი ტყის თავზე  
იკლაკნება და გველივით იწელება ცეცხლის ხაზები. ზოგჯერ  
მესხდაკრული ხის განწირული კენესა და ლაწანი სოფლამდეც  
აღწევს. თავისებურ იღუმალებაშია გახვეული ტყე. იგი  
ეშმაკების, ქაჯების, ჭინკებისა და საზარელი ურჩხულების  
სამყოფელი ჰგონიათ ბავშვებს...

ეგონათ!

ადრე ეგონათ! ახლა ჩვეულებრივი მთაა. სახელიც ადარ  
შერჩა საბრალოს. სადღაა ერთ დროს მისი გოროზი სიამაყე და  
ზღაპრული იღუმალება! სადღაა ის ცაში ატყორცნილი ხეები  
და გაუვალი ჯაგები! როგორ უხდებოდა თურმე მთელს ამ  
მხარეს. ერთ დღეს ხანძარი მოედო მთას და თითქმის გა-  
დაბუგა. თმაგადაპარსულ ქალს დაამსგავსა. ახლო-მახლო სოფ-  
ლებიც გადასხვაფერდა მაშინვე. ისინიც განიძარცვა თითქოს,  
მახინჯაური - ყველაზე მეტად.

მაინც ლამაზია მახინჯაური. სოფელი - ლამაზი, სახელი -  
უშნო. ეს სხვებისთვისაა უშნო, თორემ ჩემთვის... რა მახინ-  
ჯაურის ვაგონება და რა, ვთქვათ, ბეთჰოვენის "მთვარის სო-  
ნატის" ჰანგების მოსმენა.

რატომ და რისთვის დაერქვა ჩემ მშობლიურ სოფელს ეს  
სახელი, დღესაც თავს იმტვრევენ ეთნოგრაფები, არქე-  
ოლოგები, ისტორიკოსები და ისინიც, ვინც ჯერ კიდევ არ ღი-  
რსქმნილან ატარონ რომელიმე "გრადი",  
"კოსი", "ლოგი", "ისტი" და ა.შ. მაგრამ დამერწმუნებით,  
იმედით ცხოვრობს ადამიანი.

მე, მოგესწენებათ, არც ერთ ზემოთჩამოთვლილს არ ვეკუ-  
თვნი, მაგრამ... რაც მთავარია, მახინჯაურელი გახლავართ და,  
საგამომძიებლო ტერმინოლოგიით რომ ვთქვა, ჩემი ვერსიაა გა-  
მაჩნია.

ღიღი ხნის წინათ ცხოვრობდა თურმე ამ სოფელში მზეჭ-  
აბუკი. ისეთი ძლიერი და მოხდენილი იყო, რომ მისი სიყვარ-  
ულის სიმწრით ქალიშვილები ჩუმად ოხრავდნენ და მუთაქებს  
კმუჭნიდნენ ღამით.

ერთ დასაქცევ დღეს მტერი შემოიჭრა, უთვალავი და კბილე-  
ბამღე შეიარაღებული მტერი.

მზეჭაბუკმა რაზმი შეყარა და ეკვეთა მომხდლურთ, დამარცხ-  
და. ურჯულოებმა ყველა გაწყვიტეს. მზეჭაბუკიც დაეცა.  
რამდენიმე ადგილას იყო მძიმედ დაჭრილი. მომხდლურთ მკვდარი  
ეგონათ და თავი დაანებეს.

სოფლელებმა შორს ტყეში გახიზნეს სულთმობრძავი მზეჭ-  
აბუკი.

როცა მომჯობინდა და ფეხზე დადგა... მზეჭაბუკობის აღარა-  
ფერი ეცხო თურმე.

გამოხდა ხანი.

გადამთიელი გამაგრდა ამ მხარეში. ამ მიწის ბატონ-პატრ-  
ონივით იქცეოდა.

მონობის უღელქვეშ გმინავდა ხალხი. გმინავდა და იბრძოდა.

ხმა დაირხა, ღამ-ღამობით, მოულოდნელად, აღარავინ იცის  
საიდან, გამოჩნდება რაზმი, თავს ესხმის ურჯულოებს და მუსრს  
ავლებსო.

რაზმს ვინმე მახინჯი ვიაური უდგას სათავეშიო.

ამ სახელის გაგონებაზე შიშით ძრწოდა მტერი.

– მახინჯ-გიაურ!... მახინჯ-გიაურ!.. – ჰყვიროდნენ ისინი და  
შიშით ატანილნი, აქეთ-იქით გარბოდნენ.

აურაცხელი ოქრო დააწესა სულთანმა იმისთვის, ვინც  
მახინჯ-გიაურის თავს მიუტანდა.

ამაოდ დაშვრა მბრძანებელი.

მახინჯ-გიაურს ვერც ისარი ეწეოდა და არც ხმალი სჭრიდა.

ყველაზე უიმედო ბრძოლიდანაც უვნებელი გაჰყავდა თავისი  
რაზმი.

განრისხებულმა სულთანმა დიდი ლაშქარი გამოგზავნა.

ბრძოლა სასტიკი და უთანასწორო იყო. მთლიანად გაუწყვი-  
ტეს რაზმი მახინჯ-გიაურს. მარტოდმარტო დარჩენილი, ჭრ-  
ილობებისგან დასერილი გმირი თავისავე ხმალს წამოეგო.

არავინ იცოდა მისი ნამდვილი სახელი...

გმირის საპატივცემულოდ ამ სოფელს მახინჯ-გიაურს ეძახდა  
ხალხი, სოფლელებს – მახინჯგიაურელებს.

დამერწმუნებით, ცოტა არ იყოს, ძნელად გამოსათქმელი  
სახელწოდებაა. მეტყველებაში იგი თავისთავად ითხოვს გამარ-  
ტივებას: მახინჯგიაური-მახინჯიაური-მახინჯაური.

ჩემი მშობლიური სოფლის მიწაში ასვენია გმირის გატანჯ-  
ული ძვლები. ზღაპარიანო, მეტყვის მავანი. არავითარი საბუთი  
არ არსებობს მახინჯგიაურის შესახებო.



საქართველოს  
საქართველოს

არსებობს! იგი ჩემშია და ვერავინ გადამარწმუნებს  
როგორც მწერალი, ვალში ვარ გმირის წინაშე...

ჰოდა, აბა, როგორ არ მიყვარდეს - მახინჯაური.

ვისთვის როგორ, არ ვიცი, ჩემთვის კი, რა მახინჯაურის  
გაგონება და რა, ვთქვათ ბეთჰოვენის "მთვარის სონატის"  
ჰანგების მოსმენა.



## ქსენია მჭავია - 70

ჩვენს მეგობარ პოეტს ქსენია მჭავიას 70 წელი შეუსრულდა. იგი თითქმის ორმოც წელზე მეტია, რაც საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციაში დღი რულუნებით მუშაობდა და დღესაც განაგრძობს საპატიო საქმიანობას. ქალბატონი ქსენია მწერალთა ორგანიზაციის ისტორიის საუნჯის შემკრები და გამგებელიცაა.

“ნუ მრისხანებ - მშვენიერია სიმშვიდე სულისა” - გვმოძღვრავს ძველგვებტური სიბრძნე. ქალბატონი ქსენია სიმშვიდის ხატიცაა. გულწრფელი ურთიერთობა მეგობრებთან თუ სხვებთან, მისი ხასიათის დამამშვენიებელია. სიკეთე მისი სულის გამოწვევითაა. მისი ახალგაზრდობა მისივე ლექსებით ბრწყინავდა და პოეზიის ჩინჩხლებს გამოსცემდა. იგი არაერთი პოეტური წიგნის ავტორია და არაერთი მისი ლექსი აკაკის ციციანთელასავით ანათებს და მხურვალე ალით სიბრწყინის ლანდებს ფერფლავს. პოეტურ გაელვებას საკუთარი შინაგანი ძალა მარადჰყოფს.

ქალბატონო ქსენია, დაე, მარად გინათებდნენ გზას თქვენი საიმედო სტრიქონები, რომლებიც თქვენივე ცხელი გულის პირშონია.

გილოცავთ, სულითა და გულით გილოცავთ ბედნიერ 70 წელს. გისურვებთ ხანგრძლივ ჯანმრთელ სიცოცხლეს და შემოქმედებით წარმატებებს.

ეურნალ “ქოროხის” რედაქცია

### სამოცდაათი

ფრთებჩამოყრილი, როგორც ნიბლია,  
 ვდგავარ და განვლილ თარიღებს ვითვლი,  
 საწუთროს გზაზე დიდხანს მივლია.  
 საკითხავია - რატომ და რისთვის?  
 რით ვემსახურე მშობლურ მხარეს,  
 რა ვაკეთე და  
 ან რა ვაკეთო,  
 რით დამამშვენიებ, რით გამახარებ,  
 სამოცდაათის გადასახედო?  
 ვერ ვილომე და  
 ვერ ვიარწივე,  
 ვერც შევეწირე მამულს ზვარაყად,

ჩემი ბავშვობა და სიყმაწვილე  
 ომმა მოსრა და გააჩანაგა.

ბელი სიკეთით არ მანებივრებს,  
 განსაცდელს უფრო უხვად იმეტებს  
 და ვეჯახები გზებზე ჯებირებს,  
 ხან ცრემლიანი,  
 ხან მოიმედე.

ჩემო ოცნებავ, ვერ იყვავილე,  
 ვერ იქრიალე სულში სანთლებად,  
 და მაინც იმ წლებს,  
 უხმოდ ჩავლილებს,

არ ვთვლი ფუჭად და გაუმართლებლად.

არ დამცდენია მათზე წუხილი,

არც სამღურავი, არც საყვედური,

მე ჩემი წვის თუ გულის დუდილის,

მე ჩემი მრწამსის ვიყავ ერთგული.

ხომ მქონდა ფიქრი, სულის შემძვრელი,

სიტყვასთან შებმის და შეჭიდების?

ხნულის გავლება თუ ვერ შევძელი,

ხომ ავნთებულვარ ლექსის დიდებით?

ჰანგად ქცეული, როგორც მოცარტი,

ფრთებს ვუკოცნიდი ქარებს ვნებიანს,

ხომ მყვარებია სულით ხორცამდი

და ოცნებაში დამთენებია!

ციდან მესმოდა ჩანგის წკრიალი,

ლორთქო ბალახის სუნთქვა მიწიდან,

მღეროდა გული ნაპერწკლიანი,

მზეც საალერსოდ ხელებს მიწვდიდა...

დღეს ვარსკვლავეთში აღარ მელიან,

მთვარე არც მლოცავს და არც მიწყრება,

მაგრამ იმ დღეებს – ტკბილს და ღელვიანს,

ვერ გავიმეტებ დასავიწყებლად.

## თანდათან

თანდათან ჯანი მაკლდება,  
მრუმე ფიქრები გამთანგავს,  
ჩუმი ოხვრა და გოდება  
შემომჩვევია თანდათან.

ძველი სილადით ვერ ვხვდები  
მეგობრებსა და ერთგულებს,  
ვდგავარ გაძარცვულ ხესავით  
და ზამთარს შიშით შევეყურებ.

სუნთქვა შემიკრეს ქარებმა,  
ავდარმა ხელი დამრია,  
არც საით მიმეჩქარება,  
არც საით მიმიხარია.

ის აღმაფრენა სად გაქრა,  
სულს რომ გიგზნებს და აგანთებს  
ვუახლოვდები თანდათან  
იმ დიდი სოფლის დაღმართებს...

ეჭვი, წუთისოფელო,  
რაისთვის მართობ-მათობდი,  
თუ მაინც უნდა დამეთმო  
სიცოცხლე ვერდასათმობი.

მე წავალ, სულ გაგეცლები,  
შენ არა დაგაკლდება რა,  
წავიღებ დარდი რაც მჭირდა,  
რაც სიხარული მებარა.

დაგტოვებ ასე მშვენიერს,  
წარმტაცი მზით და მიწითა,  
მაღლობით მოგიხსენიებ  
რაც უხამი მასვი მისთვისაც.

\* \* \*

არ მიძებნია გზები ფერადი,  
გზა მიხვეული, გზები ირიბი,  
ბარიდან მთაში, მთიდან ველამდი  
მაქვს მიჩნეული ჩემი ბილიკი.

მე ამ გზით ვხვდები ბინდს და ალიონს,  
ჩემს მზეს და ნისლებს,  
დარღს და მოლოდინს,  
თუნდაც დამქანცოს, თუნდაც გამლიოს,  
მისი ერთგული ვრჩები ბოლომდის.

ის არის ჩემი ხატიც და ღმერთიც,  
იმედი, ღელვა რამ უჩვეულო,  
ვიცოცხლებ შენთვის,  
მოკვდები შენთვის,  
გზაო, სხვა გზებში გამორჩეულო.

\* \* \*

დახანძრული დღეები რბიან ბორგვით, ცახცახით,  
– სიყვარული გვიშველის, – ყველა ერთურთს ჩავძახით,  
სიყვარულო, სადა ხარ, რომ უწამლო იარებს,  
თუკი ყველას უნდიხარ, ასე რად იგვიანებ.  
გვახსოვს, აჩუქურთმებდი მამულს უბემაღლიანს,  
აღაშენე ყოველი, რაც მტრობამ დაანგრია.  
ხომ დაზარდე ჩაუქნი – უღრეკი და ფრთაშალი,  
ხომ შევნოდი სახელებს დავითის და თამარის.  
დღეს ეკალი თუ ხარობს, ვარდმა რად ვერ ივარდა,  
საუკუნე მეოცე მიილია, მინავლდა  
შფოთითა და განგაშით,  
ღელვა – ჭაბანწყვეტაში...  
სიყვარულო, სად გპოვო, მიწაზე თუ ზეცაში.  
მოყმის ხელით მოკლულო, შენს დაღვრილ  
სისხლს მივტირით,  
ველარ ჩამოვირეცხეთ ცხრაასშვიდის სირცხვილი.

ისევ შურმა დაგვფლითა,  
ისევ მტრობამ გაგვთიშა,  
ისევ ბოლმამ გვაქცია ცეცხლად, სეტყვად, ქარიშხლად,  
ნუთუ შვება არსაით. ყველგან შხამი მოთესეს,  
დაცემულო დიდებავ, ამაღლდები ოდესმე?

\* \* \*

პატარა გოგო ქუჩაში მიდის,  
წყდება ხეებზე ფოთლების ჩქამი...  
პატარა გოგო ქუჩაში მიდის,  
გრილი სხივებით ევსება ტანი.  
და უხარიათ ქუჩას და სახლებს,  
და ელიმებათ გულდია მგზავრებს,  
პატარა გოგოს თვალები ამხელს  
ჯერ შეუცნობელ სურვილს და ალერს.

ვიტრინას ცქერა ველარ მოწყვიტა  
და გულისცემას ვერ იმორჩილებს,  
წუხელ სიზმარში თმებს უკოცნიდა  
ცისფერთვალება ლამაზ თოჯინებს.

წუხელ სიზმარში რაღაც განგებით,  
ფოთლით დასერა ცა უნაპირო,  
ბულბულს მოსტაცა ტკბილი ჰანგები,  
საავთანდილო, სათინათინო.

გულში ჩაიკრა, მხრებით ატარა,  
არ დაიღალა ჩვილთან თამაშით,  
მერე ვედრების ცვარში განბანა  
და ჩააძინა იაენანაში.

და როცა ქარმა ნისლი მოხვეტა,  
გზებს, ვარსკლავიანს მიჰყვა ბოლომდი...  
ღმერთო, კეთილი თვალით მოხედე,  
ნუ გაუწბილებ გოგოს მოლოდინს!





## ჩემი წილი საუკუნე\*

### ვის ზინდათ მილიონი?!

მე არ ვიზრდებოდი შეძლებულ ოჯახში, დღევანდელი ტერმინოლოგიით ვცხოვრობდით სილატაკის მიჯნაზე, პურის წიგნაკისა და “ტორგსინის” ეპოქაში, თეთრ პურს მართლა ოქროს ფასი რომ ედო. თუ სიღარიბის მოწმობას მიიტანდი სკოლაში, სწავლის ქირისაგან განთავისუფლებდნენ. თუმცა ზოგიერთი ოჯახი თაკილობდა ამას. დღეს რომ პრესტიჟულს ეძახიან, ასეთნაირად ექიმების ოჯახები ითვლებოდა. ჩვენს კლასში საკმაოდ ცნობილი ექიმების შვილები სწავლობდნენ. მაგრამ, რაღაც არ მახსოვს, რომ მათაც კი ყოველთვის ჰქონოდათ კინოში თუ სტადიონზე შესასვლელი, ან კიდევ ახლადშემოსული “ესკიმოს” საყიდელი ფული.

მარქსის “კაპიტალზე” და საბაზრო ეკონომიკაზე, რა თქმა უნდა, მაშინ წარმოდგენაც არ გვქონდა, არც მეფისტოფელის არც მოგვისმენია: “Люди гибнут за металл” და არც მაკარის სიმღერა “ქეთო და კოტედიან” : “ფულია ჩვენი გამხარებელი”, მაგრამ ფულის მნიშვნელობას, უფრო სწორად, უფულობას საშინლად განვიცდიდით ყოველდღიურად. ყველა ჩვენი სურვილის თუ ოცნების მისაღწევად საჭირო იყო ფული, რომელიც ჩვენ არასოდეს არ გვქონდა. ქურდობაზე გაფიქრებაც არ შეგვეძლო. სახლში აწაბვნა კიდევ ჰო, მაგრამ ესეც სასტიკად ისჯებოდა.

რჩებოდა ფულის შოვნის ერთადერთი კანონიერი გზა. სადმე გვეპოვნა იგი, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა ერთხელ ბიონერთა პარკის ხეივანში ხუთმანეთიანი ვიპოვეთ და გავსკდით ნაყინის ჭამით. მას შემდეგ სულ პარკის გავლით ვბრუნდებოდით სკოლიდან სახლში. ერთხელაც ქვიშაში ჩიჩქნის დროს, ოქროს კბილს წავაწყდით, მაშინვე “ტორგსინის” მაღაზიაში გავვარდით, სადაც ის კბილი “ბუნანკა” თეთრ პურში და ერთ თავ ძეხვში გადაგვიცვალეს. იმის გემო ახლაც მახსოვს.

ადამიანს თვალის გახელის დღიდან ამ ქვეყნიდან წასვლამდე სულ თან სდევს საიდანღაც ფულის გაჩენის იმედი. იმ ნაშოვნ

\* გაგრძელება

თუ ნაპოვნია ფულით მიღწეული მიზანი ან შექმნილი ნივთი იცვლებოდა ასაკის თუ სოციალური ვითარების შესაბამისად. ბავშვობის დროინდელი ფეხბურთის წითელი კამერა იყო რეალური თუ დღევანდელი - თეთრი "მერსედესი". ასევე იცვლებოდა ფულის რაოდენობა, მე რომ უნდა მეპოვა სადარბაზოში, ღამით, შინ დაბრუნებულს: იმდენი, ტორტი რომ მეყიდა საძლომად (რაც ომის დამთავრების აღსანიშნავად შეგძელი), 100 მანეთი (პირველად თბილისში ჩასასვლელად), 300 მანეთი (პირველი რადიომიმღების შესაძენად), 700 მანეთი (პირველი ტელევიზორისათვის), 6 ათასი "ქივლისათვის"), რამაც თანდათან მიაღწია ... მილიონს. რა თქმა უნდა, ის "მილიონი" არა მაქვს მხედველობაში, თურქეთში პირველად გამგზავრებისას ბანკში რომ მომცეს 400 მანეთად, არც დღევანდელი მილიონები, ჩაუკეტავ უჯრაში რომ მიდევს. ეს უნდა ყოფილიყო მილიონი დოლარი, რომელიც, როგორც იქნა, ვაღიარეთ, ყველაზე მყარ ვალუტად მთელს მსოფლიოში, მიუხედავად მისი კაპიტალისტური წარმოშობისა. განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა ათეული წლებით ნაგროვებ-ნალოლიავეები ასე ათასი მანეთის ნაცვლად მთავრობამ, ყოვლად უნამუსოდ, ასე ათასი კუპონი დამითვალა თბილისის ერთ-ერთ შემნახველ სალაროში ისე, რომ ბოდიშიც არ მოუხდია.

კაცმა რომ თქვას, საკმაოდ ბევრ რამეს მივაღწიე ცხოვრებაში, თითქმის წარმოუდგენელსაც ისე, რომ კაპიკი არ მიპოვნია, არც ქუჩაში და არც სადარბაზოში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ხუთ მანეთიანს, თითქმის ასე წლის წინათ რომ ვიპოვეთ პიონერთა პარკში. ხუმრობა- ხუმრობით, თეატრალურ სპექტაკლზე და საფეხბურთო მატჩებზე დასწრების პარალელურად, დაუსწრებელი იურიდიული ინსტიტუტი დავამთავრე მოსკოვში, ეგ კიდეც არაფერი, იმავე მოსკოვის რამდენიმე თეატრში ჩემი რამდენიმე პიესა დაიდგა, საიდანაც შემდეგ ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში, ხოლო კიდეც უფრო შემდეგ საზღვარგარეთ გადაინაცვლა. ბათუმიდან დაწყებულმა თეატრალურმა გზამ პირინეის მთებამდე, ბრანდებურგის ჭიშკრამდე, ჩინეთის დიდ კედლამდე მიმიყვანა თუ არაფერს ვიტყვით, რუსთაველის, მარჯანიშვილის და სხვა ქართულ თეატრებზე, ორი ტელევიზორი მიდგას სახლში, ერთი პატარა მანქანაც ემსახურება ოჯახს; სულ ახლახან ლოჯიც მივაშენეთ ისედაც ოთხოთახიან ბინას, კიდეც ათი წელი რომ ვიცხოვრო, ტანზე და ფეხზე საყიდელი არაფერი დამჭირდება, შიმშილითაც არ მოგვეკვდები, სულ თუ არაფერი, ერთი ხაჭაპური მაინც მოიძებნება ჩემი სახელობის კაფე-

ბარში, თავმჯდომარეც რომ არ ვიყო, მაშინაც, უკანასკნელ  
ადგილ-სამყოფელიც მზადა მაქვს, ქელების თაობაზეც უკმე  
ჩავწერე ჩემი მოსაზრება ანდერძში... ჰოდა, რა გინდა მეტი!  
დაცხრი რა, რაღად გინდა ის მილიონი, სულ რომ იმის იმედი  
გაქვს, გააღებ სადარბაზოს კარებს და დაგხვდება დოლარებით  
გატენილი “დიპლომატი”, აუცილებლად – ბნელ კუთხეში,  
შენზე ადრე მისულმა სტუმარმა ან მეზობელმა რომ არ დაინახ-  
ოს.

არა, ადამიანი ბუნებით გაუმძღარი ორფეხა ცხოველია. აკი  
ბარათაშვილმაც თქვა, მაინც რა არის ჩვენი ყოფა, წუთისოფ-  
ელი, თუ აროდენ საწყაული აღუვსებელიო. განა არ ვცადე,  
დამევიწყებინა ის მილიონი, თანაც – ბევრჯერ, მაგრამ ვერა-  
ფრით ვერ მოვახერხე, სადარბაზოს კარებს რომ შევალე, თვა-  
ლი სულ იმ ბნელი კუთხისკენ გამიბრბის.

... ამალამაც შევალე სადარბაზოს კარები, ჩვეულებისამებრ  
მივიხედე იმ კუთხისაკენ, სადაც “დიპლომატი” უნდა დამ-  
ხვედროდა და რომელიც, რა თქმა უნდა, არ დამხვდა, ახლა ვზ-  
ივარ ჩემს ფინურ სავარძელში, სახლში ყველას ძინავს, მე კი  
ველოდები შუქის მოსვლას, რომ “ქვიშის საათი” მაინც ვნახო  
თბილისიდან...

... სწორედ ასეთი უელექტროენერგიო და უმთვარვა-  
რსკვლავებო ღამეა საჭირო მილიონის საპოვნელად და დასაბი-  
ნაველად. ჩაავლებ იმ “დიპლომატს” ხელს, აუყვები ჩაბ-  
ნელებულ კიბეს და... ვიგრძენი, რომ გულისცემამ მიმატა,  
არამარტო იმიტომ, რომ მილიონი მეკავა ხელში, ბოლოს და  
ბოლოს ნაპოვნი მილიონი. ოთხი ოჯახი ვართ ჩვენს სახლში,  
პირველ სართულს უცებ გასცდები, მაგრამ, ხომ შეიძლება, ამ  
დროს ყურის მეზობელი მეორე სართულიდან, ქალბატონი ვე-  
რა შემეფეთოს კიბეზე ნაგვის ყუთით ხელში, დამ-ღამობით  
გააქვს ქუჩაში ნაგავი. ფეხი რომ არ წაიკრას, ზოგჯერ  
ელექტროფანარით ინათებს გზას. აუცილებლად შეამჩნევს ჩემს  
“დიპლომატს”. შეიძლება არაფერი მკითხოს, მაგრამ შეილიშვ-  
ილს – ფედიას აუცილებლად ეტყვის, წუხელ “დიადია მოშიამ”  
ძალიან ღამაში ჩემოდანი მოიტანა სახლშიო, ალბათ  
თურქეთში იყიდა ან “ხოფის ბაზარზეო”. ფედია კი ძალიან  
ცნობისმოყარე ყმაწვილია, უთენია დამადგება თავზე, მაჩვენე,  
წუხელის რომ ღამაში ჩემოდანი მოიტანეო. ფედიას ადვილად  
მოვიშორებ, მაგრამ ხომ შეიძლება ამას ყური მოკრას ჩემმა  
ქალიშვილმა მარინამ, რომელიც ფედიზე არანაკლებ ცნობისმ-  
ოყვარეა, – რა ჩემოდანზეა ლაპარაკიო?!



მილიონის პოვნის იდეა ნახევრადფანტასტიური იყო და, როგორ წარიმართებოდა ჩემი, როგორც ნამდვილი მილიონერის ცხოვრება, ამაზე კონკრეტულად არ მიფიქრია. მაგრამ, ახლა, როცა მილიონი ხელთა მაქვს, რამდენი რამაა გასათვალისწინებელი! მართლა ციდან ხომ არაა გადმოგდებული ეს "დიპლომატი", ვილაცამ ან დაკარგა, ან კიდეც იძულებული იყო დროებით ჩვენს სადარბაზოში დაემალა. თუ დაკარგულია, პატრონი აუცილებლად ძებნას დაიწყებს, შეიძლება ტელევიზორშიც გამოაცხადოს, მაგრამ შეიძლება არც გამოაცხადოს, ვინ იცის, რა გზით აქვს ნაშოვნი! თუ მოპარულია და რაღაც მიზეზის გამო იძულებული გახდა ჩვენს სადარბაზოში დაემალა ნაქურდალი, მაშინ, უპირველეს ყოვლისა, ხომ ჩვენზე აიღებს ეჭვს? მართალია, განგაშს არ ატენს და მილიციას არ გამოუძახებს, მაგრამ აქაურობას არ მოსცილდება.


შეიძლება რომელიმე კომერციული კომპანიის ან ბანკის პრეზიდენტი, ფანტასტიური პროცენტების დაპირებით რომ მოხვეტა დოლარები და ამაღამ საზღვარგარეთ აპირებს გაქცევას? სადღა წავა, როცა მისი დოლარები ავერ მიღვეს "დიპლომატში!"

ასეა თუ ისეა, ეს მილიონი, ღმერთმა გამომიგზავნა თუ ეშმაკმა, მოსავლელია. ამაღამვე, ვთქვათ, ვერა არ შემეფეთა კიბეზე და მეც შეუთმნევლად შევედი ბინაში. კიდეც კარგი, ყველას ძინავს. უსინათლობის დროს ადრე წვებიან. სად წავილო ეს გარიხინებული "დიპლომატი?!" რაღაც რომ არ მიგაკლოს განგებამ ხომ არ შეიძლება! რაღა ამ "დიპლომატში" ჩადო ეს მილიონი! სპორტული ჩანთა არ ჯობდა! სადმე შევკუმშავდი ან ბალიშქვეშ ამოვდებდი. წიგნების კარადაში მოვიხდომე შენახვა, არსად არ ჩაეტია. საწოლქვეშ ხომ არ შევაცურო? მარინა უთენია ხომ არ დაიწყებს ხვეტას! მაგრამ ნინიკო უფრო ადრე იღვიძებს, უყვარს სხვადასხვა ნივთების დათრევა და დამსხვრევა. ამ "დიპლომატსაც" რომ მიაგნოს! იქნებ ფული ამოვიღო, "ჰიუგოს", "ბალზაკის" და დიკენსის ტომებში გავანაწილო, ვინაა მათი გადაშლელი, რაც შევიძინე, მას შემდეგ ასე დევს თაროებზე ხელუხლებლად! თუმცა რა იცი, ერთხელ ამირან გუგუშვილმა ათასი მანეთი (ძველი კურსით) გადაუმალა ცოლს დოსტოევსკის მე-18 ტომში. მეორე თუ მესამე დღეს შინ მისულს გაოცებული ზაირა დახვდა სწორედ იმ ტომით ხელში. ამ ფულს აქ რა უნდაო?!" ამირანი გადარეულა, ქალო, "გულივერის მოგზაურობა" არ წაგიკითხავს და დოსტოევსკის მე-18 ტომი რამ გადაგაშლევინაო?! ფულს კიდეც მოვუნახავ ადგილს,

ამ “დიპლომატს” რა ვუყო?... უნდა გავაქრო ამაღამვე, <sup>დავწვა,</sup>  
დავამტვრიო, ზღვაში გადავაგდო... რომელი მინისტრის <sup>თან</sup>  
ლიბკურთიერი მე ვარ, რაში გამოადგება! შეიძლება ტელ-  
ევიზიითაც აჩვენონ, როგორც ნივთიერი მტკიცება, აი, ასეთ  
“დიპლომატში” იღო ის მილიონიო. კიდევ კარგი, ვერა რომ არ  
შემეფეთა კიბეზე!

...ჩავლილმა მანქანამ გაანათა ჩაუკუნებული ქუჩა. ოდნავ-  
ამოღებულნი დარაბიდან გავიჭვრიტე. მეზობელ ეზოსთან  
შეჩერდა “სასწრაფო დახმარება”. მედიცინა მე უფრო მჭირდება  
ახლა, ისე მიცემს გული. ალბათ წნევამაც ამიწია. ერთხელ  
უკვე გამოვცადე ამდაგვარი რამ, - ერთმა შორეულმა ნაცნობმა  
მეორე, უფრო ახლო ნაცნობისათვის გადასაცემად ფულის გა-  
ნსაზღვრული რაოდენობა მომიტანა, ნიშნად პატივისცემისა,  
რალაც საქმეში გაწეული დახმარებისათვის (არც გვარებს და  
არც თანხას არ ვასახელებ, თუმცა მას შემდეგ ხანდაზმულობის  
რამდენიმე ვადა გავიდა). მეორე დღეს უნდა მიმეტანა ფული. მე  
ის დამე გავათენე, მტერს არ ვუსურვებ! ეს ის დრო იყო, სა-  
მართალდამცველმა თუ დამრღვევმა ორგანოებმა დამნაშავის  
მისაგნებლად ახალი მეთოდი რომ შეიმუშავეს, - ფულის რალაც  
საღებავით თუ ქიმიური ხსნარით დანიშვნა და თითების ანაბ-  
ეჭდებით ბოროტმოქმედების გახსნა. კიდევ კარგი, მე იმ ფულ-  
ისთვის ხელი არ მიხლია; უჯრაზე მივუთითე, იქ ჩადე-მეთქი;  
თუმცა, საქმე საქმეზე რომ მიდგეს და ეს ფული სახლში  
გინახონ (შეიძლება ნომრებიც დანიშნულია), ამტკიცე შემდეგ,  
რომ შენ არაფერ შუაში ხარ. იურისტის დიპლომი მაინც არ  
ვედოს იმავე უჯრაში. ქუჩაში ჩავლილი ყველა მანქანა, ჩვენს  
სახლთან ჩერდებოდა მეგონა. ბოლოს ასეთი გადაწყვეტილება  
მივიღე: სადღაც ხელთათმანებს მივაგენი, ის თანხა რამდენიმე  
პატარა დასტად დავანაწილე, ვინიცობაა მომადგნენ, სანამ  
კიბეზე ამოვლენ, ზარს დარეკავენ, ვიცვამ-მეთქი, გავძახებ,  
მთელ იმ თანხას უნიტაზში ჩავრეცხავ ნაწილ-ნაწილ, წავიდნენ  
მერე და ატარონ ქიმიურ-ლაბორატორიული ანალიზები! მაგ-  
რამ სად რალაც რამდენიმე ათასი, ისიც მანეთი და სად -  
მილიონი დოლარი! მართლა ხომ არ ჩავუშვებ კანალიზაციაში!

ყველაფერი მოსალოდნელია, ყველა ვარიანტი - გასათვლ-  
ელი. ვთქვათ, მომადგნენ ამ ღამით და მკითხეს, ასეთი და ასეთი  
“დიპლომატი” ხომ არ გინახავთ? სანამ ჩხრეკას დაიწყებენ და  
ოჯახს ააფორიაქებენ, თვითონვე უნდა განვაცხადო, ვნახე-  
მეთქი. მერე, თქვენნაირმა კაცმა (ჩამომივთლიან ჩემს ანექტურ  
და შემოქმედებით მონაცემებს), რატომ არ განაცხადეთ ამის



შესახებო. ძალიან გვიან იყო, ხვალ დილით ვაპირებდი-მეთქი. რა თქმა უნდა, არ დამიჯერებენ. ამიტომ, ასე ხომ არ აჯობებს, ახლავე დავწერო განცხადება პროკურორის და შინაგან საქმეთა მინისტრის, ან ორთავეს სახელზე, ასე და ასე, ესა და ეს მოვიძიე, გთხოვთ, ჩაიბაროთო. მივაწერ დღევანდელ რიცხვს და პოვნის საათს. თუ მშვიდობით გათენდა ეს ღამე, გავაქრობ ამ განცხადებებს.

ვთქვით, მართლა ჩავაბარე მთელი ეს თანხა, გულწრფელად, და პატიოსნად. ხომ არსებობს კანონი, განძის მპოვნელი, თუ მას ნებაყოფლობით ჩააბარებს, გასამრჯელოდ ლეზულობს მისი ღირებულების 20 პროცენტს. ფულზეც, ისიც ასეთ ვალუტაზე, ასეთივე წესი იქნება ალბათ, რამდენი გამოდის ეს? 200 ათასი ცოტაა. ტყუილად ველოდი ამდენ ხანს მილიონს? მოგცემენ კი 20 პროცენტს?! ნოდარ ღუმბაძეს აქვს საღაც, ვილაცამ ცხრა ოქრო იპოვა და პატიოსნად მილიციაში მიიტანა. ცემით სული ამოხადეს, მეათე ოქრო სადააო?

... ტელეფონმა დარეკა. ელსადგურიანო, მეკითხება ვილაც. ეს, ალბათ, აღარ მომეშვება, ამიტომ, ვპასუხობ, ელსადგური ვარ-მეთქი. "დიკაია როზას" დაწყებამდე სინათლე ჩაირთვებაო? მთელი ქალაქი პარალიზებულია, ბატონ სულიკო ბერიძეს, მთელი ამ მხარის ენერგეტიკის გამგებელს, საკუთარ სახლში არა აქვს სინათლე, ამ რეგვენს კი ის აწუხებს, ნახავს თუ არა ამაღამ "დიკაია როზას" 37-ე სერიას! მე ისიც არ ვიცი, ტელევიზია როდის გადმოსცემს როზას ცხოვრების მორიგ სულსშემადრწუნებელ ამბებს, მაგრამ ადამიანი იმედით ცოცხლობს და მეც ვაიმედებ, აუცილებელად იქნება სინათლე "დიკაია როზას" დაწყებამდე-მეთქი. დიდი მადლობაო, გახარებული მეუბნება. რა ცოტა უნდა ადამიანს! მე კი ღმერთს ვევედრები, არ ჩაირთოს შუქი, არ წამოიშალონ შინაურები. ოჯახშიც არიან "დიკაია როზას" მუშტრები, სად გინდა დამალო ეს დიპლომატი?!.. ამიტომ სასწრაფოდ რაღაც უნდა მოვიფიქრო.

იქნებ საერთოდ არ ღირს ამაღამ შინ დარჩენა? სამსახურში გავათევ ღამეს. "დიპლომატის" შესანახავადაც უფრო საიმედო ადგილი მოიძებნება. სახლში დავრეკავ და ვეტყვი... კი მაგრამ, რა უნდა ვთქვა, სად ვარო! მე შენ გეტყვი და, დაგიჯერებენ, ღამისთევთან ქეიფში ვაპირებ წასვლასო, ან კიდევ იმას იეჭვიანებენ, საყვარელთან შეაგვიანდაო. არა, არ ივარგებს! ქუჩაშიც ვინმე რომ შეგეფეთოს, ნაცნობი ან უცნობი! უცნობი უფრო საშიშია, შეიძლება სერიოზულად დაინტერესდეს, რა მიღევს "დიპლომატში". მერე კიდევ, სამსახურამდე მიღწევა არ

გინდა, ირგვლივ სულ სამთავრობო დაწესებულებებში, ისე  
იცავენ დლიან-ღამიან იქაურობას, პენტაგონი გეგონებდა...  
ეს რა კრიმინალური ფიქრები დამესია ამ ღამით! გულიც კი  
მომივიდა, საკუთარ თავზე. თვითონ ვიგონებ ყველაფერს.  
ვიღაცამ თუ ამდენი პატივი მცა, იმაზეც ხომ იზრუნებდა,  
შევირგო ეს ნაჩუქარი მილიონი! სიბნელეში ყოველთვის  
ბნელი ფიქრები მოდის. ჩემი პროფესიის ბრალიცაა, ალბათ,  
პიესასავით ვხლართავ სიუჟეტს. დეტექტივებია ახლა მოდაში.  
რამდენი პიესა დამიწერია ასე: იწყება ჩანაფიქრით, იდეა-ფი-  
ქსით; ცნობილია, განსაკუთრებულ ვითარებაში ავლენს გმირი  
ნამდვილ ხასიათს; ამ შემთხვევაში გმირი მე ვარ; ვითარდება  
სიუჟეტური ხაზი, გმირის სულიერ ტანჯვას კიდევ უფრო აძ-  
ლიერებს ის, რომ არავინ ჰყავს გვერდით, რომელსაც შეიძლე-  
ბა გაუზიაროს ეჭვიანი ფიქრები; ჰამლეტივითაა, მონოლოგები  
იქნება; ამას წინათ ერთი კრიტიკოსი წერდა, მონოლოგი დაიკ-  
არგა თანამედროვე დრამატურგიაშიო. პირველი მოქმედება დამ-  
თავრდებოდა იმით, რომ მშვიდობით ჩაივლის ის ღამე, მომავა-  
ლი დღეებიც... ყოველგვარი გართულებების გარეშე გმირს  
ჩჩება ის მილიონი.

მაგრამ ამის შესახებ მხოლოდ თვითონ იცის...

... ვთქვათ, ჯერ დაუწერელი პიესის პირველი მოქმედებისა-  
თვის დამთავრდა ყველაფერი, შემდეგ? მთავარი ხომ წინაა, -  
როგორ გამოვიყენო ეს მილიონი? ვინ უნდა იცოდეს, რომ მე  
მილიონის პატრონი ვარ? ანდა, რანაირად გინდა აუხსნა ხალხს  
საიდან გამიჩნდა ასეთი კაპიტალი? ბანკირი ხარ, ფირმის  
პრეზიდენტი, საბაჟოში მუშაობ, ბენზინს ყიდი?... ყველამ იცის,  
რომ მთელი ცხოვრების მანძილზე შემნახველ სალაროში  
კაპიკ-კაპიკ ნაგროვები დანაზოგის ნაცვლად მთავრობამ ერთი  
კილოგრამი ხახვის ფასი ჩავითვალა. აგერ ახლა ერთხელ კიდევ  
გაეთამაშე ბედს, რაც გაგაჩნდა, მთელი ავლადიდება კომპანიას  
“ოქროს თასს” მიაბარე, ფანტასტიური პროცენტიტ... თეატრის  
შენობაში იყო მოთავსებული ის კომპანია და ამიტომ ვენდე,  
გაპარვას როგორ იკადრებენ-მეთქი! ახლა თბილისში გაცურ-  
ებულ შენაბრეთა დემონსტრაციები ტარდება, მაგრამ როგორ  
დამთავრდება ეს მორიგი აფიორა, არავინ იცის, რა თქმა უნდა,  
არც მთავრობამ. ბოროტი ენები იმასაც ამბობენ, თვითონ  
მთავრობაა გასვრილი ამ საქმეშიო. ყოველ შემთხვევაში, მე,  
როგორც ამ კომპანიის აქციონერს, ჯერჯერობით სერთიფიკატ-  
ების შეკვრა დამრჩა სამახსოვროდ, რომელიც ორ კილოგრა-  
მამდე იწონის, და კიდევ, იმედი, რომ კეთილად დამთავრდება  
ყველაფერი. მეტი არაა ჩემი მტერიო, ასე ფიქრობენ სხვები.



ჯანდაბას “ოქროს თასიც”, მისი პრეზიდენტიც, სხვათა შორის, მთავრობაც, თუ იგი გარეულია ამ საქმეში! მე ჩემი მილიონი მაქვს მოსავლელი. ამაღამვე უნდა გავთვალო მომავალი. ყველაფერს უნდა ელოდო ჩემი ხნის კაცი. წერილი რომ დატოვო წარწერით, “ჩემი გარდაცვალების შემდეგ გახსენითო, და შიგ ეწეროს, სად დევს მილიონი? ქალიშვილზე ადრე სხვამ რომ ნახოს ის წერილი?! უეჭველია, რომ ქალიშვილი უნდა “გავიყვანო საქმეში”. ერთი უპირველესი პირობით, სიძემ არაფერი არ უნდა იცოდეს, თორემ მეორე დღესვე “მერსედესის” ყიდვას მოინდომებს, თანაც უკანასკნელი მოდელისა, რომელიც სულ რაღაც 125 ათასი დოლარი ღირს. რითი ვართ ვითომ სხვებზე ნაკლებიო, ამ მოტივით. ვილაცამ რომ იკითხოს, საიდან ესო, რა უნდა უპასუხო! თუმცა ახლა ვინ ინტერესდება ასეთი წვრილმანით, - როგორ იყიდე, საიდან ააშენე, სად იშოვე, სად გქონდა, რა მიეცი?..

წინათ გაიგონებდი, ემიგრანტმა ბიძაშვილმა მემკვიდრეობა დამიტოვა ანდერძით პარიზშიო, ან კიდევ: ომის შემდეგ სანფრანცისკოში დასახლებულმა და უსაშველოდ გამდიდრებულმა ახლო ნათესავმაო, მაგრამ ასეთი ბიძაშვილ-მამიდაშვილები კარგა ხანია აღარ არიან, მით უმეტეს, ჩემს სანათესავოში. ერთი ჩხაიძე ორჯერ ჩამოვიდა ბათუმში პარიზიდან, ერთხელ როგორც “მურენრუჟელებად” გასაღებული შანსონეტების ხელმძღვანელი, ხოლო მეორეჯერ, როგორც ყოველთა ქართველთა კონგრესის მონაწილე. თითქოს მიმალავდნენო, ვერაფრით ვერ მოვახერხე მასთან შეხვედრა. ალბათ ისიც გოცმებული წავიდა, რადგან ჩემი არსებობის შესახებ ჰქონდა ინფორმაცია. ის ვიცი მხოლოდ, რომ ლავრენტი ჰქვია, მამამისს - კვიროსი.

ქალიშვილს მაინც უნდა ვაგრძნობინო, რომ ჩვენი ცხოვრება და კეთილდღეობა რამდენადმე შეიცვლება, რომ იაფფასიანი პროდუქტების საშოვნელად ბაზებსა და საწყობებში წაწალი აღარაა საჭირო, მით უფრო, საზღვარგარეთ - თურქეთსა და ბულგარეთში. თუ ფული გაქვს, “ყველაფერი იშოვება ჩვენს ყოფილ “საკოლმეურნეო” და ახლანდელ “ხოფის ბაზარში”. მაგრამ ასე უეცრად გამდიდრების წყარო ქალიშვილმაც კი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იცოდეს; ჯერჯერობით, ბაზარში განსაკუთრებული ყურადღებაც არ უნდა მიიპყროს. გოჭის და ინდაურის ყიდვა სააღდგომოდ და საახალწლოდ საკმარისია. არაა აუცილებელი ასტრახანული ღოშის, მეგრული სულგუნის და ქერჩის ხიზილალას ერთდროულად ყიდვა, ისიც - დიდი რაოდენობით, თანაც - შევაჭრების გარეშე; ხულოს



დღლის ან ფოთური კამბალას ყიდვისას აღშფოთებაც შეიძლება იმის გამო, რომ ბაზარში ცეცხლი ეკიდება ყველაფერს, რომ ასე ცხოვრება შეუძლებელია, მთავრობაც, შეიძლება, მოიხსენიო. ერთი სიტყვით, როგორც ყველა, ისე - შენც; სხვებისაგან არ უნდა გამოერჩიო. ვინმე რომ არ დაეჭვდეს, საიდან გამიჩნდა ამდენი ფული, არც დატენილი ჩანთებით და პარკებით გამოჩენაა საჭირო მთელი ქუჩის დასანახად. სახელმწიფო მაღაზიაშიც გამოჩნდე ზოგჯერ ორასი გრამი კარაქისთვის, თუ საერთოდ, დაარიგებენ.

ქალიშვილს ცოტათი კი გაუკვირდება საოჯახო ბიუჯეტის ასეთი მოულოდნელი განმტკიცება, ქვეყნის ბიუჯეტისაგან განსხვავებით, მაგრამ, აბა, რომელი შვილი ეკითხება მშობელს, საიდან ყოველივე ესო?! სიძე მით უმეტეს; პატარა ნინიკოს კი ბანანს და “უვაჩკას” ნუ მიაკლებ და სულ არ გაიღებს ხმას.

რაც შეეხება ნაცნობ-მეგობრებს, საღამომობით რომ იკრიბებიან ტელევიზორთან, ჭიქა ჩაიზე, სულ არაა აუცილებელი ცხელ-ცხელი ხაჭაპურების, ზეთისხილების და იმპორტული სალენ-სერვილადების გამოტანა; დღეს ჰოლანდიური მარგარინიც არ დაიწუნება, მით უფრო, გაფიცხებულ პურთან ერთად; მართალია, ახლობლები არიან, მაგრამ მაინც გაუჩნდებათ ეჭვი, საიდან ამდენი, თანაც - ყოველ საღამოსო?!

ამიტომ მზად უნდა იყო, რადგან ყოველთვის შეიძლება გამოჩნდეს ვინმე ცნობისმოყვარე. წინათ, ეგრეთწოდებული, არაშრომითი შემოსავალი რომ დაემალათ, ობლიგაციით მოვიგეო, იტყოდნენ. ახლა შრომითს და არაშრომითს შემოსავალს შორის არავითარი განსხვავება აღარაა, ამიტომ უფრო მყარი არგუმენტია მოსაძებნი. ისევ ჩემი პროფესია უნდა ავიფარო. მაინც ვერ ვარწმუნებ ვერავის, რომ არავითარი შემოსავალი აღარ გამაჩნია, უკვე თითქმის ათი წელია ჩემი პიესა არ დადგმულა თეატრში, ხოლო იმ ორი წიგნიდან, ამ ბოლო დროს რომ გამოვეცი, მთლიანმა შემოსავალმა ორი დოლარი შეადგინა. ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებზე კი ლაპარაკიც არ ღირს, მბეჭდავ-მემანქანესაც არ ჰყოფნის მათი ჰონორარი; არ ჯერათ და ნუ ჯერათ, ახლა მაინც გამოგადგება სათქმელად, ჩემი ოჯახის ცხოვრების დონის ამალღება თუ თვალში საცემი გახდა. მით უფრო, რომ ამასწინათ დამთავრდა კონკურსი საუკეთესო პიესაზე. ჩემმა პიესამ პრემია მიიღო. პრესაშიც გამოცხადდა კონკურსის შედეგები. კიდევ კარგი, პრემიის რაოდენობა რომ არ გამოქვეყნდა. მის მისაღებად თბილისში ჩასვლაც არ ღირდა, აეროპორტიდან კულტურის



სამინისტრომდე არ ეყოფოდა ტაქსს, მაგრამ სათქმელად, უფრო - გასაგონად, მაინც უღერს - პრემია მიიღო: გიზო ყორღანაძემ ჩამომიტანა თბილისიდან... ერთ მილიონამდე კუპონი.

ვთქვათ, ჭამა-სმის საკითხი, ასე თუ ისე, მოგვარდა, მაგრამ, ხომ ამბობენ, მაღა ჭამაში მოდისო. ოჯახი დაჯერდება ამას? ისიც ხომ ცნობილია, რომ ოჯახი ხრამია. მართალია, რის ვაი-ვაგლახით, ძირითადად, მეგობრების მატერიალურ-პრაქტიკული დახმარებით, ლოჯია ამოვაშენეთ, მაგრამ უსახსრობის გამო სხვა გეგმები გადაიღო უვადო ვადით, მომავლის უიმედო იმედით... მერე, შე კაცო, ჩამძახის არც თუ კეთილისმსურველი ხმა, ამაზე მეტი გამდიდრება რაღა გინდა, მილიონის პატრონი ხარ, აიღე და აიშენე ეზოში ის გარაჟი. მართალია, შენი გაუბედურებული "ყიგული" უგარაჟოდაც გაძლებს, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, სიძე ხომ გაიტანს თავისას, გაყიდვინებს "მერსედესს", ახალთახალი მოდელის თუ არა, კარგად ნახმარს. წვიმის, მზის და თოვლის ქვეშ ხომ არ დააღობ და დახრუკავ! მარტო გარაჟს რომ დაჯვრდებოდნენ! უკვე რამდენი წელია ჩვენი სახლის რადიატორები არ გამთბარა, ყველასათვის გასაგები მიზეზების გამო, ზამთრის მოახლოებისთანავე იწყება წავთის, სალიარკის, შეშის, ნახშირის და სხვა თბორესურსების ძებნა, აღმოჩენა, შესყიდვა და დაბინავება. პირველ სართულზე მცხოვრებმა ნოდარ მალაყმაძემ, რომელთან ერთად ლოჯია ამოვაშენე, ასეთი იდეა წამოაყენა: ამდენ ხლავორთს, მოდით, საკუთარი საქვაბე მოვაწყოთ ეზოში, უფრო იაფი დაგვიჯდება და მთელი ზამთარი მოვისვენებთო. ნოდარის იდეა არ გავიდა, ოთხი ოჯახიდან სამი წინააღმდეგი წავედით, რადგან ის "უფრო იაფი" კაი ძვირი ჯდება, თანაც-დოლარებით. ვერც მალაყმაძის მეორე პროექტმა მიიღო კონსენსუსი, ჩვენი სახლისათვის ელექტროენერჯის გამოსამუშავებლად დიზელი დაგვედგა ეზოში. ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთი შემოტევა მეღის ოჯახიდან; რაღაც ელექტრომოწყობილობა ყოფილა, რომელიც ტელევიზორს, მაკივარს და რამდენიმე ელნათურას ჰყოფნის. ამისათვის ორასიოდე დოლარი რომ ამოაცურო "დიპლომატიდან", რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ რა სანახავი იქნება, ოთხოჯახიან სახლში მარტო ჩვენი ბინის ფანჯრები რომ იქნება განათებული! შენობის ფასადის შეღებვა-გალამაზების საკითხი ნოდარ მალაყმაძეს, საერთოდ, აღარ დაუყენებია; არც წყლის ამოსაქაჩავი მოტორის შეცვლა;



## ნიღბის ოსტატი

სადაა ჩემი ნიღბის ოსტატი,  
ქვა-ქანდაკებად  
რომ გამომთალოს,  
რომ  
დამამსგავსოს სახეს მანკიერს,  
გამაცუნცრუკოს,  
გამაქოთანოს.

ნერვს ამოუღოს ფესვი  
მთავარი,  
გულს სადოლაზე კარი შეაბას,  
შუბლზე ამბორი რომ  
ამომკვეთოს,  
მკერდზე მჯილი ან  
მჯილში ხელადა,  
დგომის წერტილი რომ  
შემირჩიოს  
ცხენის წვივით და  
მზერით მიმინოს.

რომ ვთქვა:  
ამ ქვეყნად მეც გამიმართლა,  
ხელში ხმალი რომ დავაწიწინო.

რომ შევაჩვიო მტერი  
მოყვრობას,  
მოყვარე მე ვარ – ვუთხრა  
მტრისანებს,  
ისეთი რამე მოვიზარხოშო,  
კვალში ვიდგე და ვჭიჭვნო  
იარებს...

სადაა ჩემი ნიღბის ოსტატი  
ანდა ნიღბები სამეფო კარის,  
ან სამრეკლოსთან რად არ  
მიშვებენ  
დავაგუგუნო მთავარი ზარი.

ვთქვა:

მე ფიცხელმა ადრეც ვიომე,  
წინაპრის გენმაც იცის გატანა,  
ტანჯვით მოვედი თქვენამდე  
ახლა

და უნდა შეძლოთ ჩემი ატანა.

ამ ცხოვრებასაც ჯანი გავარდეს,  
თუკი მომკლავენ ილიას

ტყვიით,  
არა საკანში ან სასთუმალზე  
არამედ ველზე, ცეცხლი რომ  
ღვივის.

რომ ისტორიას შემოვუნახო  
ჩემი პროფილი მარცხნივ ან  
მარჯვნივ,  
სიცოცხლეში ან სიკვდილის  
მერე,  
რომ ამირანის გავწყვიტო  
ჯაჭვი.

ო, დავიღალე! არ ღირს ამდენი,  
ფერისცვალებად არ ღირს ვაება.  
ვთქვა უნდა აწი, რომ მე არა ვარ  
არც ანგელოზი, და არც  
ღვთაება.

მუჯლუგუნები ვერ წამმართავენ,  
ვერ მომაქცევენ სახიერს ხატად,  
იესოს სახით ფერს ვერ  
დავიღებ,  
ჩემს ფერს ყასაბის იერი  
ატანს.

მეც უნდა მოვკვდე სხვებისვე  
მსგავსად  
და ჩავებარო მიწას ცოვდილი,  
მეორედ მოსვლას მაინც რომ შევხვდე  
განწმენდილი და  
წლებგამოვლილი.

თორემ გავიდა ეს გაზაფხულიც,  
წლები მიდის და არ მაგონდება,  
გამომეწვიოს შენში ტკივილი -  
ერთი კურცხალის ჩამოგორება.

\*\*\*

ამ დილით ზამთრის სუსხმა გამთოშა  
სიცივე თბილად შემოდის გულში.  
ეს მერამდენედ, შენს შემოსვლამდე  
ფანტელი ბრუნავს და ფანჯრებს უვლის.  
ახლა არ არის დრო სეირნობის,  
ვერც გუნდას ვჩუროთავთ სხვის საყელოებს.  
შენ სხვაგან ზიხარ და გულგრილობა  
ცივი ფანტელით ამტვრევს ხეობებს.  
მაგრამ მე გელი ბოლო იმედით  
(ხევიდან უცხო ხმაური მოდის).  
და არ ჰგავს მოცდა თოვლის გუნდებით  
ჩასაფრებული ბიჭების ლოდინს.  
გაქცეულ სუფრას - ყალბ ჩახველებას,  
ყანწებით ახლა ღვინოს არ სვამენ...  
და ნუ გგონია რომ მე უშენოდ  
ამიღებენ და ტახტზე დამსვამენ.

## ქეთიწოს

წუხელ სიზმრებმა გამტანჯეს სრულად  
და შენი მოსვლა შორიდან მახსოვს,  
ჰგავდა ფოთლებზე სულის შებერვას,  
ხალიჩას, დედის თვალებით ნაქსოვს.  
შენ იღლებოდი წამიდან-წამში,  
გულის დგაფუნით მოსდევდი აღმართს.  
რალაც უჭირსო ამბობდი შენთვის,  
და ემდუროდი დროს: ასე წარმართს.  
და როცა ჭიშკრის ზღრუბლზე შემოდექ  
კლავდა ნაღველი ღიმილს ფარულად...  
ჩემს თვალწინ ელვად გადაიარა  
შენი სიცოცხლის თეთრი მარტულა...  
და ვრწმუნდებოდი რომ სიკვდილამდე  
მისვლა არ არის ასე მარტივი,  
რომ ყოველი დღე უნდა დავყაროთ  
სხვის თვალწინ ბოშა ქალის კარტივით.  
და უნდა ვზიდოთ ჩვენი ცოდვები  
ვიღაცის უხამს ცოდვებთან ერთად,  
უნდა გავუძლოთ სუსხიან მარტებს  
და მარტვილობებს მარტოსულ გერთა.  
ეხ! ცხოვრებაო, მდუმარედ რად ჰყავ  
ვისი გულისთქმაც უფლისას ერთვის  
და სიყვარული ესოდენ დიდი  
რატომ გინდოდა მარტოდენ შენთვის...  
წუხელ სიზმრებმა გამტანჯეს სრულად  
და შენი მოსვლა შორიდან, დაო,  
ჰგავდა ჩემს სულზე სულის შებერვას,  
ხალიჩას, დედის თვალებით ნაქსოვს.

სახლი ციხეა, კედლებია სიცოცხლის წყარო,  
 ველურ ცხოვრების ანდამატი შემოაქვს ნიავს,  
 უსასრულოა სურვილების ფლობის უნარი  
 არად გეგულვის წყურვილი გკლავს თუ პური გშია.  
 შორიდან გინმობს ჩაბურული ხევი-ხვეულა  
 და ჩანჩქერების ჩამოგშლია თვალწინ მითები...  
 შენთვის ყოველთვის ერთი დროა, დღეა თუ ღამე,  
 არ იცი ეს გზა, არც არავის არ ეკითხები.  
 შემოიღამებს, ავთვალთავან დაცული თვით ხარ...  
 უნდა იცოდე თუ რა დროა, ხვდები არ იცი,  
 გრჩება სურვილი - ერთადერთი, შუაღამისას  
 რომ ვარსკვლავების - თვალი სტაცო - ვნებიან ციმციმს.

### უ ა ზ რ ო ბ ა

ხელები თითებს ალაგებენ და  
 თითები ხელებს.  
 სხვები უყურებენ კაცის თავგართობას  
 როგორც უაზრობას.  
 ნაოჭი - პატოსანი ხაზი იმედისა,  
 კვეთს ორივე ხელისგულს  
 და იმდენად შორია  
 ორ ხელს შორის მანძილი,  
 რომ ლამის გაიხლიჩოს  
 სხეული ორად.  
 კაცი ერთი ხელით უაზროდ მანიპულირებს,  
 მეორეთი უფალის ნათელში ააქვს გვირგვინი.  
 აზრს ერწყმის აზრი.  
 რაც ქვევით, ის ზევით,  
 რაც ზევით, ის ქვევით...  
 და კონკრეტული საფრთხობელასავით -  
 ჯოხის მკლავებში უაზროდ რომ გაუჩხერია  
 სივრცეში ახალი კონკრეტის იმედით...  
 დგას კაცი თვალის ასახვევად  
 ჯებირთან ახლოს.

## პასუხი ჟრმამ იცის

საფიქრალ-საკითხვნიშნოს რა გამოუღევს კაცს, რომელსაც საკუთარი სხეულიდან სულის განსახლება მოსურვებია და მეც ქალაქის ხმაურიდან გადაღლილმა მახლობელ ფიჭვნარს მივ-აშურე. ჰოდა, მეც თითისტარად მაქცია ფიქრმა და დასართავი მატყლივით დამეხვია.

წყაროსთან, რომელიც უზარმაზარი კლდის გულიდან გად-ოდიოდა, მრევლს მოვკარი თვალი. მეუცნაურა. აქ არასოდეს მენახა ამდენი ხალხი.

ცნობისწადილმა ინსტიქტურად მიმავლო მათთან, მაგრამ ვე-რაფერს იხილავდა კაცი იქ, შეკრული წრის შიგნით.

გავბედე და გავკადნიერდი. წრე ჯიქურ გავარღვიე და... უცნაური სანახაობის პირისპირ აღმოვჩნდი. მერე ნერვიულმა თრთოლვამ ამიტანა, — მაგრამ იმავ წამს: “იყუჩე”, — შთამაგო-ნა უჩინარმა ხმამ. შევეცადე ბოლომდე მიმეგლო ყური ჩოხა-ახალუხსა და “აზიაცკებში” გამოწყობილ, წელში ხანჯალმემ-ორტყმულ ბრგე, ახოვანი მოხუცისა და მუხლისთავებზე გადა-ჭრილ, ძაფებჩამოკონწილელბულ ჯინსებში გამოტკეპნილ ახა-ლგაზრდისადმი, რომელსაც ქალის საღამურივით მხარ-ილლია ამოდგვლეფილ, ნავისებრ ყელიან პერანგზე მაიკლ-ჯეკსონის ხუჭუჭა თავი ეხატა.

ახალგაზრდას ჩვენებური მხოლოდ მიწა ედგა ფეხქვეშ.

მოხუცს არწივის თბილი ბარტყი დაეფრთიანებინა და ახლა, საქართველოსოდენას, თავს ევლებოდა...

— ძია კაცო, მომყიდე ეგ არწივი, გვარიანად გადავიხდი.

მოხუცმა იჭვენულად შეათვალიერა ჟღალწვერიანი და თარ-ჯიმანს ისე გადახედა, ჭკუათმყოფელი კაცი უსიტყვოდ უნდა გა-ცლოდა იქაურობას.

მიუხედავად:

რად გინდა, ბერიკაცო, ეგ არწივი? ისიც ერთადერთი. შენს გარდა ვინ იცის მისი არსებობის აზრი და ფასი. ვალიაში ჩასმ-ულსა ჰგავს. დამითმე. ისე სრულყოფს იგი ჩემს სამყოფელს, როგორც მუზეუმს რელიქვიური ანტიკვარი. ფრინველი კარგია. ესაა, რომ მოვლა არ შეგიძლიათ ქართველებს...

— ჩემს არწივს რაცა აქვს, ყოფნის, სამოწყალო და შესაბ-

რალისი არაფერი ჭირს. სხვის ხელში მისი ფასიც დაეცემა და მშვენიერებაც, ღირსებაცა და ღირებულებაც, თვისებაცა და დანიშნულებაც...

მაინც არ მოეშვა ჟღალწვერიანი. რა არ შეჰპირდა, რით არ სცადა მოხუცის მოხიბლვა.

მოთმინებადაკარგულმა მოხუცმა მიმინოს კლანჭებივით ჩასჭიდა თითები თარჯიმანს და ყურში ჩასძახა:

– რას გადამეკიდეთ, ეგ ვინ მომითრიე, შობელძაღლო, გესმის რას ათხოვნიებ?! არა-მეთქი, შენ მაინც ვერ გაიგე?!

აქ უცხოელმა გამოიღო თავი, მოხუცის ხელთაგან “იხსნა” თარჯიმანი და ჩურჩულით ჰკითხა რალაც.

– რაო, რას გიჩურჩულებს, თუ მაგხელა სიმდიდრის პატრონია, მაკრატელი იყიდოს და მაი ძაფები მოიჭრას ნიფხავზე.

– რად ჯავრობ, ბაბუ, იცი, ეგ კაცი ვინ არის?..

– ვიცი, ვიცი. მაგი იმ კაცსა ჰგავს, რაც უფრო მეტი აქვს, მით უფრო მეტს რომ ითხოვს და ამით ადამიანობას რომ ჰკარგავს... მაინც რა მინდაო?!

– თუ ნებით არ დათმობს, წავართმევო.

– სანამ ამ ხანჯლით არ ჩამომიფხეკავს ი ორი ღერი ბანალი მაგის ნესვივით წავრძელებულ ყბებზე, უთხარი, აქედან დამეკარგოს. ამას მე ვერავინ წამართმევს. მე აქ საჩრდილობლად კი არა ვზივარ, ან არწივის ფრთებქვეშ ჰამაკს რომ ხედავს, შიგ კი არ ვწვები და არ ვინიავქარებ, ჩემს შემცვლელ ყრმასა ვზრდი მასში...

უთარგმნა უცხოელს “ერისშვილმა” ბერიკაცის სიტყვები. ჟღალწვერიანის სახეზე მწარე ღიმილში ალესილი ირონია აისახა. თარჯიმანს თვალი გაუსწორა, ორიოდ სიტყვა მიუგდო და იქაურობას გაეცალა...

ნაჯახშემოკრული მუხის ხეზე ზურგმიყრდნობილი და თვალეზმონუჭული დიდხანს ვიდექი. თვალეზი რომ ავახილე, მხოლოდ ბერიკაცი, არწივი და არწივის ფრთის ქვეშ გაბმული ჰამაკი დავინახე. ბრბო კი დაშლილიყო...

“ვინ იყო არწივის მყიდველი, უცხოელი თუ მისი თარჯიმანი?” – გავიფიქრე. ნეტავი რა იდო ჩემთვის გაუგებარ ენაზე თქმულ იმ ორ სიტყვასა და უცხოელის ჭმუნვით შეყრილ წარბებს შორის ჩამჯღარ ნაოჭქვეშ?..

... უთქვამთ: “რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო”. მაგრამ “მრავალ” კაცად ყოფნას, ერთ ჭეშმარიტ კაცად ყოფნა ჯობია მაინც, – გავივლე გულში და უჩუმრად გადავხედე ბერიკაცს. რატომღაც ვაჟა ფშაველა გამახსენდა: “თუ ხელის მოჭრა მდომიყო, გან ვერ მოვჭრიდი თავადა?..”



წასვლა დავაპირე...

– დაიცა, შვილო! – დამიძახა მოხუცმა და ჩემკენ გამოემართა. თა. მოკრძალებით დავხარე თავი მისი მითიური, დაფიფქული თმა-წვერისა და მხარბეჭის წინაშე...

ვუმზერთ ერთმანეთს და ვღუმვართ.

ბოლოს მხარზე ჩამომადო ტორივით მტევანი:

– შენც იმ ბრბოსავით ყრუ-მუნჯი ხარ? – მკითხა.

მივუხვდი. კვლავ გაუსწორეთ თვალი ერთმანეთს...

– ყრმას დავხედავ, – ვთქვი და ნებაართვას დაველოდე.

წამიძღვა. გაღვიძებოდა ოქროსკულულებიანს. მზერა არწივ-ისტვის მიეპყრო...

მოხუცის სახეს კმაყოფილების ღიმილი ეფინა ტევრად.

– ობოლიაო? – არწივზე ვანიშნე...

– ჰო, იყო ოდესღაც...

– მშობლებს რა მოუვიდათ მისას?

– სიყვარულის მთაზე აფრენილან. ამურს ჰგონებია, სამყოფელს მეცილებიანო და მშვილდისრით განუგმირავს ორივე.

– თვით ამურს?

– თვით... თვით...

– და ემსხვერპლნენ სიყვარულს?!

– სამაგიეროდ, აი იმ სიმაღლის, იმ ჭეშმარიტი სიყვარულის ნაყოფია, რომ გადამირჩენია და, რაც თავი მახსოვს, არ მიმიტოვებია, სიჭაბუკე მის დაფრთიანებას შევალე. ეხლა უამა მიტია, მოვხუცდი... მოვესწრები კი ყრმის გაზრდას?!

უცაბედად მივიღე გადაწყვეტილება:

– ვრჩები... აქ, თქვენთან ვრჩები, მოხუცო!...

– გაგიჭირდება. ჩემსა და ყრმას შორის შეუსაბამო შუამავლად რომ დარჩე? მე ვმთავრდები, ყრმა იწყება, შენ?..

– შეუსაბამო? პირიქით, მე ვიქნები ხიდი, რომელიც სწორედ თქენს შორის არსებულ შეუსაბამო შუალედზე გაიჭრება და იმ სამი სარკმლიდან დაინახავს იგი ყრმა შორეულ გზას – შენი წარსულის, ჩემი აწმყოსა და მისი მომავლის გზას. ვგონებ უჩემოდ უფრო გაგიჭირდეთ. მერწმუნეთ... ამურივით დაუფიქრებლად ნუ გამიმეტებ, რამეთუ ერთია ჩვენი სატკივარი.

– და შენ ამას შეძლებ?!. თუმცა, რაკი ბრბოს არ გაჰყევ, უნდა გერწმუნო...

– მაგრამ აქამდე როგორ გაძელი, მოხუცო მარტომ? ნუთუ არ გაკრთობდა დაბურული ტყის იღუმალი შრიალი ლანდიან უკუნში?!

– ტყე ფარდაა, შვილო. იგი დედამიწის ღია, საჯარო დარბაზს

ტიხრავეს. მას არც კარები გააჩნია, არც-სარკმელი. ერთი დიდი  
გადმოსახედი აქვს - პარნასი, რომელზეც მხოლოდ ღმერთები  
სხედან...

- ეგ ამურის სამყოფელიც ხომ არაა?..
- არა. მსჯავრმოდებულთა მთაა...
- მსჯავრმოდებულთა თუ თვითგანმსჯელთა?!
- რატომ თვითგანმსჯელთა!
- მაშ, რად არ მიაგეს საზღაური ამურს არწივთა გამო?!
- მაგის პასუხი, შვილო, აი, ამ ყრმამ იცის... ჰო, აი ამ  
ყრმამ...





დილოგი უთავსაფრო, ზაოსან დედაკატან

“რად არ გახურავს, დედაკაცო, თავზე მანდილი,  
მხოლოდ შუბლი რომ შეგიკოჭავს შავი ხილბანდით?!”  
მისი მზერადან ზღვა მომასკდა ფაფარაყრილი,  
თითქოსდა ფრთები მომაკვეცეს, ცად რომ ვფრინავდი.

ის ჩემს წინ იდგა ვით ნადირი გაცოფებული,  
გალიის კარი რომ შეულო ვილაც თავხედმა,  
მე შევეყურებდი დამფრთხალი და გაოგნებული  
და მისი მზერა მსჯიდა, მცდიდა, მამათრახებდა.

“... მაცვია ტანზე ღამისფერი სატინის კაბა,  
ჩემს დაღლილ მუხლებს ძლივს მიათრევს

სული ძაღლივით,

ჩემს სამშობლოში უსამშობლოდ დავრჩი და ახლა  
ცრემლში ვიხრჩობი, აღარ ვესმით რადგან ძახილი,

რომელიც დარჩა ექოსავით სივრცის თაღებში,  
კოდორთან, რუხთან და ტამიშის მისადგომებთან,  
რადგანაც ჩვენში გულგრილობით ასე დავეცით,  
ქართული სული – გაყიდული – მწარედ გოდებდა.

ჩემი ღირსება გაყიდულა სტამბოლს გროშებად,  
(ვაი, მანდილი, საჭილიკო და დასაცინი),  
ჩემივე სისხლი რატომ მევე მიაშხობდებდა,  
ყვავის ბახალად რამ აქცია ჩემი არწივი!

მითხარი რამდენს, რამდენ ტკივილს გაუძლოს გულმა,  
მათხოვრულ ყოფას, დაკარგულ შვილთ,

თუ ზიზღით მზერას,

“წავგიბილწაო ეგ ქალაქი ლტოლვილთა ხროვამ”,  
ქართველმა მითხრა, გეფიცები, ღღესაც არ მჯერა!”

ვიდექი რიგში, პურის რიგში – მშიერ თვალებით, მშიერ გულ-მუცლით, უფრო მეტად მშიერი სულრით, ვხედავდი, ვგრძნობდი, როგორ ზიზღით მითვალთვალებდით და თავის მოკვლის დავნებდი სურვილს.

მოუახლოვდა შეციებულ რიგს ქუჩის ძაღლი, სველი თვალებით და ძაღლური კუდის ქიციანით, უცებ ჩამესმა ყველათი და ყველაფრით დაღლილს: “– ლტოლვილი კიდე მოგვემატა!” – როხროხ სიცილით.

რამდენი წვეთი სისხლი დამრჩა ნეტავ ძარღვებში? სულს არაქათი გამოსცლია ამდენ წამებით, დე, აღარ ვიყო, არ ვუმზირო ცათა ლაყვარლებს, ამ ჩემს ღირსებას თუ აღვიდგენ გარდაცვალებით.

შეგინებული, უთავსაფრო დედაკაცი ვარ, არა აქვს აზრი, როგორ მიმზერთ, ან რას იტყვიან, არ დავიხურავ მანამ მანდილს ჭაღარა თავზე, სანამ ჩემს მტარვალს შიგ გულში არ დავახლი ტყვიას!

ნუთუ მე ვშობე, მე გავზარდე, ო, ღმერთო ჩემო! ამდენი დონდლო, უნიათო და ჭრელი გველი, მაგრამ ჩემს თვალწინ ღირსეული შვილებიც დგება, და ჩემი გენი ფენიქსივით აღდგომას ელის.

დავტოვეთ მერე ის ქალაქი, აქ ჩამოვედით, სდაც ყოველი მშობლიურად გველამუნება, დამშვიდდა სული, თითქოს ცოტა გონზეც მოვედით, ბათუმის ტალღაც სოხუმურად გვეჩურჩულება.

მაგრამ მეძახის მაინც ჩემი მიწის სურნელი, ქართველთა სისხლი, შეწირული ზვარაკად ზეცას, ჩემს გულს ატყვია ღრმა ჭრილობა განუკურნელი, ქართველებს უნდა შურისგების აბჯარი გვეცვას.

მაგრამ როდემდე – მიპასუხე – ითმინოს გულმა, როს მოთმინების ყველა სიმი დაწყვეტილია, ოღონდ ვიხილო, საქართველო, კვლავ ერთიანი და ვფიცავ, რომ თვით სიკვდილისაც არ მეშინია”.

სახეს მისველებს განუწყვეტლივ წვიმის წვეთები,  
თუ ცრემლს მიბრწყინებს აღმომნათი სხივი დილისა,  
თავად ვიხილე დაჭრილ ქართლის დედის ცრემლები,  
რომლებიც თქვენთვის ნაწილია ალბათ წვიმისა.

ვიდექით დიდხანს, მე მტანჯავდა ფიქრი ვერაგი,  
მთელი სამყარო მის სევდიან თვალეში იწვა,  
მერე შემხედა, შევებრალე ტკივილისთვის და  
ცრემლებნარევი ღიმილით მითხრა:

“- მე მახსენდება მათხოვარა ინგილო ქალი,  
მეფე ერეკლეს ჯიქურად რომ მოსთხოვა თეთრი  
მან განიკითხა, მერმე ჰკითხა: - ნუთუ დედილო,  
შვილები არ გყავს და გაგიწყრა მალალი ღმერთი...

დედაკაცს მწარე ღიმი დასცდა ბაგის კუთხიდან:  
- ექვსი მყავს შვილო, ვაჟკაცები, ერთი განაო!  
მე ვიცი ახლა რასაც მკითხავ და მანამ გეტყვი:  
ნეტავი ერთი მყოლოდა და შენისთანაო...

ის ერთი თქვენ გყავთ, ჭირთა ჩვენთა ჭირისუფალი,  
ომს და სისხლისღვრას, ხოცვა-ჟლეტას გადაგარჩინათ,  
მაშ, გაუფრთხილდით, მოეფერეთ გოლუაფირო,  
ფრთები გაშალოს ასაფრენმა, უნდა, არწივმა.

მხოლოდ მას ვუმზერ, ახლა მისი იმედით ვცოცხლობ,  
მას ვლოცავ ნანა, დღე და ღამე, კუთხეც აჭარის...  
როცა მას ვუსმენ, კვლავ მიჩნდება სხივი იმედის,  
რომელიც დიდის, ერთიანის ფიქრებს დაჰხარის..."

წამოველ მერე, თან გამომყვა დარდი ორპირი,  
- რატომ და რისთვის, აწი მაინც როგორ, უფალო...  
ყური მიფუგდე, ჩამძახოდა ხმა - იღუმალი -  
რაც აგრე გტკივა, თქვი, არავის არ დაუმალო!

როცა დავდივარ გულნამცეცა იმ ქართველთ შორის,  
რომელთაც მხოლოდ საკუთარი მუცლისა შიათ,  
რომელთაც მხოლოდ საკუთარი ტკივილის ესმის,  
ღმერთო, გცოდე და... მათაც შესჭამთ სამარის ჭია.

ლომის ნადგომზე, ყველამ იცის, დარჩება ძვლები,  
კაცის ნადგომზე სახელი და მოდგმის ღირსება,  
შენა ხარ შენი შთამომავალის ცოცხალი ძეგლი -  
სანამ ხარ, მერე მოგონებაც გაუჭირდებათ.

თუ არ იცხოვრე ისე, როგორც ქართველს შეჰფერის,  
ცალ ხელში ხმალს რომ იმარჯვებდა, მეორით - ხნავდა,  
თესავდა, მკიდა, თლიდა, რთავდა, აკვანს არწევდა  
და ამიტომაც თავის თავს და სინათლეს ჰგავდა,

ანთებულ ლამპარს, ჩაუქრობელს, ერის ღვთიურ სულს,  
ბუღბუღლთ გალობას, არწივების ყივილს და რიალს,  
წელში გასწორდი, აიხედე მალლა ღმერთისკენ,  
არ დაგავიწყდეს, ქართველი გქვია.



## მარიამ კახუაშვილი

### მავანი

თბილი დილა გათენდა – ოლონდ თავისებური. ეფერებოდა თითქოს მზე დედამიწას. ნირი შეცვლოდა ნიავსაც, იკბინებოდა უსიამოვნოდ. რუსთაველის გამზირზე შელუწილი შენობების მნახველი ჩიორები გვარიანად შემკრთალიყვნენ და საცოდავად აბუზულიყვნენ.

ცხოვრება კი გრძელდებოდა მაინც: ჩიხს, შესახვევს, ქუჩას და გამზირსაც საქმე გასჩენოდა ყველას, გადაუღებელი საქმე-იღებდნენ და უკანვე ისტუმრებდნენ ათასი ფიქრითა და საზრუნავით დამძიმებულებს. მგზავრების ფეხის ხმაში ამოიკითხავდა გზა მათ ხასიათს და გუნება-განწყობილებას. იცოდა გზამ მასზე მოსიარულეთა ფიქრების ამოცნობა... ეხერხებოდა ძალიანაც.

მავანიც გამოჩნდა, ოლონდ სხვა იყო იგი დღეს, სხვა ვინმედ ქცეულიყო. ადრე ის ქუჩას შვენიოდა, ეშხს მატებდა, ახლა კი აღარ მიიღო, როცა ცხოვრება მორევს ჰგავდა, უმოძრაო მორევს, მაშინ კმაყოფილი იყო მავანიც თბილი, კარგად მოწყობილი სახლითა და წყნარი სამსახურით. დავიწყებასაც მისცემოდა მაშინ ბევრი რამ.

მავანიც იმ დროის შვილი იყო. კვირაში, ხან ორ კვირაში ერთხელ იმასთანაც იმართებოდა თავყრილობა. ჭადრაკის, ნარდის, დომინოს თამაშით რომ იჯერებდნენ გულს, გაშლილ სუფრას მიუსხდებოდნენ. შემოივლიდა სუფრას რამდენიმე აუცილებელი სადღეგრძელო და აიშლებოდა სურვილიც.

შემაწუხაო, – დაიწყო ერთხელ, – ბავშვების ჟივილ-ხივილმა და უფრო კი იმათი დედის წუწუნმა...

გამიჩერდება წინ და იწყებს წუხილს – შაბათ-კვირას მაინც დაატყვე ხელი შვილებს. ესენი მე ხომ არ მომყოლია მზითვადო? უჩვენე რამე, ამეცადინე. რომ აჭმევ და აცმევ, ეგ არ კმარაო! ადამიანები უნდა გავზარდოთ, შემეშველეო. კია მართალი, ოლონდ ავიწყდება, რომ მეც დაღლილი ვარ, ათასი საფიქრალი და გულის გასახეთქია ირგვლივ. თანაც არ ვიცი გრამატიკა, ფიზიკა და ქიმიაც არ მასწავლეს წესიერად. ამიტომაც ვიბოვი ხოლმე დროს და თქვენთანაც მოვალ ხანდახან და ვისვენებ,

ნამდვილად ვისვენებ, მადლიერიც ვარ. სხვა უფრო დამაფიქრებელსაც იტყოდა სხვანაირად.

თავად გამანდო, მეო საზიარო სიყვარული არა და არ მინდა, თუ რამ ასეთი შეგემთხვა, არ ვიცი, რას ვიზამ მაშინო:

ნელა იესებოდა ოჯახი. გაჩნდა გოგიტა ბიჭი და სიხარული ავიდა ჭერში. მაგრამ ხომ დაწერა იმ სულმნათმა: “ეს სოფელი გაახარებს ვისმეს განაო?!”

ბავშვი ავადმყოფობდა, ლამის გადაყვა დედა. მეც ვეხმარებოდი, ზოგჯერ ვრჩებოდი კიდეც იმათთან. მავანი ყურადღებას არ მაკლებდა, მაგრამ ჩვენს შორის სიცივე ჩამდგარიყო როგორღაც და მაშინ ამეკვიატა უცნაური ფიქრი, თავსაც რომ ვერ გავუმხელიდი, ისეთი.

ერთხელაც ძალიან გვიან მივედი მათთან. ჩვენ მარტონი აღმოვჩნდით და... დადნა ის სიცივე, ამდენხანს რომ იყო ჩვენს შორის: გოგიტა არ გამეკარა მერე. აღვარღვარებდა ცრემლებს დედის კალთას ჩაბლაუჭებული. გვიანი ღამე იყო. მოინდომა მავანმა გაგვცლოდა ყველას. გადაველობე, შევევედრე, მაინც არ გაჭრა მულარამ, როგორ მინდოდა ეყვირა ჩემთვის, თუნდაც დაერტყა რამე. არა და არა! მაინც წავიდა, შეუძმჩნევლად, უხმაუროდ წავიდა...

დავრჩი მე მარტო.

როგორ არ ვუტრიალე, მაგრამ ამაოდ. მეგობარიც მიუჭინე და პასუხიც მივიღე მალე.

ოჯახს ეკლიანი ღობე აქვს შემოვლებული, ვინც არ გაუფრთხილდება, ჩაწინლავს იმას ცხოვრება, თანაც ბევრჯერ... მისი პატიება არ შეიძლებაო”.

დედა გარდაეცვალა და მაინც არ გამიკარა. ცოლიც ავადმყოფობდა მისი და ისიც მიიბარა უფალმა.

აი, სწორედ მაშინ გადავიდნენ მასთან ჩემები. მზრუნველი ხელი დაეტყო მავანს. ოჯახი ხალისით აივსო და მეორედ დაიბადა ის კაცი. დაიბადა სამი ბავშვიც. ვის რა ეხერხებოდა, ვის - რა. ერთმა ლექსის წერაც კი სცადა. როცა სიწყნარე იყო თბილისში, პიონერთა სასახლეშიც დაჰყავდათ ბავშვები. თავი ისახელეს, გაზეთშიც გაწერეს. “ერთი ოჯახიდან ამდენი სახელოვანი მამულიშვილი იზრდებოა. ამ კაცმა, ცოლის ერთგულმა, ცოლს ერთი რამ მაინც არ დაუჯერა - “გოგიტას შენი სახელი და გვარი მიეციო!” როცა გოგიტა პასპორტს აიღებს, ეცოდინება, როგორ უნდა მოიქცესო - სისხლმა ყვირილი იცისო. - უპასუხებდა მავანი.

ერთხანს იყუჩა, მერე დამშვიდებულმა დაამატა: - ცარიელი

ვარ, გულით, სულითაც. ვმუშაობ, მათასებენ კიდევ, მაგრამ და კიდევ მაგრამ, თქვენ კი იცოდით ჩემი ამბავი, დაახლოებით იცოდით, მე მოვყევი, მაინც მოვყევი. ზოგს ოჯახი გყავთ, ბევრიც მარტოხელაა და შეჩვეულია თავის მარტოობას. მოეკიდეთ ოჯახს და გაუფრთხილდით ღობეს! და კიდევ, გამოცვლილი ხმით დაამატა: ჩემდა თავად მჯერა, არც მეშლება — მაინც მაქვს ქონება. დიახაც, ქონება მაქვს, გოგიტა დაღის ამ ქვეყანაზე. ასე მგონია, მიპოვის! ხომ იცის, უეჭველად იცის, რომ მას და მხოლოდ მას ველი...

...მოეწყინა. იწვის სიცხისგან, დნება ლოგინში. მაინც მაგრდება. გოგოები სულში იძვრენენ, ბიჭი ფერხით უწვება. ისიც მხურვალე ხელებით ეალერსება ბავშვებს.

ფერი არ ადევს მამათქვენს სახეზე, — ვეუბნები გოგონებს, — ხედავთ, რანაირად გახდა! მაგრამ მაინც იცინის და გამხიარულებთ, უთხარით მამათქვენს, წავიდეს, ხომ ჰყავს ძმაკაცები. ხვალ შაბათსა და კვირასაც ეყოფა ჩვენი ცქერა და თავის საქმესაც მოასწრებს. რომ იცოდეთ, რა საყვარელია და აუცილებელია ოჯახი თავის გაჭირვებითაც კი. თავყრილობა ნაშუაღამებამდე მაინც გასტანს და დაიშლებიან მერე. მერე და მერე რომელიმე მაინც გამოცხადდება მავანთან, ის კი ცივია და მიუკარებელი, ახლა სულ გაიყინა. არად აგდებს ქალს, რომელსაც უყვარს იგი და თავყანსა სცემს.

თუ მავანი არად აგდებდა ამ ხალხის გამოჩენას, მათი წასვლა ხომ სულაც არ შეაწუხებდა?!

მავანის ცხოვრებაში კი იყო ერთი, შემთხვევა-გაელვება, რომელიც სამუდამოდ ჩამებეჭდა მესხიერებაში. თვითონაც ვერ ამოიგდო გულიდან ის განცდა და ნაცარში გახვეული ნალვერდალივით შემოინახა. ეს ყველაფერი უცებ მოხდა: სამსახურში დაწინაურებული ავად გახდა. მაღალ სიცხეს დაებინდა მისთვის გონება, მოჩვენებებიც არ აძლევდნენ მოსვენებას! ექიმები იმედოვნებდნენ, რომ გაუვლიდა ავადმყოფობა, ჯანსაღი სხეული მოერეოდა სენს, მაგრამ არ გამართლდა იმათი ვარაუდი. ვერც თავმდგმური გამოინახა მისთვის. ბოლოს ხევსური მზექალა გამოჩნდა, ექთანი რომ უნდა გამხდარიყო მალე. იმას მეორეც მოჰყვა, დამხმარე და მარტოყოფნაც აღარ მოუწევდა ავადმყოფთან მზექალას. მავანმა კი მოიკეთა. ოღონდაც იშვიათად მაინც დაებინდებოდა ხოლმე გონება.

ერთხელ, შეღამებისხანს კოკისპირულად გაწვიმდა. ავადმყოფს ნათლად ესმოდა წვიმის წვეთების სახურავზე დაცემის ხმა და გული უწუხდა. მალე ბორგვა დაიწყო. დამხმარე გოგონამ

ვერ მოახერხა მოსვლა იმ დღეს, ავდარმა შეუშალა ხელი, ავადმყოფს მზექალაც მიხედავდა, მაგრამ ახალგაზრდა კაცთან მარტო დარჩენა ეუხერხულებოდა, განსაკუთრებით ღამით და ამიტომ იყო, ასე სულშეწუხებული რომ ელოდა მისი დამხმარის გამოჩენას.

წვიმა კი სულაც არ აპირებდა გადაღებას, პირიქით, იმატა და ძალა მოიცა, მზექალაც შეწუხდა უფრო.

ავადმყოფმა მოსვენება დაკარგა – და გატყდა ღამე. ჯერ ემალებოდა თითქოს ვიღაცას მავანი, სუნთქვაც შეწყვიტა, მერე კი გაიწია, წამოვარდა ლოგინიდან, ვიღაცის შეპყრობა ინდომა! საჭირო იყო მისი შეჩერება, მოთოკვა, დამშვიდება. ჩაჯდა მაშინ ლოგინში მზექალა და დაუყვავა მავანს. ერთ ხანს გაილურსა ავადმყოფი, მერე შეიცვალა უცებ, თვალები აუელვარდა, გაიწია და ჩაბღუჯა ქალი. იმანაც ვერაფრით გაითავისუფლა თავი და ერთხელ წაწლობისას რომ დაემართა, ის დღე დაუდგა თვალწინ: სოფელს ერთი ახალგაზრდა მეცნიერი ეწვია – მოხდენილი ვაჟკაცი, ხევსურეთში არსებული ტრადიციების შესასწავლად. პირველად სკოლაში მიიყვანეს საპატიო სტუმარი. გაესაუბრა მოსწავლეებს, მზექალაც ერია იმათში. მოხიბლა სტუმარმა სოფლის უხუცესი ადამიანები – თავად შეახსენებდნენ ხოლმე მივიწყებულ წესებს და აი წაწლობაც ახსენეს. სტუმრისათვის პატივი რომ ეცათ, შეუჩნდნენ მზექალას: – შვილო, და შვილზეც უფრო მოსარიდო. იყავ წაწალი, ხომ არავის არა დაჰკლებია რა წაწლობითა და შენაც ასე იქნები. ეს კარგი ჯეელი უფრო გულიანად დაწერს ჩვენს კუთხეზე. ჩვენს სოფელზედაო.

მზექალაც დათანხმდა ბოლოს და დაუვიწყარიც გახდა მისთვის ის წაწლობის ღამე. მეცნიერი თავისთავად ცდილობდა წაწლობის წესის დაცვას, თავს კი მოერიო როგორღაც, მაგრამ ეს ხვევნა-კოცნა, ალერსი ძვირად კი დაუჯდა. ძვლივსძლივობით აიტანა წელი და მასპინძლებს დაუბარა, ყველაფერი მაქვს დაწერილი და გაქრა... მზექალამაც აიტანა გატანჯული სხეული და თავი ქოხს შეაფარა, ოღონდაც შეჰფიცა: არ გაეკარებოდა იმ დღიდან კაცს...

ციოდა დილას. წვიმდა ისევ. ცაში მიმოქროდა წმინდა ელიის ეტლი, გაელვია ავადმყოფს, თვალებზე ბინდი გადასცლოდა. განცდილი კინოში ნანახს, წიგნში წანაკითხსა თუ სიზმარეულ ხილვას აგონებდა, მაგრამ დაინახა კედელს მიკრული ქალი, ტკბილად რომ ეძინა და მიხვდა ყველაფერს, შეცბა...

იჭეჭა. იელვა და ორად გაიყო მოქუფრული ზეცა. დაირღვა



სიმყუდროვე და გამოედვიდა ქალს, თვალი ჰკიდა აშლილ ლოგინს, და შეძრწუნდა. ატირდა გულამოსკენით, მერე რაღაც ნაირ ყმუილში გადაიზარდა მისი ტირილი, პირუტყვს რომ ჩვევია. წამოიწია, ჩამოიხოკა პირი-სახე, მაგრამ მოეშვა უცებ. მოიწესრიგა თავი და გავიდა, გაუჩინარდა. გაქრა როგორც მოჩვენება.

გამოხდა ხანი. გვიან ღამით გამოეცხადა მზექალა მავანს, ოღონდაც ძნელად იცნობდით. უწინ გამხდარი, კაფანდარა, შავგრემანი გაფუებულიყო როგორღაც, მაღალი მკერდი მძიმედ აუღ-ჩაუდიოდა; გვიან, გვიან ამოთქვა: მოვედი, მაღლობა გითხრა. ობოლი ვიყავი, ცხრა თვისა შევესრულდი და მამა დავკარგე, ღეღამ სამი წლისა რომ შევიქენი, დამტოვა ამ ტიალ წუთისოფელში ერთი, ერთადერთი. ობლის ბედზე ასე დამღერიან ჩვენში. გულის მოსაკლავია ეს ხმაც და სიტყვებიც: "სიკვდილმა ჩამოიარა, ობოლი დახვდა წინაო, სიკვდილო, მე წამიყვანე, ობლობა მამეწყინაო"...

სიკვდილსაც დავავიწყდი. ღღეს კი... - მუცელზე მორცხვად დაიხედა, - ორნი ვართ უკვე! შენი ჩარევითა და შეწევნით. მე არ ვიცი, ვინ იქნება ის. ეს კია, ადამიანად კი გავზრდი. წავალ ხევსურეთში, გამოვადგები სოფელს. მათი ვალიც მაქვს: როგორც შეეძლოთ, ისე შემიძსუბუქეს ობლობა, - თქვა და წავიდა.

საქართველოში დატრიალებულმა ამბებმა, თბილისის ტრაგედიამ და განსაკუთრებით რუსთაველის გამზირის აგრ-ერივად შეურაცხყოფამ ერთიანად შეცვალა მავანი და, ადრე თავდაჯერებული, ფიქრებში ჩაინთქა. შემორჩა მავანს მწარე მოგონება. საოცრად ჩამოჰგავდა თბილისის ყოფა მავანის განწყობას.

ვაი და კიდევ ვაი ამ მიწას და ამ მიწისშვილებს! აღრენილი მამულიშვილნი ერთმანეთს დარეოდნენ და ერიც კვნესოდა:

იღვრებოდა სისხლი აქაც და იქაც... სადღა იყო ის უდარ-დელი მავანი?! თითქოსდა გამოცარიელებულიყო და დაცლილი ასე ესოდენ, თავჩაქინდრული მიდიოდა ფერშეცვლილ გამზირზე.

არაფერი, არაფერიც არ ხდება ცისქვეშეთში უგანგებოდ! მან და მხოლოდ მან, თვალითუხილავემა, ოღონდ ყოვლისშემძ-ლემ იცის, კარგადაც იცის, როდის და რაა საჭირო აფორიაქებ-ული სულის დასაშოშმინებლად. მაშ, რატომ ახეტიალა მავანი მთელი ღამე თბილისის ქუჩებში? დაღლილი ბარე სამგან ჩამ-ოჯდა თითქოსდა შვების მოსაგვარებლად და მაშინ გადააწყდა

ვანიკოს. ერთმანეთი აგერ ოცი წელი არ ენახათ და სასურველი იყო ეს შეხვედრა.

- ვანიკო! - წამოიყვირა მავანმა, - ჩემო ვანიკო, ნეტა ვის ვუთხრა მადლობა, რომ შენთან შემახვედრა?!

კარგა გვარიანად შემთვრალმა ვანიკომ დაკვირვებით შეათვალიერა მის წინ მდგომი ახოვანი და ასე საყვარელი ბავშვობის მეგობარი.

ბოლოს ხმა ამოიღო ვანიკომ და სიყვარულით მიმართა:

- ჩემო გენერალო, უწინ ხბორებ-ციკნებისა და მათი ჩამოგლეჯილი მწყემსების გენერალო. ჭაობში ყვაჭიჭების მიერ გამართული კონცერტების გენერალო, კი ვავლებდით მუსრს იმათ შენი წყალობით, გენერალო...

იღვა მავანი, თავისი დიდი ხელებით ტორავდა ჩია ვანიკელს ბეჭებს და იგონებდა ძველ დროს, თითქოს ესმოდა იმდროინდელი სიმღერები. ლექსებსაც ამბობდნენ...

- შენაო, - თქვა ვანიკომ, - ახლაც გენერალს ჩამოჰგავხარ. მე კი ისეთივე ვარ, რაც ვიყავ, "ათფრინე ალალიო, ხომ გაგიგონია, რაც არ არის, არ არიო..." ისეთი მართლა ვერა ვარ, როგორიც მინდოდა ვყოფილიყავი, მაგრამ კაცი კი ნამდვილად მქვია, სახლიც მაქვს, ჩემებით საესეა სახლი, მაგრამ...

შეევედრა მავანი, წამო, ვანიკელა, წავიდეთ რესტორანში, მივსხლეთ ერთგან კუთხეში, გამაძლე შენი ცქერით, გავისენოთ ჩვენი სიმღერა შენივე ლექსებითა და მოძახილით. გახსოვს, ვანიკელა, როგორ იყო - "თავმჯდომარემ თათლი ჭამა, ბულა-ლტერმა ხარაჭიო, ხელებში მისჩერებია ილარია დარაჯიო". ამ ლექსისა და სიმღერისათვის რა გიყო ბულა-ლტერმა, ხომ გახსოვს? ყურები კინალამ არ აგახია?! მამაშენმა?! არც ილარია დარაჯს აცდენია თავმჯდომარის რისხვა. იმღერე, ვანიკელა, იმღერე, ე მაგ შენი მოძახილი გამაგონე და... ხომ ისევ ისეთი ხარო? - კიდევ ჩაეკითხა მავანი.

ვანიკო გაიჯგინა, უფრო დრად გახდომა მოინდომა, მოიწადინა კიდევ და ხმაც განგებ დაიბოხა:

- ვითომ რა გვინდა რესტორანში? როგორ!? არ გვაქვს თუ ჩვენი სახლი?! გენერალო, ყველანაირ რესტორანს სახლი სჯობია, წამოდი ჩემთან, ნახე ჩემები, მათ შენზე ბევრი რამ იციან! გნახავენ და ძალიანაც გაიხარებენ.

კარი აწოწილმა ვაჟმა გაუღო. ქალწულიც გამოეგება ვანიკოსა და მავანს.

მოასწრო დამ გადალაპარაკება ძმასთან. ხედავ, გახარებულ-ია მამა ამ შეხვედრითო. ორიც კიდევ გამოჩნდა - ერთი სიმაღლისანი, ხასიათითაც მსგავსნი.

სუფრა სახელდახელოდ გაიშალა. იყო ერთი სჯა-ბაასი, სწორედ რომ ჩვენი პარლამენტის დარი, გადაძახილი, საუბარი და ტკბილი ქართული სიმღერა. გოგო პიანინოზე უკრავდა და მღეროდა კიდეც, ვაჟი ვიოლინოს აკვნესებდა, ვანიკოს ბანი და მისი მეორენახევრის პირველი ხმა, დიხააც, რომ მატებდა ლაზათს ისედაც ეშხში შესულ სუფრას.

გვიან: ბნელ ქუჩას მიუყვებოდნენ ვანიკო და მავანი. ირგვლივ სიჩუმე გამეფებულიყო. ბოლოს მაინც ვერ მოითმინა ვანიკელამ, შემოურბინა ირგვლივ თავის გენერალს და წინ დაუდგა. აიძაგრა, იქნებ ცოტათი მაღალი მაინც გამოვჩნდეთ და ხმამაღლა შემოსძახა: - რა ვუყოთ რომ გვიანაა! არც ისაა დანაშაული, რომ ძინავთ ადამიანებს, მორჩა, მოვდივარ შენთან და შენებსაც მოვინახულებო, ვიცი მიცნობენ შენი წყალობით, ნახვა საჭიროა, თორემ დავეკარგებით ერთმანეთს, ისედაც ცოტანი ვართ, თანაც როგორა გვჭეჭყავენ!..

მავანი შეიშმუნა, ხელი გადახვია ვანიკოს და ერთი კარგად შეანჯღრია:

- ვანიკელა, ჩემო ვანიკო, ახლა მარტო ყოფნა მინდა, დამტოვე გეხვეწები და აღარ მიწყინო...

ვანიკო არც დალოდებია პასუხს, ისე წავიდა მძიმე ნაბიჯებით.

შემოღამებულიყო და უფრო ციოდა, ვიდრე დღისით. სუსხიანი ღამე იდგა. დილისკენ უფრო აცივდა. ქროდა ცივი, ჯაღოქარი, ვერ მოეთოკა იგი ცხოვრებას, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა, ალიაქოთი შეჰქონდა ყველგან, დაფანტულ ღრუბლებს ხან აქეთ მიერეკებოდა და ხან - იქით. საწინააღმდეგო მხარეს გაიტაცებდა, უჭირდა მავანს. უჭირდათ აქეთ-იქით მიმავალ მგზავრებსაც და მათი შემხედვარე გზაც ამიტომ იყო, საკუთარ თავს ჩაფიქრებული რომ ეუბნებოდა: - მე არ უნდა დავისვენო, მით უფრო არ უნდა მოვისვენო! ვანიკელა და ვანიკელები სხვანი არიან. იმათ ნებივრობის უფლებაც აქვთ. მაინც რომ არ ჩერდებიან! იყავი ერთი, დარჩი ერთი, თანაც როგორი ერთი - ცარიელი დაჩუტული, უსარგებლო, როგორც თავისთვის, ისე ქვეყნისთვის!

ხმა მოულოდნელად დაირხა და გზამაც კვალში კიდეც ჩაიყენა ის მგზავრი, გამეტებულად რომ გაჰყვიროდა და სიჩუმეშიც შეუტია იმ ხმას, გაბედულად რომ ამოსთქვა - ბიჭებო, ტალიკ-ტალიკა, პირტიტველა, ჯერ წესიერად წვერ-ულვაშიც რომ არ ამოგვლიათ, მოგიკვდეთ ჩემი თავი. არც მოგიპარავთ. თავი დიდად გინდათ მოგვაჩვენოთ და გაიზარდეთ კიდეც. ისე ღონი-

რებიც კი ყოფილხართ, ტელევიზიიდან ხელი დაგვიქნით, მუშტი გვიჩვენეთ, ერთმა თვალის ჩაგვიკრა, ნუ გეშინიათო, დაგვაიმედა... გვეშინია, გვედარდებით, სისხლს რაისთვის ღვრით? და, აი ავდექი, ოთხი წელი დაკუთებული ამ ღამით ავდექი, ჩუმად, უხმაუროდ გადმოვხიხი. აღარ ვიცი, ეზოში როგორ გაეჩნდი, მოვდივარ ჩოქვით, ხოხვით, მთავარია, მოვდივარ! ძალა მომეცით და ტყვიას თექენთვის გამიზნულს მე შევეგებები...

ხმა თანადათან შეიცვალა და ახლა ხავილილა ისმოდა. მერე ისიც მიწყდა, ჭაღარა დედას როგორღაც უთანაგრძნეს.

ციდან ნამი წამოვარდა, მთვარემაც გამოანათა. ქუჩა გაცოცხლდა: მორბოდნენ აქეთკენ, კანტი-კუნტად, მაგრამ მაინც მორბოდნენ! თავდახრილნი, ჩაჩოქილნი ჩასცქეროდნენ ქალს, ზოგი დედად, ზოგიც დიდ დიდებად, დიდამადაც მიიჩნევდნენ, აღარ იცოდნენ, საიდან დაეწყათ, როგორ მეხმარებოდნენ და უცებ მისწი-მოსწია მავანმა დაყუდებულნი, შემოჯარულნი, ირგვლივ ჩაუჩოქა, მერე ჩაჯდა და ქალის აქვითინდა, მოთქვამდა მწარედ, ვაიმე, დედა, დედაო! ჩემი და შენი შვილები ვერ მოსცილდებიან ერთმანეთს, იქ არიან, სადაცა უნდა დაეცენ...

საიდანღაც საკაცე გამოჩნდა და ვერავინ დაასწრო მავანს, თვითონ დაასვენა ქალი საკაცეზე. გათენდა, მავანმა ბარე სამჯერ შემოუარა შელანძლულ შენობას...

დილა კი სხვანაირი, ხალისიანი გათენდა. გზა კი იღებდა და იღებდა გამხიარულებულ მგზავრებს, ასე რომ გაიძახოდნენ: ზეიმა, ზეიმი! წვევამდეღა მიღება ზეიმით!

არა, მავანი საზეიმო განწყობილებასე სულაც არ ყოფილა, მაგრამ მაინც მოჰყვა ხალხს, ალბათ, გუმანით გრძნობდა, რომ განსაკუთრებული შეხვედრა მოელოდა.

ქვეყნად, ისე უბრალოდ, არაფერი არ ხდება და ეს შეხვედრაც განგების ნებით უნდა მომხდარიყო. განგების წყალობა თუ იყო ეს შეხვედრა!!!

მოედანზე ზღვა ხალხი ირეოდა. მათ წინ წვევამდელები ჩამწკრივებულან, თითქოს ერთი მეორის მსგავსნი, მაგრამ მაინც სხვანაირნი, თავისებურნი აგერ შავგრემანს უღვაშების აპრესაც მოესწრო, იდგა დაფიქრებელი და ამაყი. გვერდით ქერა, მოხდენილი ყმაწვილკაცი ამოდგომოდა, ცისფერთვალემა, მაგრამ დარდიანი... იქით, ამ ორისაგან განსხვავებული, სულ სხვანაირი, ღიმილადქცეული ყმაწვილი გაჭიმულიყო. თავისი გამომცდელი მზერა ერთზე შეუჩერდა მავანს. იგი ცალკე, განმარტობით იდგა. მოეწონა და გულიც შეუვარდა ჭაბუკზე, ცა-

ლი წარბი მაღლა რომ აეზიდა, უთრთოდა და უკანკალებდა. მავანი გაახარა ამან, სხვასაც ჰქონია ასეთი ჩვევაო. უცებ გააუჩინა ხსენდა ბაბუა - ახლაც ჩაესმა მისი ბუბუნა ხმა.

- ბაბუ, ბიჭო, რა გჭირს? როგორც კი რამე გეწყინება, გაბრაზდები, ცალი თვალით ელაში ხდები, ხოლო ცალი წარბი აგეყლარწება. მოგონება მავანს პოლკოვნიკის ომანიანმა ხმამ შეუწყვიტა, დამსწრეებსა და წვევამდლებსაც რომ ულოცავდა ღღევანდელ ღღეს - თქვენ, ქართველი ვაჟაკები სამხედრო წვრთნას საქართველოში გაივლით და დაიცავთ კიდეც თქვენს მიწა-წყალს. ხომ ხედავთ-დაამატა მან, უჭირს ჩვენს ქვეყანას, მტერი გვყავს, ამიტომაც ერთგული მცველი სჭირდება ღღეს ჩვენს მამულს, თქვენნაირები! - წამით შეჩერდა და მერე ნაღვლიანად განაგრძო: - კი, ზემით აღვნიშნავთ წვევამდელთა შეკრებას, გვახარებს ჩვენს წინ ჩამწკრივებულნი, მაგრამ ამ სიხარულს ჩრდილიც რომ ახლავს თან? უსიამოვნო ჩრდილი, აბა, ნახეთ, რამდენი გვაკლია, ბევრიც დავვიანებით გამოცხადდა შეკრებაზე, ერთ-ერთი მათგანია ხევსური. სამწუხაროა! - და ყველა იქ მდგომი მიხვდა, პოლკოვნიკი ცალწარბაზიდულ ყმა-წვილს რომ გულისხმობდა. სწორედ ამ დროს გამოჩნდა ქალი, სწრაფი ნაბიჯით წამოვიდა პოლკოვნიკისაკენ და ხმის კანკალით, მაგრამ ხმამაღლა თქვა:

- არა, არა, ჩემი შვილი არ არის ღალატიანი, ჩემი და მარტო ჩემი ბრალია, ტოლებს რომ ვერ ჩამოჰყვა... ერთ წვიმიან ღღეს, უთენია ორი ცხენოსანი შემოიჭრა ჩვენს ეზოში ხალხნო და მთხოვეს: - წამოდი, დაო, წამოგვყე, სარქალი, სანაქებო სარქალი გველუბებაო. წავყე, სახლი, საქონელი ჩემს ვაჟს ჩავაბარე. ათ ღღეს დავრჩი იქ. სარქალიც უკეთ ვახდა და ტყუპიც დაიბადა. ჩამომიყვანა იმ ორმა მწყემსმა საჩქაროდ სახლში. შვილი დამხვდა ატირებული - წაიყვანეს წვევამდლები, ზემით წაიყვანეს, მე კი შენს უნახავად ვერ გავბედე წასვლაო. არაა, ჩემი შვილი ღალატიანო, - დაამთავრა სათქმელი. შვილს ხელი მოხვია ფართო ბეჭზე და სიჩუმეც ჩამოწვა. იდგა მავანი განმარტოებით და ფიქრი ტვინს უბურღავდა. და როცა ისევ გაიგონა პოლკოვნიკის ხმა, მაშინ გამოერკვა, გუნებაგამოკეთებულმა პოლკოვნიკმა კი განაგრძო. მამუკა ვასაძე ვასილის ძეგ! შენი ღღეა ცამდე მართალია! შენ არა ხარ დამნაშავე. ოღონდ მითხარი, კაცურად მითხარი, სადაა მამაშენი, გყავს ბიჭო, მამა? - ჩაჰკითხა მორიდებით და მჭექარე ხმამაც გამოაღწია ამდენ ხალხში. - მამუკა მამაჩემის სახელია, ვასილი ვასაძე კი მე ვარ! მამუკა ჩემი შვილია! ჩემს გარდა არავინაა დანა-

შავე. მხოლოდ მე დამდეთ ბრალი, მე ვარ დანაშავე, მე დავიგვი-  
იანე, ისე კი მოგისწრათ სულზე! - გვერდით დაუდგა შვილს და  
იდგნენ ისინი გვერდი-გვერდ - ორივე ახოვანი, თვალი ორივეს  
დალამებოდა, შუბლზე ცალი წარბი უთრთოდა ორივეს.

... გზა ერთობ კარგ გუნებაზე დამდგარიყო და თავს უკრავდა  
მეგზურებს... გზა მიმართულებას აძლევდა მზექალას და მამუკ-  
ასაც. ღუმდა ღელაცა და ღუმდა შვილიც.

მამუკა თავისი ფიქრით ისევ ხევსურეთში იყო, სოფელში  
ერთი ყოჩი ბიჭი ჩამოვიდა. მაშინ, დაჩაგრა იმან მორიდებული  
ხევსური ბიჭები ბურთაობაში, ჭილაობა გამართა და სამიც წა-  
აქცია, აბრიალებდა შავ თვალებსა და მეტოქეს ეძებდა. გავიდა  
მაშინ მამუკა და გათამამებული ბიჭი ბეჭებზე გააკრა. სისხლი  
წასკდა იმას და მამუკაც გასვარა... შეწუხდა მამუკა. მოინდომა  
მიშველებოდა და ქვევიდან შემოულრინა წაქცეულმა:

- გაიწიე, მომცილდი, უმამოდ გაჩენილო, უმამო, უმამო!

მოცილდა იქაურობას მამუკა, გომურში შევარდა და პი-  
რქვეჩამხობილი ზღუტუნებდა. შეწუხებული ღელა თავს წამ-  
ოადგა შვილს და სისხლი მოსწმინდა. დაულაგა ქოჩორი და  
ყურში ჩასძახა:

- მამუკავ! ღედის იმედო, გაჯობეს! სისხლიც გადინეს!  
უკეთესია! უფრო გამაგრდები, გაიზრდები და ველარ მოგერევი-  
იან.

- მითხარ ღედი, ახლავე მითხარ, მარტო შენი შვილი ვარ?  
რატომ დამიძახა იმან უმამოდ გაჩენილო და არავინაც გასცა  
პასუხი, არავინ გამომესარჩლა... - ტიროდა შეურაცხყოფილი  
ბიჭი.

გაშრა მზექალა. ელოდა ამ კითხვას შვილისაგან, შემდგომ  
მისთვის პასუხი მზად ჰქონდა და ეს გადაწყვეტილებაც ხომ მაგ-  
ანის დანახვამ მიაღებინა!

- ჩემო მამუკა, შვილო და დიღო იმედო, მამუკავ, უმამოდ  
არც არავინ გაჩენილა და შენ როგორღა იქნები?! შენცა გყავს  
მამა. გაიზრდები, მამუკავ, შენც წახვალ ღედისგან დიდ ქალაქში  
და იქ ნახავ მამას, უთუოდ იცნობ იმას. გგავს შენა. თავადაც  
მოგნახავს.

მამუკას მაშინაც შეეცოდა ღელა, გული ატკინა იმისმა სი-  
ტყვამ, შეებრალა, შენც წახვალ ღედისგან დიდ ქალაქშიო, რომ  
ეუბნებოდა. ახლა უფრო უყვარდა ღელა, მაგრამ აღარ  
ეცოდებოდა.

როგორ აუხდა ღედის ნათქვამი, მაშინ ნათქვამი. მამა გიბოვი-  
ისო, ის შენ გგავს, შენც იცნობო. ახლა უკან მოჰყვება ღელა-

შვილს მამა და ეჩვენება ყმაწვილს, თითქოს მამისგან  
გამოდის ეს სიტბო და ბეჭებსაც ეს სიტბო უხურებდეს  
... მზექალა ხვალეს შესცქერის იმედით. ხვალეს ჭვრეტს  
მისი გონება, სახლიც რომ გაუჩნდათ? მიიტანენ იქ ხევსურულ  
გუდას. მზექალას გონება კი შორს დაქრის, მომავალს ხედავს და  
ხარობს იმ მომავლით, იმ მომავალს დასტრიალებს თავს ხევ-  
სური ქალის ფიქრები.



## სიცრუე და ორპირობა....

ბატონი როსტომი შემხვდა ბაღში. მომესალმა, მითხრა:

- გუშინ სკოლაში კარგი ლექცია წავიკითხავს სიყვარულზე, რომ გამეგო, დავესწრებოდი. იმ სკოლაში ხომ ჩემი ქალიშვილი გულნარა სწავლობს.

- თვალი არ მომიკრავს გულნარასათვის.

- ახ, იქნებ ბიჭმა მიაკითხა და წაიყვანა, სადღაც.

- რომელმა ბიჭმა?

- შენ არ იცნობ, ის სხვა სკოლაში სწავლობს.

- მერე და მე სიყვარული არ მიძრახია, მაგრამ მიჯნურობაზე, სხვაც ბევრი მქონდა სათქმელი. ვეფხისტყაოსანი ხომ სიყვარულის ბიბლიაა, მაგრამ ცხოვრებაში ბევრია ისეთი შემთხვევა, კაცს გული გეტკინება, - ვთქვი მე.

- ჰოდა, სწორედ ამაშია საქმე - თქვა და ჩაფიქრდა.

- რაშია საქმე, ბატონო როსტომ, შენმა ქალიშვილმა ხომ არ გატკინა გული? - ვკითხე და ყური მივუგდე, აბა რას იტყვის-მეთქი.

- ჩემო მეგობარო, ბიჭიც წესიერი უნდა იყოს და გოგოც, - თქვა მან.

- ჰა, მიგიხვდი, ვაჟი არ მოგწონს? რატომ?

- აცვენილი ბიჭია. ხომ იცი რას ნიშნავს სიტყვა "აცვენილი", - ეტყობა გულში დელავს.

- კი, ვიცი.

- ჰოდა, ასეთი ვაჟი სიძედ ვინდომო? მერე და არც დედამისზე ამბობენ კარგს.

თუმცა ქვრივი ქალია, მაგრამ ჩვენი მამა-პაპური წესით, ადათით, ჩვეულებით, ქალი პატიოსნად უნდა დაბერდეს თუგინდაც ქმარი ახალგაზრდობაში მოუყვდეს, ასე არაა - შემომჩაჩერდა, აბა, რას მეტყვის პოეტო.

- მართალი ბრძანდებით, მაგრამ თუკი ძლიერ უყვართ ერთმანეთი, მაშინ როგორ უნდა მოიქცეს მშობელი? - ვკითხე მე.

ერთხანს დუმს. მერე კი ხმადაბლა იტყვის, მღელვარება რომ არ შევამჩნიო:



- ასეთ სიყვარულს ბოლო არ ექნება. განა ერთი და ორი მაგალითის მოყვანა შემძლია, მაგრამ შენ პოეტი ხარ და უკეთ იცი, - თქვა მან.

- გელა ბანძელაძის წიგნი "ეთიკა" ხომ წაგიკითხავს?  
- არა.

- ჰოდა, ბანძელაძის "ეთიკა" სკოლაში საგნად უნდა იკითხებოდეს, ჩემო როსტომ, და ასე თანდათან უნდა აღვზარდოთ მაღალი ზნეობის ქალი და ვაჟი. ერთი ლექციის მოსმენით რა გამოვა, მეშვიდე კლასიდან უნდა იკითხებოდეს "ეთიკა". ახალგაზრდობას სულსა და გულში უნდა გაუჭდეს მამა-პაპური სინდის-ნამუსი, აი, რა არის მთავარი, - ვთქვი მე.

- ათი წელი იქნება, ცოლი, რომ მომიკვდა, მაგრამ ცოლი არ მოვიყვანე, იქნებ, ისეთი ქალი შემხვდეს, ვერ გაიტანოს გერი, მით უმეტეს მას შემდეგ, როცა ბავშვები გაუჩნდება დედინაცვალს-მეთქი, - თქვა მან.

- ჩემო როსტომ, შენ პატიოსანი კაცი ხარ და თავმოყვარე, მაგრამ შენ ტკივილს რითი ვუწამლო? შემძლია რაიმე დაგეხმარო? - ვკითხე მე.

- შთაგონება... შთაგონება - ეს არის წამალი - თქვა მან. ერთხანს გაჩუმდა. მერე განაგრძო:

- ხშირად მოდი ჩემთან და ესაუბრე ჩემს ქალიშვილს ეთიკასა და მორალზე. რომ ყველა სიყვარულის ღირსი როდია და რატომ? იქნებ გზადაგზა ისე შთავაგონოთ, რომ ის ვაჟი ჩამოვამოროთ, - თქვა მან.

- მოდი ასე გავაკეთოთ. მაქვს დაწერილი წერილი ასეთი სათაურით - "სიყვარული, ცბიერება და ტრაგედია". მოვნახავ, გადავბეჭდავ და ერთ ცალს შენ მოგცემ, გულნარას ოთახში მაგიდაზე დაუდე, ვნახოთ, წაიკითხავს თუ არა და მერე როგორ მოიქცევა. ამის შემდეგ კი მე ხშირად შემოგივლი და თანდათან შევაპარებ საუბრებს სიყვარულზე, თავდაჭერაზე, ღალატზე და ასე შემდეგ, - ვუთხარი მე. დამთანხმდა, როცა მზად მექნება, დაგირეკავ მეთქი, ასეთი პირობით დავმორძლით მე და როსტომი.

რამდენიმე დღის შემდეგ დავრეკე, შევხვდეთ ამაღამ რესტორანში მეთქი... და ჩვენ შევხვდით ერთმანეთს. თითო ბოთლი და მწვადი შევუკვეთეთ... პირველი სადღეგრძელო მას მივუძღვენი, ხოლო შემდეგ ვუთხარი, წავიკითხოთ-მეთქი. კარგოდ და მეც წავუკითხე წერილი, რომელიც ჩემივე არქივში თვლემდა.




სიყვარული არ არის ქარი, ქალბატონო, არა!

არ შეიძლება მსუბუქად შევიჭრათ ადამიანის სულში, უცებ მიმოვავლოთ თვალი და უმაღლვე საჭირო დასკვნები გვაკეთოთ. ადამიანის სულიერი სამყაროს ავბედითობა, მისი აღტაცებაც და ტრაგედიაც აწამებდათ არა მარტო უბრალო ადამიანებს, არამედ გენიოსებსაც. თუ კი ჩვენ ვეხებით სიყვარულს, ჭეშმარიტ სიყვარულს, მას ფრთხილად უნდა მივუახლოვდეთ, რადგან სიყვარული იყო და არის ყოვლისშემძლე მოვლენა ადამიანის ცხოვრებაში, მისი სულის მიმოქცევაში. გავისვენოთ, დ.ჭონქაძის ვარდო, ანუ გულისვარდი. ეს ისეთი ადამიანია, რომელმაც არ იცის გაორება, რომლის გული ერთია და უზენაესად მგრძნობიარე, წარმავალი განცდების კი არა, მარადი განცდების სავანეა, ამიტომ ვარდოს სიყვარულის ტრაგედია ძალიან დამაფიქრებელია. მე ვამბობ, რომ სიყვარული ადამიანის ცხოვრებაში არაჩვეულებრივი მოვლენაა და მე ამ აზრს მიდასტურებენ დიდი ადამიანები. უფრო სწორად, რომ ვთქვათ, მე იმ დიდ ადამიანთა აზრთა სამყაროში ვტრიალებ, როცა სიყვარულს ყოვლისმძლე მოვლენად ვაცხადებ. ამიტომ მინდა ზოგიერთი დიდი ადამიანის სიტყვა, აზრი მოგაგონოთ სიყვარულის შესახებ, რისთვისაც ამ სიტყვით შენთან მოვედი. ვის არ წაუჭიკინებავს ქართველი ნიჭიერი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი “სიყვარულო ძალსა შენსა”, სადაც ვკითხულობთ ასეთ სტრიქონებს:

“სიყვარულო ძალსა შენსა ყოველი გრძნობს არსებს რაცა,  
სჯულსა შენსა ყველა ერჩის: ბერი, ერი, მეფე, ყმაცა.  
ხელმწიფე ხარ თვითმპყრობელი, ტახტი მზა გაქვს ჰვიებ საცა,  
გულები გყავს ქვეშევდრომად, ამას მეც ვგრძნობ და თვით სხვაცა.”

ეს უბრალო სიტყვები როდია, როგორც ჩანს, მგოსანი ღრმად იხედება ადამიანის სულში და იგი ყველა სხვა გრძნობაზე მაღლა აყენებს სიყვარულის გრძნობას. თუმცა სხვა გრძნობებზე არ ლაპარაკობს პარალელურად, მაგრამ ისედაც ვხვდებით, რომ პოეტს, სიყვარულის გრძნობა ყველა სხვა გრძნობაზე ძლიერად მიაჩნია. სიყვარული, მაშასადამე, მეფეს ყმად აქცევს, იგი ხელმწიფეა თვითმპყრობელი, გულები მისი ქვეშევდრომია და ა.შ. თუ კი იგი ასეთი ძლიერია და ჭეშმარიტად ასეა, ადამიანი სიყვარულმა შეიძლება გზიდან გადააგდოს,



ბოროტება ჩაადენინოს, ტრაგედია დატრიალდეს. გავიხსენოთ თუნდაც გრ.აბაშიძის პოემა "ამირანის დაბადება", რომელიც ხალხურ თქმულებას ეყრდნობა. ორმა სვანმა ჭაბუკმა შეიყვარა ქალღმერთი, რომელსაც ისინი შემთხვევით შეხვდნენ. გაიგეს მისი ბინა. შეეცადნენ მის დაპყრობას, იგი მწვერვალზე ბუდობდა. ერთი ძმა სიზმირის ჩაგონებით თოვლის გუნდებით კიბეს იკეთებს და მიემართება მწვერვალისაკენ-ქალღმერთისაკენ, მაგრამ მას მეორე ძმა შენიშნავს და მშვილდისრით გაუგმირავს გულს. აი, რა ბოროტებამდე მიიყვანა სიყვარულმა ადამიანი - მან მოჰკლა ძმა. ქალისა და დიდი სიყვარულის გამო იყო ტროას ომი, რომელიც ჰომეროსმა აგვიღწერა. მაშ, ვირწმუნოთ, რომ სიყვარულს ბუნებამ დიდი ძალა მიანიჭა. რუსთაველი ტყუილად კი არ ამბობს სიყვარულზე, რომ "იგია საქმე სამზეო, მომცემი აღმაფრენათა" ანდა "მიჯნური შმაგსა გვიქვიანო". შმაგი ხომ ხელი, გიჟია, ე.ი. სიყვარული ადამიანს აგიჟებს, ხოლო გიჟი, გონებიდან გადასული ადამიანი კანონებს აღარ ემორჩილება, საშიშარი აღარაა მისთვის წარაფები და ტრალედია.

დიდი ფილოსოფოსი ფოიერბახი ეხება რა ადამიანის სიცოცხლის არსობას, საინტერესო აზრებს გვაწვდის ჩვენი გრძნობების შესახებ. იგი ამბობს "მაგრამ რაღაა ადამიანის არსება, რომლის შესახებაც მას ცნობიერება აქვს, ანუ რა შეადგენს გვარობას, საკუთრივ ადამიანობას ადამიანში? გონება, ნება, გული. სრულქმნილ ადამიანს გააჩნია აზროვნების ძალა, ნების ძალა, აზროვნების ძალა შუქია შემეცნებისა, ნების ძალა, გრძნობის ძალა, ენერჯიაა ხასიათისა, გრძნობისა და გულის ძალა კი სიყვარულია. გონება, სიყვარული, ნების ძალა ადამიანის სრულქმნილობანია, ისინი ადამიანის უმაღლესი უნარიანობანია".

წუთით დავუკვირდეთ ამ სიტყვებს. დიდი ფილოსოფოსი სრულქმნილ ადამიანად აღიარებს იმას, რომელსაც ჭარბად გააჩნია აზროვნების ძალა, ნების ძალა და გრძნობის ძალა ანუ სიყვარული. აბა, დავუკვირდეთ ამ მხრივ რას წარმოადგენს დურმიშხანი და ვარდო. დურმიშხანი ფიტულია, ხოლო ვარდო-დიდი გრძნობით სვსე ადამიანი. დიდი გრძნობის ადამიანებმა კი იციან სულიერი კატასტროფები, ტრალიკული ტკივილები, დიდი სიკეთენი და შურისგებანი. ჯერჯერობით დავსვათ წერტილი. კვლავ ფილოსოფოს ფოიერბახს მივმართოთ!

"ვის არ განუცდია სიყვარულის ძალა, - ამბობს ფოიერბახი, - ან ყოველ შემთხვევაში არ მოუსმენია მის შესახებ? ვინ

უფრო ძლიერია? სიყვარული თუ ინდივიდუალური ადამიანი? ადამიანი ფლობს სიყვარულს თუ პირიქით, სიყვარული — ადამიანს? როდესაც ადამიანს სიყვარული ამოძრავებს და სისხრით ულით სდებს თავს სასიკვდილოდ საყვარელი არსებისათვის, ეს სიკვდილის მძლეველი ძალა მისი საკუთარი ინდივიდუალური ძალაა, თუ პირიქით, სიყვარულის ძალა?"... "ტანჯვა-ვნებათა უქონელი არსება უგულო არსებაა." როცა დიდი ფილოსოფოსი, ადამიანის სულიერი მიმოქცევის დიდი მხედველი, ამას ამბობს, ჩვენ რაღას ვიტყოდით ახალს და საპირისპიროს? ფილოსოფოსის რწმენით, და ჩვენი რწმენითაც, მაშასადამე, სიყვარული ძალუმად იპყრობს ადამიანს, აბრუებს მას, მოუტანს რა უდიდეს სიამეს, მასვე არგუნებს უდიდეს ტკივილებსაც... და ადამიანი შეპყრობილი სიყვარულით აღარ ებუება არაფერს, მას არარად მიაჩნია სიკვდილი. მაშასადამე, ასეთ ადამიანს თუ კი უკარნახებს მომენტი, არ დაზოგავს მოპირისპირეს, იგი არ იფიქრებს შედეგზე, მისი მოქმედება პრაქტიკული იქნება, რომელიც უფრო ემორჩილება გრძნობას, ვიდრე გონებას... და ვარდო (გულისვარდი) ასეთი დიდი გრძნობის ადამიანია, მისი გრძნობა სიყვარულზე, დიდია, იგი ამ მხრივ გაუტოლდება ნესტან-დარეჯანს და თინათინს. ვილაც ამის გამო შეიძლება რეპლიკასაც მესვრის, რომ თინათინს და ნესტან-დარეჯანს შევა-დარე, რომ ვარდო ბოროტია, კაცის მკვლეელია. ამ მხრივ უცოდველი არც ნესტანი გახლავთ, მაგრამ რომელს არ გიყვართ ნესტანი? ამის შესახებ შემდეგ...

დიდია ვარდოს სიყვარული, ქების ღირსია. ამიტომ ჩემს თავს უფლებას ვაძლევ დიდი ინგლისელი მწერლის ოსკარ უაილდის სიტყვებიც მოგაგონოთ მხოლოდ სიყვარულზე. მას აქვს ასეთი მოთხრობა - "ბულბული და ვარდი". ყმაწვილი სატრფოსათვის ეძებს წითელ ვარდს, ისე მას არ გაიკარებს. ბულბული, რომ გაიგებს მიჯნურის გულს, ამბობს: "-ეს მართლაც ნამდვილი მიჯნურია! - თქვა ბულბულმა, - რასაც მე ვგულისხმობ, სწორედ ის სტანჯავს, რაც ჩემთვის ლხენაა, მისთვის წამებად ქცეულა. სიყვარული ჭეშმარიტად სასწაულია. ის ზურმუხტზე უძვირფასესია და უფრო იშვიათია ვიდრე მშვენიერი იაგუნდი. სიყვარულს ვერ იყიდი მარგალიტითა და ბროლ-ბადახშით, ან ვის უნახავს სიყვარულის ვაჭარი. სიყვარულს ფასი არ დაედება". დავიმახსოვროთ ო.უაილდის სიტყვები "სიყვარულის ვაჭარი", რასაც მაგონებს ღურმიშხანის ცდუნებანი, მისი მორალი. როცა ბულბულმა წითელი ვარდის შოვნის საშუალება მოიპოვა, ჭაბუკს ეუბნება:



“ბედნიერი იყავი, ბედნიერი! – შესძახა ბულბულმა, – შენ გეჩენება წითელი ვარდი. მე მას მუსიკით ამოვიყვან მთვარის შუქზე და ჩემი გულის სისხლით წითლად შევღებავ. მაგიეროდ შენგან მხოლოდ ერთს ვითხოვ-ნამდვილ სიყვარულს, რადგან სიყვარული ფილოსოფიაზე უფრო გონიერია და ძალაუფლებაზე უფრო ძლიერია”. მე მიინდა ხაზი გავუსვა ო.უალდის სიტყვებს – სიყვარული “ძალაუფლებაზე უფრო ძლიერიაო”. ამას მე მიკარნახებს ვარდოს სიყვარული, ხოლო ქალი ნაზი არსებაა და სიყვარული მის სულსა და გულს მამაკაცზე უფრო ძლიერად ეკიდება. ვარდოს სათუთ გრძნობასაც ასე ძალუმიად მოეკიდა სიყვარული... და იგი ამ სიყვარულის ბოლომდე ერთგული დარჩა. აი, როგორ წარმოგვიდგენს ვარდოს ავტორი:

“საწყალი გულისვარდი სულით და გულით მიეცა თავის სიყვარულსა. იმისთვის, გარეშე თვისის სიყვარულისა, აღარ იყო ცხოვრება”. ავტორი ვარდოს სიყვარულს აღმოსავლეთის სიყვარულს არქმევს. ვარდო ეს იგივე მედეას მეორედ მოსვლაა ქვეყანად, მედეასი, რომელიც ბუნებამ უდიდესი კეთილშობილებით – დიდი გრძნობით დააჩილდოვა და უთხრა: ამ შენს გრძნობას ვინც არ გაუფრთხილდება, სამაგიერო მიუზღე, შენთვის მომიტყევიანო.

რას წარმოადგენს ღურმიშხანი, როგორც მიჯნური? აი, ამის შესახებ სიტყვა კვლავ ავტორს – დანიელ ჟონქაძეს მივცეთ.

“... ღურმიშხანს... როდესაც ის ელაპარაკებოდე თავის სიყვარულს, გულში სულ არ ქონდა სიყვარული”. ღურმიშხანს თავის წარსულს უყვება ვარდოს, როცა იგი თავს დაჩაგრულად სცნობდა, ხან რას აბრალებდა და ხან რას, ქომაგი არავინ ჰყავდა.

“მე ვარდო, - ეუბნება ღურმიშხანი სატრფოს, - ბევრჯერ მიგმია ღმერთი ჩემი გაჩენისათვის, ბევრჯერ მიტირნია მწარე ცრემლითა, მაგრამ ვინ იყო ჩემი ნუგეშისმცემელი? არავინ!... ასე, ჩემო ვარდო: სანამ შენ გაგიცნობდი, ერთი კაცი არ მყოლია რომ შემეჩივლა ჩემი გულის დარღები”. ამ ორ ამონაწერს თუ შევადარებთ, უკვე ცხადი გახდება ღურმიშხანის თვალთმაქცობა, გაორებული პიროვნება. იგი ვარდოს სიყვარულს ეფიცება, მაგრამ ცრუობს, გულით არაფერს ამბობს, მისი გული ფიტულია, როგორც ზოგიერთი დღევანდელი ახალგაზრდისა. განა დღეს ცოტას ვხვდებით ახალგაზრდებს, რომლებიც ლამაზ სიტყვებს ხარჯავენ სატრფოსთან, თითქოს კიდევ დიდი გრძნობით არიან შეპყრობილნი მისადმი, მაგრამ

ფაქტიურად ყველაფერი ეს ორპირობაა, ფარისევლობაა. სიყვარული და ფარისევლობა ისევე შეუთრეგებელია, როგორც სიცხე და სიკვდილი, კეთილი და ბოროტი. სიყვარული ისეთი დიდი გრძნობაა, რომელიც ადამიანს უდიდეს ტკივილსაც უჩენს და უდიდეს სიამოვნებასაც ანიჭებს. ამიტომ სიყვარულს უნდა ვიცავდეთ მორალით, ხმალით, კანონით, მხარდაჭერით, ვდევნიდეთ ცდუნებას, ორპირობას, ფარისევლობას. ახალგაზრდის ცხოვრებაში სხვა უფრო ლამაზი, სხვა უფრო ბედნიერების მომნიჭებელი არაფერი შემოიჭრება, როგორც მაგალითად, სიყვარული. მე პირადად, ტრფიალებას ახლაც ჩემს გულს მივცემდი თუკი ასეთი ღირსეული აღმოჩნდებოდა. ამიტომაც მე მსიამოვნებს დიდი ბერძენი ფილოსოფოსის პლტონის სიტყვები სიყვარულის შესახებ... და ახლაც მინდა გავიხსენო. პლატონი გვეუბნება:

“მართლაც მე ვერ ვიტყვოდი, რა შეედრება ყმაწვილი კაცის ბედნიერებას, როცა მას კეთილშობილი მიჯნური ეტრფის ან თვითონ უყვარს ვინმე გატაცებით, მხოლოდ სიყვარულს მიჰყავს კაცი ჭეშმარიტი გზით ამ ცხოვრებაში და არა გვარიშვილობას, დიდებას, მორჭმულებას თუ რაიმე სხვას. რატომ? იმიტომ რომ მათ თავისთავად არ ძალუძთ შთაუწერგონ კაცს სირცხვილი ბოროტის ქმნისა და სწრაფვა კეთილისადმი, ხოლო ამ ორი რამის გარეშე ვერც სახელმწიფო, ვერც ინდივიდი ვერას შექქმნის დღესა და მშვენიერს”.

“...თვითონ ღმერთებიც დიდ პატივს სცემენ უნაგრო და თავგანწირულ სიყვარულს”!

“... სამარცხვინოა მისი სიყვარული, ვინც ბრმად თანაუგრძნობს ავს, და ლამაზია მისი, ვინც შეგნებულად თანაუგრძნობს კარგს. ხოლო ავს მე ვუწოდებ იმ “მიწიერ” მიჯნურს, რომელიც სხეულს უფრო ეტრფის, ვიდრე სულს. ამასთან ის უპიროა და ცვალებადი, ისევე, როგორც ცვალებადია და წარმავალია მისი ტრფიალების საგანი. საკმარისია, დაჭკენს სხეული, რომელსაც იგი ეტრფოდა, რომ მყისვე მიფრინავს მისგან და სამარცხვინოდ ივიწყებს ყველა თვის ფიცსა და აღთქმას”. საგულისხმო სიტყვებია. აქედან ვარდოს თავისი მიეზღვება და ღურმიშხანს თავისი. მივყვით კიდევ დიდ პლატონს:

“მშვენიერია სიყვარული, რომელსაც სათნოებისადმი სწრაფვა ასაზრდოებს... ეს სიყვარული ციური აფროდიტესეული სიყვარულია, ციური სიყვარული, ასე საჭირო როგორც მთელი ქალაქის, ისე ყველა ცალკეული მოქალაქისათვის, რამდენადაც აძულებს მიჯნურს და მის სატრფოს გულმოდგინედ იზრუნონ საკუთარი სათნოების სრულყოფისათვის”.



“ყველა როდია ლამაზი და ღირსი ხოტბისა, არამედ მხოლოდ ის, რომელიც ლამაზი სიყვარულისათვის აღგვაგზნებს”. გმობს რა უღლეურ მიჯნურობას, პლატონი განაგრძობს: “სწორედ ამ “მიწიერმა” მიჯნურებმა ამოსვარეს ლაფში სიყვარული და ისე ამოსვარეს, რომ ზოგიერთი იმის თქმასაც კი ბედავს, თითქოს სამარცხვინო იყოს თაყვანისმცემელს თანაუგრძნო შენსას. ამის თქმის საბაბს მათ მხოლოდ “მიწიერ” მიჯნურთა აღვირახსნილობა და ურიცხვობა აძლევს, რადგან უსამართლობაა დაჰგმო ის, რასაც სამართლიანობა და კანონიერება უძევს საფუძვლად”.

პლატონი ხოტბას ასხამს აფროდიტულ სიყვარულს, ე.ი. წმინდა, ზენაარ სიყვარულს, რომელმაც არ იცის ანგარება, ცდუნებანი და ცუდლუტობანი, რომლისათვის არსებობს მხოლოდ ერთი ცნება: შეუვალი სიყვარული, თუ ჩვენ პლატონისეულ მოტივებს მივუყენებთ ღურმიშხანსა და ვარდოს, აღმოჩნდება, რომ ღურმიშხანი ცუდლუტი, ქარაფშუტა გრძნობის კაცია, რომელიც პირადი ბედნიერებისათვის ყველას და ყველაფერს გასწირავს. მან გასწირა ვარდო, მან თანაგრძნობა არ გაუწია მის გამაბედნიერებელ ოსმან-აღას, რომელიც მტერმა სტამბოლის ქუჩაში ლეშად დააგდო. ღურმიშხანს თვალის კი არ აცრემლებია ადამიანის ასეთი ტრაგიკული ბედის გამო. იგი თავის სავაჭრო საქმეების კვლავ ფუსფუსშია. აი, როგორი ადამიანია ღურმიშხანი. საქართველოს არაფერი დააკლდებოდა, რომ ღურმიშხანები მთლიანად ამოხოცილიყვნენ. საქართველოს სული გრძნობიერი გამოიფიტებოდა, რომ მას არ ჰყოლოდა მედეა, ვარდო, მზალო, მაყვალა, ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეები, თინათინი, ნესტან-დარეჯანი.

მე ზემოთ ვთქვი, რომ სიყვარული უფრო მეტად ქალის გრძნობებს იბყრობს, ვიდრე მამაკაცისას. ეს იმიტომ, რომ ქალი ნაზი არსებაა, მისი სული ფაქიზია და რასაც შეისისხლხორცებს, აღარ ძალუძს უკუაგდოს იგი. მერე სიყვარულის ცდუნებათა გამო ვაჟთან ურთიერთობაში, მოტყუების შედეგად დაჩაგრული გამოდის ქალი, ხოლო ვაჟი გამარჯვებული მიიმღერის თავის გზაზე და ანიუნშიაც არ აგდებს იმ არსების სულიერ ტრაგედიას, რომელიც მან გააუბედურა. ვაჟს თავისი ბოროტება კანონიერად მიაჩნია, ყოველ შემთხვევაში ბოროტებად არ მიაჩნია. არის ასეთი რეპლიკებიც: ქალს თუ მამაკაცისაგან უბედურება თავს დაადგება, მისივე ბრალიაო, მაგრამ უნდა გვახსოვდეს დიდი ადამიანების შეგონებანი: რაც ნაზია და სუსტია, მას რაინდული სულისანი სასოებით უფრთხ-

ილღებიან, მაგრამ განა ყველა მამაკაცი დაინდობს ქალიშვილს? განა ცოტაა მოღალატე? გულწრფელი, კაცური კაცი ზგონია და აღმოჩნდება კაცუნა ორპირი. მიაღწევს მიზანს და მერე ზურგს შეაქცევს მიჯნურს, არ ენადვლება მისი სინდის-ნამუსი. ზოგიერთ უგუნურს ჰგონია შეყვარებულთან ცხოვრება არაა უპატიოსნობაო, მცდარი აზრია. ასე რომ იყოს, ყველა ვაჟი თუ გოგონა გაიჩნდა მიჯნურს... და მთელ ჩვენს ქვეყანაში, სოფლად თუ ქალაქად იშვიათად თუ მოიძებნებოდა ქალიშვილი, სუსტებს და მცდართ თავის გამართლება უნდათ, მაგრამ ამაოდ ასეთ ქალიშვილს ვაჟი ცოლად არ წაიყვანს. თუ შეცდომით წაიყვანს ცოლად, მეორე დღესვე დატოვებს და კანონი კიდევ გაანქორწინებს ქმარს. ეს უნდა ახსოვდეთ ქალიშვილებს... თორემ სიკვდილამდე მოუშუშარი მოტყუებული ქალიშვილის ჭრილობა... მაშ, დავიმახსოვროთ, რომ სიყვარული ყოვლისმძლეა... მაგრამ ჩვენც ვიყოთ მძლენი ქალიშვილებო. ვაჟი ზურაბი ვარდომ იმსხვერპლა, არის თუ არა დამნაშავე ამ მკვლელობისათვის? მე მინდა ამ საკითხის გარშემო ასეთი ფონი შევქმნა, ანუ წამოვაყენო პირობანი.

**პირობა პირველი:** გავიხსენოთ “ვეფხისტყაოსნის” იდეალური გმირები ტარიელი და ნესტანდარეჯანი. ჩვენ მათ თაყვანს ვცემთ, როგორც დიდ, უღალატო, მაღალი გრძნობის მიჯნურებს. ჩვენ მუხლს ვიყრით ამ ორი ადამიანის წინაშე, მაგრამ არიან თუ არა ეს ადამიანები უცოდველნი, ყოვლად წმინდანი სიცოცხლის მიმართ? არა და არა. მათ ჩაიღინეს მკვლელობა. განა ნესტანდარეჯანმა არ მოაკვლევინა ტარიელს ხვარაზმშას მეფის შვილი, რომელიც ინდოეთის მეფეს სიძედ უნდოდა? მკვლელობა მოხდა ნესტანდარეჯანის ჩაგონებით. ამის გამო, თქვენ იცით რა უბედურება დატრიალდა, ვინ იყო ამ მკვლელობაში დამნაშავე? სიყვარული.

**პირობა მეორე:** ავთანდილი ურთიერთობას ამყარებს ფატმანთან. შემოესწროთ ფატმანის საყვარელი ჭაშნაგირი. ფატმანის ჩაგონებით ღამით ჭაშნაგირს კლავს ავთანდილი. რა დამნაშავე იყო ის კაცი? ეპატიება თუ არა ეს ავთანდილს? რის გამო მოხდა ეს? საერთოდ, სიყვარულის მიზეზის გამო. ავთანდილი ფატმანის კარზე სიყვარულმა მიიყვანა.

**პირობა მესამე:** გავიხსენოთ ალ.ყაზბეგის “მოძღვარი”. ონისე კლავს თავის უსაყვარლეს არსებას მაცვალას. ამ მკვლელობას დააბრალებენ ყოვლად უცოდველ მოძღვარს და ციმბირის გზას გაუყენებენ – ეპატიება თუ არა ონისეს ორი



ადამიანის სიკვდილი? მაგრამ გვძულს იგი ჩვენ? არა, რატომ? იმიტომ, რომ მას ეს ბოროტებანი ჩაადენინა სიყვარულმა. ვინაა ატიეთ ვის? - სიყვარულს.

**პირობა მეოთხე:** გავიხსენოთ ა. ყაზბეგისავე “ხევისბერი გოჩა”. ონისემ შეიყვარა ძიძია, ეს გუგუას ცოლი. ამ ნიადაგზე აიწეწა ოჯახი. ონისეს მიზეზით მოხდა ისიც, რომ მტერმა შემოაღწია მოხევეთა სამფლობელოში და მრავალი ვაყუაცი მსხვერპლად შეეწირა მტერს. ერთი სიტყვით, დიდი უბედურება დატრიალდა ონისემ ძიძია რომ შეიყვარა, მაგრამ ამის გამო ვინ შეიძულა ონისე? ვისი ბრალია? - სიყვარულის. ვის ვაპატიეთ ეს ცდუნებანი? - სიყვარულს. ცდუნებაა მხოლოდ სხვისი ცოლის შეყვარება, მაგრამ ხდება პირიქითაც.

**პირობა მეხუთე:** ეჭვით გაბორტეებული ოტელი კლავს ღეზდემონას, მისთვის უსაყვარლეს არსებას, მაგრამ სიძულვილს იწვევს ეს ფაქტი ოტელოსადმი? არა. ვისი ბრალია ეს მკვლელობა? დიდი სიყვარულისა. ასევე შეიძლება გავიხსენოთ კოლხელი მედეას ტრაგიკული ბედი. კიდეც რამდენი მაგალითის მოყვანა შეიძლება მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშებიდან... და ყველგან მიზეზია სიყვარული, სიყვარული... სიყვარული...

ამ პირობითა ფონზე სამსჯავროზე გავიყვანოთ ვარდო, ამ ადამიანმა შური იძია ღურმიშხანზე არაპირდაპირ. ჩვენ არ მოგვწონს სიტყვა “შურისგება,” “ვერაგობა”, “ფარისევლობა”, მაგრამ არის თუ არა ყველა ეს სიტყვა ცხოვრებაში, მოქმედებაში? არის. რის გამო? იმიტომ, რომ არიან ვერაგები, ბოროტები, ფარისევლები. სანამ არ მოისპობა ბოროტება, იქ შურისგებაც იქნება, რადგან ბოროტების პასუხია შურისგება. ეს იმიტომაც, რომ კანონი ყველაფერში არ ერევა და ადამიანი რჩება ბედის ამარა, მოტყუებული, გაჩანაგებული თავისი სულით. მისთვის სიცოცხლე არარას წარმოადგენს. აკი გვამცნობს დ. ჭონჭაძე, რომ ვარდოსთვის ამის შემდეგ სიცოცხლე არარას წარმოადგენდაო, განა ღურმიშხანს ჭკონდა ამის უფლება? განა ღურმიშხანი არაა ყოველივე ამის მიზეზი - ბოროტების საწყისიც და დასასრულიც? ზურაბის მკვლელი ვარდო კი არ არის, ეს ბოროტი, გაიძვერა, ფარისეველი ღურმიშხანია.

ვარდოს დიდი გრძნობა მხოლოდ ორ გზას აირჩევდა - თვითმკვლელობას ან შურისგებას, ორივე დასაგმობია. მხოლოდ სიკვდილის ღირსი იყო ღურმიშხანი და არა ზურაბი, მაგრამ ვისაც რაც ეკუთვნის, ის უნდა მიეგოს. ისიც სათქმელია, რომ ვარდო დიდი გრძნობის ადამიანია, ყოველი დიდი

თავისში მსხვერპლს შეიცავს, უამისოდ შეუძლებელია იყოს დიდი და მშვენიერი, ზოგნი დასჯილნი და არ ვიცით როგორ სიკვდილით? მე ჩემი პოეტური მუხით გამოვიწვევდი გრძნულ მედეას და შევთხოვდი - გააცოცხლე! და ეს მოხდებოდა, მერე მე და მედეა მას - ვარდოს წამებულის, სიყვარულის გვირგვინს დავადგამდით.

სიყვარული არ არის ქარი, არა ქალბატონო!

1965

- რა კარგი წერილია, რა კარგი, სწორედ მე გამომაღგება, რატომ არ დაბეჭდე გაზეთში? - მკითხა როსტომმა.

- აქტიურ თემაზე არაა დაწერილიო, მითხრა რედაქტორმა, ისიც მითხრა, მოძველებული მოტივიაო. ერთი სიტყვით, გამომისტუმრა უარით და მე წერილი პირად არქივს მივაბარე, თუკი გამოვაღგება, აჰა, ბატონო, წაიღე, მერე კი ისე მოვიქცეთ, როგორც გინდათ, - ვუთხარი მე.

- კარგი, კარგი, მაგრამ შენიშვნაც მაქვს. დანიელ ჭონქაძეს არსად არა აქვს ნათქვამი, რომ ვარდო შეაცივინა ღურმიშხანმა, მხოლოდ სიტყვა გატეხაო. მაგრამ სხვაა როცა მოტყუებით ნამუსს ახდის ვაჟი ქალს და მერე სიტყვას და ფიცს ცეცხლს მოუკიდებს, ნაცარტუტად აქცევს. ვაჟის ასეთი ბოროტი საქციელი ქალიშვილისათვის სიკვდილამდე მტანჯველია, მაგრამ რაღა დროს, ვერაფრით ველარ დაიბრუნებს ქალი პატიოსნებას. აი, ამას უნდა გაესვას ხაზი წერილში, - თქვა როსტომმა.

- კარგი, ჩავუმატოთ შენი აზრი, - ვუთხარი და წერილში ადგილი მოუნახე შემდეგ სიტყვებს: "ქალიშვილი გულუბრყვილოდ არ უნდა ენდოს ვაჟის ფიცს და არ უნდა დანებდეს. მტკიცედ უნდა დაიცვას თავისი სინდისი-ნამუსი, უმწიკლობა".

- კარგია, კარგი, ჩემო მეგობარო, - ასე იცოდა თქმა მან. სახელს არ მეტყოდა. როცა რესტორნიდან გამოვედით, მზე ზღვაში იძირებოდა და უკანასკნელი სხივებით წითლად ფერავდა ცის ლაყვარდსა და ზღვას...

რამდენიმე დღის შემდეგ შევხვდი როსტომს და ვკითხე, ჩემი წერილი თუ წააკითხე შენს ქალიშვილს - მეტქი.

- კი, მეგობარო, არამც თუ წააკითხა, არამედ პორტფელში ჩაიდო და წაიღო, მაგრამ მას აქვს თუ სხვას მისცა, არ ვიცი. ღამით, როცა დაიძინებს, ჩუმად ჩავიხედავ მის პორტფელში და ვნახოთ, - თქვა მან.

ამით დავასრულეთ ჩვენი საუბარი.

მერე მე საქართველოდან განვედი რამდენიმე თვით. რაღაცას ვეძებდი არქივში. მოსკოვიდან სანკტპეტერბურგში გადავინაცვ-



ლე. როცა ჩამოვედი, გავიგე, რომ გულნარას თავი მოუწამლია და მამისთვის ასეთი წერილი დაუტოვებია: “ჩემო ძვირფასო მამა, არ დამემღურო, უკეთ ვიყავი და არ დაგიჯერე. იმ ბიჭმა გამაბრუა. რაღაც დამალევენა თავისი ნათესავის სახლში და მე... როგორ ვთქვა... არა, აღარ ვარ ის, რაც ვიყავი. მერე როცა მივაძალე, ჯვარი დავიწვროთ - მეთქი, დამცინა: - შენისთანა ქალი ცოლად რად მინდა, განა შენ ჩემს ნებას უნდა დაჰყოლოდი? ქალიშვილმა შენი სინდის-ნამუსი შენვე უნდა დაიცვა, ვაჟი, ვაჟია თუ გაუვიდა, კარგი, თუ არადა წავა თავისი გზით. მე შენ ცოლად არ შეგიერთავო. ერთხანს ვიფიქრე, მეხუმრება, მაჯავრებს - მეთქი, მაგრამ დავრწმუნდი რომ სამუდამოდ მიმატოვა. მოკვლის ღირსი იყო, მაგრამ მე არ აღმომაჩნდა ისეთი ძალა, რომ ეს გამეხებოდა... და მე თავი მოვიწამლე. მშვიდობით მამა!”.

ახ, რა დღეში იქნება ახლა როსტომი, ახლავე უნდა ვინახულო, მაგრამ გული მღალატობს, გული მეღევეა... ანდა რა ვუთხარა, რა ნუგეში იმ უბედურს. თურმე, დაასაფლავა თუ არა შვილი, მის შემდეგ ღამითაც აღარ სძინავს, ქუჩა-ქუჩა დდის... ისიც მითხრეს, იმ ვაჟს ეძებს, რომ პირისპირ შეხვდეს. სულ პატარა დანა უღვევსო ჯიბეში. ესეც ეყოფა იმ არამზადსო. ვინ იცის, რით დამთავრდება ეს ტრაგედია მშობლისა...

1995 წელი.



## ბედი და-ძმისა

ტროლეიბუსი რესტორან “დარიალის” მახლობლად გაჩერდა. მგზავრები წინა კარებიდან ჩამოვიდნენ და სხვადასხვა მიმართულებით წავიდნენ. საშუალოზე მაღალი, ნაცრისფერ კოსტუმში შემოსილი, ახალგაზრდა კაცი აღმართს აჰყვამ, პიჯაკის ღილი შეიბნია, შავი საქალაქე მარჯვენა ხელში გადაიტანა, ოთხი საფეხური ჩაათავა და რესტორანში ჩავიდა. რესტორანში იდეალური სისუფთავე, სიმშვედე და საამო სუნი იდგა. ორი დიდი ჭალი კარგად ანათებდა იქაურობას. მაგიდეები თეთრი საფრებით იყო დაფარული. ბევრზე ცოცხალი ყვავილებით სავსე ლარნაკი იდგა, რამდენიმე მაგიდა თავისუფალი იყო, რამდენიმეს კი ვილაკები უსხდნენ და მადიანდ ილუკებოდნენ.

ლადომ ფანჯარასთან მდგარი მაგიდა აირჩია. მალე მასთან ოფიციანტი გამოცხადდა.

– გისმენთ, ბატონო!

– მზად რა გაქვთ?

– აი, ბატონო, მენიუ, რასაც ისურვებთ, ყველაფერი მზად გახლავთ. – იყო პასუხი.

ლადომ მენიუს თვალი ჩააყოლა და მელოტ მომტანს, რომელსაც მარცხენა მკლავზე თეთრი ტილო ჰქონდა გადადებული, უთხრა:

– მომიტანეთ, მჭადი, ყველი, ბივშტექსი და ორი ბოთლი ლიმონათი.

– ღვინოს არ მიირთმევთ?

– არა, მხოლოდ ლიმონათი.

ოფიციანტმა დაკვეთილი მალე მოიტანა და ლადომ კმაყოფილი დარჩა.

ამ დროს რესტორანში ჭაღარაშერეული, წვერმოშვებული, შავ კოსტუმში გამოწყობილი კაცი შემოვიდა, რომელსაც პიჯაკის შიგნით ყელგახსნილი შავი ხალათი ეცვა. იგი პირდაპირ ლადოს მაგიდას მიადგა.

– ბოდიში, ბატონო, შეიძლება თქვენთან ერთად დავჯდე და ვისადილო?

ლადომ უცნობს გაკვირვებით შეხედა და უთხრა: კი, მაგრამ

ამდენი თავისუფალი მაგდაა და სადაც გენებოს იქ დაბრძანდით.

- მართალი ბრძანდებით, მაგრამ უჩვეულო ზნე მჭირს, ჩემს გვერდით კაცი თუ არ ზის, ლუკმა არ გადამივა ყელში.

- კარგი, ბატონო, დაბრძანდით.

უცნობმა დაჯდომა ვერ მოასწრო, რომ ოფიციალტი აღიმართა მის გვერდით.

- ჰო, გეთაყვა, მომიტანეთ ჩახოხბილი, სულგუნი, მჭადი და ერთი ბოთლი რქაწითელი. - უთხრა ოფიციალტს უცნობმა, რომელსაც ოდნავ კეხიანი ცხვირი, შავი ღიდრონი თვალები, ასეთივე ფერის წარბები და ოდნავ ბოხი ხმა ჰქონდა.

- ახლა, ბატონო, ვიცნობდეთ ერთმანეთს, გერონტი კაკაბაძე გახლავარ, თქვენ კი პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი ლადო დოხნაძე ბრძანდებით, ხომ არ ვცდები?

- არა, ბატონო, მიუგო ლადომ და არ ესიამოვნა. ალბათ, რომელიმე აკადემიურად ჩამორჩენილი სტუდენტის მოგზავნილია, ნიშნის გამოსწორება უნდაო, გაიფიქრა ლადომ.

ოფიციალტმა გერონტი კაკაბაძის შეკვეთილი კერძი მაგიდაზე ჩამოდგა.

- ბატონო გერონტი, მე ინსტიტუტში ლექციებს ვკითხულობ ისეთ საგანში, რომელიც ინჟინერს ყოველი ფეხის გადადგმაზე სჭირდება, ამიტომ მინდა წინასწარ გაგაფრთხილოთ, თუ ვინმემ დადებითი ნიშნის დაწერის მიზნით შეგაწუხათ, არაფერი გამოვა, ვისადილოთ და კეთილი სურვილებით დავშორდეთ ერთმანეთს. ამის თქმა იმან გამაბედვინა, რომ თქვენ დაწვრილებით გცოდნიათ ჩემი ვინაობა, - უთხრა ლადომ.

- როგორ გეკადრებათ, არც ერთ მშობელს და სტუდენტს არ ვიცნობ, რაც შეეხება თქვენი ვინაობის ცოდნას, გეტყვით იმას, რომ მე თქვენზე გაცილებით მეტი ვიცი, ვიდრე თქვენ იცნობთ საკუთარ თავს, ამას ამ წუთში დაგიმტკიცებთ - თქვა გერონტომ, კოსტუმის მარცხენა ჯიბიდან პატარა სურათი ამოიღო და ლადოს წინ დაუდო.

ლადომ გაკვირვებით შეათვალიერა მოსაუბრე და სურათს დახედა.

- მამაკაცი, რომელსაც ბიჭუნა უზის მუხლებზე, მანუჩარ გიორგის ძე კელენჯერიძე და მამათქვენია. ქალი, რომელსაც გოგონა უზის კალთაში თამარ ნესტორის ასული შალიკაშვილი - დედათქვენია, ბიჭუნა თქვენ, ზურაბ კელენჯერიძე ხართ, ხოლო გოგონა ნათელა თქვენი და არის. მამათქვენი მდინარე ლენას ნაპირას შრომა-გასწორების ბანაკში ჩემს მკლავზე გარ-

დაიცვალა, დაპატიმრებამდე იგი ბორჯომის რაიონის სატყეო მეურნეობის მთავარი ინჟინერი ყოფილა, დედამთქვენი ბორჯომის საშუალო სკოლის ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებელი. ისიც, ალბათ, ავადსახსენებელ ოცდაჩვიდმეტი წლის რეპრესიებს შეეწირა. მართალია, მეუღლის ბედი არც ცხონებულმა მამაშენმა იცოდა, მაგრამ ქალბატონი თამარი, ვფიქრობ, ცოცხალი აღარ იქნება. ეს სურათი ორი თვის ძებნის შემდეგ აღმოვაჩინე, წალვერში სახლიც გქონიათ. ასე, ჩემო ბატონო, მე მანუჩარისათვის მიცემული დაპირება შევასრულე, სხვას ვერაფერს გეტყვი, იცოდეთ, თქვენთან ჩემი ნამდვილი სახელითა და გვართ არ მოვსულვარ, ძებნა არ დამიწყო, თბილისიდან შორს ვცხოვრობ, ერთ საათში ქალაქში არ ვიქნები, თუ ცოცხლი დავრჩი, გესტუმრები მაშინ, როცა თქვენი ბინის კარებზე კელენჯერიძის გვარს წავიკითხავ, — უთხრა გერონტიმ ლადოს და ოფიციალტი იხმო.

— კარგი, ბატონო, ნუ შემარცხვინე!

— რაკი ასეა, იყოს თქვენს ნებაზე, ნახვამდის — თქვა წვეროსანმა, წამოდგა და ჩქარი ნაბიჯით რესტორნიდან გავიდა.

რუსთაველის გამზირზე ისე მიდიოდა, ვერავის ამჩნევდა, პირველი სკოლის პირდაპირ აღმართი აიარა, ილიასა და აკაკის ძეგლთან ძელსკამზე ჩამოჯდა, ჯიბიდან სურათი ამოიღო, დააცქერდა, აკოცა, თვალებიდან ცრემლი მოიწმინდა და სურათი უბის ჯიბეში შეინახა.

— ვაიმე, ჩემო მშობლებო, რა უბედურები გაჩენილხართ ქვეყანაზე, ზურაბ კელენჯერიძე და ნათელა კელენჯერიძე, აი, ვინ ვყოფილვართ, დაო ნათელა, ვინ იცის, სადა ხარ, რა ბედის გაჩენილხარ ამ ქვეყანაზე. მაინც ვინ იყო ეს კაცი, “ძებნა არ დამიწყო, თბილისიდან შორს ვცხოვრობო”. არა, ასე უქმად ყოფნა არ მარგებს, რაღაც უნდა ვიღონო, — გაიფიქრა და წამოდგა, გამზირზე ჩავიდა, ტაქსი შეაჩერა და სახლში მისვლა გადაწყვიტა. მარჯანიშვილის ქუჩაზე ცხოვრობდა. ბინაში რომ შევიდა, ბავშვები კარებში შეეგებნენ, იცოდნენ, რომ მამიკო შოკოლადს მოუტანდა, — მადლენა, შვილო, ლადო მშვიერი იქნება, სადილი გაუმზადე, — უთხრა დედამთილმა რძალს.

— არა, მადლენა, სადილი არ მინდა, ბავშვებს ჰაერზე თუ გაიყვან, კარგს იზამ, — უთხრა ცოლს ლადომ, თავის სამუშაო ოთახში შევიდა, მაგიდას მიუჯდა და ფიქრებს მიეცა.

მადლენამ შეამჩნია ქმარს მოწყენილობა, მაგრამ არ გაკვირვებია, რადგან ასეთი შემთხვევა პირველი არ იყო. ლადო დაუმსახურებელ ნიშანს არ დაწერდა და თავაშვებულ სტუდენტთან უსიამოვნება მოსდიოდა.

მაღლენამ ბავშვები სასეირნოდ წაიყვანა. ლადომ დედა იხმო და უთხრა.

- დედა, უმორჩილესად გთხოვ, არაფერი დამიმალო, ყველაფერი გულახდილად მითხარი, საიდან გაგჩნდი მე თქვენს ოჯახში, იცოდე, მე გავიგე ჩემი ვინაობა.

გაოგნებული ნინო, რომელსაც თმა თოვლივით გათეთრებოდა, სახე დანაოჭებოდა და თვალები ჩანადვლებოდა, ოდნავ შებარბაცდა, იქვე სავარძელში ჩაიკეცა და თქვა:

- ნეტავი ვინ ჩემი ცოდვით სავსეს დასჭირდა შენთვის ამის თქმა.

- დედა, მე მჯერა შენი კარგი ქალობის და კეთილი გულის, თუ ყველაფერს მართალს მეტყვი, ამით კიდევ უფრო ამალღება ჩემში შენდამი სიყვარული და პატივისცემა.

- კარგი, შვილო, კორვალოლის წვეთები მომაწოდე და გეტყვი, რაც ვიცი.

ლადომ ნინოს წვეთები მიაწოდა.

- მამაშენი ლავრენტი რომ კეთილი და პატიოსანი კაცი იყო, ეს მეც კარგად ვიცი. გვინდოდა კაცად აგვეზარდე და ეს კიდევაც შევასრულეთ... ბედმა ისე დამხაგრა, რომ შვილი არ მეყოლა, ბავშვის შვილად აყვანა გვჭონდა გადაწყვეტილი, მაგრამ გვეშინოდა ამ საქმეში შეცდომა არ დაგვეშვა. ლავრენტი ძველი რკინიგზელი იყო, თბილისიდან ხაშურამდე რკინიგზის სადგურების სამეურნეო საქმიანობას კონტროლს უწევდა. ერთ დღეს ხაშურის უპატრონო ბავშვთა სახლიდან ჩამოვიყვანა, დაგარქვა მამამისის სახელი და შვილად გაგზარდეთ, მით ხომ არაფერი დაგვიშავებია?

- არა, მაღლობელი ვარ თქვენი, მაგრამ მე დაც მყოლია, ამის შესახებ ხომ არაფერი იცი?

- გეტყვი, შვილო, იქ, სადაც ახლა სპორტის სასახლეა, ბაზარი იყო. ერთ კვირა დღეს მე და ჩემი ქმარი პალტოს ნაჭრის საყიდლად იმ ბაზარში ვიყავით. იქ ჩვენ შეგვხვდა რკინიგზელი კაცი, რომელსაც გვერდით ახლდა შავგვრემანი ქალი, მას შავ თმაზე თეთრი ზოლი გასდევდა, უბის მარცხენა მხარეს შავი დიდი ხალი ჰქონდა. ლავრენტი მიესალმა მათ და "გოგო რას შვრებაო" ჰკითხა.

იზრდება, მესამე კლასშიაო, უპასუხა კაცმა. როცა დაგვშორდნენ, ქმარს ვკითხე, - ვინ იყვნენ ისინი-მეთქი?

- ჩვენი ბიჭის და მაგათ იშვილესო. - მითხრა მამაშენმა, მაგრამ ისე გამოვშორდი იქაურობას, მათი არც გვარი მიკითხავს და არც - სახელი. გავიდა ხანი, ლავრენტი ცოცხალი აღ-

არ იყო. ის ქალი კიდევ შემხვდა “ღებერთების” ბაზარში, მაგრამ არ მივესალმებოვარ. აი, ეს არის ყოველივე, რამაც შემიხვდა, შეცვლილი იქნება, მაგრამ მაინც ვიცნობ. მეტს ვერაფერს გეტყვი, შვილო!

– დიდი მადლობა, დედა – უთხრა ლადომ ნინოს, დაიხარა და შუბლზე აკოცა. შემდეგ პიჯაკი გადაიცვა, ბინიდან გავიდა. მახლობელ ფოტოგრაფს სურათი მიუტანა და ათი ცალის ასლის გადაღება დაუკვეთა, ქუჩაში დაეჯახა ვიღაცას, ბოდიში მოუხადა და სახლში დაბრუნდა.

– შვილო, მადლენა, მოწყენის მიზეზი არ ჰკითხო ლადოს – თვითონ გეტყვის ყველაფერს, – უთხრა დედამთილმა რძალს, ლოგინზე მიწოლილი მოხუცი რომ დაინახა, აღელვება დაეტყო.

– ვაიმე, რაშია საქმე, რა სჭირს, ჩემს ქმარს. – გაიფიქრა მადლენამ და ლადოს სამუშაო ოთახში ჩქარი ნაბიჯით შევიდა.

– ლადო, რაშია საქმე, რა დაგემართა, კაცო, ვიღაც ხომ არა ვარ, ცოლმა არ უნდა იცოდეს რა გაჭირვება გადგას?

– არაფერი, მადლენა, ხვალ შუადღეზე გეტყვი ყველაფერს. – უთხრა ლადომ ცოლს, თავზე ხელი გადაუსვა, ლამაზ ლოყაზე ხელი მოუთათუნა და ბავშვები მოიკითხა.

– დავაძინე უკვე, – მიუგო მადლენამ, ლადოსკენ შემობრუნდა და უთხრა: ვიცი, რა უსიამოვნება შეგხვდებოდა, სტუდენტთან ნიშნის დაწერის თაობაზე მოგივიდოდა წალაპარაკება.

– არა, აზრზე არა ხარ, სულ სხვა რამეა, ხვალ გეტყვი ყველაფერს...

– კი მაგრამ, ხვალამდე როგორ უნდა მოვისვენო? – უთხრა მადლენამ და თვალის უბეები ცრემლით ამოევსო.

ძალიან ლამაზი ქალი იყო მადლენა მეფარიშვილი; მაღალი, ტანადი, თეთრფეროვანი, ცისფერთვალემა, ზომიერი ცხვირი და ტუჩები, მაღალი ყელი, ჩაჭიკჭიკებული თეთრი კბილებით და როცა ლაპარაკობდა ნარნარა ხმას გამოსცემდა, უხდებოდა გაღიმება და, რაც მთავარია, შესანიშნავი პედიატრი გახლდათ. ასპირანტურაში სწავლის დროს მადლენა მეგობარმა გააცნო ლადოს, მადლენასაც მოეწონა ლადო, რომელსაც ოდნავ მოგრძო სახე, განიერი შუბლი, წაბლისფერი თმა, შავი თვალწარბი, სახის თეთრი კანი და ალერსიანი გამომეტყველება ჰქონდა. თვით ლადო იმით იყო კმაყოფილი, რომ მადლენა პედაგოგების ოჯახში იყო აღზრდილი. მის მშობლებს, რომლებიც იმ დროს პენსიონერები იყვნენ, ორი ქალიშვილი ჰყავდათ. მეორე შვილი ნატო, პროფესიით ფარმაცევტი, ისეთივე ლამაზი და

მიმზიდველი გახლდათ, როგორც მადლენა, ნატო სიძის ოჯახს წამლებს არ აკლებდა და ბავშვებს აღზრდაში დას დიდ დახმარებას უწევდა.

იმ საღამოს ლადომ მსუბუქად ივახშმა და დივანზე მიწვა. თითქოს სძინავდა, თვალები დახუჭული ჰქონდა. დაიმედებული ცოლი ჩუმად გაეცალა ქმრის საწოლს და ბავშვების საძინებელ ოთახში შევიდა.

მეორე დღეს მადლენამ თავისი პტარა ქალ-ვაჟი მშობლებთან წაიყვანა. ლადომ ინსტიტუტში ორსაათიანი ლექცია ჩაატარა, სახლში დაბრუნდა, ფოტოატელიედან სურათები გამოიტანა და ცოლის სამუშაოდან გამოსვლას დაელოდა.

- დედა, ჩვენ მალე მოვალთ, ხომ არაფერი გინდა? - ჰკითხა ლადომ ნინოს, როცა ცოლ-ქმარი წასასვლელად მოემზადნენ.

პლენანოვის გამზირზე პატარა სკვერთან ძელსკამზე ჩამოსხდნენ და ლადომ ყველაფერი უამბო მადლენას, სურათები ამოიღო და აჩვენა.

- ეს რა მითხარი, ლადო, შენ შემოგვევლოს ჩემი თავი, რა ვქნათ ახლა, როგორ მოვქებნოთ შენი და, კიდე კარგი, რომ რუსეთში არ არის წაყვანილი. - უთხრა მადლენამ ქმარს:

- დედაჩემმა იმ ოჯახის გვარი და სახელი არ იცის, თორემ შეიძლებოდა რაიმეს მიღწევა. ხვალ ბორჯომში მინდა წავიდე, დეკანს ვთხოვე და ლექციები იმ კვირაში გადამიტანა.

- მეც წამოვალ, მარტო ვერ გაგიშვებ.

- არა, შენ სახლში დარჩი, ნინოს მიხედე, მაგის სიცოცხლის შენარჩუნება ჩვენთვის მთავარია. - უთხრა ლადომ და სკამიდან წამოდგა ორივე.

თავისა და დის დაბადების მოწმობების აღებას ბორჯომის მმარის ბიუროში ლადომ ორი დღე მოანდომა. ნახა ის ადგილი, სადაც იდგა საშუალო სკოლა. ახლა იმის ადგილზე დასასვენებელი სახლის შენობა იყო აზიდული. იმავე დღეს გაიცნო ერთი მოხუცი ქალი, გვარად გელაშვილი, რომელმაც მოუთხრო მანუჩარის და თამარის საქმიანობის შესახებ. მესამე დღეს "კუკუშკა" მატარებლით წაღვერში წავიდა, მაგრამ ვისთვის რა ეკითხა, არ იცოდა. ხიდზე გავიდა. შუშაბანდიან საავადმყოფოს შენობას ჩაუარა, ძელსკამზე მოხუცი ქალი შეამჩნია, ბოდიში მოუხადა და ჰკითხა.

- დედა, აქაური ბრძანდებით?

- კი, შვილო, აქ დავიბადე, აქ დავქმარშვილდი და კიდეც დავბერდი.

- რა გვარი ბრძანდებით?

- ვასასი მურჯიკნელი გახლავარ, - იყო პასუხი.  
- დეიდა ხომ არ გავიგონია წალვერში ასეთი ცოლ-ქმარი, თამარ და მანუჩარ კელენჯერიძეები. თამარი შალიკაშვილის ქალი ყოფილა.

- როგორ არ გამიგონია, ვიცნობდი იმ უბედურებს, თქვენ რა ხართ მისი?

- არაფერი, შორეული ნათესავეები ყოფილან ჩვენი.

- წყეული დრო იყო, შვილო, იმისთანა კეთილი და ნასწავლი ადამიანები ახლა სად არის, თამარი და მანუჩარი რომ იყვნენ, აქვე გუჯარულას ნაპირას სახლი ედგათ, ქალ-ვაჟი ჰყავდათ, ბავშვები სად წაიყვანეს, ვინ იცის, სახლი აიღეს და რომელიღაც სოფელში ბავშვთა ბაგად დადგეს.

- სად იდგა სახლი, ხომ ვერ მეტყვი.

- აქვე, გვერდით, გუჯარულას ნაპირას, ახლა იმ ეზოში კერესელიძემ ააგო სახლი.

- უპ, ღმერთო ჩემო, ნეტავი რა დააშავეს იმ ღვთისნიერმა ადამიანებმა, იკითხა ვასასიმ და ღრმად ამოიხვნეშა.

ლადომ მურჯიკნელის ქალს მადლობა გადაუხადა, სადგურში გავიდა და იმდღესვე თბილისში გაემგზავრა.

ეს იყო დრო, როცა მოსკოვში, კრემლში, ხრუშჩოვის ადგილზე პირველი კაცის სავარძელში ბრეჟნევი იჯდა. უკანონოდ რეპრესირებულთა რეაბილიტაცია გრძელდებოდა. ლადომ საქართველოს უმაღლეს სასამართლოში ზურაბ კელენჯერიძის სახელით, მშობლების ბრალდების განხილვის თაობაზე განცხადება შეიტანა. პასუხის მისაღებად იგი ყოველ თხუთმეტ დღეში დადიოდა უმაღლეს სასამართლოში და რესპუბლიკის პროკურატურაში. ორთვენახევარი გავიდა, მაგრამ პასუხი არ ჩანდა. ამ ხნის განმავლობაში ლადომ ხელფასის დანაზოგით ავტომანქანა “მოსკვიჩი” შეიძინა და თბილისში მიმოსვლა აღარ უჭირდა.

ერთ ორშაბათ დღეს ლადომ კიდევ მიაკითხა სასამართლოში.

- მობრძანდით, მობრძანდით, ამხანაგო ზურაბ, დღეს შემიძლია დავაკმაყოფილო თქვენი თხოვნა. უმაღლესმა სასამართლომ განიხილა თქვენი მშობლების საქმე. სამწუხაროდ, ისინი ცოცხლები აღარ არიან, დასჯილი ყოფილან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით და სამეულის მიერ მისჯილი ჰქონდათ მამას ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა, დედას - ოთხი წლით. უმაღლესმა სასამართლომ მათი დაპატიმრება უკანონოდ ჩათვალა და ორივე რეაბილიტირებულია. გთხოვთ, მოაწეროთ ხელი და ჩაიბაროთ საბუთები



უთხრა სასამართლოს სპეცსაქმეების განყოფილების გამგემ ნარიმანიძემ.

ოპ, ჩემო უბედურო მშობლებო, რაზე აწერს თქვენი შვილი ხელს, - გაიფიქრა ლადომ და საბუთები ჩაიბარა. თემურ ნარიმანიძეს მადლობა უთხრა, იქვე სასამართლოს შენობაში ნოტარიუსში ხუთ-ხუთი ცალი ასლი გადაიღო და სახლში წავიდა.

ის შემოდგომა და ზამთარიც გავიდა. აპრილი ახალდაწყებული იყო, თბილისში მაინც სიცივე იგრძნობოდა. პარასკევი დღე გახლდათ, მძლენა თავის მისაღებ ოთახში ავადყოფ ბავშვებს იღებდა.

- შეიძლება, ექიმო, - იკითხა ქალმა, რომელმაც ოთახში პატარა ბიჭუნა შემოიყვანა. მძლენას მისკენ არც კი გაუხედავს, თავჩაღუნული რაღაცას წერდა. მერე კი თავი აიღო და ქალს მიაჩერდა. ქალს მოგრძო სახე, ჭადარაშერეული თმა და მარცხენა მხარეს თმის თეთრი ზოლი ემჩნეოდა. ნიკაპზე კი შავი ხალი აშკარად აჩნდა.

შეიძლება ეს ქალია, მაშინ ხომ გავახარებ ჩემს ქმარს. - გაიფიქრა მძლენამ და მოხუცს გვარი ჰკითხა.

- ჩემი თუ ბავშვის?
- რა თქმა უნდა ბავშვის - იყო ექიმის პასუხი.
- გურამ გიორგის ძე ფურცხვანიძე, ხუთი წლის.
- გახადეთ წელს ზევით.
- გაგვიცივდა, ექიმო, ახველებს, მეშინია ანთება არ ჰქონდეს.

მძლენამ გულდასმით გასინჯა ბავშვი და ქალს უთხრა - მართალია, გაცივებულია, მაგრამ წამლებს მიიღებს და გაუვლის, საშიში არაფერია, თქვენ რა გვარი ხართ?

მე გოგრიჭიანის ქალი ვარ, ქმარი ნამგალაძე იყო, ხუთი წელია რაც დავქვრივდი.

- რა მოხელე იყო თქვენი ქმარი?
- რკინიგზელი გახლდათ, ერთი ქალიშვილი მყავს, სიძეც ჩემთან ცხოვრობს.
- სდ ცხოვრობთ თქვენ, მისამართი არ ჩამიწერია...
- სანაპიროს ასოციატორში, რკინიგზის სახლებში, - იყო პასუხი.

- კარგი, ქალბატონო, უჩემოდ არ წახვდეთ, იმ მხარეს ავადყოფთან მივდივარ და ტაქსით წაგიყვანთ, - უთხრა მძლენამ ქალს, წამოდგა, განყოფილების გამგესთან შევიდა, იქედან მალე გამოვიდა, ხალათი გაიხადა, ქალს რეცეპტი მისცა და მასთან ერთად ქუჩაში გამოვიდა.

მალე ტაქსიც გამოჩნდა, ჩასხდნენ და სანაპიროს ქუჩისაკენ აიღეს გეზი.

- აი, ამ სახლში ვცხოვრობ, ექიმო, უთხრა ქალმა მადლენას. მანქანა შეჩერდა. მადლენამ კარგად შეათვალიერა სახლის გაცვითლებული კედლები.

- რომელ სართულზე ცხოვრობთ?

- მეორე სართულზე, მეხუთე ბინაში, დიდი მადლობა, შეგაწუხეთ, ექიმო, კარგად ბრძანდებოდეთ.

მადლენა მალე სამსახურში დაბრუნდა, ყურმილი აიღო და სახლში დარეკა.

- ლადო ხარ? მე ვარ, ახლავე ჩაჯექი მანქანაში და სამსახურში ჩემთან მოდი, სასწრაფო საქმე მაქვს.

- რაშია საქმე, ხომ მშვიდობაა?

- მასეთი რამ ნუ გაფიქრებს, ყველაფერი რიგზეა.

- კარგი, მოვდივარ.

ცოლ-ქმარმა ნინოს ყველაფერი უამბო, სამივენი მანქანაში ჩასხდნენ და სანაპიროს ქუჩას მიაშურეს.

ამასობაში ჩამობნელდა. ბინის კარები მამაკაცმა გააღო, გიორგი ფურცხვანიძემ მოსულებს გაკვირვებით შეხედა.

- ბოდიშს მოგიხდით, რომ შეგაწუხეთ, ჩვენ ვეძებთ ნამგალაძის ქვრივს, რომელმაც დღეს ჩემთან ავადმყოფი ბავშვი მოიყვანა.

- ახლავე, ქალბატონო, გეახლებათ ჩემი სიდედრი, მალე მეუღლეც მოვა, აქვე მალაზიაშია წასული. გვერდითი ოთახიდან ოლინკა გამოვიდა და ექიმს გაკვირვებით შეხედა.

- ის არის, შვილო, ჩუმად ჩაულაპარაკა ნინომ ლადოს.

- ქალბატონო, თქვენ რამდენიმე საათის უკან ჩემთან იყავით, ჩემმა დედამთილმა რაღაც უნდა გკითხოთ და გთხოვთ, გულდასმით მოუსმინოთ.

კარებზე ზარის ხმა გაისმა და ბინაში შემოვიდა მაღალი, სასიამოვნო შეხედულების, ცისფერთვალემა ქალი, რომელსაც ხელში პატარა ჩანთა ეჭირა. ლადოს მღელვარება დაეუფლა. თვალმოუშორებლივ მისჩერებოდა ქალს, მაგრამ თავს იმაგრებდა.

- ქალბატონო, არ ვიცი თქვენი სახელი და მამატიეთ.

- ოლინკა მქვია, ნამგალაძე იყო ჩემი ქმარი. - იყო პასუხი.

- გახსოვთ, ქალბატონო ოლინკა, ძალიან დიდი ხნის უკან. საბურთალოს ბაზარზე, მე და ჩემს ქმარს შეგვხვდით, ლავრენტიმ ჰკითხა თქვენს ქმარს, ვოგო რას შვრებაო, თქვენმა ქმარმა უპასუხა "იზრდება, მესამე კლასშიაო", ხომ იყო ასე?

- კი, ბატონო, იყო ასეთი შემთხვევა.  
- ჰო და რომ დაუმორღოთ ერთმანეთს, ქმარს ვკითხე, იყენ  
იყო ის კაცი და ქალი-მეთქი. ქმარმა მიპასუხა, ჩვენი ბიჭის და  
მაგათ იშვილესო.

- კი მაგრამ, ვის დასჭირდა ახლა ეს ამბავი? - იკითხა ოლი-  
ნკამ და მოსულეებს მიაჩერდა.

- როგორ? - წამოიყვირა ქალმა და ჩანთა იატაკზე დაუვარ-  
და.

- ვის დასჭირდა და მე დამჭირდა, ქალბატონო, წამოიყვირა  
ლადომ - შენ ჩემი ღვიძლი და ხარ, შენ ნათელა გქვია, მე  
ზურაბი. აი, ჩვენი მშობლები, კელენჯერიძეები ვართ  
ბორჯომიდან, ჩვენი დედ-მამა ციმბირის ცივ მიწაში გან-  
ისვენებენ, მაგრამ დღეს ჩემთვის უბედნიერესი დღე გათენდა,  
ვიბოვე და, ჩემი სისხლი და ხორცი.

სიზმარში ხომ არა ვარ, სულ გაფითრდა ნათელა, მერე ნელ-  
ნელა მოვიდა გონს. ლადოს ხელი მოხვია და მკერდზე მიიკრა.

ტიროდა მადლენა, ტიროდა ნინო, ოლინკა კი გაშეშებული  
იღვა და ხმას ვეღარ იღებდა.

- კი მაგრამ, ეს ქსენო ვინ შემარქვა? - იკითხა ნათელამ,  
როცა ცოტა დაწყნარდა.

- ქსენო ჩემს დედამთილს ერქვა და ამიტომ დაგარქვეს. -  
იყო ოლინკას შეწუხებული პასუხი.

- აბა, ეხლა ყველანი ჩემს ოჯახში მივდივართ, დღეს სიხარ-  
ულისა და ბედნიერების ზეიმია ჩვენთვის, მალე სადოქტორო  
დისერტაციას ზურაბ კელენჯერიძის გვართ დავიცავ! - თქვა  
ლადომ და კარის ზღურბლს გადმოაბიჯა.



## თარგმანი

გაბრიელ გარსია მარკანი

### შენი სისხლის კვალი თოვლზე

დაბინდებისას, როცა საზღვრს მიაღწიეს, ნენა დაკონტემ აღმოაჩინა, რომ არათითიდან, რომელზეც საქორწინო ბეჭედი ეკეთა, ისევ მოსდიოდა სისხლი. მესაზღვრემ, რომელსაც პრიალა ტყავის სამკუთხა ქუდზე უხეში შალის მოსასხამი შემოეცვა და ძლივს უმკლავდებოდა პირინეებიდან მოვარდნილ ქარს, ყურადღებით დაათვალიერა პასპორტები კარბიდის სანათურის შუქზე. ორივე დიპლომატური პასპორტი წესრიგში იყო, მაგრამ მესაზღვრემ მაინც მიანათა სანათური მგზავრებს, რათა მათი სახეები ფოტოებისათვის შეედარებინა. ნენა დაკონტე თითქმის ბავშვი იყო, ბედნიერი ჩიტის თვალებითა და ბადაგისფერი კანით, რომელიც იანვრის მოქუფრულ ღამეშიც კი კარიბის სიმზურვალეს ასხივებდა. იგი თავიდან ფეხებამდე წაულას ბეწვის ქურქში იყო გახვეული, რომლის მსგავსსაც მესაზღვრე თავის მთელი წლის ხელფასითაც ვერ შეიძენდა. მანქანას მისი მეუღლე ბილი სანჩეს დე ავილა მართავდა. გოგონაზე ერთი წლით უმცროსსა და თითქმის მასავით ლამაზს შოტლანდიური, კუბოკრული ქურთუკი და ბეისბოლის ქუდი ეხურა. ცოლისაგან განსხვავებით მაღალი და ათლეტური აღნაგობისა იყო და მორცხვი მკვლელის რკინისებრი ყბები ჰქონდა. მათ სოციალურ მდგომარეობაზე ყველაზე უკეთ პლატინისფერი ავტომანქანა მეტყველებდა, რომლის სალონშიც ცოცხალი მხეცის სუნი ტრიალებდა და რომლის მსგავსი ამ ღარიბთა საზღვარზე არაფერი ენახათ. უკანა სკამზე ახალი ჩემოდნები და ჯერაც გაუხსნელი საჩუქრების კოლოფები იყო დახვავებული. იქვე მოეთავსებინათ საქსაფონი, რასაც ნენა დაკონტე თავის ყველაზე დიდ გატაცებად თვლიდა, სანამ პლაჟის ბანდის მეთაურის სიყვარული მოედებოდა.

როცა მესაზღვრემ ბეჭდებჩარტყმული პასპორტები დაუბრუნა, ბილი სანჩესმა ჰკითხა, სად იყო უახლოესი აფთიაქი, რათა მისი ცოლის თითისთვის მიეხედათ და მესაზღვრემ ყვირილით აუხსნა პირქარში, რომ საფრანგეთის მხარეს,



ენლიაში ეკითხათ, მაგრამ ენდიას მესაზღვრეები პერანგისამარა, ისხდნენ კარგად ჩამთბარ და განათებულ ჯიხურში, კარტსხეთში. მაშობდნენ და ღვინოში ჩამბალ პურს მიირთმევდნენ. ძვირფასი მანქანის დანახვისთანავე ხელის აქნევით დართეს მგზავრებს საფრანგეთში შესვლის ნება. ბილმა რამდენჯერმე დაასიგნალა, მაგრამ მესაზღვრეებმა ჯერ ყურიც არ შეიბერტყეს, შემდეგ კი ერთმა მათგანმა ფანჯარა გააღო და ქარზე გაცხარებით დაუყვირა:

**Mepdie! Allez - vous- en!**

მაშინ ყურებამდე პალტოში გახვეული ღეკონტე მანქანიდან გადავიდა და მესაზღვრეს წმინდა ფრანგულ ენაზე ჰკითხა, სად მდებარეობდა აფთიაქი. პურით პირგამოტენილმა მესაზღვრემ ჩვეული უხეშობით უპასუხა, რომ ეს მისი საქმე არ იყო, მით უმეტეს ასეთ მეორედ მოსვლაში და ფანჯარა მიუჯახუნა. მაგრამ შემდეგ ყურადღებით შეათვალიერა საყელოზე წაულას ბეწვშემოვლებული გოგო, რომელიც გაჭრილ თითს წუწნიდა და ალბათ ჯადოსნურ გამოცხადებად ჩათვალა, რადგან მაშინვე შეიცვალა კილო. აუხსნა, რომ უახლოესი ქალაქი ბიარიცი იყო, მაგრამ ამ შუა ზამთარში და თანაც ასეთ ქარიშხალში, ღია აფთიაქს მხოლოდ ბაიონაში თუ მიაგნებდნენ, რომელიც უფრო მოშორებით მდებარეობდა.

- რაიმე სერიოზულია? - იკითხა.

- არაფერი, - უპასუხა ნენა დაკონტემ და ვარდის ეკლით გაჩხაპნილი თითი აჩვენა, რომელზეც საქორწინო ბრილიანტის ბეჭედი უბრწყინავდა, - ნაჩხვლეტია.

ბაიონში ჩასვლამდე თოვლი წამოვიდა. შვიდ საათზე მეტი არ იქნებოდა, მაგრამ ქარის შიშით სახლების კარ-ფანჯარები მაგრად დაეგმანათ. აფთიაქის ძებნაში უშედეგო ტრიალის შემდეგ, გზის გაგრძელება ამჯობინეს, რამაც საოცრად გაახარა ბილი სანჩესი. მას თავდავიწყებით უყვარდა უცხო ავტომანქანები, ამასთან ჰყავდა მამა, რომელსაც სინდისი ქენჯნდა და საკმაო შეძლება ჰქონდა რომ შვილისათვის ესიამოვნებინა, მაგრამ ბილს არასოდეს ჰქონია ასეთი ბენტლი, როგორც ქორწილში აჩუქეს მშობლებმა. ბიჭს ისე მოსწონდა საჭესთან ჯდომა, რომ რას მეტს მართვდა, მით ნაკლებად გრძნობდა დაღლას. სურდა იმავე ღამესვე ჩაეღწია ბურღოროსში, სადაც სასტუმრო "სპლინდიდში" ჰქონდა დაჯავშნული აპარტამენტები და არანაირ ქარსა და თოვლს არ შეეძლო მისთვის ხელის შეშლა. სამაგიეროდ, ნენა დაკონტე დაქანცულიყო, განსაკუთრებით გზის ბოლო მონაკვეთზე, მადრიდიდან გამოსვლის შემდეგ, სეტყვით დაჩეჩქვილ გზატკეცილზე ჯაყჯაყით.

ამიტომ ბაიონას რომ გაცდნენ, სისხლდენის შესაჩერებლად თითი ცხვირსახოცით შეიხვია და ღრმად დაიძინა. ბილი-სანჩესმა ეს ამბავი მხოლოდ ნაშუალამევს შეამჩნია, როცა თოვა შეწყდა. ფიჭვებს შორის უცებ მოისხიპა ქარი და ცარიელი ცა გაყინული ვარსკვლავებით მოიჭედა. ბურეოსსაც გაცდა და მხოლოდ ბენზინის ჩასასხმელად შეჩერდა გზატკეცილზე, რადგან სულ არ გრძნობდა დაღლილობას და პარიზამდე შეუსვენებლად აპირებდა ჩასვლას. ისე ბედნიერი იყო, თავის 25 000 გირვანქა სტერლინგის ღირებულების სათამაშოთი, რომ არც დაინტერესებულა იგივეს გრძნობდა თუ არა მის გვერდზე ჩაძინებული, სისხლში დამბალი ცხვირსახოციით თითშეხვეული ქმნილება, რომლის ახალგაზრდულ სიზმრებს პირველად შეპარვოდა ეჭვები.

იგი სამი დღის წინ გათხოვდა საფრანგეთიდან ათი ათასი კილომეტრის დაშორებით კარტახენა დე ინდიასში ბიჭის მშობლების გასაოცრად, საკუთარი დედ-მამის გულდასაწყვეტად და ეპისკოპოსის ლოცვა-კურთხევით. მათ გარდა არავის ესმოდა საიდან წარმოიქმნა, ან რას ეფუძნებოდა ეს მოულოდნელი სიყვარული. ყველაფერი ქორწილამდე სამი თვით ადრე დაიწყო, როცა ბილი სანჩესის ბანდამ შტურმით აიღო მარბელიას სან-კორიუმების ქალთა გასახდელი. ნენა დაკონტეს ის იყო 18 წელი შეუსრულდა და ახალი დაბრუნებული იყო შვეიცარიიდან, სადაც სენტ ბლეზის ინტერნატში სწავლობდა. იქ ოთხ ენაზე უაქცენტოდ ლაპარაკობდა და საქსაფონზე დაკვრა ისწავლა. იმ დღეს, შინ დაბრუნების შემდეგ, პირველად გავიდა ზღვაზე. ის დედიშობილა იდგა კაბინში და საბანაო კოსტიუმის ჩაცმას აპირებდა, როცა ქალების შეშინებული წივილ-კივილი და თავდამსხმელთა ყიჟინი შემოესმა, მაგრამ ვერ მიხვდა, რა ხდებოდა, სანამ მისი კაბინის საკეტი ნამსხვრევებად არ იქცა და გოგოს წინაშე მსოფლიოში ყველაზე ლამაზი ბანდიტი აღიმართა.

ბიჭს მხოლოდ ყალბი ლეოპარტის ტყავის ვიწრო საბანო ტრუსი ეცვა და მეზღვაურით მოქნილი, ოქროსფერი კანი ჰქონდა. მარჯვენა მაჯაზე რომაელი გლადიატორის ლითონის სამაჯური ეკეთა. ხელში მომაკვდინებელი იარაღი - რკინის ჯაჭვი ეჭირა, ყველაზე დიდი მედალიონი ეკიდა წმინდანის გამოსახულების გარეშე, რომელიც გულის ცემას აყოლილი ტოკავდა. ისინი ერთად სწავლობდნენ დაწყებით სკოლაში და დაბადების დღეებზე კანფეტებით სავსე არა ერთი ბუშტი გაუხეთქავთ, რადგან ორივე პროვინციის იმ ოჯახს ეკუთვნოდა, კოლონიური



ეპოქიდან რომ განაგებდნენ ქალის ბედს, მაგრამ იმდენი ხნის უნახავები იყვნენ, რომ ერთი შეხედვით ვერ იცნეს ერთმანეთი. ნენა დაკონტე ფეხზე დარჩა გაუნძრევლად და არაფერი უღონია სიშიშვლის დასაფარავად. ბილი სანჩესმა ბავშვური ფანდი იხმარა - ლეოპარდისფერი ტრუსი ჩაიხადა და გოგოს აქოჩრილი ცხოველი დაანახა. ნენა დაკონტემ უშიშრად გაუსწორა თვალი.

- ამაზე დიდები და მაგრები მინახავს, თქვა და შიშს სძლია, - ასე რომ კარგად დაუფიქრდი, რის გაკეთებას აპირებ, რადგან ჩემთან განსაკუთრებით უნდა მოიქცე.

სინამდვილეში, ნენა დაკონტე არა მარტო ქალწული იყო, იქამდე საერთოდ არ ენახა შიშველი კაცი. მაგრამ ბილის სანჩესი ანკესზე წამოეგო, მხოლოდ ის მოახერხა, კელისათვის ეთხლიშა ჯაჭვშემოხვეული მუშტი და დაიმტვრია კიდეც ხელები. გოგომ საკუთარი მანქანით წაიყვანა საავადმყოფოში, გამოჯანმრთელებამდე გვერდში ედგა და ბოლოს ერთად დაეუფლნენ სიყვარულის ხელოვნებას. ივნისის მძიმე საღამოებს იმ სახლის შიგა ტერასაზე ატარებდნენ, სადც ნენა დაკონტეს წინაპართა ექვსი თაობა აღესრულა. გოგო მოღურ სიმღერებს უკრავდა საქსაფონზე, ბიჭი კი თაბაშირში ჩასმული თითებით, ჰამაკიდან უყურებდა უსაშველოდ გაოგნებული. სახლის ვეება ფანჯრები ყურეს დამყაყებულ წყლებს გადასცქეროდა, თვით სახლი ლა მანგას უბანში ყველაზე ძველი, ყველაზე დიდი და ამავე დროს ყველაზე უშნო გახლდათ. სამაგიეროდ, თიხის ფილებით ჭადრაკულად მოფილაქნებული ტერასა, სადაც ნენა დაკონტე შუადღის ოთხი საათის გაუსაძლის ხვატს საქსაფონით უმკლავდებოდა, მანგოს ხეებითა და წვრილი ბანანის ფუჩქებით დაჩრდილულ პატიოში გადიოდა. ხეების ჩრდილში უსახლო საფლავის ქვა იდო, მაგრამ სახლის პირველმა მკვიდრებმაც არ იცოდნენ, ვინ განისვენებდა მათ ეზოში, რადგან უცნობი სახლის აშენებამდე კარგა ხნით ადრე დაეკრძალათ. მუსიკაში ყველაზე გარკვეულ ახლობლებსაც კი საქსაფონის ხმა ანაქრონიზმად მიაჩნდათ ასეთ დიდებულ გვარიშვილთა სახლში. "გემის საყვირის ხმას ჰგავსო", გამოაცხადა ბებია, როცა პირველად გაიგო ინსტრუმენტის ხმა, დედამ კი ამაოდ სცადა დაერწმუნებინა გოგო შესრულების სხვა მანერა შეერჩია და ისე არ დაეკრა, როგორც მას ეხერხებოდა, ანუ ბარძაყამდე აკრეფილი კაბის კალთებით, გადაშლილი მუხლებითა და ისეთი გრძნობით, რაც მისი აზრით სულაც არ იყო არსებითი მუსიკაში. "ჩემთვის სულერთია რა ინსტრუმენტზე უკრავ". ეუბნებოდა ხშირად, "ოღონდ შეტყუპებული ფეხით დაუკარი", მაგრამ სწორედ გემ-

ის საყვირის ამ ნაღვლიან ხმაში ხორცშესხმული სიყვარულით მოახერხა ნენა დაკონტემ ბილი სანჩესის გულის დაპყრობა. ორი უცნობილესი გვარის ჩამომავალი ბილი სანჩესის პირუტყვის რეპუტაციის მიღმა ნენა დაკონტემ შეშინებული და ნაზი ობოლი აღმოაჩინა. სანამ ბიჭს ძვლები უმრთელდებოდა, ისე საფუძვლიანად გაიცნეს ერთმანეთი, რომ თვითონ ბილიც კი გაოცდა, რა იოლად მიეცნენ სიყვარულს ერთ წვიმიან საღამოს, როცა სახლში მარტოდ დარჩენილმა ნენა დაკონტემ ბიჭი თავის ქალწულის საწოლში წაიყვანა. თითქმის ორი კვირის მანძილზე, ყოველდღე, ერთსა და იმავე დროს, ნებას აყოლილები იწაფებოდნენ ხოლმე სიყვარულში სამხედრო ბაბუებისა და დაუცხრომელი ბებიების პორტრეტების ქვეშ, რომლებიც დიდი ხნის წინათ ნებივრობდნენ ამ ისტორიული საწოლის სამოთხეში. სიყვარულთა შორის შესვენების დროსაც შიშვლები იწვნენ, ღია ფანჯრიდან მონაბერი ნავსადგურის გემის ნარჩენებისა და ნეხვრის სუნს ისუნთქავდნენ და საქსაფონის სიჩუმეში პატიოს ყოველდღიურ ხმებს, ბანანის ბუჩქებს ქვეშ ვომპემოს ერთფეროვან ყიყინს, უსახელო საფლავის ქვაზე წყლის წვეთების წკაპუნსა და ცხოვრების სხვა, ბუნებრივ ჩქამებს ისმენდნენ, რომელთა მისაყურადებლად დრო აღარ რჩებოდათ.

როცა ნენა დაკონტეს მშობლები სახლში დაბრუნდნენ, ისინი ისე გაწაფულიყვნენ სიყვარულის ხელობაში, რომ სხვა აღარაფერი აინტერესებდათ და ნებისმიერ საათსა და ნებისმიერ ადგილას ამ საქმიანობით იყვნენ დაკავებულები. ამათვან, ყოველ ჯერზე რაღაც ახალს იგონებდნენ. თავიდან ბილი სანჩესის სპორტულ ავტომობილებში იკმაყოფილებდნენ სურვილს, რომლებსაც მამამისი სინდისის დასამშვიდებლად ყიდულობდა ბიჭისათვის. შემდეგ, როცა მანქანის ყველა შესაძლებლობა ამოწურეს, ღამ-ღამობით, მარბელიას მიტოვებულ სახლებს აფარებდნენ თავს, სადაც ბედმა პირველად შეახვედრა ერთმანეთს. ერთხელ კი, ნოემბრის კარნავალზე გადაცემულები მონათა ძველ ხესტემანის უბნის რომელიღაც გასაქირავებელ ოთახში შეიჭრნენ, სადაც რამდენიმე თვის წინ ბილი სანჩესი დაძწოდა ჯაჭვებით შეიარაღებული თავისი ბანდის წევრებთან ერთად. ნენა დაკონტე ისეთივე აზარტით ჩაება გიჟურ სიყვარულში, რასაც ადრე საქსაფონს ახარჯავდა, სანამ მოთვინიერებული ბანდიტი არ მიხვდა, რას გულისხმობდა გოგო, როცა გამოუცხადა, ჩემთან განსაკუთრებულად უნდა მოიქცეო. ბილი სანჩესი ყოველთვის და ყველაფერში უბამდა მხარს ნენა დაკონტეს, თა-



ნაც იგივე შემართებით. ქორწილის შემდეგ, როცა სტიუარდესები ატლანტიკის თავზე თვლემდნენ, ისინი ვიწროდ მოუხერხებელ ტუალეტში ჩაიკეტნენ და სიამოვნებაზე მეტად სიცილით გათნგულებმა შეასრულეს რიტუალი. ჯვრისწერიდან 24 საათის შემდეგ, მხოლოდ მათ იცოდნენ, რომ ნენა დაკონტეორი თვის ფეხმძიმე იყო.

ასე რომ, მადრიდში ჩასულები სულაც არ გრძნობდნენ თავს ახალბედა, დაუკმაყოფილებელ შეყვარებულებად, თუმცა კი იქცეოდნენ ასე. მშობლებს ყველაფერი გაეთვალისწინებინათ. თვითმფრინავიდან ჩამოსვლის წინ, პირველი კლასის სალონში საელჩოს წარმომადგენელი ეახლათ, რომელმაც ნენა დაკონტეს წაუღას თეთრი, მბზინავი შავი კანტებით გაწყობილი ქურჩი მიაართვა, რომელიც ორივეს მშობლების საჩუქარი აღმოჩნდა, ბილი სანჩესს კი მოდაში ახლადშემოსული ცხვრის ტყავის ქურთუკი და მანქანის გასაღები გადასცა, თვითონ მანქანა აეროპორტში იდგა. მათი ქვეყნის დიპლომატიურმა კორპუსმა დარბაზში ოფიციალური მიღება მოუწყო მათ. ელჩი და მისი მეუღლე ორივე ოჯახის დიდი ხნის მეგობრები იყვნენ. ელჩი კი როგორც საუკეთესო ექიმი, თავის დროზე ნენა დაკონტეს დაბადებას დასწრებოდა. სწორედ მან გადასცა გოგოს ცინცხალი ვარდები, რომელთა ფოთლებზე შერჩენილი ცვარიც კი ხელოვნურს ჰგავდა. ნენა დაკონტემ ორივე უხერხულად გადააკონა, რადგან ჯერაც ვერ შეგუებოდა ახლადდაქორწინებულისთვის ცოტა არ იყოს ნაადრევ მდგომარეობას და ვარდების თაიგული ჩამოართვა კაცს. სწორედ მაშინ გაეკაწრა თითი ეკლით, მაგრამ სცადა ინციდენტი ხუმრობაში გაეტარებინა.

- განგებ გავაკეთე, - გამოაცხადა, - ჩემი ბეჭედი რომ შეგემჩნიათ.

მართლაც მთელმა დიპლომატიურმა მისიამ აღფრთოვანებით დაათვალიერა ბეჭედი, რომლის ღირებულება, იმდენად ბრილიანტების სიდიდით არ განისაზღვრებოდა, რამდენადაც სიძველით, მაგრამ ვერავინ შეამჩნია თითიდან გამოყოფილი სისხლი, რადგან დამსწრეთა ყურადღება ახლა მანქანას მიეპყრო. ელჩმა მართლაც ძალიან მოინდომა და აეროპორტში მოყვანილი მანქანა ცელოფანის პარკსა და სასაჩუქრე ოქროსფერ ლენტში გაახვევინა, მაგრამ ბილი სანჩესმა მისი მცდელობა არ დააფასა. ისე ეჩქარებოდ მანქანის ნახვა, რომ სულსმოუთქმელად ვახია პარკი და სუნთქვა შეეკრა. მის წინ იმ წელიწადს გამოშვებული ბენტელი იდგა, ნამდვილი ტყავა-

დაკრული სავარძლებით. ცა ფერფლისფერ მოსასხამს ჰგავდა, გვადარამადან მსუსხავი ქარი უბერავდა და ყინავდა, მაგრამ ბილი სანჩესი სიცივეს ვერ გრძნობდა. მან მთელი დღის მატყური მისია ღია ცის ქვეშ გააჩერა, სანამ მანქანის ყველა დეტალი გულდსმით არ შეისწავლა. შემდეგ ელჩი გვერდით მიუდგა, რათა ოფიციალური რეზიდენციის გზა ესწავლებინა, სადაც სადილი იყო გათვალისწინებული, გზაში ქალაქის ღირსშესანიშნაობები აჩვენა, მაგრამ ბილი სანჩესის ყურადღება მთლიანად ჯადოსნური მანქანისკენ იყო მიპყრობილი.

უცხოეთში პირველად იყო. თავის ქვეყანაში ყველა კერძო თუ საზოგადო კოლეჯი გამოეცვალა, სადაც მუდამ ერთსა და იმავე კურსზე რჩებოდა. უცხო ქალაქის ფერფლისფერი ბლოკები, დღისით ანთებული სინათლეები და შიშველი ხეები დაუცველობის გრძნობას უღვიძებდა, რის დაფარვასაც გულმოდგინედ ცდილობდა, თუმცა მალე გახალისდა, მოულოდნელად და უხმაუროდ იმ სეზონის პირველი თოვლი წამოვიდა და ელჩის სახლიდან რომ გამოდიოდნენ, რათა საფრანგეთისკენ აეღოთ გეზი, ქალაქი თეთრად გადაბარდნილი დახვდათ. ბილი სანჩესს მანქანა დაავიწყდა, სიხარულის ყიჟინა დასცა, თოვლი მუჭებით წაიყარა თავზე და პალტიიდან გაგორდა შუა ქუჩაში.

თოვა შეწყდა, საღამო კვლავ გამჭვირვალე გახდა და მადრიდს რომ გასცდნენ, ნენა დაკონტემ მაშინლა შეამჩნია თითიდან გამონაჟონი სისხლი. ცოტა არ იყოს, გაოცდა, რადგან ოფიციალური სადილის შემდეგ საქსაფონზე აკომპანიმენტს აყოლებდა ელჩის მეუღლეს, რომელიც თავის საყვარელ იტალიურ არიებს ასრულებდა და მაშინ სულ არ შეუწყუხებია არათითს. შემდეგ, სანამ ქმარს საზღვრისაკენ მიმავალ მოკლე გზებს უჩვენებდა, სისხლის დანახვაზე მექანიკურად წუწნიდა თითს და მხოლოდ პირინეებში მოუვიდა აზრად აფთიაქის მოძებნა. ცოტა ხანში უკანასკნელი დღეების მღელვარებგადატანილს ღრმად ჩაეძინა და ესიზმრა, თითქოს მანქანა წყალზე მიდიოდა. შეშინებულს გაეღვიძა და კარგა ხანი აღარ მოჰკონებია თითზე შემოხვეული ცხვირსახოცი. მანქანის განათებული საათი სამს უჩვენებდა. გოგომ გუნებაში გადაიანგარიშა და მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ ბურღეოსსაც გასცდნენ, ანგულემასაც, პოტიერსაც და ლორას ადიდებულ კაშხალს უახლოვდებოდნენ. მთვარის ნათება ნისლში იცრებოდა და ფიჭვებში გამოჩრილ ციხე-სიმაგრეთა აჩრდილები ზღაპრიდან გადმოტანილს ჰგავდა. ნენა დაკონტემ საკუთარი ხუთი თითივით იცოდა რეგიონი და გამოთვალა, რომ პარიზიდან სამი საათის სავალზე იყვნენ, ბილი სანჩესი კი მოულოდნელად მართავდა მანქანას.

- ველური ხარ, - უთხრა ქმარს, - თერთმეტი საათია საჭეს-  
თან ზიხარ და არაფერი გიჭამია.

ბილი სანჩესს კიდევ შემორჩენოდა მანქანის ხილვით გამო-  
წვეული ალტაცება.

თვითმფრინავში ცოტა და ცუდად ეძინა, მაგრამ გამოფხ-  
იზლებული იყო და საკმაო ენერგია შერჩენოდა, რათა  
გამთენიისას პარიზში ჩაეღწია.

- საელჩოს სადილი მყოფნის, - თქვა და სრულიად  
უადგილოდ დაამატა, - თანც კარტახენიდან ახლა კინოდან გამ-  
ოდის ხალხი, ათ საათზე მეტი არ იქნება.

ნენა დაკონტეს შეეშინდა, ქმარს საჭესთან არ ჩასძინებოდა,  
მადრიდში მიღებული უამრავი საჩუქრის კოლოფიდან ერთი ამ-  
ოარჩია, გახსნა და სცადა ბიჭისათვის ერთი ნაჭერი დაშაქრული  
ფორთოხალი ჩაედო პირში, მაგრამ მან უარი უთხრა.

- ვაუკაცები ტკბილულს არ ჭამენ! - გამოაცხადა.

ორღეანს რომ მიუახლოვდნენ, ნისლი გაიფანტა და  
ვევებერთელა მთვარემ დათოვლილი სასაფლაოები გაანათა, მაგ-  
რამ მოძრაობა გაჭირდა პარიზისკენ მიმავალი, ბოსტნეულითა  
და ღვინის ცისტერნებით დატვირთული საბარგო მანქანების გა-  
დამკედ. ნენა დაკონტეს სურდა შეეცვალა მეუღლე საჭესთან,  
მაგრამ ამ წინადადების შეთავაზებაც ვერ გაბედა, რადგან ბილი  
სანჩესმა პირველსავე პაემანზე გააფრთხილა, რომ მამაკაცისა-  
თვის საჭის გადაცემაზე დიდი დამცირება არ არსებობდა.  
ხუთსაათიანი ძილის შემდეგ, ნენა დაკონტე კარგად გამოფხ-  
იზლებულიყო და კმაყოფილიც კი ჩანდა, რომ პროვინციის სა-  
სტუმროში არ გაჩერდნენ, სადაც პატარაობისას, მშობლებთან  
ერთად მოგზაურობის დროს ისვენებდა ხოლმე. "აქ მსოფ-  
ლიოში საუკეთესო ბუნებაა", ამბობდა ხშირად, "მაგრამ  
წყურვილით რომ კვდებოდე, უფასოდ ჭიქა წყალსაც არავინ  
მოგაწვდის". ამით დაშინებულმა უკანასკნელ წუთს ხელჩან-  
თაში საპონი და ტუალეტის ქალაღი ჩადო, რადგან საფ-  
რანგეთის სასტუმროში არასოდეს იყო საპონი, უნიტაზთან კი  
კვადრატულად დაჭრილი, წინა კვირის გაზეთები ეკადა. გული  
მხოლოდ იმაზე წყდებოდა, რომ ერთი დამე უსიყვარულოდ გაა-  
ტარა, რაზეც ქმარმა დაუფიქრებლად უპასუხა:

- სწორედ ახლა ვფიქრობდი, თოვლში ხომ არ ვავგორდეთ-  
მეთქი. თუ გინდა აქვე.

ნენა დაკონტე სერიოზულად ჩაფიქრდა. გზატკეცილის გას-  
წვრივ, მთვარის შუქზე თოვლი ქათქათა და თბილი ჩანდა, მაგ-  
რამ პარიზის მისადგომებთან მოძრაობა გახშირდა და განათებ-

ული ფაბრიკები და მოტოციკლზე ამხედრებული მუშები გამოჩნდნენ. ზამთარი რომ არ ყოფილიყო, კარგა ხნის გათენებული იქნებოდა.

- სჯობს პარიზამდე მოვიცადოთ, - თქვა ნენა დაკონტემ, - სუფთა ქვეშაგებში და თბილ ლოგინში ჩავწვეთ, როგორც დაოჯახებულებს შეჰფერით.

- პირველი შემთხვევაა უარს რომ მეუბნები, - თქვა ბიჭმა.

- რა თქმა უნდა, - უბასუხა მან, - პირველი შემთხვევაა შენი ცოლი რომ ვარ.

გამთენიისას გზისპირა კაფეში შეჩერდნენ. მოშარდეს, ხელპირი დაიბანეს და დახლთან მიირთვეს ყავა და თბილი კრუასანები. იქვე სატვირთო მანქანის მძღოლები საუზმობდნენ შავი ღვინით. ტუალეტში ნენა დაკონტემ შეამჩნია, რომ პერანგი და ქვედაკაბა სისხლით დალაქოდა, მაგრამ გარეცხვა არ უცდია. დასვრილი ცხვირსახოცი ნაგავში მოისროლა, საქორწილო ბეჭედი მარცხენა ხელზე გაიკეთა და ჭრილობა გულდასმით მოიბანა წყლითა და საპნით. ნაკაწრი თითქმის არ ჩანდა, მაგრამ მანქანაში დაბრუნდნენ თუ არა, სისხლმა გამოჟონა. ნენა დაკონტემ ხელი ფანჯარაში გადაჰყო, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ნახნავებიდან მონაბერი გაყინული ჰაერი სისხლის ღენას შეუჩერებდა. არც ამან უშველა, მაგრამ არ აღელვებულა. "თუ ვინმეს ჩვენი მოძებნა მოუნდება, იოლად მოახერხებს". შემდეგ ნათქვამს დაუფიქრდა და სახე გაუნათდა.

- წარმოადგინე, - უთხრა ქმარს, - მადრიდთან პარიზამდე სისხლიანი კვალი, მშვენიერი სიტყვებია სიმღერისათვის.

ამ თემასზე მეტი აღარ უფიქრია. პარიზის გარეუბანში თითოდან წყალივით წამოვიდა სისხლი და იგრძნო, როგორ ეპარებოდა სული ჭრილობიდან. სცადა სისხლისღენა ჩანთაში შენახული ჰიგიენური ქალღლით შეეჩერებინა, მაგრამ გასისხლიანებული ნახვევების ფანჯრიდან გადაყრას ვერ აუვიდა. ტანსაცმელი, ქურქი და მანქანის სავარძელი ნელ-ნელა, მაგრამ მეთოდურად იუღინებოდა სისხლით. ბილი სანჩესი სერიოზულად შეშფოთდა და აფთიაქის მოძებნა გადაწყვიტა, მაგრამ ნენა დაკონტემ იცოდა, რომ აფთიაქში ვერაფრით დაეხმარებოდნენ.

- ახლა ორღენას ვუახლოვდებით, - თქვა, - პირდაპირ იარე, ყველაზე ფართო და ხეებით დაბურულ გენერალ ლეკლერკის პროსპექტს გაჰყვი, შემდეგ გეტყვი რა უნდა ქნა.

ეს გზა მთელი მოგზაურობის ყველაზე მძიმე მონაკვეთი აღმოჩნდა. გენერალ ლეკლერკის პროსპექტი მსუბუქი ავტომან-



ქანებით, მოტოციკლებით და ცენტრალური ბაზრისაკენ მიმავალი საბარგო მანქანებით ჩახერგილიყო. ბილი სანჩესი ისევ მერვეულდა მანქანების უაზრო სიგნალებით, რომ რამდენიმე მძღოლს მიწის მზომელივით შეუკურთხა და მანქანიდან გადასვლა ც კი დააპირა ერთი მათგანის გასალახად, მაგრამ ნენა დაკონტემ შესძლო დაერწმუნებინა, ფრანგები მსოფლიოში ყველაზე უხეში ხალხია, მაგრამ ჩხუბში არასოდეს ებმებიანო. ამ წუთებში ნენა დაკონტე უკანასკნელ ძალებს იკრებდა, რომ გული არ წასვლოდა. ლუი დე ბელფორის მოედნიდან გასაღწევად საათზე მეტი დასჭირდათ. კაფეები და მაღაზიები ისე იყო გაჩახჩახებული, თითქოს შუალამე ყოფილიყო, არადა პარიზული იანვრის ჩვეულებრივი და ნაღვლიანი, ჭუჭყიანი სამშაბათი დღე იდგა წებოვანი წვიმით, რომელიც თოვლში გადასვლას ლამობდა. სამაგიეროდ, დენფერ როშერიეს პროსპექტზე შედარებით ხალვათობა იყო. რამდენიმე კვარტლის შემდეგ ნენა დაკონტემ ქმარს მარჯვნივ შეახვევინა და მანქანა უზარმაზარი, პირქუში საავადმყოფოს წინ გაჩერდა.

ნენა დაკონტე მანქანიდან სხვების დახმარებით გადმოვიდა, მაგრამ არც სიმშვიდე დაუკარგავს, არც გონება. მორიგე ექიმის მოლოდინში გორგოლაჭებიან საკაცეზე დაწოლილმა ექთნის მიერ ვინაობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დასმულ ტრადიციულ შეკითხვებს უპასუხა. ბილი სანჩესს ცალხელში მისი ჩანთა ეჭირა, მეორეში კი გოგოს საქორწინო ბეჭდიანი, დასუსტებული და გაყინული მარცხენა ხელი ჩაებლუჯა. ნენა დაკონტეს ტუჩები გაფითრებოდა. ქმარს ხელი არ გაუშვა, სანამ მორიგე ექიმი არ მოვიდა და გაჭრილი არათითი შეუმოწმა. ექიმი ახალგაზრდა კაცი გამოდგა, სპილენძისფერი კანითა და მოპრიალელებული თავით. ნენა დაკონტემ მას ყურადღებაც არ მიაქცია და ქმარს გაუღიმა.

- ნუ გეშინია, - გაეხუმრა ჩვეულებისამებრ, - ეს კანიბალი არაფერს დამიშავებს. უარეს შემთხვევაში ხელს მომჭრის და შეჭამს.

ექიმმა გასინჯვა დაამთავრა და მათ გასაოცრად გამართული ესპანურით, თუმცა უცხოური აზიური აქცენტით უპასუხა:

- არა, ბიჭებო, - თქვა, - ამ კანიბალს ურჩევნია შიმშილით მოკვდეს, ვიდრე ასეთი მშვენიერი ხელი შეჭამოს.

ახალგაზრდები შეჩქვიფდნენ, მაგრამ ექიმმა მეგობრული შესტით დაამშვიდა და საკაცეს წაღება ბრძანა. ბილი სანჩესმა ცოლს ხელი არ გაუშვა და გაყოლა დააპირა, მაგრამ ექიმმა შეაჩერა.

- თქვენ არა, - უთხრა, - ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მიგვყავს.

ნენა დაკონტემ ქმარს გაუღიმა და ხელს მანამ უქნევდა, სანამ საკაცე დერეფნის ბოლოში არ გაუჩინარდა. ექიმი რამდენიმე წუთით შეყოვნდა და ექთნის მიერ შევსებულ ანკეტას ჩახედა. ბილი სანჩესმა დუძახა:

- ექიმო, ჩემი ცოლი ფენმძიმედაა.

- რამდენი ხანია?

- ორი თვე.

ექიმმა არად ჩააგდო, რომ ბილი სანჩესი იცდიდა. “კარგია, რომ გამაფრთხილებთ”, უთხრა და საკაცის კვალს გაჰყვა. ბილი სანჩესი ავადმყოფთა ოფლის სუნიტ გაჟღენთილ პირქუშ მოსაცდელში დარჩა. არ იცოდა რა ეკეთებინა და დერეფანს მიაშტერდა, რომლის ბოლოშიც ნენა დაკონტე გაუჩინარდა. შემდეგ ხის სკამზე ჩამოჯდა, სადაც რამდენიმე კაცი იცდიდა. ვერ მიხვდა, რამდენი ხანი დაჰყო იქ, მაგრამ საავადმყოფოდან რომ გამოვიდა, უკვე დაღამებულიყო და ისევ წვიმდა. სამყაროს სიმძიმით დათრგუნულმა ბილი სანჩესმა არ იცოდა რა მოეხერხებინა თავისთვის.

როგორც წლების შემდეგ შევამოწმე საავადმყოფოს არქივში, ნენა დაკონტე 7 იანვარს, სამშაბათს, დილის 9 საათსა და 30 წუთზე გაატარეს რეგისტრაციაში. ის დამე ბილი სანჩესმა საავადმყოფოს წინ გაჩერებულ მანქანაში გაატარა და დილაადრიან ექვსი მოხარული კვერცხით და ორი ჭიქა ყავით ისაუზმა უახლოეს კაფეში, რადგან მადრიდიდან გამოსვლის შემდეგ წესიერად არ ეჭამა. შემდეგ საავადმყოფოს მისაღებში შევიდა ნენა დაკონტეს სანახავად, მაგრამ მიახვედრეს, რომ ცენტრალური კარიდან შესულიყო. იქ, მოსამსახურე პერსონალში, ვიდაც ასტურიელი იპოვა, რომელმაც თარჯიმნობა გაუწია მეკარესთან. ამ უკანასკნელმა შეამოწმა, რომ ნენა დაკონტე მართლაც იყო რეგისტრირებული საავადმყოფოში, მაგრამ ავადმყოფთა მონახულება მხოლოდ სამშაბათობით, ცხრიდან თერთმეტ საათამდე შეიძლებოდა. ე.ი. ექვსი დღის შემდეგ. ბილი სანჩესმა ესპანურად მოლაპარაკე ექიმის მოძებნა განიზრახა, რომელიც მელოტ ზანგად დაუხასიათა იქაურებს, მაგრამ ამ ორმა ნიშანმა არავის არაფერი უთხრა.

იმით დამშვიდებული ბილი სანჩესი, რომ ნენა დაკონტე რეგისტრირებული იყო, მანქანასთან დაბრუნდა. იქ ინსპექტორი დახვდა, რომელმაც მანქანა ორი კვარტლის მოშორებით, ვიწრო ქუჩაზე გადააყენებინა კენტი ნომრების მხარეს. იქვე,

მოპირდაპირე ახლადრესტავრირებულ შენობაზე მიკრულ და-  
რაზე "ოტელ ნიკოლი" ეწერა.

სასტუმროს მხოლოდ ერთი ვარსკვლავი და ციციქნა მისაღები  
ოთახი ჰქონდა, სადაც ერთადერთი ტახტი და ძველი პიანინო  
ეტეოდა. სამაგიეროდ, მისი პატრონი თავისი ნაღვლიანი ხმით  
ნებისმიერ ენაზე აგებინებდა კლიენტებს, ოღონდ კი მათ გადას-  
ახდელი ფული ჰქონოდათ. ბილი სანჩესი თერთმეტი  
ჩემოდნითა და საჩუქრების ცხრა კოლოფით ერთადერთ თავის-  
უფალ ოთახში დაბინავდა, რომელიც მეცხრე სართულზე  
მოთავსებული სამკუთხა მანსარდი აღმოჩნდა. იქამდე მისაღწევ-  
ად სპირალივით დახვეული კიბე უნდა აევილო, სადაც მუდამ  
მოხარშული ყვავილოვანი კომბოსტოს სუნი იდგა. კედელზე  
ნაღვლიანი ფერებით მოხატული ხალიჩები ეკიდა და  
ერთადერთი ფანჯრიდან პატიოს უღიმღამო დღის სინათლე  
შემოდოდა. ოთახში ორადგილიანი საწოლი, კარადა, ერთი  
უბრალო სკამი, პორტატული ბადე და პირსაბანი იდგა დოქითა  
და ტაშტით; ასე რომ, იქ მხოლოდ დაწოლილი თუ მოთავ-  
სდებოდა კაცი. ყველა ნივთი ძველი და გავერანებული ჩანდა,  
მაგრამ მონდომებით იყო გაპრიალებული და წამლის სუნი  
უდიოდა.

ბილი სანჩესმა მთელი ცხოვრების მანძილზე ვერ ახსნა  
წუწურაქობით ნაკარნახევი იდუმალი მოვლენების არსი. მაგ-  
ალითად, ვერაფრით მიხვდა, როგორ ქრებოდა კიბეზე შუქი, სა-  
ნამ ის თავის სართულს მიადწევდა, ან როგორ უნდა აენთო  
ხელახლა, ნახევარი დილა დასჭირდა იმის აღმოსაჩენად, რომ  
ყოველი სართულის კიბის ბაქანზე ჯაჭვის საკეტიანი ტუალეტი  
ეპოვნა და ის იყო სიბნელეში მოსაქმება გადაწყვიტა, რომ  
შემთხვევით აღმოაჩინა, შუქი მაშინ ინთებოდა, როცა კარს  
შიგნიდან ჩაკეტავდი, რათა ვინმეს გულმავიწყობით ანთებული  
არ დაეტოვებინა. საშხაპე, სადაც ბილი სანჩესი დღეში ორჯერ  
დადიოდა, როგორც საკუთარ სახლში იყო მიჩვეული, დერეფნის  
ბოლოში მდებარეობდა. შხაპით სარგებლობისათვის ნაღდი  
ფული უნდა გადაგეხადა. ცხელ წყალს კი ადმინისტრატორი  
არეგულირებდა და გაშვებიდან სამ წუთში წყვეტდა. მაგრამ  
ბილი სანჩესს იმდენი კი ესმოდა, რომ თავისი ქვეყნის წეს-ჩვე-  
ულებებისაგან აგრერიგად განსხვავებული ყოფა ბევრად სჯობდა  
იანვარში ქუჩაში დარჩენას. გონებაარეული მხოლოდ იმას ვერ  
ხვდებოდა, როგორ ცხოვრობდა ოდესმე ნენა დაკონტეს მფარვ-  
ელობის გარეშე.

ოთხშაბათს, დილით, ოთახში ასვლისთანავე პალტოს გაუხდ-

ელად პირქვე დაემხო საწოლზე და სანამ ღრმა ძილი არ დაე-  
უფლა, იქვე ახლოს, საავადმყოფოში, სისხლგამდნარ გარკვეულ  
ფიქრობდა. როცა გაიღვიძა, საათის ისრები ხუთს უჩვენებდა,  
მაგრამ ვერ მიხვდა, საღამოს ხუთი საათი იყო, თუ გამთენიის,  
ან რა დღე იყო და წვიმითა და ქარით გაწუწულ რომელ ქალ-  
აქში იმყოფებოდა. საწოლიდან არ ამდგარა და კვლავ ნენა  
დაკონტეზე ფიქრობდა, სანამ არ დარწმუნდა, რომ თენდებოდა.  
მაშინ ნაცნობ კაფეში შევედა სასაუზმოდ და იქ დაადგინა, რომ  
ხუთშაბათი იყო. საავადმყოფოში შუქი ენთო და წვიმას გადა-  
ევლო, ამიტომ ბილი სანჩესი წაბლის ხეს მიეყრდნო მთავარი  
შესასვლელის წინ, სადაც თეთრხალათიანი ექიმები და ექთნები  
ტრიალებდნენ, იმ იმედით, რომ ის აზიელი ექიმი ენახა,  
რომელმაც ნენა დაკონტე გასინჯა. ამაოდ მოუწია ცდა, ხოლო  
ნასადილევს უარი თქვა განზრახვაზე, რადგან იგრძნო, იყინებო-  
და. შვიდ საათზე ისევ რძიანი ყავა დალია და ორი მოხარშული  
კვერცხი შეჭამა, რომლებიც თვითონ აიღო დახლდნენ. ბოლო  
48 საათი ერთსა და იგივე საჭმელს ჭამდა, ერთსა და იგივე  
ადგილას. სასტუმროში დაბრუნებულმა აღმოაჩინა, რომ  
ტროტუართან მხოლოდ მისი მანქანა იდგა, დანარჩენები მოპირ-  
დაპირე მხარეს გადაეყენებინათ, მის საქარე მინაში კი ჯარიმის  
ქვითარი გაერჭოთ. სასტუმრო “ნიკოლას” მეკარეს დიდი ძალ-  
ისხმევა დასჭირდა იმის ასახსნელად, რომ თვის კენტ დღეებში  
მანქანების გაჩერება ქუჩის კენტი ნომრის მხარეს იყო ნება-  
დართული, მეორე დღეს – კი პირიქით. ამდენი რაციონალური  
მცდელობანი გაუგებარი რჩებოდა სანჩეს დე ავილათა  
ნაშიერისთვის, რომელიც, სულ რაღაც ორიოდ წლის წინ,  
თავის უბნის კინოში ქალაქის თავისი სამსახურებრივი ავტო-  
მანქანით შეიჭრა და რამდენიმე გაოგნებული პოლიციელი გაი-  
ტანა. მით უფრო გაუგებარი ეჩვენა მეკარის რჩევა, ჯარიმა გა-  
დაეხადა, მაგრამ მანქანა ადგილიდან არ დაეძრა, რადგან ღამის  
12 საათზე უკან გადმოყენება მოუწევდა. იმ ღამეს, ძილგატეხ-  
ილი, პირველად არ ფიქრობდა ნენა დაკონტეზე. მოუსვენრად  
წრიალებდა საწოლში და კარიბის კარტახენაში, ბაზრის  
დუქნებში გატარებული კომმარული ღამეები ახსენდებოდა.  
იგონებდა ნავსადგურის შემწვარი თევზისა და ბრინჯის გემოს,  
სადაც არუბას შხუნები უშვებდნენ ღუზას. გაიხსენა თავისი სა-  
ხლის ღიღილოებით მოხატული კედლები, სადაც ახლა  
გუშინდელი საღამოს 7 საათი იქნებოდა და თვალწინ წარმ-  
ოულდა აბრეშუმის პიჟამაში გამოწყობილი, გრილ ტერასაზე  
გაზეთების საკითხავად ჩამომჯდარი მამამისი.



გაიხსენა დედა, რომელიც არავინ იცოდა, რომელ წუთს სად შეიძლებოდა ყოფილიყო. თავისი უსირცხვილო და მადისაღმძვრელი დედა, საკვირაო კაბითა და საღამოობით ყურსუჯან გაჩრილი ვარდით, ოფლად რომ იღვრებოდა ძვირფას სამოსში. ერთ საღამოს, როცა ბილი სანჩესი შვიდი წლის იყო, დედამისის ოთახში შევიდა გაუფრთხილებლად და ლოგინში შიშველს მიუსწრო, რომელიდაც საყვარელთან. იმ ინციდენტმა, რომელზეც ორივე გაუბრბოდა ლაპარაკს, ისინი თანამოაზრეებად აქცია. ეს გრძნობა კი სიყვარულზე ხელსაყრელი იყო. მაგრამ ბილი სანჩესმა მოგონებების ნაღველი და დედისერთა ბავშვის შემადრწუნებელი მარტობა მაშინ იგრძნო, როცა პარიზის ნაღვლიან მანსარდში ძილგატეხილს, გვერდით არავინ აღმოაჩნდა, თავისი უბედურება რომ გაეზიარებინა. ამასთან, საკუთარ თავზე ბრაზობდა, რადგან ძლივს იკავებდა თვალსმომდგარ ცრემლებს.

თეთრად გათენებულ ღამეს უქმად მაინც არ ჩაუვლია. პარასკევს, უძილობით გათანგულმა მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო, გარდაექმნა ცხოვრება. უპირველეს ყოვლისა უნდა გაეტეხა ჩემოდნის საკეტი და ტანსაცმელი გამოეცვალა, რადგან ყველა გასაღები, ფულის უმეტეს ნაწილსა და ტელეფონების წიგნაკთან ერთად, სადაც შეიძლებოდა რომელიმე პარიზელი ნაცნობის ნომერი ენახა, ნენა დაკონტეს ელო ჩანთაში. თავის კაფეში აღმოაჩინა, რომ ფრანგულად მისაღმება და ლორიანი სენდვიჩისა და რძიანი ყავის მოთხოვნა ესწავლა. იმასაც მიხვდა, რომ ვერასოდეს ამოთქვამდა ამ ენაზე კარაქისა და კვერცხის სახელებს, მაგრამ, მისდა საბედნიეროდ, კარაქს პურთან ერთად იძლეოდნენ, მოხარული კვერცხები კი დახლზე ეწყო. ამასთან, სამღიანი ნაცნობობის შემდეგ, კაფეს მოსამსახურე პერსონალი მას შინაურულად ექცეოდა და ლაპარაკში ეხმარებოდა. ასე რომ, პარასკევს, სადილობისას, აბნეული აზრების მოწესრიგებას რომ ცდილობდა, შემწვარი ხბოს ხორცი, კარტოფილი და ერთი ბოთლი ღვინოც კი შეუკვება. ამით გახალისებულმა, მეორე ბოთლიც მოითხოვა, ნახევრამდე დაცალა და ქუჩა გადაჭრა მტკიცე გადაწყვეტილებით ძალით შეჭრილიყო საავადმყოფოში.

არ იცოდა, სად მოექებნა ნენა დაკონტე, მაგრამ მხსნელად აზიელი ექიმი ეგულებოდა, რომელიც უექველად უნდა მოენახა. ამჯერად მთავარი შესასვლელის ნაცვლად სასწრაფო დახმარების მხრიდან შევიდა, რომელიც ნაკლებად დაცული მოეჩვენა, მაგრამ იმ ღერეფანს ვერ გასცდა, საიდანაც ნენა დაკონტე დაემ-

შვილობა ხელის დაქნევით. სისხლის შხეფებით დასვრილ ხალ-  
ათში გამოწყობილმა კარისკაცმა რაღაც ჰკითხა, მაგრამ ბილი  
სანჩესმა ყურადღება არ მიაქცია. კარისკაცი გაეკიდა, თან  
ერთსა და იგივე შეკითხვას უმეორებდა ფრანგულად, ბოლოს  
კი ისეთი ძალით ჩასჭიდა მკლავში ხელი, რომ ადგილზე გააშ-  
ეშა. ბილი სანჩესმა ჯავვოსანთა ბანდის წევრების ფანდით სცა-  
და მისი თავიდან მოშორება, მაგრამ მეკარემ ფრანგულად  
შეაგინა ღედა და მკლავი ამოუტრიალა. ტკივილით გამწარებ-  
ული ბილი სანჩესი მისი ბოზი ღედის სხვადასხვა კონტექსტში  
ხსენებით მიათრია კართან და კარტოფილის ტომარასავით  
მოისროლა შუა ქუჩაში.

იმ საღამოს, მწარე გაკვეთილნაწვნივი ბილი სანჩესი თვალ-  
სა და ხელს შუა გაიზარდა და გადაწყვიტა თავისი ქვეყნის ელჩი  
ენახა, როგორც ამას ნენა დაკონტე იზამდა. სასტუმროს მეკარე,  
პირქუში გამომეტყველების მიუხედავად, ძალზე დაუზარელი  
კაცი იყო, თანაც უცხო ენით ნათქვამზე ნერვები არ ეშლებო-  
და. სწორედ მან მოუძებნა ტელეფონების წიგნში საელჩოს  
ტელეფონის ნომერი და მისამართი და სავიზიტო ბარათზე  
ამოუწერა. ყურმილი თავაზიანმა ქალმა აიღო, რომლის  
მონოტონურ საუბარში ბილი სანჩესმა ანდების აქცენტი იცნო.  
ქალს თავისი სრული სახელი მოახსენა, ეგონა ორი დიდებული  
გვართ მონუსხავდა, მაგრამ ტელეფონში ხმა არ შეცვლილა.  
კარგად ნასწავლი გაკვეთილივით მოახსენეს, რომ ბატონი ელჩი  
იმ წუთში ოფისში არ იმყოფებოდა და მეორე დღემდე, ალბათ,  
არც დაბრუნდებოდა, მაგრამ მის მიღებას მაინც ვერ შეძლებდა,  
წინასწარ დანიშნული შეხვედრის ან განსაკუთრებული შემთხვე-  
ვის გარდა. ბილი სანჩესი მიხვდა, რომ ვერც ამ გზით მიაღწე-  
ევდა ნენა დაკონტემდე და ქალს მისგანვე გადაღებული  
ზრდილობიანი ტონით დაემშვიდობა. შემდეგ ტაქსი გააჩერა და  
საელჩოში წავიდა.

შენობა პარიზის ყველაზე მშვიდ უბანში, ელისეს 22  
ნომერში მდებარეობდა. ერთადერთი, რამაც ბილი სანჩესი  
გააოცა, როგორც თვითონ მომიყვა მრავალი წლის შემდეგ,  
კარტახენა დე ინდიასში ის იყო, რომ პარიზში მისი ყოფნის მა-  
ნძილზე მზე პირველად ანათებდა ისე, როგორც კარიბის თავზე  
და გაციკროვნებულ ცაში გაჩრილი ეიფელის კოშკი ზემოდან  
დასცქეროდა ქალაქს, ელჩის ნაცვლად რიგითმა მოხელემ  
მიიღო, რომელიც უმძიმესი ავადმყოფობიდან ახლადმორჩენილს  
ჰგავდა არა მარტო შავი მაუდის კოსტუმით, ბოლომდე შეკრ-  
ული ღილებითა და სამგლოვიარო ჰალსტუხით, არამედ იღუმე-



ლი მოძრაობებით და ყრუ ხმით, ესმოდა ბილი სანჩესის მოუთმენლობა, მაგრამ ტკბილად შეახსენა, რომ ცივილიზებული ქვეყანაში იმყოფებოდნენ, რომლის მკაცრი ნორმები ძველისძველი, ბერძნული კრიტერიუმებით იყო შექმნილი. ბარბაროსული ამერიკისაგან განსხვავებით, სადაც საავადმყოფოში შესაღწევად მეკარის მოქროთამეც საკმარისი იყო. "არაფერი გამოვა, ძვირფასო ყმაწვილო", - უთხრა. სხვა გზა არ იყო, ბილი სანჩესი იძულებული გახდა გრძნობები მოეთოკა და სამშაბათამდე გაეძლო როგორმე.

- ბოლოს და ბოლოს, - დაასკვნა მოხელემ, - ოთხი დღეა დარჩა. ამასობაში ლუვრი დაათვალიერეთ, მერწმუნეთ, ღირს.

საელჩოდან გამოსული ბილი სანჩესი კონკორდის მოედანზე აღმოჩნდა. სახურავების თავზე წამომართული ეიფელის კოშკი ისე ახლოს ჩანდა, რომ სანაპიროს გაყოლებით ფეხით მისვლა გადაწყვიტა, მაგრამ მალე აღმოაჩინა, რომ კოშკი სავარაუდოზე შორს მდებარეობდა და თან ადგილს იცვლიდა. ამიტომ სენას სანაპიროზე სკამზე ჩამოჯდა და ნენა დაკონტზე ფიქრს მიეცა. დაინახა, როგორ ჩაიარეს ხიდის ქვეშ ბუქსირებმა, რომლებიც მკურავ სახლებს ჰგავდნენ ფერადი საბურავებით, ფანჯრის რაფებზე გამოდგმული ყვავილების ქოთნებით და მავთულზე გასაშრობად გაფენილი თეთრეულით. კარგა ხანს უყურებდა გაშეშებულ მეთევზეს, მასავით უმოძრაო ანკესსა და წყალში ჩაშვებულ ძუას. ისე ჩამობნელდა, არც ერთი მათგანი არ განძრეულა. ბილი სანჩესმა ტაქსის გაჩერება და სასტუმროში დაბრუნება გადაწყვიტა და მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ არც სასტუმროს სახელი ახსოვდა, არც მისამართი და წარმოდგენა არ ჰქონდა პარიზის რომელ უბანში უნდა ექებნა.

შეშინებული პირველსავე კაფეში შევიდა, ჭიქა კონიაკი მოითხოვა და აზრების მოკრეფას შეეცადა, სანამ ფიქრობდა, კედლის უამრავ სარკეში თავისი გამრავლებული, შეშინებული და მარტოსული გამოსახულებები დაინახა და პირველად ცხოვრებაში დაფიქრდა სიკვდილის რეალობაზე, მაგრამ მეორე ჭიქის შემდეგ თავი უკეთ იგრძნო და საელჩოში დაბრუნება გადაწყვიტა. ჯიბეში სავიზიტო ბარათი მოძებნა, რათა ქუჩის სახელისათვის დაეხედა და აღმოაჩინა, რომ მეორე მხარეს სასტუმროს სახელი და მისამართი იყო დაბეჭდილი. ამ გაკვეთილით შეშინებული, შაბათ-კვირას ოთახიდან მხოლოდ საჭმელად და მანქანის გადასაყენებლად გამოდიოდა. მთელი სამი დღე გადულვებლად ცრიდა ჭუჭყიანი და წებოვანი წვიმა. ბილი სანჩესს, რომელსაც ცხოვრებაში ერთი წიგნი არ წაეკითხა თავიდან

ბოლომდე, უცებ მოუნდა კითხვა, საწოლის მოწყენილობა რომ დაეძლია, მაგრამ ცოლის ჩემოდანში მოძიებულნი წიგნები უცხო ენებზე აღმოჩნდა დაწერილი. ამიტომ სამშაბათის მოლოდინში შპალერზე დახატული ფარშევანგების თვლითა და ნენა დაკონტეზე ფიქრით გაჰყავდა დრო. ორშაბათს ოთახი მოაწესრიგა, რადგან წარმოიდგინა რას იტყოდა გოგო ამ არეულობის შემხედვარე და მხოლოდ მაშინ შეამჩნია, რომ წაუღას ქურქს სისხლი მიხმობოდა. ბეწვი მთელი საღამო ერთ-ერთ ხელჩანთაში აღმოჩენილი ხელის სურნელოვანი საპნით რეცხა, სანამ ისე არ აბზინდა, როგორც მადრიდის აერობორტში.

სამშაბათი პირქუში და ცივი გათენდა, სამაგიეროდ არ წვიმდა. ბილი ძანჩესმა ექვს საათზე გაიღვიძა და საავადმყოფოს კართან აიტუზა ფუთებითა და თაიგულებით დატვირთული ავადმყოფების ნათესავებთან ერთად. კარში ჰიკავჰიკავით შევიდა მკლავზე გადაკიდებული ქურქით. არც არავისთვის უკითხავს და საერთოდ, წარმოდგენაც არ ჰქონდა, სად შეიძლებოდა ყოფილიყო ნენა დაკონტე, მაგრამ ერთი რამ ცხადად იცოდა. აუცილებლად უნდა მოენახა აზიელი ექიმი. ჯერ ყვავილებითა და ტყის ფრინველებით სავსე პატიო გადაჭრა, რომლის ორივე მხარეს ავადმყოფთა პალატები ჩაემწყკრივებინათ: მარჯვენა მხარეს ქალების, მარცხნივ – კაცების. ბილი სანჩესი ხალხის ნაკადს გაჰყავდა და ქალთა განყოფილებაში შევიდა. ოთახში ჩამწყკრივებულ საწოლებზე წამოსკუბებულ, საავადმყოფოს პერანგებში გამოწყობილ ავადმყოფებს ფანჯრიდან შემოჭრილი შუქი ანათებდა. პალატაში ყველაფერი უფრო მხიარულად გამოიყურებოდა, ვიდრე გარედან ჩანდა. ბილი სანჩესი ოთახის ბოლოში გავიდა, შემდეგ საწინააღმდეგო მიმართულებით ჩამოიარა, სანამ არ დარწმუნდა, რომ არც ერთი ავადმყოფი ნენა დაკონტე არ იყო. შემდეგ პატიოში გავიდა და ახლა კაცების განყოფილებაში გააგრძელა ძებნა, ვიდრე ნაცნობი ექიმი არ დალანდა.

მართლაც ის იყო. ექიმებსა და ექთნებთან ერთად რომელიღაც ავადმყოფს სინჯავდა. ბილი სანჩესი პალატაში შევიდა, ერთ-ერთი ექთანნი გასწია, ავადმყოფის თავზე გადახრილი აზიელი ექიმის წინ გაჩერდა და დაუძახა. ექიმმა უმეტყველო თვალებით ახედა, რამდენიმე წუთით დაფიქრდა და იცნო.

– კი მაგრამ, სად ჯანდაბაში დაიკარგეთ? – ჰკითხა.

ბილი სანჩესი გაოგნდა.

– სასტუმროში ვიყავი, – თქვა, – აქვე, ქუჩის კუთხეში.

მაშინ სიმართლე გაიგო. ნენა დაკონტე სისხლისაგან დაცლ-

ილიყო 9 იანვარს, ხუთშაბათს, საღამოს 7 საათსა და 10 წუთზე, საფრანგეთის საუკეთესო ექიმების სამოცსაათიანი ამო მცდელობის შემდეგ უკანასკნელ წუთამდე გონზე იყო და სიმწვიდე არ დაუკარგავს. მანვე მოითხოვა მოექებნათ ქმარი სასტუმრო პლანა ათენში, სადაც ოთახი ჰქონდათ დაჯვშული და დაიბარა, როგორ დაკავშირებოდა მშობლებს. საელჩოს პარასკევს შეატყობინეს, როცა ნენა დაკონტეს მშობლები უკვე პარიზიდან მოფრინავდნენ. ელჩმა თვითონ იზრუნა ცხედრის ბალზამირებასა და პანაშვიდებზე და პარიზის პოლიციის პრეფექტურას დაუკავშირდა ბილი სანჩესის მოსაძებნად. პარასკევს საღამოდან კვირა საღამომდე ტელევიზიითა და რადიოთი მის მონაცემებს გადასცემდნენ. იმ ორმოც საათში მთელი საფრანგეთი მას ეძებდა. პარიზის ქუჩებში ნენა დაკონტეს ჩანთში აღმოჩენილი მისი სურათები იყო გაკრული. ქალაქში სამი ბენტლი აღმოაჩინეს, მაგრამ არც ერთი ბილი სანჩესს არ ეკუთვნოდა.

ნენა დაკონტეს მშობლები შაბათს, შუადღეზე, ჩამოფრინდნენ, საავადმყოფოს სამლოცველოში შვილის ცხედართნ ღამე გაათიეს და ბოლო წუთამდე ელოდნენ ბილი სანჩესს. უბედურება ბიჭის მშობლებსაც შეატყობინეს და ისინიც მზად იყვნენ პარიზში გადასაფრენად, მაგრამ საბოლოოდ უარი თქვეს განზრახვაზე, რადგან ღებეშები აირია. პანაშვიდი კვირას გაიმართა, შუადღის ორ საათზე, სულ რაღაც ორასიოდე მეტრში ჭუჭყიანი ოთახიდან, სადაც ბილი სანჩესი მარტოობითა და ნენა დაკონტეს სიყვარულით იტანჯებოდა, მოხელემ, რომელიც ბილი სანჩესს ესაუბრა საელჩოში, რამდენიმე წლის შემდეგ მითხრა, რომ პირადად მიიღო ღებეშა ბილი სანჩესის წასვლიდან ერთი საათის შემდეგ და მთელი საღამო ფუბორგ სენტ ონორეს ბარებში ეძებდა ბიჭს. მანვე გამიმხილა, რომ საუბრისას დიდი ყურადღება არ მიუქცევია მისთვის, რადგან ვერ წარმოედგინა, რომ პარიზის სიდიადით მონუსხული ეს პროვინციელი, რომელსაც უშნოდ ედგა ტანზე ცხვრის ტყავის ქურთუკი, ასეთი დიდებული წარმოშობის იქნებოდა. კვირა საღამოს, სანამ ბიჭი ცრემლების შეკავებას ცდილობდა, ნენა დაკონტეს მშობლებმა ბილი სანჩესის ძებნა შეწყვიტეს და რკინის კუბოში ჩასვენებული შვილის დაბალზამებული ცხედარი სამშობლოში გადააფრინეს. ყველა, ვინც კი პანაშვიდებსა და დაკრძალვას დაესწრო, ერთხმად იმეორებდა მრავალი წლის მანძილზე, რომ არასოდეს უნახავთ მასზე მშვენიერი ქალი არც ცოცხალი, არც მკვდარი. ასე რომ, როცა ბილი

სანჩესმა ბოლოს და ბოლოს საავადმყოფოში შეაღწია, ლა მანგას ნაღვლიან პანთეონში, სულ ახლოს იმ სახლიდან, სადაც მათ ბედნიერების პირველი საიდუმლო ამოხსნეს, ნენა დაკონტე დაკრძალეს. აზიელმა ექიმმა თხრობა რომ დაამთავრა, სცადა ბილი სანჩესისათვის დამამშვიდებელი აბები მიეცა, მაგრამ ბიჭმა არ გამოართვა. დაუმშვიდობებლად წავიდა საავადმყოფოდან, სადაც სამაღლობელი არავისთან არაფერი ჰქონდა და იგრძნო, რომ საკუთარი უბედურებისაგან თავდასახსნელად, ჯაჭვით უნდა მიესიკვდილებინა ვინმე. საავადმყოფოდან გამოსულმა ვერც შეამჩნია, რომ ციდან მტრედის ბუმბულის მსგავსი ფიფქები ცვიოდა, რომელსაც სისხლის კვალი არ აჩნდა და რომ პარიზში მხიარული განწყობილება იგრძნობოდა, რადგან ბოლო ათ წელიწადში ეს პირველი დიდთოვლობა იყო.

ესპანურიდან თარგმნა  
თეა გვასალიაძე



## შრანბი სიგბოლისტბაბი

შარლ ლეკონტ დე ლილი  
(1818-1894)

### თანამედროვეით

ცხოვრობთ ღუნედ და მოკლებულნი მიზანს სრულებით,  
ბერწ მიწასავით გამოფიტულ-დაბერებულნი,  
მომაკვდინებელ საუკუნით გაბასრულები  
ხართ საჭურისნი, გრძნობათათვის გაუქმებულნი.

ცარიელია თქვენი ტვინი, ვით თქვენი გული,  
გასვარეთ მიწა თქვენი ბილწი სისხლის ქაფითა,  
სნეული სუნთქვით მოგაქვთ ქვეყნად მრავალი წყლული  
მხოლოდ სიკვდილი იბადება თქვენი ლაფიდან.

ახლოა უამი, ღვთის ჯალათნო, სადმე კუთხეში  
ოქროს გროვასთან მიცუცქულნი, თქვენი უხეში  
კბილებით დაღრღნით კლდეებამდე მიწას სრულებით.

უმეცარნი და უმაქნისნი, გათანგულები,  
გაბეზრებულნი, არყოფნაში ჩაძირულები,  
მოკვდებით ბრიყვნი, ჯიბეებით ავსებულებით.

## ჩამავალი მზეები

ნათელი დნება...  
სიღრმიდან ველთა  
დის ნაზი სევდა  
ჩამავალ მზეთა.  
სიმღერით ტკბილით  
ეს სევდა თენთავს  
გულს, ხიბლულს ხიბლით  
ჩამავალ მზეთა.  
უცხო სიზმრებია...  
ზმანების სინაზით  
მზესავით წვებიან  
ნაპირის სილაზე.  
ვჭკრეტ ლანდებს ალისფერს,  
სულ აღლუმებია ...  
ბოლოს კი ნაპირზე  
მზესავით წვებიან.

ნიღბებით სავსე თქვენი სულის უცხო კარავი,  
სხვა სულებს შორის ფერადებით სული რჩეული.  
ნიღბები ძვირფას სამოსელში სევდას ფარავენ,  
ბარბითთა ჰანგზე გაუმართავთ როკვა გრძნეული.

მღერიან ნახად დაბალ ხმაზე და სიმღერაში  
იმარჯვებს ტრფობა და სიცოცხლეც ტრფიალი არის.  
საკუთარ სვეზე დაფიქრებაც არ ისმის ხმაში  
და მათი ჰანგი განიბნევა ნათელში მთვარის.

მიელტვის მთვარეს, მშვიდს, მშვენიერს, მთვარეს სევდიანს,  
ჰბადებს რომელიც ჩიტის სიზმრებს სინათლით შორით  
და ტანწერწეტა შადრევანთა ქვითინს ვნებიანს,  
თავდავიწყებულ მარმარილოს ქმნილებათ შორის.

“არაოდეს”

წავიდეთ ჩემო საწყალო გულო, თანამზრახველი შენა  
ხარ ძველი

გამარჯვებათა თალი აღმართე მაგ წარმოსახვით  
აღმოდებულოთ,

კვლავ დასწვი ამ ცრუ საკურთხევლებზე ეგ საკმეველი  
დამძაღებული

და ყვავილები დათესე ტურფა, სადაც პირს აღებს  
უფსკრული ბნელი.

წავიდეთ ჩემო საწყალო გულო, თანამზრახველი შენა  
ხარ ძველი.

ო, მგალობელო, ღმერთს მიუძღვენი, ეგ შენი ჰიმნი,  
ტკივილით მჟღერი,

და წამოიწყე ხრინწიანი ხმით გალობა უფლის მაღიდებელი.  
ფარე სიბერე და ამ ნაოჭებს ფერუმარილი დაადე სქელი.

და გაყვითლებულ კედელს ააკარ ხალიჩა სისხლის და  
ოქროსფერი.

ო, მგალობელო, ღმერთს მიუძღვენი ეგ შენი ჰიმნი,  
ტკივილით მჟღერი.

მაშ, ააქლერეთ ხმოვანებანი, ზანზალაკთა და ყოველთა ზართა,  
აღუსრულებელ ოცნებას ჩემსას განსხეულება რახან ენება ნული  
და ჩემს მკლავებში შემოჭდობილში აღმოჩნდა იგი - ნიკოლოზი  
ბედნიერება.

ეს მოგზაური ფერადფრთოსანი, სიახლოვეს რომ გაუბრბის  
კაცთა,  
მაშ, ააქლერეთ ხმოვანებანი, ზანზალაკთა და ყოველთა ზართა.  
ბედნიერება იყო ჩემს გვერდით, ბედნიერება ყოვლის  
მომცველი...

ბედისწერა კი მტერია ზავის და შეწყალება აღარ ინება,  
მწიფე ხილში რომ ბინადრობს მატლი და ტკბილ სიზმარში -  
გამოღვიძება  
და ტრფობაშიაც - სინდისის ქენჯნა, ეს არის წესი  
უცილობელი,  
ბედნიერება იყო ჩემს გვერდით ბედნიერება ყოვლის  
მომცველი.

## მწყემსის საათი

მთვარე წითელი, ცა ბურუსით მოცულა ყოვლად,  
მროკავ ნისლებში ჩაიძინა მინდორმა თითქმის,  
ლერწმოვანიდან ბაყაყების ძახილი ისმის,  
მწვანე ლერწმოვანს მიბნედილი ატოკებს თრთოლვა.

გვირგვინებს ჰკეცენ წყლის ყვავილნი ათასფერიანს,  
სჩანან ალვები იქ შორეთში ტანკენარები  
და მათი ჩრდილი, შორიახლო კრთომით მარები,  
ბუჩქებთნ ციცი-ნათელეები ეხეტებიან.

ფრენენ ბუები და არ აღძრავს უმცირეს ჩქამებს  
მძიმე ძვრა ფრთათა, შავ ჰაერის მიმომფანტველი.  
თალი თეთრდება და ივსება მკრთალი ნათელით,  
აჰა, მოსულა მწყემსი იგი - ეს არის ღამე.

## გიორგი აკოლინერი (1880-1918)

### შემოდგომა

კოჭლი გლეხი და მისი ხარი ნისლში ჩნდებიან  
მოდინ ნელა შემოდგომის სქელდება ნისლი  
სად სირცხვილი და სილატკე იმალებიან

და ვზაზე გლეხის ხმადაბალი სიმღერა ისმის  
სიმღერა ამხელს რასაც დღემდე იტევდა გული  
აქ არის გზნება სიყვარულის ღალატის დარდი.

ო შემოდგომა შემოდგომამ მოკლა ზაფხული  
და მიბარბაცებს ნისლში ორი შემთვრალი ლანდი

### ღამე რეინზე

ალივით მტოკავ ღვინით არის ჭიქა ავსილი  
ნელი სიმღერა მენავისა სმენას გვავალებს  
როგორ იწნავდა მთვარის შუქზე შვიდი ასული  
გრძელ კოჭებამდე ჩამოშვებულ მწვანე დალალებს

მინდა ამღერდეთ საცეკვაოდ წმომლილები  
ჭექეთ ხმამალა რომ დაახშოთ მენავის მღერა  
მერე მაჩვენეთ მშვენიერი ქალიშვილები  
გადაწყობილი მათი თმები ნაზი და ქერა

შემთვრალ რეინში ვენახები იხედებიან  
ღამის ჩრდილები აქ ცახცახით სარკეს პოვებენ  
ჩახლეჩილი ხმა კვდომას უმღერს ზაფხულს ვნებიანს  
მწვანეთმიანი ფერიები აჯადოებენ  
ღამემსხვრა ჭიქა თუ სიცილმა იფეთქა ირგვლივ



### პარიზი

პოი, პარიზო, ღია ხარ ყოვლად  
ჭრილობასავით ღია ქალაქო.  
ღია ხარ ყოვლად რად არ იქეცი  
მწვანით დაბურულ პატარა სოფლად.  
ავად გიცქერენ მტრული თვალეზი,  
რომ მოიხილონ არე სრულებით  
და ჩვენს ძველ ხმაურს გაფაციცებით  
ხარბად ისმენენ უცხო ყურები.

და სენას ზვერავს უცხო ყურები  
ფხიზლად მომჩხრეკი სიღრმეთა ბნელთა  
და დის დღედაღამ მდინარის წყალი  
ვით ქარავანი შებორკილ ტყვეთა.

ხუთუ გვტოვებენ სავსენი წყენით  
და მოუღრეკნი თავის რისხვში  
ფრანგთა ზვიადი საუკუნენი,  
ასე კეთილად ნაკვეთნი ქვაში.

მძიმეა უცხო ქვეყნების ჩრდილი  
და შუაგულში ამ განსაცდელის,  
რომ საიდუმლო არ გათქვან თვისი,  
ო, საოცრება ქრება რამდენი.

რომ უცაბედად და უნებურად  
არ გვიღალატონ ასეთ ყოფაში,  
თვით გადაწყვიტეს დინჯად, მეფურად,  
სიკვდილი ზვიად მარტოობაში.

(1939-1945)

ლექსი დაწერილია პარიზის ოკუპაციის გამო.

ფრანგულადან თარგმნა  
ბადრი თევზაძე

## კრიტიკა და პუბლიცისტიკა

რამაჟ სურმანიძე

### “Скверные” თუ “Северные”?

(მხატვარ ვ.მ. ვასნეცოვის წერილები  
საქართველოში მოგზაურობის შესახებ)

1900 წლის მაისში საქართველოში სტუმრად იყვნენ დიდი რუსი მწერლები ანტონ ჩეხოვი და მაქსიმ გორკი, ცნობილი რუსი მხატვარი ვიქტორ ვასნეცოვი და იალტელი ექიმები ალექსანდრე ალექსინი და ლეონიდ სრედინი /1860-1909/.

ამ მოგზაურობის მიზანსა და მიზეზებზე ა. ჩეხოვისა და მაქსიმ გორკის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში არაფერია ნათქვამი. საინტერესოა, რომ სხვა, შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანი მომენტები თავიანთი ბიოგრაფიებიდან მწერლებს დეტალურად აქვთ აღწერილი, ხოლო ამ მოგზაურობას ისინი რატომღაც ვკერძს უვლიან და თავიანთ მოგონებებსა და მეგობრებთან მიმოწერებში საერთოდ არ ახსენებენ.

ამიტომ ანტონ ჩეხოვისა და მაქსიმ გორკის საქართველოში ერთად ჩამოსვლის მიზეზებსა და მიზნებზე მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ერთნი ფიქრობენ, რომ მოგზაურები ღუხობორების მიგრაციასთან დაკავშირებით ჩამოვიდნენ საქართველოში. მეორენი ამ მოგზაურობას თბილისსა და ბათუმში რევოლუციური მოძრობის გაძლიერებით მწერლების დაინტერესებას მიიჩნევენ.

ჩვენი აზრით საქართველოში მოგზაურობისათვის სტუმრებს ასეთი მიზანი არ ჰქონიათ. ბათუმიდან ღუხობორების მასობრივი მიგრაცია ძირითადად დამთავრდა 1898 წელს და მათთან შეხვედრა ამ მიზნით სპეციალურად საქართველოში ჩამოსვლა 1900 წელს ნაკლებ აქტუალური და ამდენად ნაკლებად დასაჯერებელია. საკითხის გარკვევაში დახმარებას გვიწევს 1987 წელს გამოსული ე.მ. ვასნეცოვის წიგნი (Письма, дневники, воспоминания, суждения современников. Москва. Искусство).

ამ წიგნში მოტანილი ცნობების, “ივერიაში”, “ტიფლისსკი ლისტოკში”, ო.კნიპერ-ჩეხოვას მოგონებებში და სხვა

\* \* \*

ვ.ვასნეცოვის ზემოთდასახელებული წიგნით ვგებულობთ, რომ “ანტონ პავლეს ძე ჩეხოვთან, ისევე როგორც მაქსიმ გორკისთან ვასნეცოვმა მეგობრობა იალტაში დაამყარა. ვასნეცოვმა და გორკიმ დაიყოლიეს იგი (ა.ჩეხოვი, რ.ს.) კავკასიაში გამგზავრებაზე” (გვ.417). ეს სწორი უნდა იყოს, რადგანაც დედისადმი გაგზავნილ წერილში (27 მაისი 1900) მხატვარი ამბობს, რომ თუ კავკასიაში წავედი, გორკიც აპირებს ჩემთან ერთად წამოსვლას (გვ.174). ა.ჩეხოვსაც რომ ჰქონოდა გადაწყვეტილი კავკასიაში მოგზაურობა, ვ.ვასნეცოვი ამას წერილში აუცილებლად მოიხსენიებდა. მან ჯერ მ.გორკი, ხოლო შემდეგ ა.ჩეხოვი დაითანხმა, ამ სამეულს კი იალტელი ექიმები ა.ალექსინი და ლ.სრედინიც დაემგზავრნენ. ამ მოგზაურობის მოწყობაში ვ.ვასნეცოვის ინიციატივას ისიც ადასტურებს, რომ მან 27 მაისს ვლადიკავკაზში ღებუმა გაგზავნა და მოითხოვა შეეტყობინებინათ როგორ მდგომარეობაში იყო საქართველოს სამხედრო გზა. “თუ დამაკმაყოფილებელ პასუხს მომცემენ, მაშინ წავალ” – ვკითხულობთ იმავე წერილში (იქვე).

მ.გორკისა და ვ.ვასნეცოვისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად ა.ჩეხოვი შესაძლოა არ დაყოლოდა მათ ნებას და არ წასულიყო სამოგზაუროდ, მაგრამ წასვლისათვის საკმაოდ სერიოზული მიზეზები, როგორც იტყვიან, პირადი “ანგარიშები” მასაც ჰქონდა. საქმე იმაშია, რომ ამ დროს მცხეთის მახლობლად ცხოვრობდა მსახიობ ოლღა კნიპერის ძმა. მასთან ხშირად ჩამოდიოდა ოლღა. ასე ყოფილა 1900 წლის მაისშიც... თუმცა უმჯობესია მოვუსმინოთ თვით ო.ლ.კნიპერს: “დამთავრდა 1898-1899 წლების სეზონი (მხედველობაშია თეატრის სეზონი, რ.ს.) და მე წავედი კავკასიაში, სადაც მცხეთის მახლობლად აგარაკზე თავისი ოჯახით ცხოვრობდა ჩემი ძმა. ამ პერიოდს მიეკუთვნება ჩვენი მიმოწერების დასაწყისი. ჯერ კიდევ მოსკოვში მე შევპირდი ანტონ პავლოვიჩს, რომ კავკასიიდან ყირიმში ჩავიდოდი. წერილებით ჩვენ მოვილაპარაკეთ დაახლოებით 20 ივლისს გემზე შევხვედროდით ერთმანეთს. ასეც მოხდა. ჩვენ ერთად ჩავედით იალტაში, სადაც მე ვავჩერდი ექიმ ლ.ვ.სრედინის ოჯახში, რომელთანაც მეგობრობდა ჩვენი ოჯახი”... ეს მოხდა 1899 წლის ივლისში. როგორც სჩანს, ერთი წლის შემდეგ, კერძოდ, 1900 წელსაც იგივე განმეორებულა, მაგრამ ამჯერად არა გემზე, არამედ მატარებელში: “მაისის ბოლოს მე დედასთან ერთად გავემგზავრე

კავკასიაში და როგორი იყო ჩემი გაცემა და სიხარული, როცა თბილის-ბათუმის მატარებელში შევხვდი ბათუმისკენ მიმავალ ანტონ პავლეს ძეს გორკისთან, ვასნეცოვთან, ექიმ ალექსინთან ერთად. ჩვენ ერთად ვიმგზავრეთ სადგურ მიხაილოვოძე (ახლანდელი ხაშური, რ.ს.), სადაც მე დედასთან ერთად გადავჯექი ბორჯომის ხაზზე”. (А.П.Чехов в воспоминаниях современников. Москва. 1952. с. 52; 1954. с. 602).

ამ მოგონებიდან ყველაფერი ნათელია, გარდა ერთისა – არ არის დასახელებული ექიმი ლ.სრედინი. როგორც ირკვევა ის ცალკე ადრე ჩამოსულა, რასაც ადასტურებს მაქსიმ გორკის თბილისელი მეგობრის ა.კალიუჟინის მოგონება: “1900 წლის მაისში თბილისში ჩამოვიდნენ... გორკი, ჩეხოვი, ვასნეცოვი, მათთან ერთად ექიმები სრედინი და ალექსინი. ისინი ყირიმთან კავკასიაში საექსკურსიოდ წამოსულან. სრედინი პირველი ჩამოვიდა. მის შესახებ გორკიმ მომწერა. დანარჩენებს ვაგზალში შევხვდი... თბილისში ისინი ერთი კვირა დარჩნენ. ჩავიდნენ მცხეთაში... დაათვალიერეს ტაძარი, სოფელი, ნახეს სხვა მონასტრებიც”. (Горький в воспоминаниях современников; Москва. 1955 с.90).

მკითხველის ყურადღებას კიდევ ერთ დოკუმენტზე შევაჩერებთ, რომელშიც კონკრეტულად ა.ჩეხოვის კავკასიაში გამგზავრების მიზეზზეა ლაპარაკი. ამასთან ირკვევა, რომ მათთან ერთად სრედინიც იყო და წასვლა ძალზე სწრაფად გადაუწყვეტიათ. ამის შესახებ მწერლის დას. მ.პ.ჩეხოვას 29 მაისს ოლლა კინიპერისათვის მიუწერია: “გუშინ ანტონმა კავკასიაში გავაცილეთ. იგი წავიდა სრედინის, გორკის, ალექსინის და მხატვარ ვასნეცოვის კომპანიასთან ერთად. ამ გამგზავრებაზე ისინი რაღაც ძალზე ნაჩქარევად შეიკრიბნენ და მოილაპარაკეს. მათი მოგზაურობის მარშრუტი ასეთია: ნოვოროსიისკი, ვლადიკავკაზი, საქართველოს სამხედრო გზა, ტფილისი, ბათუმი და კვლავ იალტა. ანტონი უფრო იმიტომ წავიდა, რომ სრულიად მოულოდნელად და გაუფრთხილებლად ეწვივნენ ნათესავები – მიშა (ა.ჩეხოვის ძმა, რ.ს.) ცოლთან, ბავშვთან და ძიძასთან ერთად. ძალზე დიდი ხმაური და უინტერესო ვითარება შეიქმნა. ამ დღეებში ვანიაც (ა.ჩეხოვის ძმა, რ.ს.) ჩამოვა თავისი ოჯახით...” (А.И. Чехов Полн. собр. соч. и писем. т.9, Москва. 1980. с. 348).

ამგვარად ა.ჩეხოვის ასე ნაუცბათევად გამგზავრების მიზეზი ძმისა და მისი ოჯახის წევრების მოულოდნელი სტუმრობაც ყოფილა, რასაც შეეძლო დაერღვია მწერლის მყუდროებისა და თავისუფალი შემოქმედებითი მუშაობის ატმოსფერო.

სხვათაშორის მაქსიმ გორკიმაც ურჩია ა.ჩეხოვს კავკასიაში გამგზავრება, მაგრამ არა რაიმე საიდუმლო და ვთქვათ რაღაც სხვებისაგან დამალული მიზეზით, არამედ, იმიტომ, რომ იგი “შთააგონა ალექსი მაქსიმოვიჩმა კავკასიის უჩვეულო სილამაზის შესახებ თავისი ალტაცებული საუბრებით. ამ მოგზაურობაში ალექსი მაქსიმოვიჩისა და ანტონ პავლოვიჩის გარდა მონაწილეობდნენ ვიქტორ მიხეილის ძე ვასნეცოვი, დოქტორი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ალექსინი და ლეონიდ ვალენტინის ძე სრედინი. 1900 წლის 11 ივნისს ისინი ამ მოგზაურობიდან დაბრუნდნენ”. (Литературное наследство. т.68. с.614). ამ ორი ციტატიდან ნათელი ხდება მოგზაურობის ზუსტი თარიღებიც: იალტადან ისინი გავიდნენ 28 მაისს და უკან დაბრუნდნენ 11 ივნისს.

კავკასიაში თავის ბოლო მოგზაურობას ა.ჩეხოვი იხსენებს ა.ა.პლემჩევთან საუბარშიც, რომელიც 1900 წლის სექტემბერში შემდგარა. მის კითხვაზე “ზაფხული იალტაში გაატარეთ?” ჩეხოვს უპასუხნია: “მაისის ბოლოს გორკისთან და ვასნეცოვთან ერთად გავემგზავრე კავკასიაში, დავტკბი საქართველოს სამხედრო გზით, ვიყავით მცხეთაში, ტფილისში, ბათუმში... მე სამჯერ ვიმოგზაურე კავკასიაში”... (А.П. Чехов. указ. кн. с. 385).

ამ ციტატიდან ჩვენი ინტერესი ბოლო წინადადებამ გამოიწვია, კავკასიაში სამჯერ ვიმოგზაურეთ. ჩეხოვის ბიოგრაფები თვლიან, რომ ის კავკასიაში პირველად ჩამოვიდა 1888 წელს, ხოლო მეორედ 1900 წელს. ჩვენ ჯერ კიდევ 1978 წ. გამოვთქვით ვარაუდი იმის შესახებ, რომ ა.ჩეხოვი ბათუმში იყო 1881-82 წლებში, სტუდენტობის დროს და აქ მიღებული შთაბეჭდილებით დაწერა მისი ყრმობისდროინდელი მოთხრობა “მწვანე კონცხი”. (იხ. ჩვენი Общество врачей Аджарии русско-грузинские медицинские связи. Батуми 1978. с.57,58). ა.ა.პლემჩევთან საუბარი ხომ არ არის ჩვენი ვარაუდის დადასტურება? ვფიქრობთ აქ საეჭვო აღარაფერი უნდა იყოს.

ვ.მ.ვასნეცოვის წიგნში ძალზე მოკლედ, მაგრამ შთამაგონებლად არიან დახასიათებულნი მოგზაურობის დროს მისი თანმხლები პირები. დედის ა.ვ.ვასნეცოვასადმი 1900 წლის 27 მაისს გაგზავნილ წერილში შემდეგს ვკითხულობთ: “ამჯერად ღმერთმა მოგვივლინა მშვენიერი ადამიანები: სრედინი და მისი მეუღლე, ყოველმხრივ დიდებული ადამიანები არიან... დოქტორი ალექსინიც მომხიბვლელი კაცია. ამასთან ერთად მშვენივრად მღერის. მის ნაცნობ მალინინთან ერთად ჩვენ კონცერტებს გვიმართავენ, ერთი სიტყვით სევასტოპოლიდან



დაწყებული დღესასწაული ვეჭონდა. გორკი ჩემს მიმართ ისეთ უშუალო ენთუზიაზმს იჩენს, რომ მერიდება. ჩემთან ერთად კავკასიაში წამოსვლა უნდოდა, მაგრამ ბიჭი ავად გაუხდა და ალბათ გადაიფიქრებს. დღეს ალექსინმა და სრედინმა ალიოშასათვის (მხატვრის ვაჟი, რ.ს.) მოიწვიეს კონსილიუმი. მისი ჯანმრთელობა გაუმჯობესდა, მაგრამ კავკასიაში მოგზაურობას სარისკოდ თვლიან, ამიტომ ალიოშა ტანიასთან (მხატვრის ქალიშვილთან, რ.ს.) ერთად თქვენთან წამოვლენ"... (გვ. 174).

როგორც ამ წერილიდან ვგებულობთ, გამგზავრებიდან ერთი დღით ადრე ბავშვის ავადმყოფობის გამო მაქსიმ გორკის წასვლა საბოლოოდ ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი. როგორც გორკის, ასევე ვასნეცოვის შვილები გამოჩანსაღებულან, ყოველ შემთხვევაში მათი მდგომარეობა იმდენად გაუმჯობესებულა, რომ მშობლები კავკასიისაკენ დამშვადებული გამგზავრებულან.

ოთხი დღის შემდეგ დედისადმი გაგზავნილი წერილით ვგებულობთ, რომ 31 მაისს ა.ჩეხოვი, ვ.ვასნეცოვი, მ.გორკი, ა.ალექსინი და ლ.სრედინი ნოვოროსიისკი-ტუაფსეს გამოვლით ვლადიკავკაზში ჩამოსულან. აქ ამინდი გაუარესებულა, მოგზაურები ძალზე წუხნდნენ, ამის გამო: კავკასიის მთების გრანდიოზულ სილამაზეს სრულყოფილად ვეღარ ვიხილავთო. შემდგომი მოგზაურობის შთაბეჭდილებებს ვ.ვასნეცოვი დედას 3 ივნისს თბილისიდან ატყობინებს. აქ მოტანილია მოგზაურობის დეტალები, სიძნელეები, სიმპათია-ანტიპათიები, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი მთლიანად გამოქვეყნება;

"ძვირფასო დედა, როგორც იქნა თბილისში ჩამოვედით. ვერ გეტყვი, რომ კავკასია კარგად შეგვხვდა. ნოვოროსიისკიდან თან გვსდევდა წვიმა. ვლადიკავკაზამდე რკინიგზით მოგზაურობის დროს წვიმა იმდენად ხელს არ გვიშლიდა, მაგრამ მთებზე გადასვლის დროს იგი ყოველმხრივ არასასიამოვნო მოვლენაა. ჯერ ერთი, ხელს ვიშლის დატკბე დიდებული მთების სილამაზით, მეორეც, გასველებს და ბოლოსდაბოლოს შეუძლია მოგზაურობა შეგაწყვეტინოს. სწორედ ასე მოგვივიდა მლეთის სადგურში, სადაც გზის გაწმენდამდე იძულებული ვიყავით შვიდი საათი გვეცადნა. ცელქმა არაგვმა ერთ ადგილას გზის მთელი ნაჭერი შთანთქა და ფეხით მოსიარულეთათვის საჭირო გახდა გასასვლელის გაკეთება, რასაც დასჭირდა შვიდი საათი. გაწმენდილი გზის გადაღმა საჭირო იყო სხვა შემხვედრ ეტლში გადაჯდომა. ჩვენ ცუდი ეტლი შეგვხვდა. ტფილისში ღამის სამ საათზე ჩამოვედით და ძლივს მოვეწყვეთ საძაგელ ნომრებში.

მთელი დღეა წვიმს და ზოგჯერ დაგავიწყდება, რომ მოსკოვში არა ხარ. ტფილისი, როგორც ჩანს ორიგინალური და საინტერესო ქალაქია, მაგრამ წვიმის დროს ყველა ფერს კარგავს. მე ბედნიერი ვარ, რომ დარიალის ხეობა მაინც ვნახე - დროგამოშვებით მზე გამოანათებდა. ჰო - ეს რაღაც დიდებული და საშინლად ლამაზია, თუმცა მისი მწვერვალები ნისლებში იყო ჩაკარგული. თერგი ჭეშმარიტად ლომივით ხტის, მისი ტალღები ბობოქრობენ, ნაპირებს ეხეთქებიან და ზოგჯერ მართლაც ლომის ფაფარს მოგაგონებენ. წვიმისაგან მდინარის წყალი ტალახიანი, მღვრიე - მოყვითალოა. შემდგომი სადგური კობი იყო და წვიმამ აქ თვალი არ გაგვახელინა. ამბობენ ერთ-ერთი ულამაზესიაო. გუდაუთის (?) სადგურიდან, სადაც ღამე გავათიეთ, გავედით ჭექაქუხილის და ელვის თანხლებით. ქვემოთ უფსკრულებია... საშინელი, საზარელი... სილამაზეა. იმის გამო, რომ მთებში წვიმამ არ გადაიღო, ალბათ გზაც გაფუჭებული იქნება, ამიტომ ბათუმისაკენ წავალ, თუმცა ძალიან არ მინდოდა. მაგრამ გზების გაფუჭების გამო სადგურში სამი-ოთხი დღითა და მეტი ხნითაც გვიხდება ყურყუტი, ამიტომ კვლავ მთებში დარჩენა ვეღარ გადამიწყვეტია. რაკი თვალი გადავაკვლე, ჩემთვის ესეც საკმარისია. მოგზაურობის დროს სადგურებში განუსაზღვრელად დიდხანს მოცდა აუტანელი და ყველაზე არასასიამოვნოა. ასეთი წარუმატებლობის მიუხედავად, სიმშვენიერის იმ პატარა ნაწილთაც, რაც ვნახე, განცვიფრებული ვარ. კავკასია ასე შორს რომ არ იყოს, კიდევ გავბედავდი აქ ჩამოსვლას! გული მწყდება, რომ უკან მთების გამოვლით ვერ დავბრუნდები! ძალზე დასანანია. ლერმონტოვი ყველაფერში მართალია, ის საუკეთესო მეგზურია. პუშკინიც ხომ ვნებებით მოიხიბლა. საერთოდ არასრული წარმატებების მიუხედავად, მე კმაყოფილი ვარ, რომ კავკასიის ნაწილი მაინც ვნახე..." (გვ. 175,176).

\*\*\*

როგორც ვხედავთ, ცუდმა ამინდმა ჩვენს მოგზაურებს გაუფუჭა ხასიათი, ამიტომ კავკასიის, კერძოდ საქართველოსა და თბილისის შეფასებაში უამინდობის გამო მცირე საყვედური თუ გამოერიათ, ეპატიებათ. ალბათ სწორედ ამ მიზეზს უნდა მიეწეროს ვ.ვასნეცოვის წერილების გამომცემლების მიერ გამოჩენილი დაუდევრობა ავტორის ნათქვამის მიმართ. იგი ერთის შეხედვით შეიძლება ჩვეულებრივ კორექტურულ შეცდომად მოგვეჩვენოს, რადგანაც საქმე ეხება მხოლოდ ერთ ასოს, მაგრამ აზრი იმდენად იცვლება, რომ ეს შეცდომა არ



შეიძლება უწყინარ კორექტურად მივიჩნიოთ. თბილისის სასტუმროში ჩამომხდარი მოგზაურები ვ.ვასნეცოვის წერილებში გამომცემლების მიხედვით. “едва добились ночлега в скверных номерах” (გვ. 175). “სკვერნიე ნომერა” როგორც მკითხველმა უკვე იცის, ჩვენც “საძაგელ ნომრებად” ვთარგმნეთ და დავუსვით კითხვითი ნიშანი, მაგრამ საქმე სულ სხვაგვარადაა. როგორც ცნობილია, იმ დროისათვის თბილისში მოქმედებდა სასტუმრო “ჩრდილოეთის ნომრები” “Северные номера”, რასაც საერთო არაფერი აქვს “საძაგელ ნომრებთან”. ამ შემთხვევაში საბედისწერო აღმოჩნდა ასო “е” –ს შეცვლა “к”-დ. შეიძლება ამ წვრილმანზე არც ღირდა ყურადღების გამახვილება, მაგრამ ამან მკითხველს იმდროინდელ თბილისზე შესაძლოა არასწორი წარმოდგენა შეუქმნას. მით უმეტეს, რომ, როგორც სხვა ცნობებით მტკიცდება, თბილისში “Северные номера” ერთ-ერთ საუკეთესო სასტუმროდ ითვლებოდა.

მოგზაურები სწორედ ამ სასტუმროში რომ გაჩერდნენ, ამას ადასტურებს ა.კალიუჟნის ზემოთმოტანილი მოგონება და თბილისის მაშინდელ გაზეთებში “ივერიასა” (7 ივნისი, 1900 წ. №120) და “ტფილისსკი ლისტოკში” (6 ივნისი 1900წ.) გამოქვეყნებული ცნობები. ამ უკანასკნელში ვკითხულობთ, რომ “В Тифлисе в настоящи время гостят известные русские писатели – белетристы Антон Павлович Чехов и Максим горький (А.Пешков) и не менее известный художник В.Васнецов. Все трое остановились в “Северных номерах”.

იმავე წერილში მეორე შეცდომააც არის დაშვებული. “Гудаур”-ის ნაცვლად გამომცემლები გვთავაზობენ მათთვის უფრო კარგად ცნობილ ტოპონიმ “Гудаут”-ს. ქართველი მკითხველისათვის ეს მართლაც კორექტურული შეცდომაა, რადგანაც სამხედრო გზაზე მას გულაუთა არამც და არამც არ ეგულება, მაგრამ, ვინც კარგად არ იცნობს ჩვენს რესპუბლიკას, მათთვის ამას შესაძლოა პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდეს.

მკითხველს პატიებას ვთხოვთ ასეთი გადახვევისათვის, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ ამ შეცდომების გასწორებას თავადაც აუცილებლად მიიჩნევს.

\* \* \*

ვ.ვასნეცოვი დიდი მწუხარებით შეხვდა ა.ჩხეიძის გარდაცვალებას. 1904 წლის 12 ივლისს ი.ლ. შჩეგლოვ-ლეონტიევისადმი მიწერილ ბარათში ის მეგობარს იხსენებს საყვარელ, ნათელ ადამიანად და მხატვრად. “მისი ზოგიერთი მოთხრობის სევდიანი

და მოსაწყენი ტონის მიუხედავად, მათგან ყოველთვის თბილი და ნათელი ნიავი ქროდა” (გვ. 202).

ვ.ვ.ვასნეცოვის წერილებიდან ინტერესს იწვევს შვილის მ.ვ. ვასნეცოვისადმი გაგზავნილი უკანასკნელი ბარათი, რომელიც დათარიღებულია 1926 წლის 29 მაისით, ე.ი. დაწერილია გარდაცვალებამდე რაღაც თვით ადრე. მართალია ამ წერილში არაფერია ნათქვამი ჩვენს რესპუბლიკაზე, მაგრამ მასში მოცემულია ვ.ვასნეცოვის ბიოგრაფიის ერთი ეპიზოდი. აგრეთვე მისი დამოკიდებულება მეორე დიდი რუსი მხატვრის ი.ე. რეპინის დრამატიული ბედისადმი, ამიტომ ვფიქრობთ ეს წერილი მკითხველსაც დაინტერესებს: “საიუბილეო დღესასწაულებით არა ვართ განაწყენებული: 1923-ში დაბადებიდან 75-ე წლის-თავზე მე მისახსოვრეს “რუს მხატვართა კავშირის” წევრთა ადრესი... მრავალი ხელმოწერით. ადრესი გადმომცეს აპოლინარიიმ, ზახაროვმა, ბიჩკოვმა და ალექსანდრე ვალენტინის ძე სრედინმა. ხომ ხედავთ ჩვენც ცოტა რამ გაგვეგება. მხატვართა ყურადღება დღეს მიპყრობილია იმისაკენ, ი.ე. რეპინი დაბრუნდება თუ არა რუსეთში, მოსკოვში? მოსაპატიჟებლად მასთან დეპუტაცია გაიგზავნა. მოხუცებულობის დროს ზოგჯერ ჩვენ ფუქსავატურად ვიქცევით ხოლმე, არცაა გასაკვირი თუ ჩამოვა, მაგრამ შესაძლოა არც ჩამოვიდეს. მის ფლუგერს ქარი ჩვენსკენ აბრუნებს, ოღონდ ასეთი მოგზაურობისათვის ის მოხუცია...” (გვ. 225).

ა. ჩეხოვის, მ.გორკის და სხვა რუსი მწერლებისა და ხელოვანთა შეხვედრებს “ვასნეცოვის ხუთშაბათებიც” უწყობდა ხელს. მათ გარდა მხატვრის სალონში თავიანთი ოჯახებით თავს იყრიდნენ: ი.რეპინი, ვ.პოლენოვი, ვ.სურიკოვი, ვ.სეროვი, მ.ნესტეროვი, ა.კუინჯი, კ.კოროვინი, ფ.შალიაპინი და სხვ.

მაქსიმ გორკის ვიქტორ ვასნეცოვი სწორედ იალტაში დაუმეგობრდა. მწერალი მას “რუსული ფერწერის გოლიათს” უწოდებდა. ეს მეგობრობა საქართველოში მოგზაურობის შემდეგ კიდევ უფრო გაღრმავდა. 1900 წლის ოქტომბერში მ.გორკი ანტონ ჩეხოვს სწერდა: “მე ახლახან დავბრუნდი მოსკოვიდან, სადაც მთელი კვირა დავრბოდი და ვტკბებოდი ვასნეცოვისეული “ფიფქიას” და “მრისხანეს სიკვდილის” საოცრებათა ხილვით... სულ უფრო მეტად მიყვარს და ვაფასებ ამ დიდებულ პოეტს. მისი “ბაიანი” – გრანდიოზული ნაწარმოებია. და კიდევ რამდენი ცოცხალი, ლამაზი, ძლივამოსილი სიუჟეტები აქვს სურათებისათვის! მე მას უკვდავებას ვუსურვებდი” (გვ. 416).

თავისი მეგობარი მხატვრების დიდი პატივისმცემელი, მათი შემოქმედების ობიექტური შემფასებელი ვ.ვასნეცოვი იმავდროულად მკაცრ მომთხოვნელობას იჩენდა მათ მიმართ და პირუთვნელად, მიკიბვ-მოკიბვის გარეშე მიუთითებდა ნაწარმოებების ნაკლოვან მხარეებზე.

1909 წლის 7 იანვარს ვ.ვასნეცოვს დაუთვალა იერებია “რუსი მხატვრების კავშირის” გამოფენა, სადაც სხვათაგან ერთად (ა.ე.არხიპოვი, ლ.ს.ბაკსტი, ი.ი.ბილიბინი და სხვა) წარმოდგენილი იყო ვ.ა. სეროვის მიერ შესრულებული ა.პ.ლენსკის, მ.ნ.აკიმოვას და ა.ი. სუმბათაშვილი - იუჟინის პორტრეტები. მათი ნახვის შემდეგ ვ.ვასნეცოვმა არც ვ.სეროვი დაინდო. იგი შემდეგ სწერს: “მე გუშინ ვიყავი “კავშირის” გამოფენაზე და არც თუ ისე კმაყოფილი დავრჩი. თავისი პორტრეტებით განსაკუთრებით მატკინა გული სეროვმა. მე მასზე უფრო კარგი წარმოდგენა მქონდა - როგორ მიეჩვივნენ პრანჭვას”... (გვ. 213).

ვ.ვასნეცოვმა სიცოცხლეშივე მოიბოვა დიდი აღიარება კოლეგებს შორის. ი.გრაბარის ეხება ვ.ვასნეცოვის მიერ შექმნილ “ქვის საუკუნეს”, აღარებს მას ფრანგი ფერმწერის ფერნან კორმონის (1845-1924) “კაენს” და უპირატესობას ანიჭებს პირველს. სხვათაშორის ფ.კორმონის მოწაფე იყო რამდენიმე წლის წინ აფხაზეთის მიწაზე გადმოსვენებული ცნობილი მხატვარი ა.კ.ჩაჩბა -შერვაშიძე.

\* \* \*

საქართველოში სტუმრების ყოფნის შესახებ შემოგვრჩა მხოლოდ გაზეთებში “ივერიისა” და “ტფილისსკი ლისტოკში” გამოქვეყნებული მცირე ინფორმაციები, ამიტომ ზემოთმოტანილ მოგონებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამ მხრივ კიდევ უფრო საინტერესოა მსახიობ ა.გ.ალექსიძის (სონდულაშვილის) ერთი მოგონება, რომლითაც ვგებულობთ, რომ იმ დროისათვის საქვეყნოდ ცნობილ ადამიანებს და საქართველოს ძვირფას სტუმრებს ღირსეულად გაუმასპინძლდა თბილისის მოწინავე საზოგადოება: “თბილისში ჩამოვიდნენ რუსული ხელოვნების დიდი მოღვაწეები მაქსიმ გორკი, ანტონ ჩეხოვი და მხატვარი ვასნეცოვი. ვერის ბაღში, ყოფილ “ფანტაზიაში” ქართველმა მწერლებმა მათ საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს. მეც მიმიწვიეს, როგორც მოცეკვავე. ზეიმზე სხვა ქართველი მოცეკვავეებიც იყვნენ. სტუმრებმა ისურვეს ჩვენი ცეკვების ნახვა. მე ჯერ ერთი ქართველი ქალი გამოვიწვიე,

მერე მეორე, მერე მესამე... შემდეგ, ენერჯისა და ძალის დაუზოგავად სხვა ცეკვებიც შევასრულე. სტუმრებს ჩვენი ცეკვები ისე მოეწონათ, რომ მათზე გაცხოველებული საუბარი გამართეს, წავიდა სადღეგრძელოებიც: მახსოვს გორკი, რომელმაც ხელში ჭიქა აიღო და სიტყვა წარმოთქვა: ვსვამ იმ ერის სადღეგრძელოს, რომელმაც თავის დიდებასთან ერთად ასეთი მშვენიერი ცეკვა შექმნაო.

ამ სიტყვებს ვასწავლია დაუმატა შემდეგი: “დღევანდელმა ცეკვამ მე მაიძულა მეფიქრა თუ ისტორიულად ეს ხალხი რამდენად ამაყი იყო. ქართველების წარსულიდან ამ ცეკვებმა ბევრი რამ ნათლად დამანახა, ჩემმა გონებამ ცოცხლად წარმოიდგინა ქართველი ხალხის მთელი წარსული დღევანდლობამდე, მისი ზნეობა და ადათები”... გორკისა და ვასნეცოვის სიტყვებს გამოეხმაურნენ ქართველი მწერლები. აზრთა გაცვლა-გამოცვლამ ისეთი სახე მიიღო, რომ სადილი და მუსიკა დაგვავიწყდა” (ციტირებულია წიგნიდან “Летопись дружбы сост. ВШадური. т.а. Тбилиси. 1967. с.521,522). სამწუხაროდ ჩვენთვის ამ მეტად საინტერესო მოგონებაში არ არის აღნიშნული ქართველ მწერლებიდან ვინ იყო სტუმრების საპატივცემულოდ გამართულ ნადიმზე. მიუხედავად ამისა სხვა ცნობებთან ერთად ეს მოგონებაც საშუალებას გვაძლევს დაასტურებულად მივიჩნიოთ:

1. 1900 წელს საქართველოში დიდი რუსი მწერლების ა.ჩეხოვის, მ.გორკის, მხატვარ ვ.ვასნეცოვის, ექიმების ა.ალექსინის და ლ.სრედინის ჩამოსვლის ინიციატორი იყო ვ.ვასნეცოვი, რომელსაც დიდი სურვილი ჰქონდა ენახა ჩვენი ქვეყანა, გასცნობოდა მის ბუნებას და ღირსშესანიშნაობებს.

2. ამ მოგზაურობაზე იმთავითვე გამოთქვა სურვილი მ.გორკიმაც, რომელიც თითქმის არასოდეს არ უშვებდა მცირეოდენ შესაძლებლობას ჩამოსულიყო საქართველოში.

3. საქართველოში ა.ჩეხოვის ჩამოსვლა (რომელიც ჩვენი აზრით მესამე უნდა იყოს) ამჯერად განაპირობა ოჯახურმა პირობებმა, მომავალი მეუღლის ო.კნიპერის საქართველოში ყოფნამ და ცხადია, მეგობრების თხოვნამაც.

4. ზემოთქმულის გარდა, ა.ჩეხოვის და მ.გორკის საქართველოში ჩამოსვლის მიზეზი, ჩვენი აზრით, სხვა არაფერი არ უნდა იყოს და მცდარად მიგვაჩნია ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრება, თითქოს სტუმრებს ამ მოგზაურობისათვის რაღაც უცნობი და განსაკუთრებული მიზანი ამოძრავებდათ.

## პოეტური ენის სპეციფიკა

პოეტური (სალექსო) მეტყველება წარმოადგენს მეტყველების განსაკუთრებულ ტიპს. მტკიცებას არ საჭიროებს თვალსაზრისი, რომ პროზაულ და სალექსო მეტყველებას შორის არსებობს მკაფიოდ გამოკვეთილი სადემარკაციო ხაზი, თუმცა, იმავე დროს მეტყველების ეს ორი ნაკადი ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს გადაჰკვეთს კიდევ.

სალექსო მეტყველებაში, ბ.ა.ლარინის აზრით, სიტყვიერი ხელოვნების ეფექტი სულ სხვა სახისაა და სულ სხვა დანიშნულება აქვს, ვიდრე ენის ყველა სხვა ტიპის მეტყველებას. ( გ.ლარინი. სიტყვის ესთეტიკა და მწერლის ენა. 1974. გვ.41) მკვლევარი პრინციპულად იცავს აზრს, რომ ლექსის ენა წარმოადგენს მხატვრული ენის ნაირსახეობას. თუ ჩვენთვის სალექსო მეტყველება განსაკუთრებული ტიპია, მეტადრე მხატვრული სტილური ნაირსახეობა, მაშინ ჩვენ შეძლებისდაგვარად უნდა დავადგინოთ მისი სპეციფიკური თავისებურებანი, რაც ბუნებრივია, დაკავშირებულია სიძნელეებთან. ეს სიძნელეები კი ქმნის ნაირგვარი მოსაზრების საფუძველს.

პოეტური ენის, როგორც მხატვრული ენის, ერთ-ერთი ნაკადის ნიშანთვისებათა დადგენისათვის მხედველობაშია მისაღები შემდეგი მომენტები:

ა/როგორია პოეტური მეტყველების მიმართება “მხატვრულ ენასთან” და საერთოდ ჩვეულებრივ მეტყველებასთან.

ბ/უნდა დადგინდეს ლექსისა და პროზის ენის აღნაგობა, სისტემა, მათი სპეციფიკური თავისებურებანი, რომლებიც მოგვცემენ სხვაობას მათ შორის და გამოკვეთენ პოეტურ ენას, როგორც მხატვრული ენის სტილისტურ ფუნქციურ განშტოებას. მხატვრული ენის სპეციფიკურ ენობრივ ნაკადს.

ლექსის ენის სტრუქტურის, მისი შემადგენელი ნაწილების გამოყოფა და მათი ურთიერთმიმართება, აგებულება, წყობა მოგვცემს მის სტილისტურ, ფუნქციურ თავისებურებებს, ამასთან გამოავლენს მის სპეციფიკურ ნიშნებს. “ლექსისა და პროზის სპეციფიკას” მათი ძირითადი მხატვრული ფაქტორის მინიმუმი განსაზღვრავს და არა მაქსიმუმი”. მაგალითად, ლე-

ქსში საკმარისია მეტრის (საზომის) ნიშანი, ე.ი. საერთო ილუზია ბგერითი ელემენტების თანმიმდევრობისა, რომლის მიხედვით რეგულირდება სიტყვები ტაეპში. პროზაში კი საკმარისია სიტყვების ნიშანი. (ა.გაწერელია, ქართული ლექსი. თბ.1965. გვ.50).

პოეტური მეტყველება, როგორც სპეციფიკური ფორმა მეტყველებისა, კომუნიკაციის ყველაზე რთული სისტემაა. იგი არის მყარი, დასრულებული, თვითჩაკეტილი სტრუქტურა, ჩამოყალიბებული ურთიერთარსებობის, ურთიერთქმედების, ურთიერთმიმართების პრინციპზე, ამასთან ხასიათდება პოეტური საშუალებებისა თუ მხატვრული გამომსახველობითი ელემენტების დინამიური თანმიმდევრობით. აქ ისიც უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ “პოეტური ენა კრისტალიზებული მეტყველებაა გამოთქმის თვალსაზრისით, რის გამოც იგი თავისივე კონსტრუქციით წარმოადგენს საერთო სალიტერატურო ენისაგან განსხვავებულ ფენომენს. (ა.გაწერელია. დასახ. ნაშრ. გვ.47).

პოეტური მეტყველების თავისებურების განსაზღვრისას მისაღებია მოსაზრება, რომ გარდა რიტმულობისა, იგი ფიგურალობისა და ბგერითი სისტემის მხრივაც მტკიცედ ორგანიზებულია. მართალია, ტროპული აზროვნება დამახასიათებელია მხატვრული პროზისათვისაც, მაგრამ ლექსში იგი უფრო ხშირია და თავისებურიც. (ლიტერატურის თეორიის საფუძვლები, გვ.350). თუმცა იგი ჩვეულებრივ არ არის პოეტური ენის ძირითადი ნიშანი. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლექსის რიტმი იგება ენობრივი მასალის ბუნებით და ახდენს მისი გამომხატველი საშუალებების თვისებათა მობილუზაციას. როგორი სპეციფიკური და თავისებურიც არ უნდა იყოს ლექსის წყობა, იგი ეკუთვნის ენას და არ განმეორდება მეტყველების ნაციონალური ფორმის გარეშე. სალექსო მეტყველება არის განსაკუთრებული მთლიანი მეტყველების ტიპი, რომელშიც მისთვის დამახასიათებელი ყველა თავისებურება გამომხატველობითი უნარის მქონეა. შინაგანად დაკავშირებული გამომხატველობითი სისტემის ერთიანობაში რიტმთან ერთად თავსდება ლექსიკა, სინტაქსი, ბგერითი მხარე, ინტონაციური ელფერი. სალექსო მეტყველებაში სხვაობა შეუძლია მოგვცეს გაცილებით მეტად რიტმული და ბგერითი სტრუქტურების ცვლილებამ, ვიდრე სახოვანმა, ლექსიკურმა, ფრაზეოლოგიურმა, კომპოზიციურ-სინტაქსურმა, მაგალითად: ნ.ბარათაშვილის პოეზიაში ლექსი “ქეთევანი” 3/32 რიტმითაა გაწყ-

ობილი, ამიტომაც იგი თავისი რიტმული კომპოზიციით მკვეთრად განსხვავდება დანარჩენი ლექსების რიტმული წყობისაგან.

ქორული კადენცია, სტრიქონის დაბოლოება და დაქტილურით დაწყება თავისებურ რიტმულ სამოსელს იძლევა და იგი ახლოს იგება ხალხური ლექსის რიტმთან. ეს რიტმული საზომი ნ.ბარათაშვილის პოეზიისათვის უჩვეულოა და თავისთავად გვიჩვენებს, თუ რა მკვეთრი სხვაობის მიცემა შეუძლია რიტმულ კონსტრუქციებს სალექსო სისტემაში:

“ზვირთები მოღუღუნებენ,  
ქალები ბუჩქნარობენ,  
ხშირნი ლამაზთა კილება,  
მჩქეფარედ მდინარის ქსნისათა”  
“ქეთევან”

აქვე მოვიყვანოთ მაგალითი, როცა ტაეპის დასაწყისი არის ქორული, ხოლო ტაეპის კადენცია დაქტილური და უმაღლ ნათელი გახდება თუ როგორ ცვლის რიტმული კონსტრუქცია სალექსო მეტყველებას:

“ვერღა აღმივთ სიყვარულმა კვლავად ტაძარი,  
ვერსად აღვანთე დაშთომილი მისი ლამპარი,  
ესრეთ დამიხშო უკუღმართმა ნუგეშის კარი,  
და დავალ ობლად ისევ მწირი, მიუსაფარი”.

!“ვპოვე ტაძარი”/

მხატვრული ენის ძირითად ნიშან-თვისებას მეტ-ნაკლებად ატარებს პროზაც და პოეზიაც. მაშინ, რა სპეციფიკური ნიშნები აქვს პოეტურ მეტყველებას?

კომუნიკაციური ლინგვისტიკის ასპექტში პოეტური მეტყველების ანალიზი გულისხმობს გამოყოფასა და დახასიათებას პოეტური საშუალებებისა, რა თქმა უნდა, მხატვრული გამოსახვის გათვალისწინებით. ცალკე სიტყვას ან სინტაქსურ კონსტრუქციას არ აქვს პოეტური ღირებულება. მას ენიჭება აზრი მხატვრულ ორგანიზაციაში. ენობრივი ელემენტების პოეტური გამოყენებით მიიღება პოეტური მეტყველების ტიპი, საერთო მეტყველების ახალი სახე. (ვ.ვინოგრადოვი, რუსული სტილისტიკის პრობლემები. მ.1981 გვ.13).

სალექსო მეტყველება, როგორც ნებისმიერი მეტყველება, კომუნიკაციის ერთ-ერთი სახეა. აქედან გამომდინარე იგი იცავს მის ყველა კანონს. ამასთანავე გააჩნია საკუთარი წესები, რომელიც აყალიბებს პოეტურ მეტყველებას, მაგალითად, ინტონაციური მონაკვეთი, სტრიქონებად დაყოფა, აზრის აქტიური გამოკვეთა, ლექსის სტრუქტურული სხვაობა განს-

ხევებული პროზაულისაგან. (ვ.ვინოგრადოვი, რუსული სტილისტიკის პრობლემები მ.1981. გვ.77. ლ.ტიმოფეევი, რუსული ლექსის თეორიისა და ისტორიის ნარკვევები. მ.1958. გვ.42).

პოეტური მეტყველების სტრუქტურული თავისებურება გამოიხატება მის სპეციფიკურობაში, კერძოდ, კეთილზმონებაში, ბგერით სისტემატიზაციაში, სინტაქსურ წყობაში, დანაწევრებაში, განსხვავებულ სიტყვათა გამოყენებაში, სიტყვათა სემანტიკაში. (ვ.ვინოგრადოვი, იქვე, გვ.78).

ცნობილი რუსი მეკლევარი გ.ო.ვინოკური ამტკიცებს, რომ ყოველი სიტყვა პოეტურ ენაში არის ერთმანეთთან მჭიდროდ შეზრდილი, გადაბმული წევრი და აზრის მთლიანობის მფლობელი (გ.ო.ვინოკური. პოეტური ენის რაობა. ფილოლოგიური ფაკულტეტის მოხსენებები და ცნობები. მ.ს.უ.მ. 1947. გვ.6).

ერთიანობა და სიმჭიდროვე სალექსო სტრიქონისა მთლიანად ანსხვავებს პოეზიის ლექსიკას პროზის ლექსიკის სტრუქტურისაგან. თავისთავად სიტყვასა და სიტყვათა კონსტრუქციას არა აქვს პოეტური ღირებულება, სიტყვა პოეტურ მნიშვნელობას იძენს მხატვრულ ორგანიზაციაში. ამ ფაქტის დასადასტურებლად გამოგვადგება ილია ჭავჭავაძის პირადი წერილი და მისივე ლექსი "ყვარლის მთებს". ერთი ტექსტიც და მეორეც გვაწვდის ერთსა და იმავე შინაარს, "ინფორმაცია" იმ განცდისა, რომელიც დაკავშირებულია რუსეთში სასწავლებლად გამგზავრებასთან. ერთი ტექსტი ჩვეულებრივი თხრობის ფარგლებშია, მეორე კი მხატვრული თხრობის კუთვნილებაა. მათი შეპირისპირება ნათლად აჩვენებს, რომ მხატვრულ ტექსტში ლირიკა ახლებურ დატვირთვას იძენს. იგი მდიდრდება არა მარტო სემანტიკურად, არამედ ხდება ემოციურიც. ლექსში თავისებურ დატვირთვას იძენს მშობლიურ ადგილთან განშორება, რაც მიღწეულია "განებებთ თავსა", "თქვენს ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებას..." სიდიადე თქვენი მგვრიდა კანკალს, ჟრჟოლასა, რა-რიგ მიყვარდით, მეგობარნო, ჩემ ყმაწვილ-ყრმობის და აწ მაშორებს თქვენი ვალი ამ წუთისოფლის... თვალში ცრემლით განებებთ თავსა".

სალექსო სიტყვის მნიშვნელობა თავისი თვისებებით ძლიერია. ლექსში გამოყენებული თითქმის ყველა სიტყვა განსაკუთრებულ ელფერს (ფეროვნებას) იძენს, შეიძლება ითქვას, რომ ყოველი სიტყვა ლექსში არის თავისებური ლექსიკური ტონის მქონე. სტრიქონთა სიმჭიდროვის შედეგად იზრდება ლექსიკური შეფერილობის ურთიერთგადამდები ასი-

მილაციური ძალა. იქმნება რაღაც ერთიანი ლექსიკური ტონალობა (მიმართულება) ლექსის მთელ მანძილზე. ეს ტონალობა ცვალებადია, შეიძლება დასუსტდეს ან გაძლიერდეს.

ახლა უბრალოდ ინფორმაციული ტექსტი - “ვაპირებ წასვლას... მეძნელება დატოვება ყვარლისა... ყოველი ნაწილი ალაგისა მომაგონებს ჩემს დაუღვევლ ყმაწვილობას. ერთი სიტყვით, ვესალმები ყოველს ფერს, რაც არის ჩემის გულდამ დაუვიწყარი... მივდივარ ერთს უცხო ქვეყანაში... უბედურებაში არავინ მეყოლება ნუგეშისმცემელი...”

სიახლის გრძობით შემოდის მხატვრულ ტექსტში ლექსიკური ერთეულები-დავიწყება, ყრმა, ყრმული, წუთისოფელი”.

არიგად, სიტყვა პოეტურ მეტყველებაში იძენს რაღაც ახალ თვისებას, როგორც კი სიტყვა მოხვდება ლექსში, უკვე განიცდის შიდა სალექსო გარემოცვის გავლენას, მაგრამ ეს შემოსაზღვრა შემთხვევით არ იქნება, ამ გარემოცვას ქმნის რიტმი.

ამდენად, ლექსსა და პროზას შორის განსხვავება პირველ რიგში მეტყველებაში ფონოლოგიურ სისტემას და უსისტემობას, ფუნქციონალურ მნიშვნელობას არეგულირებს.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, სიტყვის შიდა სალექსო გარემოცვის გავლენა იძლევა საშუალებას საგანგებო ყურადღებით მოვეკიდოთ პოეტურ სემანტიკას და მოვახდინოთ მისი განსაკუთრებული ანალიზი. ალბათ ამიტომაც ითვლება იგი პოეტური მეტყველების ერთ-ერთ, ზოგჯერ მთავარ განმასხვავებელ ნიშნებად.

ი.ნ.ტინიაკოვი რიტმს ყოველთვის ანიჭებს კონსტრუქციულ როლს და თვლის მის საყრდენად. (ი.ტინიაკოვი, სალექსო ენის პრობლემები. მ.1965. გვ.501). ასეთივე როლი ენიჭება ინტონაციასაც.

ბ.მ.ეიხენბაუმის დაკვირვებით “მხატვრული ნაწარმოები არის ყოველთვის სხვადასხვა ფორმობრივი ელემენტების რთული წინააღმდეგობა, ასევე მათ შორის არის გარკვეული კომპრომისი. ეს ელემენტები არა უბრალოდ არსებობენ არამედ უბრალოდ ერთმანეთთან არიან “შეთანხმებული”. ესა თუ ის ელემენტი, გამომდინარე საერთო სტილიდან, ღებულობს ორგანიზაციული დომინანტის მნიშვნელობას, ბატონობს და იმორჩილებს დანარჩენებს. ლირიკაში კი ასეთი დომინანტის ტიპის როლში გამოდის ინტონაცია, რომლის რეალიზაცია ხდება ამა თუ იმ სინტაქსურ აგებულებათა თავისებურებებში.

აქ ჩვენ უბრალოდ ვაკვირდებით არა მეტყველების ინტონაციის ცვალებადობას, არამედ ინტონირების გაშლილ სისტემას, რომელიც ლექსის კომპოზიციას ბევრად განსაზღვრავს, ვიდრე სიტყვიერი თემები (ეიხენბაუმი, რუსული ლირიკული ლექსის მეთოდოლოგია მ.1965. თხზ.9). მკვლევარი, ცხადია, მოცემულ შემთხვევაში გულისხმობდა ინტონაციის ქვეშ პროსოდული ელემენტების რთულ კომპლექსს, სხვა ელემენტებთან ერთად. რა თქმა უნდა, რიტმსაც.

მაშასადამე, ტინიაკოვისათვის ლექსში რიტმს აქვს კონსტრუქციული როლი, ეიხენბაუმისათვის კი ინტონაციას. ჩანს ერთი და მეორეც განსაზღვრავს ლექსის კომპოზიციას.

ვ.მ.ჟირმუნსკი ლექსის აგებულების, მისი შემადგენელი ნაწილების შესწავლამ მიიყვანა შემდეგ დასკვნამდე: კომპოზიციის ძირითად პრინციპად გამომსახველობით ხელოვნებაში რჩება სიმეტრიის სხვადასხვა ფორმები (ფართო გაგებით). ე.ი. ენობრივი მასალის საშუალების, ხერხების სივრცეში მხატვრულ-კანონზომიერი განლაგება, კანონზომიერი ადგილის მიჩენაა. ამავე დროს კომპოზიციის პრინციპად ხელოვნებაში (მუსიკა, პოეზია, ცეკვა) არის რიტმი, როგორც დროში მასალის მხატვრულ-კანონზომიერი აგებულების ძირითადი ფაქტორი. (ვ.მ.ჟირმუნსკი, ლირიკული ლექსის კომპოზიცია, 1921. თხზ.8).

რიტმი იმორჩილებს ლექსის სხვა ყველა კონსტრუქციულ ელემენტს, უპირველესად, ჟირმუნსკის თეორიის თანახმად, რიტმულ განლაგებას ემორჩილება ხმოვანთა თუ თანხმოვანთა თვისობრივი ელემენტები (სიტყვიერი ინსტრუმენტირება), ხდება მათი ორგანიზაცია, ჩნდება სხვადასხვა ბგერათა განმეორება, მათ შორის, მაგალითად რითმის ფორმები, რომელიც ასრულებს ორგანიზაციულ როლს, ზოგჯერ ლექსის აგებულება განსაზღვრავს ან თავისებურ გავლენას ახდენს სინტაქსური წგუფების განლაგებაზე. ლექსში არ არის ელემენტი, რომელიც გულგრილი იყოს რიტმის მიმართ. ლექსის სტრუქტურული სახე რიტმზეა დამოკიდებული, როგორც პოეზიის სპეციფიკური ბუნების განმსაზღვრელ მოვლენაზე. რიტმის მოქმედი ფაქტორებიდან განსაკუთრებული როლი აკისრია მეტრსა და სტროფიკას.

ქართული ლექსის რიტმული ბუნება განსაზღვრულია ტაეპთა სიგრძე-სიმოკლით, ტაეპებში ტერფთა ხასიათითა და ადგილმდებარეობით და ტაეპების სტროფებად გაერთიანებით. ტერფი, ტაეპი, სტროფი - აი, ეს სამი ძირითადი ერთეული, რომელთა კონკრეტული ანალიზი წარმოდგენას მოგვცემს ლე-

ქსის აგებულებაზე და გზას გაგვიხსნის მისი შინაგანი ბუნების შეცნობისაკენ.

ლექსის რიტმული წყობის შესწავლა ტერფების ანალიზით უნდა დავიწყოთ. ტერფია ის უმცირესი ერთეული, რომელიც ტაეპში რიტმის რეალურ საყრდენს წარმოადგენს. რიტმის მოძრაობა ტაეპში ტერფების მეშვეობით ხდება. ტაეპის რიტმული სახე იცვლება იმისდამხედვით, თუ რა და რა ტერფები მონაწილეობენ ტაეპში და როგორია მათი განლაგება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ტაეპის რიტმული სახე, ამავე დროს ლექსის რიტმული სახის განმსაზღვრელია, მაშინ ცხადი გახდება ტერფის როლი და მნიშვნელობა ლექსისათვის. ტაეპში ტერფის ხასიათი და ადგილმდებარეობა ლექსის არა მარტო გარეგნულ იერს ქმნის, არამედ აქტიურ მონაწილეობას ლებულობს მისი შინაგანი სახის გამოკვეთაში. (ა.გაწერელია, რჩეული ნაწერები, ტ. II. გვ. 62. ა.ჭილაია, ლიტერატურისმცოდნეობის ძირითადი ცნებები, თბ. 1971. გვ. 27).

აქვე აუცილებელია დადგინდეს, აქვს თუ არა რიტმი პროზას. აქ გამოგვადგება სახელმძღვანელოდ ა.გაწერელიას მოსაზრება. მას “მეტრულ პროზაში” სიუჟეტი საზომი რეკვიზიტის დონეზე დაჰყავს, ლექსში კი თვითონ რეკვიზიტია გარიტმული, ე.ი. სხვა ნიშნებითაა აღჭურვილი.

პროზას აქვს არა მარტო რიტმი, არამედ რიტმულობა, რიტმი აქვს მხოლოდ ლექსს (ა.გაწერელია, იქვე, გვ. 51). საბოლოოდ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება პროზის რიტმის მოვლენის გათანაბრება ლექსის რიტმთან. პროზაული ენის სპეციფიკას რიტმი არ შეადგენს.

პროზაში სამეტყველო ერთეულები არ შეიძლება დაემორჩილონ რიტმულ სისტემას, რადგან თხრობის პროცესი თხრობის სპეციფიკურ ნიშნებს უქმნის წინააღმდეგობას. ლექსისა და პროზის მეტყველების მთავარ განმასხვავებელ ნიშანს ქმნის მათი კონსტრუქციული ნიშნები, ამიტომ რაგინდ იდეალურად იყოს მოწესრიგებული ბგერითი მხარე პროზაში, “მას არ შეიძლება ჰქონდეს რიტმი, როგორც სისტემა და იმ ფუნქციის, როგორც მას ლექსში აქვს. პროზა არ იწერება საზომით, ხოლო ლექსს არ ჰქმნის სიუჟეტი. ლექსის ძირითადი ერთეულებია მიჯრით ერთმანეთზე მიყოლებული ტაეპები, პროზის სიუჟეტური განვითარება კი მოქცეულია აბზაცებით გადმოცემულ მოტივთა სისტემაში, თუ რომელიმე მათგანში შეგნებული ან უნებლიე ხარვეზია დაშვებული, წარმოიქმნება ექვივალენტები, მაგრამ ის მაინც მხატვრულად ფუნქციონირებს” (ა.გაწერელია, იქვე).

მხატვრული პროზა შეიძლება იყოს მელოდიური, კეთილმ-  
ოვანი, ზოგჯერ რიტმულიც, მაგრამ არ შეიძლება არ დაფი-  
ნახოთ მათ შორის პრინციპული სხვაობა. რაც რიტმულ  
ორგანიზაციაში ძვეს. პუშკოვსკი მიგვითითებდა:

1/რიტმი ტექსტში, ტონურ ლექსში ემყარება რეგულირე-  
ბას, უმახვილო მარცვლების როგორც დამხმარე საშუალებათა  
სარგებლობას, რეგულირებას ფონეტიკურ წინადადებაში.

2/რიტმი მხატვრულ პროზაში, პირიქით, ემყარება  
ტაქტების რიცხვს ფონეტიკურ წინადადებაში. ზოგჯერ შეიძლე-  
ბა გამოვიდეს ნაწილობრივ დამხმარე საშუალებად უმახვილო  
მარცვლების რიცხვით, რეგულირების ტაქტში, მაგრამ ყოველ  
შემთხვევაში არ მოგვცემს განსაკუთრებული სქემის რეგული-  
რებას. (ა.პენკოვსკი. რუსული ენის მეთოდის საკითხები,  
ლინგვისტიკა და სტილისტიკა ლ.1925, გვ.165).

მხატვრული პროზის რიტმიზაცია “ხორციელდება რიტმულ-  
სინტაქსური პარალელების და განმეორებების საშუალებით,  
სადაც არ არის პოეტური ტექსტის მეტრული ორგანიზაცია”  
(ა.მ.ჟირმუნსკი, დასახ. შრომა. გვ.114).

აქვე აუცილებელია გავარკვიოთ კიდევ ერთი საკითხი: რა  
არის პოეტური ტექნიკა? პოეტური ტექნიკის სისტემა ყველა  
ენისა და ლიტერატურისათვის არ შეიძლება ერთგვარი იყოს.  
პოეტური ტექნიკის ცნებაში ზოგჯერ გამოყენებული ხერხების  
მიმოქცევა დამოკიდებულია მოცემული ენის ფონეტიკურ  
სისტემაზე. განზოგადების მიხედვით პოეტურ ტექნიკაში შეიძ-  
ლება მივუთითოთ ერთ მთავარ პრინციპზე, რომლის მიხედვით  
ხდება ენობრივი მასალის ორგანიზაცია პოეტურ ნაწარმოებში,  
ეს არის ფონეტიკურ განმეორებათა წარმოდგენები, ამასთან,  
სხვადასხვა სიტუაციაში განმეორების მასალა შეიძლება იყოს  
ფონეტიკური წარმოდგენები სხვადასხვა რიგისა და წყობისა.  
ცხადია, პოეტურ ტექნიკაში გამოყენებული ხერხები, საშუა-  
ლებები დამოკიდებულია ენის ფონეტიკურ სისტემაზე. ამასთან  
პოეტურ ნაწარმოებში განზოგადების მიზნით პოეტური  
ტექნიკის სისტემებში განსხვავებათა მიხედვით შეიძლება  
გამოიყოს მთავარი პრინციპი, რომელიც ახდენს ენობრივი  
მასალის მთელ ორგანიზაციას. ეს პრინციპი წარმოგვადგება  
ფონეტიკური განმეორებებით, ამასთან, სხვადასხვა სიტ-  
უაციაში ენობრივი მასალის ფონეტიკური განმეორება გულ-  
ისხმობს სიტყვათა განსხვავებულ რიგს, შეთანხმების წესებს  
და შემადგენლობას. ამაშია პოლივანოვის მიხედვით ენის მასა-  
ლის (სიტყვის, ფრაზის) ფონეტიკური ორგანიზაციის მთელი  
სტრუქტურა. ამაზე დაიყვანება მთელი პოეტური ტექნიკა.

როცა ლაპარაკობდა განმეორების შესახებ, როგორც პოეტური ტექნიკის ზოგად პრინციპებზე, ე.ი. პოლივანოვის გულისხმობდა სხვადასხვა რიგისა და შემადგენლობის ფონეტიკურ ე.ი. ბგერულ განმეორებას. ამასვე აქცევენ ყურადღებას დღევანდელი მკვლევარები. მკვლევარი ხ.ნ.მაზმულოვი წერდა: "ლექსი ეწოდება მეტყველებას, რომლისათვისაც დამახასიათებელია ბგერული ორგანიზაცია, საერთოდ უფრო დამახასიათებელია ბგერათა განმეორება... მხედველობაში გვაქვს ენათა სხვადასვა სისტემა და ოჯახები: ალიტერაცია, ხმოვნებისა და თანხმოვნების მონაცვლეობა, მოკლე და გრძელი, მახვილიანი და უმახვილო მარცვლების თანაბარი განლაგება, პაუზები, ინტონაციური განმეორება, სტროფების გამოყოფა, რითმა, მათი წყობა და განლაგება.

ყურადღაღებია განმეორების ისეთი სახეები, ელემენტები, როგორიცაა ბგერა, მარცვალი, მორფემა, სიტყვა, სინტაგმა, შესიტყვება, სიტყვათშეწყობა. (ვიმოწმებთ. ხ.მაზმულოვის, სალექსო მეტყველება ვ.კ.ფილოლოგიური კრებული, აღმა-ატა, 1964 გვ.206).

როგორც ვხედავთ, ბგერათგამეორება ამ ავტორთან მოცემულია ყველაზე ფართო გაგებით. სახელდობრ ამ სახის განმეორება მიჩნეულია მთავარ ნიშნად სალექსო მეტყველებისა. აღსანიშნავია, რომ ყველა მეცნიერი ასეთ მნიშვნელობას არ ანიჭებს. ბევრი თვლის, რომ ლექსის მეტყველება არ შეიძლება დაყვანილი იქნას აღნიშნულ თვისებებზე, ყურადღებას აქცევენ სხვა არსებით მხარეებსაც, რომლებსაც ასევე მნიშვნელობა აქვს პოეტური მეტყველების სპეციფიკისათვის, მაგალითად ლ.ი.ტიმოფეევი წინა პლანზე წამოსწევს პოეტური მეტყველების განსაკუთრებულ ეფექტურობასა და ემოციურობას. განსაზღვრავდა რა ლექსის გამომსახველობით თვისებებს, იგი წერდა: დღემდე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მხოლოდ თვალში საცემ ნიშნებს. ლექსში ხშირად გაანალიზებენ ხოლმე რიტმულ და ბგერულ თვისებებს. ეს არის მხოლოდ ცალკეული ელემენტები, რომლებიც შედიან მთელს გამომსახველობით სისტემაში. ლექსს აქვს საკუთარი ტემპი, ინტონირების თავისი სისტემა. ის წარმოადგენს მეტყველების განსაკუთრებულ ტიპს. აქვს მეტყველების განსაკუთრებული სტილი. პირველ რიგში უნდა დადგინდეს ყველაზე მეტად ის ცოცხალი მეტყველების რომელ ტიპს უახლოვდება, რით იკვებება მისი გამომსახველობითი თავისებურებები. თუ ჩვენ ლექსში იზოლირებულად გამოვყოფთ და განვიხილავთ ცალკეულ მის გამოკვე-

თილ თავისებურებებს — რიტმს, რითმას — ჩვენ მათ შესაბამის მომენტებს დავადგენთ. ასეთ შემთხვევაში შეპირისპირებას არ შეუძლია მოგვცეს რაიმე შედეგი. ჩვენ უნდა გავიაზროთ ლექსი როგორც მეტყველების განსაკუთრებული ტიპი. (ლ.ტიმოფეევი, დასახ. ნაშრომი გვ.17). თავისი ხასიათით ლექსი ყველაზე ახლოს არის ენის მეტყველების იმ ტიპთან, რომელიც ეფექტურ ხასიათს ატარებს, საერთოდ ენის ეფექტურ ელემენტებში უნდა ვიგულისხმოთ მისი ემოციური შეფერილობა, ფეროვნება, რომელიც ენას აძლევს სუბიექტურ ელფერს, შეაქვს ენაში ემოციურ-შეფასებითი ელემენტი. (იქვე გვ.18).

ამიტომ ლექსის ყველა ელემენტი უნდა შეფასდეს მთლიანობაში, ურთიერთკავშირში არა ერთმანეთისაგან იზოლირებულად, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად.

ჩანს არ შეიძლება გამოვყოთ და პირველობა მივაკუთვნოთ რომელიმე ელემენტს, მაგრამ ანალიზის დროს აუცილებელია გამოიყოს არსებითი.

სალექსო მეტყველების განსაკუთრებულ თვისებას წარმოადგენს ბგერული ორგანიზაცია, რიტმი, განმეორებათა სიმდიდრე, სიტყვის ინტონაციური გამოყოფა და ამ და სხვა ელემენტებთან ერთად ისევ ცხად მნიშვნელობას იძენს ტექსტის პაუზათა და ინტონაციათა სიხშირე, განსაკუთრებული წარმოთქმა, ტემპის შენელება, ბგერათა განცდა, ემოციური დატვირთვა (ეფექტურობა), თავისებური გრაფიკული გამოსახვა, მაღალი ინფორმატულობა, მოულოდნელი სიმოკლე და სხვა გამომსახველობითი ნიშნები. ყველა მათგანი ამოდის ენის საერთო წყაროდან, რომელსაც ემოციურ მეტყველებას ვუწოდებთ. გვერდზე რჩება სალექსო რიტმი, რომელიც თითქოს უცხოა პრაქტიკული მეტყველებისათვის, მაგრამ რიტმი სრულებითაც არ არის უცხო ენისთვის, მით უმეტეს ემოციური ენისათვის. (ლ.ტიმოფეევი, დასახ. ნაშრომი გვ.54). ეს ნიშნები ყველა არ არის ერთი რიგისა და მასშტაბისა, ამასთან ერთმანეთში არიან გადაჯაჭვული. უფრო სწორი იქნება გამოვყოთ ოთხი მათგანი: 1. განსაკუთრებული ბგერული ორგანიზაცია, 2. ემოციურობა, 3. ექსპრესულობა, 4. მაღალი ინფორმატულობა. ფაქტიურად ეს თვისებები არის ლექსის მეტყველების განმსაზღვრელი. ასე თუ ისე მათთან იყრის თავს სალექსო მეტყველების თავისებურებანი, რომლებიც უშუალოდ ვლინდება გამომსახველობითი საშუალებების და ხერხების შერჩევისა და გამოყენების დროს.



## ადამიანის ტრაგედია და გარემომცველი სინამდვილე სელინჯერის მოთხრობებში

არის მწერალი, რომლის ქმნილებებსაც გულგრილად ვერ წაიკითხავს ადამიანი. ჩვეულებრივ, მკითხველი უმალ იგრძნობს სიყალბესა და ნაძალადევ “შელამაზებას” ნაწარმოებში და წიგნს გვერდზე გადადებს, რადგანაც ხვდება, რომ ცხოვრება სულაც არ არის ისე დამტკბარ-დაშაქრული, როგორც ამ წიგნშია გადმოცემული, ხოლო ადამიანები კი სქემები კი არა, რთული ფსიქოლოგიური სამყაროს მქონე, გარკვეული პიროვნული “მეს” პატრონი არსებები არიან. ამგვარი საშიშროება არ ემუქრება ამერიკელ მწერალს ჯერომ სელინჯერს, რომლის გმირებიც უმალვე იპყრობენ ჩვენს გულებს, რადგანაც ამგვარი ხელოვნურობისაგან ძალიან შორს დგანან. ადამიანი იბადება როგორც ბიოლოგიური ცოცხალი არსება და შემდგომ ყალიბდება პიროვნებად. იგი ცხოვრობს საზოგადოებაში, გარკვეულ გარემოში და ამ გარემოებაზეა დამოკიდებული. ასე რომ ადამიანი და საზოგადოება ურთიერთკავშირში არიან ერთმანეთთან. ადამიანი საზოგადოების წევრია. საზოგადოება ვალდებულთაა ზრუნავდეს ადამიანის პირად კეთილდღეობაზე და ადამიანსაც გარკვეული პასუხისმგებლობა აკისრია საზოგადოების წინაშე. მაგრამ ადამიანისა და საზოგადოების ინტერესები ყოველთვის როდი ემთხვევა ერთმანეთს. საზოგადოება ყრუ კედელია, რაღაც ავტომატური მექანიზმი, ხოლო ადამიანი მისი ჭანჭიკი და კონფლიქტიც გარდაუვალია. თუკი მწერალი მიზნად ისახავს ცხოვრების ასახვას რეალისტური საღებავებით, იგი ვერ გაეჭიკება იმ პრობლემას, რომელიც იყო და არის მსოფლიო ლიტერატურის აქტუალური პრობლემა.

ზოგჯერ ხდება, შენი არავის ესმის, თითქოს მოჯადოებულ წრეში ხარ და ისე გგონია, თავს ვეღარ დააღწევ მას. მდიდარი სულიერი სამყაროს მქონე ადამიანისათვის უფრო მწარეა ამის შეგრძნება. ასეთ ადამიანს ბევრი რამ აწუხებს: მისთვის მთავარი სულიერი ფასეულობებია და არა მატერიალური და როცა გრძნობ, რომ შენს ირგვლივ ასეთი ფასეულობები დაკნინებულია, უფრო აუტანელი ხდება ყოფა და არსებობა,



რადგანაც ადამიანებში გრძნობ ამის ნაკლებობას. ამერიკელი მწერლის ჯერომ სელინჯერის გმირები სავსებით ნორმალური ადამიანები არიან. ამაოდ ჩასჩიხინებენ მათ თითქოს ფსიქიატრთან მკურნალობა სჭირდებათ. აქ უბრალოდ ადგილი აქვს გარემომცველ სინამდვილესთან შეჯახებას. მწერლის ლიტერატურული დევიზი-ნამდვილი ცხოვრების პირდაპირი და მართალი გზით ჩვენება ყოველგვარი შელამაზების გარეშე, შესანიშნავად სჩანს მის მოთხრობებსა და რომანში “თამაში ჭვავის ყანაში”. სელინჯერის ლიტერატურული გმირი არის ადამიანი, პიროვნება სულით წმიდა და სპეტაკი. ადამიანი, რომელიც შორს დგას სიყალბისა და მანკიერებისაგან, რომელიც ვერ ეტევა არსებულ ჩარჩოებში, რადგანაც შინაგანი თავისუფლება სწყურია. სელინჯერის გმირებს ამიტომ MISFIT HEROES-ის ეძახიან.

მოთხრობამ “ბანანა თევზის ამინდი” საპატოო ადგილი მოაპოვნებინა მწერალს ამერიკული ლიტერატურის ისტორიაში, სამინელი დებრესია დაუფლებია მოთხრობის გმირს სიმორ გლასს. ავადმყოფური შეგრძნება და სასოწარკვეთილება გარემომცველ სინამდვილესთან სულს უწამლავს მას. მწერალი უბრალოდ და სადად, აუღელვებლად გვიჩვენებს ადამიანის ტრაგედიას, რომელსაც ამაზრზენ სულიერ სიცარიელეს თვითმკვლევლობამდე მიყავს. იგი ძალიან ჭვავს ჰოლდენ გოლფილდს (“თამაში ჭვავის ყანაში”). ჰოლდენიც ასეთივე “ურჩი” დაუდგარი და ამბოხისტური სულისკვეთებისაა. მას თავდაპირველად უტოპიური გეგმაც აქვს, დასახლდეს სადმე დაუსახლებელ ადგილას რობინზონ კრუზოსავით, მაგრამ ბოლოს მაინც უბრუნდება სინამდვილეს, საიდანაც ასე სწყუროდა გაქცევა, მაგრამ სიმორმა არჩია სამუდამოდ გაცლოდა იმ ატმოსფეროს, რომელიც მეშჩანებითა და ფარისევლებით იყო სავსე. ნაწარმოები იწყება ორი ქალის სატელეფონო საუბრით, რომელთაგანაც ერთ-ერთი გმირის ცოლი უნდა იყოს, მეორე კი სიდდარი და გვექმნება შთაბეჭდილება, თითქოს საქმე გვაქვს ერთ ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანთან და იგი თითქოს თავისი ახირებული ხასიათის გამო საჭიროებს მკურნალობას.

- სად არის?
- პლაჟზე?
- პლაჟზე? მარტოკა? პლაჟზე როგორღა იქცევა?
- რა მოგივიდა, დედა, ისე ლაპარაკობ, თითქოს დასაბმელი გიყი იყოს.
- მიურელ, ყური დამიგდე.
- გისმენ, დედა, - უთხრა შვილმა და სხეულის სიმძიმე მარჯვენა ფეხზე გადაიტანა.

- იმავე წუთში დამირეკე, თუ რამე აერიოს ან სიტყვით საქმით... ხომ მიხვდი, რასაც გეუბნები? გესმის?

ასე გავიცანით მოთხრობის მთავრი გმირი სიმორ გლასი, მაგრამ არც ისე ყოფილა საქმე, როგორც ცოლი და სიღვრი გვიხატავენ. ეს შესანიშნავად ჩანს მოთხრობის შემდეგი ადგილიდან. სიმორ გლასი ესაუბრება პატარა გოგონას სიბილს. იგი ბედნიერია ბავშვთან, რადგანაც აქ გრძნობს და პოულობს იმას, რაც ასე აკლია უფროსებთან და სჩანს, რომ იგი სულაც არ არის სულით დაავადებული და ახირებული. უბრალოდ თავს უცხოვრებს გრძნობს ახლობლებთან და საერთოდ იმ ადამიანებთან, ვისთანაც უხდება ცხოვრება. ამ ადამიანებს შორის იგი ყველაზე მალა დგას თავისი პიროვნული ღირსებებითა და პატიოსნებით. იგი სრულყოფილი ადამიანია და სულიერადც ტანჯული, იმის გამო, რომ მისი არავის ესმის. მას დიდი სიყვარული შეუძლია, მაგრამ ამ სიყვარულის ღირსი სამწუხაროდ ირგვლივ არავინ ეგულება, მხოლოდ ბავშვებთან გრძნობს თავს კარგად, რადგანაც თავადც ბავშვივით სუფთა და უმანკოა. შემთხვევით როდი აიღო მწერალმა მის გვარად სიტყვა გლასი, რაც ინგლისურად მინას, გამჭვირვალეს ნიშნავს. მისი სულიც მინასავით სუფთაა და გამჭვირვალეა. ბუნებრივია ასეთი ადამიანი საერთოდ ვერაფერს იბოვის ისეთ მეშხან ქალთან, როგორიც თავისი ცოლია, რომელიც ადამიანებს თავიანთი მორთულ-მოკაზმულობითა და ტუალეტით აფასებს, ნებისმიერ დროს, სიმორის თქმისა არ იყოს “ან პარიკმახერთან იქნება თმის შესაღებად, ან თავის ოთახში ზის და ღარბ ბავშვებს ტიკინებს უკერავს”... სიმორს ლაპარაკიც კი ეზარება თავის ცოლზე, ამიტომ სთხოვს ცნობისმოყვარე გოგონას “სხვა რამე მკითხე, სიბილ”... მან ვერაფრით შეძლო ეცადა ცოლისთვის თავისი საყვარელი გერმანელი პოეტის რილკეს ლექსები წაეკითხვინებინა, რადგანაც სულიერად გამოფიტული ადამიანისათვის ასეთი საგნები უცხოა. არაფერი გასაკვირი არ არის იმაში, თუ კი გყავს საყვარელი პოეტი, თუ კი გიყვარს პოეზია, მაგრამ მიურელოსა და მისი დედისმაგვარი ადამიანებისთვის ასეთი დაჟინება ფსიქიკური ანომალიაა და მეტი არაფერი.

- “ჩვენი საუკუნის ერთადერთი დიდი პოეტიაო. თარგმანები უნდა გეშოვაო, მეუბნება. ან ენა გესწავლაო. ხომ ხედავ.

- “მტრისას, მტრისას ძალიან სამწუხარო ამბავია. წუხელ ამბობდა სწორედ მამაშენი...”

და ამნაირ გარემოში სიმორი ჩანს ჰოლდენ გოლფილდის



მსგავსად. მაგრამ პროტესტის გამოხატულება ბეზის დაწინააღმდეგებაში და ბერძუნის კუნძულებზე რაღაც ნაყიდი სურათების განადგურებაში გამოიხატება მხოლოდ და ესეც მისი ნათესავი ადამიანებისათვის სულიერი ავადმყოფობის საშიშ სიმპტომად აღიქმება, რომ მან შეიძლება, ერთი ექიმის აზრით, სულ მალე დაკარგოს თვითკონტროლი საკუთარ თავზე. ორი დღე როიალზე დაკვრაც ფსიქიკური ანომალია ყოფილა და აქედან გამომდინარე, როგორ შეიძლება ასეთ ადამიანებთან იცხოვრო, რომლებიც ისევე შორს დგანან პოეზიისაგან და საერთოდ ყველაფერი წმინდა და მშვენიერისაგან, როგორც ცა და დედამიწა. სიმორი ეძებს ჭეშმარიტებას და გრძნობს ამ ძიების ტკივილს და ამ ტკივილის გამო ჩადის ზოგიერთ ისეთ ახირებულ საქციელს, ზემოთ რომ გვქონდა ლაპარაკი. დიახ, სიმორი ეძებს ჭეშმარიტებას, მაგრამ მისი ცოდნის დასაბამი და დასასრული მისსავე პიროვნებას არ სცილდება. სამწუხაროდ მას ჰოლდენის მსგავსად აქვს საოცარი უნარი სინამდვილის შეგრძნებისა და გარშემო საგნების აღქმისა, მას აქვს საოცარი უნარი ჩასწვდეს ამ საგნებისა და სინამდვილის არსს, გაარჩიოს ყალბი და ნამდვილი ერთმანეთისაგან. აი, ფასდაუდებელი თვისებები, სელინჯერის გმირისა. გაუგებარია რა შუაშია აქ “ბანანა თევზის ამბავი”. იქნებ სიმბოლური მინიშნებაა და გადატანა ადამიანთა ბედსა და ცხოვრებაზე. ბანანა თევზები თურმე იმდენ ბანანს სჭამენ, რომ ილუპებიან და ალბათ სიმორი ადამიანებს გულისხმობს თევზების ნაცვლად. ქრისტიანული პოზიციიდან ყოვლად გაუმატლებელია სიმორის თვითმკვლელობა: ერთის მხრივ, მაგრამ მეორის მხრივ ეს არის ტრაგედია ადამიანისა, რომელმაც რევოლვერის ტყვიით წერტილი დაუსვა თავის უაზრო ყოფას, გამოხატა თავისი საშინელი გულისწყრომა და პროტესტი იმ ადამიანების მიმართ, რომელთანაც ბედმა არგუნა ცხოვრება და რომლებიც მისი ფეხის ფრჩხილადაც არ ღირდნენ. ასე რომ, სელინჯერის გმირთაგან ერთნი უბრუნდებიან ცხოვრებას, როგორც ის არის და არ იციან მომავალში ის რა ახალ სიურპრიზებს უმზადებს ჰოლდენ გოლფილდის მსგავსად. მეორენი თვითმკვლელობით ეთხოვებიან ჩვენს ცოდვილ ყოფას სიმორ გლასის მსგავსად. დანარჩენებს კი არაფერი დარჩენიათ, გარდა იმისა, რომ წარმოსახულ სამყაროში იცხოვრონ და წარსულის მოგონებებით ისაზრდონ. ამგვარი ილუზიური ცხოვრებით ცხოვრობს მოთხრობა “კონე ტიკუტელი კუტი ძია”-ს გმირი ელოიზი. ეს მოთხრობა მსგავსად სელინჯერის სხვა ნაწარმოებებისა, რეალ-

ისტორიად არის დაწერილი. აქ ნაჩვენებია ტრაგედია ქალისა რომელმაც დაკარგა ძვირფასი ადამიანი ელოიზის შეყვარებული.

სიმორი გლასის ძმა უოლტ გლასი დაიღუპა იაპონიაში აფეთქების შედეგად. დაკარგა რა ძვირფასი შეყვარებული, ელოიზმა პირადი ადამიანური ბედნიერება ვერ პოვა უსიყვარულო ქორწინებაში. მისთვის პოლდენისა და სიმორის მსგავსად არ არსებობს ადამიანი და საგანი, რომელზეც შეეძლოს თავისი სიყვარულის გადატანა. ადამიანური ურთიერთობის დეფიციტი, სრული უცხოობა და მარტობა, რასაც ასე მწარედ გრძნობენ სელინჯერის გმირები, არც ელოიზისთვის არის უცხო ხილი. არაფერი არ არსებობს მისთვის გარდა მკვდარი შეყვარებულის უოლტ გლასისა. ყველაფერი კარგი და ძვირფასი მისთვის ამ კაცის სახელთან არის დაკავშირებული. ასეთი სიყვარული დიდი ნიჭია. ის ყველას არ შეუძლია, მაგრამ ეს საოცარი სიყვარული სიბრალულსაც იწვევს და სიცილსაც. ეს მოთხრობაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სელინჯერის მსოფლმხედველობას. იგი ეხება სიყვარულსა და საერთოდ ყველაზე მეტად სიწმინდისა, სიკეთისა და გულწრფელობის დაკარგვას თანამედროვე პრაგმატულ საზოგადოებაში. ჩუმი იუმორი და სულიერი სისუფთავის შუქი გასდევს მოთხრობას. ელოიზის ქალიშვილი თითქოსდა ალაპაზებს თავისი წარმოდგენებით დედის ცხოვრებას. მასაც დედის მსგავსად ფანტაზიის დიდი ნიჭი აქვს. გამოგონილ გმირებთან ცხოვრობს გამოგონილ სამყაროში. ხან ჯიმი ჯიმერინოსთან, რომელიც მანქანამ გაიტანა, ხანაც მიკი მიკერინოსთან ერთად და დედის პროტესტის მიუხედავად ამტკიცებს, რომ ისინი ნამდვილი ადამიანების არიან. სელინჯერის ნაწარმოებთა ბავშვების მსგავსად ისიც ადრეული ასაკიდანვე გრძნობს გარემომცველი საზოგადოების სიყალბეს და ინსტიტუტურად პრიმიტიულ დასაცავ კედელს აშენებს, ამნაირი გამოგონილი სამყაროს სახით გამოხატავს თავის უკმაყოფილებას, მოთხრობაში თითქოს არაფერი ხდება მნიშვნელოვანი, ერთმანეთს ხვდება ორი დაქალი, რომლებიც კოლეჯში ერთად სწავლობდნენ. ორივე ერთნაირი მიზეზით გაირიცხა კოლეჯიდან და იხსენებენ თავიანთ სტუდენტობას. თითქოს უმნიშვნელო ლაყობაა ორი დაქალის ეს საუბარი, მოგონებები ხომ შეიძლება ყველა ადამიანს ქონდეს, მაგრამ ამ მოგონებებშია სწორედ მთელი არსი ჩამარხული. აქ ჩანს სახე ტანჯული ადამიანისა, ქალისა, რომელიც ჯერაც პირველი სიყვარულის ტყვეობაშია, ვერ ახერხებს ამ ტყვეობაში ცხოვრების

გაგრძელებას, ამიტომ საშინელ სასოწარკვეთილებასში ვარდებოდა დაუკმაყოფილებლობისა და რეალური სინამდვილისაგან გათიშულობის გამო. მოთხრობის სათაური “კონე ტიკუტელი კუტიძია” ელოიზის მოგონებებიდან არის აღებული. ასე შეარქვა ხუმრობით თავისმა შეყვარებულმა, როცა მან ფეხი იღრძო. მართალია ელოიზის დღევანდელი ცხოვრება არაფერია და ყოფის არსი მხოლოდღა წარსულის მოგონებაა და მოთხრობა ისევ ელოიზის ცხოვრების ერთი ეპიზოდის გახსენებით მთავრდება, როცა მან რაღაც მოყვითალო – მოყავისფრო კაბა იყიდა და მთელს ნიუ-ორკში არავის ქონდა ასეთი კაბა. თავის დაქალს მერი ჯეინს შესტირის:

– “ხომ ლამაზი გოგო ვიყავი – შეემუდარა იგი, – ჰა, ხომ ვიყავი ლამაზი?”

მაგრამ მიუხედავად ელოიზის ამგვარი სულიერი ტანჯვისა, მაინც ღირს ცხოვრება, რადგანაც თუკი ლამაზი მოგონებები გაქვს, თუ კი წარსულისაკენ გაბრუნების არა გრცხვენია, ეს იმას ნიშნავს, ლამაზი ცხოვრებით ვიცხოვრია და გიყვარს შენი წარსული. ასე დაგვიხატა მწერალმა თავისი შემოქმედების გმირთა გალერეა. ეს ადამიანები იმდენად ცოცხალნი და შთამბეჭდავნი არიან, ასე გგონია ისინი ჩვენს გვერდით ცხოვრობენ. ჩვენ გვიყვარს და გვესმის ამ ადამიანების. ვითავისებთ მათ ტკივილსა და კვნესას, მათი ტრაგედია ადამიანური გულგრილობის შედეგია, გულგრილობა კი ისეთი მანკიერი სენია, რომელიც თითქმის ბოროტების ტოლფასია და დღემდე ებრძვის პროგრესული კაცობრიობა.



## ნუგზარი

(შტრიხები პორტრეტისათვის)

მეგობარზე წერა ადვილიც არის და ძნელიც. ადვილია იმიტომ, რომ, თუ სიყრმის მეგობარია, ბუნებრივია, კარგად იცნობ მის სულიერ სამყაროსა და ინტერესებს, იცნობ მის ოჯახს, ახლობლებს, იმ გარემოს, სადაც მოღვაწეობს, ძნელია იმიტომ, რომ შეიძლება კალამი გაგექცეს, სათქმელი ვერ მოზომო და ისეთი ხოტბა-დიდება შეასხა, ისეთი რამ მიაწერო, თვით მეგობარი ჩააყენო უხერხულ მდგომარეობაში.

ერთი სიტყვით, რთული მისია ვიკისრე და შევეცდები არც მეგობარი გავაწბილო და არც ყველაზე დიდი მსაჯული - მკითხველი.

მაშ ასე, ვწერ ჩემს მეგობარზე - ნუგზარ ჯაფარიძეზე.

დაიბადა 1947 წელს ბათუმის ძველ უბანში, ბატონ მიხეილ (მომერ) ჯაფარიძისა და ქალბატონ მაია ქიქავას ოჯახში. 1965 წელს დაამთავრა №2 საშუალო სკოლა. 1966-72 წლებში სწავლობდა ლენინგრადის (ახლა სანკტ-პეტერბურგი) სატყეო-ტექნიკურ აკადემიაში. საკმაოდ “ხანდაზმულმა” (რა თქმა უნდა, ჯარისთვის, 27 წლისა გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში) მოიხადა სამხედრო ბეგარა. სხვადასხვა დროს მუშაობდა მშენებლობაზე, კომკავშირში, გამომცემლობაში, გაზეთ “აჭარის” რედაქციაში. 1993 წლის მარტიდან გაზეთ “აღორძინების” რედაქტორია. ჰყავს მეუღლე ქალბატონი ნათია და სამი შვილი - მაიკო, თამუნა და ზალიკო.

ეს ერთი შეხედვით, მშრალი ანკეტური მონაცემები მოიცავს წლებს, რომლებიც მთელ ეპოქას იტევს ურთულესი წინაღმდეგობებითა და უმძიმესი კატალიზმებით - ომის შემდგომი აღდგენითი პერიოდი, ისტალინის გარდაცვალება და პიროვნების კულტის კრიტიკა, ე.წ. “ოტტეპელი” (დათბობა) და კერპების მსხვრევა, უძრაობა და “პერესტროიკა”, საბჭოთა იმპერიის დაშლა და სისხლიანი 9 აპრილი, საუკუნეობით ნანატრი საქართველოს დამოუკიდებლობა, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომები, 1992-93 წლების თბილისის ამბები და სამოქალაქო ომი საქართველოში - აი, მოვლენები იმ ეპოქისა, რომელმაც ომის

შემდგომი თაობის, ჩვენი თაობის თვალწინ გადაიგრილა და ნანგრევები, სისხლი, ტკივილი და ურწმუნოება დაგვიტოვა მოუშუშებელ კრილობად, მწარე მოგონებად, ჩვენი და მომავალი თაობების სულისა და გულის საოხად.

ამ ეპოქის ღვიძლი შვილია ნუგზარ ჯაფარიძე. ისიც ამ საერთო სიხარულითა და ტკივილით ცხოვრობს როგორც თითოეული ჩვენგანი, ოღონდ იმ განსახვავებით, რომ მისებურად აღიქვამს და ეხმიანება ამა თუ იმ მოვლენას. სხვაგვარად წარმოუდგენელიცაა, რადგან, როგორც პოეტი ამბობს, “იყო სოფელში და სოფლისათვის არა იზრუნო”, ეგ ვერაფერი კაცობაა. თუ კაცი ხარ და მამულიშვილი გქვია, სათქმელსაკეთებელიც შენეული უნდა გქონდეს, აი, ისეთი, ნუგზარი რომ წერს ერთ ლექსში: “და კიდევ სამჯერ სამი ლოცვა მაქვს შენახული, შენთვის, სამშობლოვ, სულ პატარა ვიყო იარა, გახსნილ გულიდან კვლავ მოწვეთავს ჩემი წარსული, წარსულმა გულზე წყევლასავით გადაიარა”.

ყმაწვილი კაცი, ბუნებრივია, უმაღლესში სწავლის გაგარძელებაზე ფიქრობდა. ზაფხულის ერთ საღამოს გონიოში, ბაბუის რეფიკ ჯაფარიძის სახლში, ოჯახურ თათბირზე ურჩიეს ნუგზარს საინჟინროზე ებარებინა გამოცდები. ჯაფარიძეთა გვარში ინჟინერთა დინასტია ჩამოყალიბდა და იმიტომ, ბიძები უშანგი, ავნი და ბეხრი ცნობილი ინჟინრები იყვნენ. ბეხრი ჯაფარიძე თითქმის ნახევარი საუკუნის განმალობაში თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მოღვაწეობდა. ამ სულმნათი კაცის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ აჭარის, და არა მარტო აჭარის, ტექნიკური ინტელიგენციის დიდი ნაწილი მისი ხელდასმულია. გამოცდილი, დამსახურებული ინჟინერია ნუგზარის მამაც – ბატონი მიხეილი, მისი ძმაც – ზურაბიც საინჟინროზე სწავლობდა. ჰოდა, უფროსების, განსაკუთრებით ბიძის ჰაიდარ ჯაფარიძის, დაყინებულმა მოთხოვნამ აფიქრებინა ყმაწვილს ინჟინერი გამხდარიყო. თუმცა გული მაინცდამაინც არ მიუწევდა ტექნიკური დარგისაკენ. ერთი სიტყვით, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და ლენინგრადის სატყეო-ტექნიკურ აკადემიაში დაწესებულ საბუთების შეტანა.

იქვე, ბუხართან ჩაცუცქულმა ბებიამ, დიასამიძის ქალმა, სიყვარულითა და მოფერებით ნენეს რომ ეძახდა ყველა – შვილებიც და შვილიშვილებიც – ყური მოჰკრა თუ არა ამ ამბავს, კოპები შეჰკრა, შვილიშვილს უხმო და მისებურად დამოძღვრა რუსეთში მიმავალი ბიჭი.

– ნენემ, – იგონებს ნუგზარი, – რუსეთს ჩემი გამწესების

საბოლოო გადაწყვეტილება რომ გაიგო, გვერდზე გამიხმო და მითხრა: ნუგზარ, ჭოვ, რახან თქვენსას არ იშლით და ურუსის ქვეყანაში მიხვალ სასწავლად, ჭკვით იყავ და პირთეთრი ჩამოიო... ნენეს სიტყვას ვერავინ გადავიდოდა ბაბუაჩემის ოჯახში.

ნუგზარმაც შეუსრულა დანაბარები ნენეს - კარგადაც ისწავლა და პირთეთრიც დაბრუნდა შინ. სტუდენტობის წლები, როგორც თვითონ ამბობს, "ოქროს ხანაა" მის ცხოვრებაში. იქ დაეწაფა რუსულ კლასიკურ და საზღვარგარეთულ ლიტერატურას. დადიოდა მუზეუმებში, მონაწილეობდა პოეზიის საღამოებში, ერთი სიტყვით, ინტელექტუალურ ელიტაში ტრიალებდა. დიდი ტრადიციების რუსული კულტურის უპირველესმა ცენტრმა - ლენინგრადმა, იქ გატარებულმა ხუთმა წელმა კეთილისმყოფელი გავლენა იქონია ახალგაზრდა კაცის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე, საბოლოოდ განსაზღვრა მისი მომავალი ცხოვრების გზაც.

ბათუმში დაბრუნებულს მეტყვევებინებდა სპეციალობით აღარც უცდია სამსახურის ძებნა. უბრალოდ არ იყო მისი მოწოდება ეს პროფესია და იმიტომ. რასაც გული კარნახობდა, იმას აკეთებდა. თანდათან გამოიკვეთა ახალი გზა-სავალი. კალამი უჭრიდა და ჟურნალისტობას (ლიტერატურულ) საქმიანობას მიჰყო ხელი. გამომცემლობა "საბჭოთა აჭარაში" დაიწყო მუშაობა საწარმო განყოფილების გამგედ. კვიცს კოტეხში შეეეტყობა რა ბედაურიც დადგებაო, იტყვიან და ნუგზარმაც სულ მალე გამოიჩინა თავი ნიჭიერებით და გულთანობით, ადამიანებთან ურთიერთობით და საქმის სიყვარულით. ბატონი აზიზ ახვლედიანი გახლდათ მაშინ გამომცემლობის დირექტორი და მისგანაც ბევრი რამ ისწავლა. აკი, ხშირად იტყვის ხოლმე ნუგზარი, აზიზ ახვლედიანის "შკოლა" გავიარეო.

საქვეყნო, საზოგადო საქმეების კეთება იმთავითვე ხელეწიფებოდა ნუგზარ ჯაფარიძეს. ამასთან დაკავშირებით ერთი ამბავი მაგონდება. გაზეთ "აჭარის" კულტურისა და ინფორმაციის განყოფილების გამგე ვიყავი მაშინ. განყოფილებაში ნუგზარი შემოვიდა და გადაჭრით მითხრა, სხალთის ეკლესიას ვუშველოთ, სახურავში წყალი ჩამოდის, თვალსა და ხელს შუა გვენგრევა ეს დადებული ძეგლიო, თან წერილი გამომიწოდა. მოგეხსენებათ, საკულტო ნაგებობებზე, საერთოდ რელიგიის საკითხებზე წერა მაშინ საჩოთირო იყო, ტაბუ ჰქონდა დადებული. "ვუშველოთ სხალთის ეკლესიას!" - ასე ერქვა წერილს.

რა თქმა უნდა, მაშინვე წავიკითხე, მემანქანეს გადავაბეჭდვინე და რედაქტორთან – ბატონ შოთა ქურიძესთან შევიტანე. ბატონმა შოთამ წერილს თვალი გადაავლო, თავი გააქან-გამოაქანა და როგორც ჩვეოდა, წყნარად მითხრა, დატოვე, ვნახოთო. წერილი მეორე დღეს გაზეთში იყო. შედეგმაც არ დაახანა. გულიანმა ხალხმა ითავა ეს საქმე და გადახურეს კიდეც ეკლესია.

ნუგზარი გამომცემლობიდან აპირებდა წასვლას. რედაქციაში კორესპოდენტის ადგილი იყო ვაკანტური. უკეთეს კანდიდატურას ვერც ვინატრებდით. გადავწყვიტე რედაქტორს მოვლაპარაკებოდი. შევედი ბატონ შოთასთან კაბინეტში და ვეუბნები: ასეთი და ასეთი ბიჭია ნუგზარ ჯაფარიძე, ნიჭიერია, კარგად წერს, დავნიშნოთ კორესპოდენტად-მეთქი, ვთხოვე. რედაქტორმა ერთი ამხედ-დამხედა და ისევ ვნახოთო, მითხრა. გავიდა რამდენიმე დღე და რედაქტორმა კაბინეტში მიხმო. დაჯექიო, ხელით მანიშნა.

– ზეგ “თბილისობაა!, სად არის ის შენი პროტექტე, აგერ მოსაწვევი, გავუშვათ ღელაქალაქში, წერილი დაგვიწეროს, – მითხრა ბატონმა შოთამ.

მეოთხე დღეს დილით ჩამოვიდა ნუგზარი თბილისიდან და პირდაპირ რედაქციაში მოვიდა. რამდენი გვერდი დავწეროო, მკითხა. ასე 6-7 გვერდი, ბატონ შოთას დიდი წერილები არ უყვარს-მეთქი, ვუთხარი, ისიც იქვე, რედაქტორის მისაღებში მიუჯდა მაგიდას და წერას შეუდგა.

სულ რაღაც ორიოდ საათში გადაბეჭდილი მასალა რედაქტორის მაგიდაზე იდო. ბატონმა შოთამაც მაშინვე წაიკითხა და სტამბაში გავზავნა ასაწყობად.

–ყოჩაღ, კარგი წერილი დაუწერია, ნიჭიერი ბიჭი ჩანს. ისე, კაცი როგორია? –მკითხა ბოლოს.

–ყოველმხრივ კარგია, მეგობრების სული და გულია. თუ ერთ პატარა ნაკლს არ მივიღებთ მხედველობაში...

–მაინც რაო? –ჩამეძია ბატონი შოთა.

–ღვინო უყვარს ცოტა... ვთქვი და ენაზე ვიკბინე, ვაითუ საქმე წავახდინე-მეთქი.

–ჰოო... არ ყოფილა ცუდი კაცი. გავგონილა ქართველ კაცს ღვინო არ უყვარდეს, რახან ასეთ რეკომენდაციას აძლევ, მივიღოთ! –თქვა ბატონმა შოთამ.

სხვათა შორის, ბატონი შოთა ქურიძე იშვიათად თუ ვინმეს შეაქებდა.

იმავე დღესვე დაიწერა ბრძანება. ასე გახდა ნუგზარ ჯაფარ-

იძე ურნალისტთა ამქრის წევრი. იგი აქტიურად ჩაება სარე-  
დაქციო ორომტრიალში. ხან მაღალმთიანი აჭარის სოფლებში  
შეხვედბოდით, ხანაც მესხეთში ესტუმრებოდა ჩასახლებულ აჭ-  
არლებს. ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში არ წამოჭრილა  
რაიმე ასე თუ ისე მნიშვნელოვანი საკითხი, ნუგზარ ჯაფარიძის  
კალამი რომ არ შეხებოდა და მისეული სიტყვა არ ეთქვა. ჩვენს  
პრესაში პირველმა მან აღიმალა ხმა მძაფრი პუბლიცისტური  
წერილით “წალკოტიდან წასვლა განა ვაგონილა?” მცირემიწი-  
იან აჭარელთა კრასნოდარის მხარეში მიგრაციის წინააღმდეგ,  
რომელსაც დიდი რეზონანსი მოჰყვა. საქმე იქამდეც კი მივიდა,  
რომ საოლქო კომიტეტის ბიუროზე ვაგვიყვანეს და მკაცრად  
ვაგვაფრთხილეს, ამ თემაზე მეტი არ დაწეროთო.

ორი ათეული წელია არ “ჩამოდის” ურნალ-გაზეთების  
ფურცლებიდან ნუგზარ ჯაფარიძის ნიჭიერებით აღბეჭდილი  
წერილები და ნარკვევები, რომლებიც ცხოველ ინტერესს აღძ-  
რავენ მკითხველებში. ლექსებს რატომღაც ჯერჯერობით არ  
აქვეყნებს, საღამოებსა და შეხვედრებზე კითხულობს მხოლოდ.  
არადა, ფრიად საინტერესო ლექსებს წერს. ექსპრომტების მარ-  
თლაც ოსტატია. ამ ჟანრში ძნელად თუ ვინმე გაეჯობრება.  
სწორედ ნიჭიერებისთვის უყვარდა იგი ასე გამორჩეულად  
შოთა ქურდიეს. შვებულებაში რომ მიდიოდა რედაქტორი, გვი-  
ბარებდა ხოლმე, ეს კაცი ერთი თვე შემინახეთო.

ნუგზარ ჯაფარიძის ცხოვრების არსი სიკეთის ქმნაა. ვინ  
იცის, რამდენი სასოწარკვეთილი ოჯახისათვის შეუშველებია  
დახმარების ხელი. სოციალურ საკითხთა განყოფილების გამგე  
მართლაც ქომაგად და ფარად ედგა სოციალურად დაუცველ  
გაჭირვებულ ადამიანებს. წელიწადში ერთ-ორჯერ მაინც  
მიაკითხავდა საწარმო-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების  
ხელმძღვანელებს, კარდაკარ ჩამოუვლიდა შეძლებულ ნათესავე-  
ბს და ახლობლებს ფულის შესაგროვებლად, რომელსაც აჭარი-  
დან მესხეთში ჩასახლებულ, 1989 წლის 19 აპრილს სტიქიით  
დაღუპულთა და უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახებს ურიგებდა.

ამ ორი წლის წინათ ახალი გაზეთის დაარსების საკითხი და-  
ისვა. რედაქტორის რამდენიმე კანდიდატურაზე ითქვა. ბოლოს  
არჩევანი ნუგზარ ჯაფარიძეზე შეარჩიეს. იგი გახდა სრულიად  
საქართველოს აღორძინების კავშირის გაზეთის – “აღო-  
რძინების” დამფუძნებელი და პირველი რედაქტორი, რომელ-  
მაც იმთავითვე სიყვარულის გზა აირჩია მკითხველის გულ-  
ისკენ და მტკიცედაც ადგას ამ გზას.

ნუგზარ ჯაფარიძე სულით ხორცამდე ბათუმელია. ბათუმ-

ქალაქის ხიბლით და მეგობრების სიყვარულით ცოცხლობს და ცხოვრობს. ამის დასტურია გაზეთ “აღორძინების” ფურცლებზე გამოქვეყნებული თავები მემუარული ნაწარმოებიდან “მოგზაურობა ბათუმში”, რომელსაც ალბათ მალე იხილავს მკითხველი წიგნად აკინძულს. ამ წიგნში გაცოცხლდებიან ძველი ცნობილი თუ უცნობი ბათუმელები — შესანიშნავი მსახიობები იუსუფ კობალაძე და მერაბ ხინიკაძე, დარბაისელი პროფიზორი საშა თიროშვილი და ყველასათვის საყვარელი ეჭიმი ვახტანგ დიასამიძე, უბადლო მოცურავე მემედ ბედია /კაცი, რომელმაც ბათუმიდან ფოთამდე ზღვით გაცურა/ და ფეხბურთის თავგადაკლული გელშემატკივარი მეჭი ჩხიკვიშვილი, რეფიკ ჯაფარიძე, რომელსაც გაკულაკება არ აკმარეს და მეტეხის ციხეში ამოხადეს სული, სომეხი ხელოსანი მნაცაკანა და მოხუცი სირანუშა ბებია, კიდევ ბევრი სხვა ბათუმელი, რომლებიც ჩვენი ქალაქის კოლორიტს ქმნიდნენ.

რწმენით, მონატრებით და სიყვარულით სავსე გულით დიდის ბათუმის ქუჩებში ნუგზარ ჯაფარიძე. მაშინაც კი, როცა ძლიან უჭირდა, საამქვეყნო პირი არ უჩანდა და მის მეგობრებსაც გადარჩენის იმედი გადაგვეწურა, რეანიმაციაში სარეცელს მიჯაჭვული დაწერს რწმენით, მონატრებითა და სიყვარულით აღსავსე ლექსს “მე დავბრუნდები”.

და მაინც მოვალ, დავბრუნდები, მე დავბრუნდები,  
რომ დავიბრუნო ის ჩამქრალი დღესასწული.  
ამხსენ, გამჩენო, განშორების ცივი ხუნდები,  
ამავსე ისევ სიყვარულის ცხრა საწყაულით.

მისთვის წარმოუდგენელია სულით დაცემა, დანებება:

არ გამაგონოთ დანებება ან თვითმკვლელობა,  
ვიღრე სიცოცხლეს სიყვარულის სახელი ჰქვია  
მე დავბრუნდები.

და იგი გადარჩა, დაბრუნდა და “სიყვარულის ცხრა საწყაულით” აგვავესო ყველა.



## ქვეყნივე ქალის სოციალური სტატუსისათვის

ქართული ოჯახისა და საოჯახო ყოფის თავისებურებათა წარმოჩენა შესაძლებელია ოჯახის თითოეული წევრის სოციალური სტატუსის კვლევისა და ანალიზის საფუძველზე.

საკვლევ პერიოდში ოჯახის ძირითად ფორმას ინდივიდუალური, ანუ პატარა ოჯახი წარმოადგენდა. მის პარალელურად არსებობდა დიდი ოჯახი, რომლის წევრთა როდენობა მთიანი აჭარის სოფლებში ორმოცდაათ კაცამდეც კი აღწევდა. ყველა ტიპის ოჯახში ცალკე გამოიყოფოდა ქალთა ჯგუფი, რომელშიც ქვრივ ქალს განსაკუთრებული ადგილი მიეკუთვნებოდა.

ქვრივად ყოფნა ცალკულად დარჩენილი ქალისათვის მძიმე განცდებსა და საფიქრალს მოასწავებდა. აკი ეს ტერმინიც — ცალკულობაც ქართული ენის შენაძენია, ისევე როგორც ქვრივ-ოხერი — უპატრონო, უმწეო ქალი. აღსანიშნავია, რომ აჭარაში ქვრივ ქალებზე იტყოდნენ — დაქორდაო, ე.ი. დაბრმავდაო, ან, უქოლგოდ დარჩაო. მეგრულსა და ლაზურში ტერმინ ქვრივის შესატყვისია ნაქომოჯი, რომლის ძირიც /ქომ/ აღნიშნავს ქმარს.

ზემო აჭარის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ქვრივი ქალი თავისი მდგომარეობის გამოსაკვეთად ტანსაცმელზე სპეციალურ ნიშანს იკეთებდა. ქვემო აჭარაში ცნობილი იყო თაღის ტარება ანუ სამგლოვიარო ტანსაცმლის ჩაცმის ჩვეულება. სამგლოვიარო ტანსაცმლის ტარების ტრადიცია უძველეს ხალხთა ცივილიზაციის შენაძენია.

ქმრის გარდაცვალების შემდეგ ოჯახში ქვრივის გათხოვების პრობლემა წამოიჭრებოდა. გაუთხოვარი ქვრივი, შვილებიანი იქნებოდა იგი თუ უშვილო, რჩებოდა ქმრისეულ ოჯახში. ახალგაზრდა ქვრივს კი თავისი მშობლები გაათხოვებდნენ. არცთუ იშვიათად, ქვრივი ქალის გათხოვების საკითხს ქმრის ოჯახი წყვეტდა.

ყოფაში დიდხანს შემორჩა ჯგუფური ქორწინების ფორმები — ლევირატი (როცა გარდაცვლილი ძმის ცოლზე ან გარდაცვლილი ბიძის ცოლზე ქორწინდებოდა) და სორორატი (როცა გარდაცვლილი ცოლის დაზე ქორწინდებოდა).

ლევიატულ მოვლენას წინ აღუდგა კათალიკოსთა სამართა-  
ლი, რომელიც მის დამრღვევს ემუქრებოდა შეჩვენებით — ვი-  
ნცა... რძალი შეირჩიოს, შეჩუენებულიმც არის ღვთისაგან.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ  
ლევიატისა და სორორატის არსებობის გახანგრძლივებას გა-  
ნაპირობებდა არა მარტო მუსლიმანური სარწმუნოება, არამედ  
რიგი ეკონომიკური ფაქტორები. ასე იყო აჭარშიც, სადაც  
ლევიატული ქორწინების დროს ქმრის ოჯახი ინარჩუნებდა  
ქვრივის კუთვნილ წილსა და მისსავე მზითევს, ამასთან, თავის-  
უფლდებოდა ურვადისა და საქორწინო ხარჯებისაგან. თ.სახოკ-  
იას თქმით “მზითვის ნაწილის წაუღებლობისათვის ქვრივ რძა-  
ლს... ძმა ირთავს”. ამრიგად, ლევიატული ქორწინების  
შემთხვევაში ქმრის ოჯახის საქორწინო ხარჯები მნიშვნელოვ-  
ნად მცირდება, თუმცა საგრძნობლად იკლებდა სამზითვო ღირ-  
ებულება, ან ხდებოდა მისი იგნორირება.

ყოფაში შემორჩენილი ლევიატული მოვლენის ხასიათს,  
მის რაობას გარკვეულად ავლენს ძველი აღთქმის არაერთი  
ადგილი: “შედი შენი ძმის ცოლთან, ექმრე მას და თესლი  
აღუდგინე შენს ძმას.” ბიბლიური თქმულების თანახმად, დედამ-  
თილი უშვილოდ დარჩენილ ქვრივ რძალს — რუთს სთხოვს რომ  
მივიდეს ბოყაზთან — მისი ქმრის ნათესავთან, გადაუწიოს წამ-  
ოსასხამი და მიუწვეს. ბოყაზი არაა წინააღმდეგი დაქორწინდეს  
თავისი ნათესავის ქვრივზე, მაგრამ მას ურჩევს, რომ დაუნათ-  
ესავდეს, ანუ მისთხოვდეს უფრო ახლობელს. ამის შემდეგ  
რუთი ასრულებს შემდეგ რიტუალს — იგი იხდის ფეხსამოსს და  
გადასცემს ბოყაზს, როგორც მოწმობის ნიშანს.

მეორე თქმულების თანახმად, რძლის თხოვნაზე უარ-  
ისმთქმელ მაზლს რძალი ხდის ფეხსაცმელს და მას შემდეგნაი-  
რად მიმართავს — “ასე ექცევიან კაცს, რომელიც სახლს არ  
უშენებს თავის ძმას”. ამ რიტუალის შემდეგ მას დაერქმევა  
ფეხგახდილის სახელი.

აღსანიშნავია, რომ ძველი აღთქმის სხვა ნაწილში, კერძოდ,  
ლევიატისის მეოცე თავის მიხედვით, რძლისა და მაზლის  
ურთიერთდამოკიდებულება აღრევად მიიჩნევა და მათ უშვი-  
ლობით ემუქრება.

ქვრივი რძლის გათხოვების საკითხს ზოგჯერ ქმრის ოჯახი  
გადაწყვეტდა — ეს იმ შემთხვევაში, როდესაც ქვრივი მათ  
ოჯახში რჩებოდა საცხოვრებლად. ამ მხრივ საყურადღებოა  
ქართველ მთიელთა საოჯახო ყოფაში შემორჩენილი შემდეგი  
წესი: დაქვრივებული ქალის მთხოვნელი მამაკაცი ავიდოდა

მიცვალებულთან სახლში და დაიკვივლებდა - "ხალხნო" ... ეს ქვრივი მე უნდა დავინებო". სხვაგვარადაც მოიქცეოდა კაცი ავიდოდა ბანზე და იქიდან დაიკვივლებდა, ან კენჭს შეაგდებდა მიცვალებულის ოთახში, ანდა ტყვიას, ან კიდევ თოფს გაისვრიდა. ამ წესს "ქვრივის დაძახებას" უწოდებდნენ. "ქვრივის დაძახების" დღიდან დაძახებული საცოლედ სასურველი ღვინოსის მარცხებს ერიდებოდა ქალის მამასთან შუაგაცების მიგზავნამდე, რომელიც ქალის დაქვრივებიდან ერთი წლის შემდეგ იყო შესაძლებელი, დათავისებულ ქვრივს შორიდან მფარველობდა.

მართალია, აჭარის საოჯახო ყოფაში ქვრივის დათავისების ზემოთაღწერილი ანალოგიები არ მოგვეპოვება, მაგრამ არსებობდა სხვა გზები. ასე, მაგალითად, შუამთობის ღვინოსის წაღობა ვაჟს თოფის გასროლით დაუთავისებია ქალი და უშუალოდ გადაუწყვეტია თავისი მომავალი ბედი. საქართველოში ქალის დათავისების სხვა წესიც დასტურდება: შეიძლებოდა ვაჟს ქალი მხარზე ხელის დაკვრით დაენიშნა.

ძველი მსოფლიოს ხალხებში ბაბილონელებში, ეგვიპტელებში, ებრაელებში და ბერძნებში მაზლზე მითხოვების წესს უპირატესად მემკვიდრეობის პრობლემა განაპირობებდა. მათი ტრადიციის თანახმად, გაუთხოვარ უშვილო ქვრივს უნდა ეხეტიალა, როგორც აფორიაქებული სულის პატრონს.

ღვინოსის მოვლენას წინ აღუდგენენ ბერძენი ფილოსოფოსები ესქილე და პლატონი. ზემოთ აღვნიშნეთ, თუ როგორ დაუპირისპირდა მაზლზე მითხოვების წესს კათალიკოსთა სამართალი.

აჭარაში ქვრივი ქალის გათხოვების შემთხვევაში გარდაცვლილი ქმრის ტანსაცმელს, აგრეთვე საფლავს წყალს შეასხურებდნენ, მას ცეცხლი არ მოჰკიდებოდა.

მართალია, აჭარაში შარიათის კანონმდებლობისა და ყურანის ზემოქმედებით ჩვეულებითაა სამართალმა სერიოზული ტრანსფორმაცია განიცადა, თუმცა ქონებრივ-უფლებრივ ნორმებზე, კერძოდ, ქვრივი ქალის ქონებრივ სტატუსზე ნაკლებად იმოქმედა.

ოჯახის გაყრის შემთხვევაში უშვილო ქვრივი თავისუფალი არჩევანის წინაშე დგებოდა. თუკი მოისურვებდა მამის ოჯახში დაბრუნებას ან გათხოვებას, მას შეეძლო თან წაეღო მზითვევი, სათავნო და ნამატის ნაწილი. საერთოდ, უშვილო ქვრივ აღბუღას სამართალი /მუხლი 81/ თავის კუთვნილ მზითვევს მიაკუთვნებდა - "თანა გაყვეს დაუკლებლად"-ო. მთიულეთში კი ასეთ შემთხვევაში ქვრივს შეეძლო სათავნოთი სარგებლობა.

თ.სახოკია გვამცნობს, რომ თუ ქვრივი წავიდოდა, მას "უძრავის მეოთხელი" მიჰქონდა. ამასთან, დასახელებულ წყაროში ძნელდება იმის გაგება, თუ რომელი ქვრივი არის მასში ნაგულისხმევი — შვილებიანი თუ უშვილო ქვრივი.

ზემო აჭარაში უშვილო ქვრივი გაუთხოვრობის შემთხვევაში მოძმედ მიიჩნეოდა. ქვრივი ქალისადმი ასეთი დამოკიდებულება შემთხვევითი როდია. უძველეს რწმენა-წარმოდგენებში ქვრივობლებისადმი დახმარება, თანაგრძობა ცხოვრების ნომარდ იყო ქცეული. უშვილო ქვრივს აჭარულ ოჯახში უფლება ჰქონდა საცხოვრებლად დარჩენილიყო ქმრის ოჯახში ან მოეთხოვა ცალკე დასახლება. მსგავსი უფლებით სარგებლობდა უშვილო ქვრივი ქართლის მთიელებში, აგრეთვე ფშაველებში, სვანებში კი ქვრივი ქალი ოჯახის საერთო ქონებიდან წილს არ ღებულობდა. ასევე ხდებოდა კავკასიის ზოგ ხალხებშიც. ცნობილია, რომ მოხევების საოჯახო ყოფაში უშვილო ქვრივი წილს ვერ ღებულობდა. აჭარულ ოჯახში ქვრივის სურვილზე იყო დამოკიდებული ოჯახში მემკვიდრის მიყვანის საკითხი. ასეთ შემთხვევაში ქვრივს უპირატესად ქმრის ძმისშვილი მიჰყავდა ოჯახზე.

ქვემო აჭარაში უშვილო ქვრივს  $1/8$  წილი უწევდა. თურქეთში მსგავს წილს ღებულობდა სახლიდან წასული შვილებიანი ქვრივი. მასვე ეკუთვნოდა ქმრის იარაღ-ტანსაცმელი, და, რა თქმა უნდა, მზითევიც. შარიათის თანახმად კი უშვილო ქვრივს ქონების  $1/4$  უწევდა.

უვაჟოდ დარჩენილ ქვრივზე შეზღუდული იყო მისი გარდაცვლილი ქმრის კუთვნილი წილის მასზე სრულიად გადაცემის შესაძლებლობა. თუ ქვრივი ქმრის ოჯახში დარჩებოდა, ზემო აჭარაში იგი  $1/4$  ან ნახევარ წილს ღებულობდა. ვითონიშვილის შენიშვნით, ქვრივის ქონების  $1/4$ -სა და ყალიძის მიკუთვნების წესი გვიანდელი ჩანს, რადგან ადათის მიხედვით გათვალისწინებული იყო მხოლოდ მისი რჩენა და არა წილის გამოყოფა. მაზლები ქვრივ რძალს გარკვეული რაოდენობის ქონებას, მათ შორის მიწასაც აძლევდნენ. დროებით სარგებლობაში ქვრივზე მამულის გამოყოფის ფაქტებს ვხვდებოდით მოხევების, გურულების, აგრეთვე კავკასიის ხალხთა საოჯახო ყოფაშიც. გარდაცვლილი მამის წილხვედრი ქონების მოძრავ ნაწილს ქალიშვილებსაც აკუთვნებდნენ.

ქვრივი ღელის გარდაცვალების შემთხვევაში ქალიშვილები მშობლის ქონებაზე ინარჩუნებდნენ უფლებას — მოძრავი ქონება მათ სარგებლობაში ექცეოდა, მიწა კი ბიძებს უბრუნდებოდათ.



ყოფაში დასტურდება უვაჟო ოჯახის ქონებაზე მოძმეების პრეტენზიის თავიდან აცილების მიზნით ჩასიძების ფაქტებზე შემთხვევაში, როცა ქმრის ოჯახში ქვრივი რჩებოდა, მზღლები მას აძლევდნენ მხოლოდ საარსებო სარჩოს, რადგანაც ძმისწულლების გამზითვება და, საერთოდ, მზრუნველობა, ბიძების მოვალეობას შეადგენდა. საინტერესოა, რომ აღბუღას სამართლის 82-ე მუხლი გამზრდელის მოვალეობად მიიჩნევს ობოლი გოგონასათვის გარდაცვლილი დედის მზითვეის დაცვასა და მასზე გადაცემას.

აჭარაში დამოწმებულია ვესის ინსტიტუტის არსებობა, რომლის თანახმად ობოლ ბავშვებზე ინიშნებოდა მეურვე. ქვრივ დედას შეეძლო არ მიეღო ეს პირობები და თავად ჩადგომოდა ოჯახის ეკონომიკურ ცხოვრებას. ფშავში ქვრივი დედა რძლების თანაბარ წილს ღებულობდა და ამით უნდა ერჩინა შვილები. მასვე უნდა გაემზითვებინა ქალიშვილიც. ეთნოგრაფ ვლ.მგელაძეს დაფიქსირებული აქვს შემდეგი ფაქტი: მეორედ გათხოვებულმა ქვრივმა ქმარი გარდაცვლილი ქმრის ოჯახში მიიყვანა, სადაც ის ვაჟიშვილთან ერთად ცხოვრობდა. იგი თავისი ცოლის ყოფილი ქმრის გვარზე დაეწერა.

სრულ საქმო წილს ღებულობდა ვაჟებიანი ქვრივი სვანეთში, გურიაში და საქართველოს სხვა კუთხეებში.

ქვრივის ყოველდღიური ცხოვრების ცალკეული ნიუანსი ოჯახის წევრებთან ხანგრძლივი თანაცხოვრების წესებს ექვემდებარებოდა. აჭარულ ოჯახში აკრძალვათა სისტემა ხელს უწყობდა ქვრივი ქალის ქცევათა რეგლამენტირებას. ქვრივი ქალი სხვა ქალებზე მეტად იყო განსარიდებელი პირი. თუმცა, აქ სხვა ფაქტორებიც ზემოქმედებდა: ასაკი, ქვრივის ფიზიოლოგიური მდგომარეობა (ე.ი. შეჩერებული ჰქონდა თუ არა მას რეგულას წესი), მისი ადგილი სოციალურ იერარქიაში, ოჯახის ტიპი და ა.შ.

როგორც წესი, განრიდებას თვით ქალთა შორისაც ჰქონდა ადგილი. მისი სიმტკიცე ნაკლებად იგრძნობოდა რძალ-მულის ურთიერთობაში.

აკრძალვები სრულდებოდა მშობლებსა და შვილებს შორისაც. იგი შეეხებოდა ქვრივი ქალისა და მისი შვილების ურთიერთობასაც. თუკი ქვრივი ქალი განცალკავებით ცხოვრობდა, მაშინ გაცილებით იოლი იყო დედაშვილური ურთიერთობები. თუ ქვრივ-ობლები გაუყოფლად ცხოვრობდნენ, დედა სხვათა თანდასწრებით ერიდებოდა შვილის ხმამაღლა დატუქსვას, ასევე მოფერებასაც.

განრიდების წესები შედარებით სრულად იყო შემორჩენილი ქვრივი რძალისა და ქმრის სანათესაოს ურთიერთობაში, რომელიც თავისი სიმკაცრით გამოირჩეოდა მთელს საქართველოსა და კავკასიაში. რძლისა და მამამთილის დაულაპარაკებლობა ზემო აჭარაში გაცილებით დიდხანს გრძელდებოდა, ვიდრე ქვემო აჭარის სინამდვილეში. აღსანიშნავია, რომ განრიდების ჩვეულებასთან დაკავშირებულ ყველა წესს ქვრივი ქალი ასრულებდა სხვა რძლების მსგავსად, რომლის თავისებურება კარგად ჩანდა ჩაცმის, ტირილის, სიცილისა თუ სხვადასხვა ხასიათის აკრძალვებში.

აჭარული სახლის საცხოვრებელი კომპლექსი ობტიმალურ პირობებს ქმნიდა განრიდებისათვის. იგი იყოფოდა როგორც საკაცო, ისე საქალბო მხარეებად. სქესთა სეგრეგაციის დაცვის რეჟიმი სრულდებოდა ბუხართან, რომლის მარცხენა მხარეს ქალები და ბავშვები იკავებდნენ. მათ შორის ჯდებოდა ქვრივი ქალიც თავის ბავშვებთან ერთად.

ოჯახის საზოგადოებრივ საქმეებში, როგორც იყო -სისხლმესისხლეობა, შერიგება, ქორწინება, განქორწინება თუ სხვა, ქვრივი ქალის უფლებები ოჯახის სხვა წევრ ქალთა უფლებების თანაბარია. ეს კარგად ჩანს შერიგების დროს, როდესაც ქვრივ ქალს დაღუპულ დედასთან ერთად შეეძლო შეეჩერებინა მორიგების საქმე.

საზოგადოებრივ თავყრილობებში, კერძოდ ოჯახს გარეთ, მიმდინარე სანახაობებსა და დღესასწაულებებთან დაკავშირებულ გართობა-თამაშობებში ქვრივი ქალების მონაწილეობა შეზღუდული იყო. რაც შეეხება ტირილში წასვლას, იქ ქვრივი ქალი აუცილებლად მიდიოდა.

ქვრივი ქალი შესაძლებლობისა და უნარის მიხედვით შეიძლებოდა ყოფილიყო მლოცავი თუ მკურნალი, ფეიქარი თუ ბებიაქალი. საინტერესოა, რომ ძველად ღვთის წინაშე სამსახური უნარიანობის მიხედვით ყველაზე სასურველად ქვრივისათვის მიაჩნდათ. ტერმინიც არსებობდა “წმინდა-ქალწულებრივი სიქვრივე”, ქვრივი ქალები თავის შვილებთან ერთად ტაძარში მსახურებდნენ.

ოჯახის ცხოვრებაში არაერთი საწესჩვეულებო რიტუალი სრულდებოდა, რომელიც დაკავშირებული იყო სამეურნეო ცხოვრებასთან, ბავშვის მოვლა-პატრონობასთან, ქორწინებასთან და სხვა. მასში ქვრივი ქალის სოციალური როლი შეზღუდული იყო. იგი ძირითადად შეეხებოდა იმ ჩვეულებებს, რომელთა შესრულების მიზანი იყო ოჯახში ნაყოფიერებისა და

გამრავლების უზრუნველყოფა, სიმდიდრისა და სიუხვის დაცვ-  
ოვება.

ამრიგად, საოჯახო ცხოვრების ცალკეული სფეროს შესწავ-  
ლა გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ქვრივი ქალის სოციალ-  
ური სტატუსის შესახებ.

ხალხური შეხედულებით ქვრივი ქალი განსაკუთრებული  
ყურადღებით იყო გარემოსილი, რაც კარგად ჩანს ქონებრივ-  
უფლებრივ ნორმათა სისტემის ანალიზის საფუძველზე.

ოჯახის წევრთა ურთიერთდამოკიდებულების ნორმების შეს-  
წავლით ჩანს, რომ ქვრივი ქალი სხვებთან შედარებით უფრო  
მეტად წარმოადგენდა განსარიდებელ პირს იმ ოჯახებში,  
რომლებიც შინაგანად ტრადიციული საოჯახო ყოფისათვის  
ნიშანდობლივი ელემენტებით ხასიათდებოდა.

საზოგადოებაში სოციალური პოზიციის სისუსტის მიუხედავ-  
ად ქვრივ ქალს გარკვეული წონა ჰქონდა საოჯახო თათბირზე,  
სადაც განიხილებოდა უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი  
საქმეები. როგორც დავინახეთ, ქვრივი ქალები სხვათა თანაბ-  
რად იყვნენ ცალკეულ მოვალეობათა აქტიური შემსრულებ-  
ბელნი და ოჯახში დამატებითი შემოსავლის წყაროს ქმნიდნენ.

ვლინდება, რომ საოჯახო ცხოვრების წეს-ჩვეულებათა  
სისტემაში შედარებით შეზღუდული იყო ქვრივი ქალის  
ადგილი, რაც სხვა ფაქტორთან ერთად გადამწყვეტ ზეგავლენას  
ვერ ახდენდა მათი სოციალური სტატუსის განსაკუთრებულ სი-  
მძიმეზე სხვა ქალებთან შედარებით.

ამრიგად, აჭარულ ოჯახში ქვრივი ქალის სოციალური სტატ-  
უსი ყოფაში მოქმედი კანონმდებლობითა და ადათობრივი  
ნორმებით რეგულირდებოდა, რაზეც შარიათის კანონმდებლო-  
ბამ და ყურანმა ვერ მოახდინეს გადამწყვეტი ზემოქმედება.



## წარუშლელი ფურცლები

ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, როგორც უმაღლესი განათლების პირველი კერა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, უნივერსიტეტის ფუნქციას ასრულებდა ამ რეგიონში. მან გადამწყვეტი როლი შეასრულ ამ მხარეში კულტურული რევოლუციის განხორციელებაში, ადგილობრივი ინტელიგენციის მომზადებაში.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1990 წლის 3 სექტემბერს №453 დადგენილებით ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი გადაკეთდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტად. იგი კვლავ ატარებს უკვდავი შოთა რუსთაველის სახელს. აღსრულდა დიდი ივანე ჯავახიშვილის ანდერძი და აჭარის მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ინტელიგენციის ოცნება რეალობად იქცა.

ინსტიტუტის უნივერსიტეტად გადაკეთების შემდეგ გადაიღა მთელი რიგი ნაბიჯები. განხორციელდა სპეციალიზაცია, გაიზარდა მისაღები კონტინგენტი, დაემატა სპეციალობები, კათედრები. გაიხსნა ასპირანტურა, შეიქმნა ფასიანი განყოფილება და ა.შ. ამჟამად უნივერსიტეტში 5 ფაკულტეტი, 17 სპეციალობა და 27 კათედრაა.

მიმდინარე წელი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, უმაღლესი განათლების ამ პირველი ფლაგმანის 60 წლისთავის იუბილეა.

საიუბილეო ღღეების გადასახედოდან საინტერესოა მისი განვლილი გზა, განსაკუთრებით ყურადსაღებია მისი მრავალრიცხოვანი კოლექტივის მოღვაწეობა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში. მხოლოდ ერთი სასწავლო წლის მანძილზე მტრის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში ჩადგა ინსტიტუტის 10 ლექტორ-მასწავლებელი და 130-ზე მეტი სტუდენტი, მათგან 73 ქალიშვილი. პირადი მაგალითი აჩვენა იმჟამად ინსტიტუტის ხელმძღვანელმა ნური ნიუარაძემ, ომის პირველ დღეებშივე მტრის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში ჩადგა. მასთან ერთად ინსტიტუტიდან ფრონტზე წავიდნენ ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანი გივი



ნიორაძე, ისტორიის ფაკულტეტის დეკანი პარმენ პატარაია, ბუნებისმეტყველება-გეოგრაფიის კათედრის გამგე ვიოტა თვალაძე, ლექტორები: კასიანე და გრიგოლ ბაბილოძეები, ვლადიმერ ნიკურაძე, ალექსანდრე მანჯგალაძე, მიხეილ დავითაია, ქაზიმ სეიდოვი, ნიკოლოზ გუშლინი, პეტრე კილაძე, ვერა ჩიკაშვილი, ლაზარე როზინი, ლაბორანტები: ირაკლი ნაკაიძე, შალვა მიქანაძე, ვლადიმერ მიგინეიშვილი; თანამშრომლები: ვლადიმერ არველაძე, ალექსანდრე პატარაია, ტატიანა არზიანი, გიორგი ბურნაძე, სერგეი დრობიშევი, ეგნატე რეზკნიკი, შალვა ხინიკაძე, კონსტანტინე ჯვართავა, ილია ფერაძე.

ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე ბევრი სტუდენტი მოხალისედ თუ მობილიზაციით წავიდა ფრონტზე. ამასთან დაკავშირებით ინსტიტუტში არაერთი ბრძანება დაწერილა. კერძოდ, 26 სტუდენტს გამოცდები გადაედოთ ფრონტზე გაწვევის გამო, 35 სტუდენტ-კურსდამთავრებულს ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, სახელმწიფო გამოცდების დარჩენილი თითო-ოროლა საგანი ჩაბარებულად ჩაეთვალა და მიეცათ დიპლომები, მათ შორის 7 კურსდამთავრებულს წარჩინების დიპლომი გამოეწერათ, ხოლო 1942 წლის 16 აპრილის №43 ბრძანება 73 ქალიშვილის მუშურ-გლეხურ წითელ არმიასი მობილიზაციას ეხება.

მძიმე ვითარება შეიქმნა ფიზკულტურის ფაკულტეტზე. პირველი კურსის 15 სტუდენტიდან 3 მოხალისედ, 4 მობილიზაციით წავიდა ფრონტზე. მეორე კურსზე გადაიყვანეს 8 სტუდენტი. მომდევნო წელს ამ ფაკულტეტზე არ შეგროვდა კონტინგენტი. არც მასწავლებელთა კადრებიც დაკომპლექტდა ფრონტზე გაწვევის გამო. ამიტომ საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებით 1941 წლის 15 სექტემბერს ფიზკულტურის ფაკულტეტმა შეწყვიტა მუშაობა. პირველკურსელები გაიგზავნა თბილისში ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლის გასაგრძელებლად, ხოლო მეორეკურსელები -სკოლებში სამუშაოდ.

სულ ინსტიტუტიდან ფრონტზე საბრძოლველად წავიდა 26 ლექტორ-მასწავლებელი და 232 სტუდენტი, მათგან ოთხმოცამდე ქალიშვილი.

საამაყო ის ფაქტი, რომ აჭარიდან საბჭოთა კავშირის თორმეტი გმირია და ერთი მათგანი - ალექსანდრე სერგოს ძე სულაბერიძე ბათუმის ინსტიტუტის კურსდამთავრებულია.

ინსტიტუტის წარგზავნილთაგან ბრძოლის ველზე გმირულად დაეცნენ ფიზკულტურის კათედრის გამგე ახმედ ვერულიძე,

ამავე კათედრის მასწავლებლები: ვლადიმერ ნიკურაძე, შალვა მიქანაძე, ქაზიმ სეიდოვი, ნიკოლოზ მუშლინი და სხვ. ხოლო ვაჟა აფხაზავა, პარმენ პატარაია, ნური ნიჟარაძე, ვიქტორ ბორჩხაძე, ვლადიმერ მოქერია, ნესტორ ინწყირველი, გიორგი რუსეიშვილი, გრიგოლ ბაბილოძე, შოთა ქემხაძე, ილარიონ ჯიბლაძე და ბევრი სხვა ომის შემდეგ, მშობლიურ ინსტიტუტში თუ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბანზე მოღვაწეობდნენ.

ომის დაწყებისთანავე სპეციალური ბრძანებით ინსტიტუტში დაწესდა დღელამური ოპერატიული მორიგეობა, 1941 წლის ავლისში დაიწყო საპაერო თავდაცვისათვის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მომზადება. ამ მიზნით ინსტიტუტში შეიქმნა თავდაცვის შტაბი, რომელმაც ჩამოაყალიბა თავდაცვის სასწავლო რაზმი თავისი რგოლებით და დაკომპლექტდა იგი სტუდენტებით.

დიდი ყურადღება ექცეოდა სტუდენტთა სამხედრო-პატრიოტულ და ინტერნაციონალურ აღზრდას ინსტიტუტში. ამის ნათელი გამოხატულება იყო ის ფაქტი, რომ წითელ არმიაში გაწვეული სტუდენტების ერთი ნაწილი მოხალისედ წავიდა, ადგილზე კი დიდი მუშაობა ტარდებოდა წითელი არმიის დასახმარებლად. ქმნიდნენ თავდაცვის ფონდებს, აგროვებდნენ საჩუქრებს, თბილ ტანსაცმელს და აგზავნიდნენ ფრონტზე. ინსტიტუტის კოლექტივმა სხვადასხვა ფორმით თავდაცვის ფონდში შეიტანა ერთი მილიონ 650 ათასი მანეთი.

ბათუმის პედაგოგიურმა ინსტიტუტმა თავისი წვლილი შეიტანა არა მარტო ფაშისუმის წინააღმდეგ ისტორიულ გამარჯვებაში, არამედ მოამზადა მასწავლებელთა კადრები, რომლებიც დასაქმებული იყვნენ და დიდ მუშაობას ეწეოდნენ აჭარასა და დასავლეთ საქართველოს სკოლებში, სახალხო მეურნეობის სხვა უბნებზე. მათ ბევრი რამ გააკეთეს იმ გრანდიოზული ამოცანების გადაწყვეტაში, რაც დასახული იყო ომის შემდგომ პერიოდში სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის.

60 წლის წინანდელი ინსტიტუტის სახელოვანი კოლექტივის წევრთაგან ბევრი დღესაც მოღვაწეობს უნივერსიტეტში. ისინი თავიანთ მდიდარ გამოცდილებას უნაგაროდ ახმარენ მომავალი კადრების მომზადების კეთილშობილურ საქმეს.

## დენიკინი და აჭარის გარეგნო ურთიერთ- კავშირები

(წერილი პირველი)

პირველ მსოფლიო ომში გერმანიისა და მისი მომხრეების დამარცხებისთანავე დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ მიმართა თურქეთის მთავრობას მოთხოვნით, დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ მის ჯარებს აჭარა (ბათუმი და მისი ოლქი). თურქებმა ეს მოთხოვნა სასწრაფოდ დააკმაყოფილეს და ბათუმი და ბათუმის ოლქი ინგლისის ჯარის ნაწილებმა დაიკავეს, რითაც დაიწყო ინგლისელთა თითქმის წელიწადნახევრიანი ოკუპაცია ამ მხარეში, რომელიც 1918 წლის ნოემბრიდან 1920 წლის 20 ივლისამდე გაგრძელდა. ბათუმსა და ბათუმის ოლქს კი მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი დენიკინის მოხალისეთა არმიის სამხედრო საჭურველთა თუ ცოცხალი ძალით მომარაგებისა და რუსეთის იმპერიის აღდგენის დენიკინისეულ გეგმებში. საბჭოთა ხელისუფლებასთან მებრძოლი დენიკინის არმიისათვის ბათუმი საიმედო სამხედრო სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა. ამასთან “ერთიანი და განუყოფელი რუსეთის” აღდგენისათვის მებრძოლი დენიკინი ბათუმს და მის ოლქს (აჭართურთ) “მომავალი რუსეთის” განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდა. ამიტომაც ბათუმი დენიკინელთა ყურადღების ორბიტაში მოექცა ინგლისელების მიერ ამ მხარის ოკუპაციის პირველი დღიდანვე. (1918 წლის 22 დეკემბერი). მით უმეტეს, რომ დენიკინის მძლავრობის პერიოდშიც ინგლისიც გამოდიოდა “ამ მხარის რუსეთისათვის შენარჩუნების” ყალბი ლოზუნგით. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე პირველი, რაც ინგლისის საოკუპაციო ჯარების მეთაურმა გენერალმა უოკერმა მოიმოქმედა იყო ის, რომ 1918 წლის 27 დეკემბერს შექმნა “ბათუმის ოლქის მმართველი საბჭო”, რომელშიც უმთავრესად დენიკინის მოხალისეთა არმიის წარმომადგენლები შედიოდნენ და რომლებიც დროებითი მთავრობის მმართველობის, შემდეგ კი აქ თურქეთის დროებითი ყოფნის დროს საკმაოდ მოშინაურდნენ და მტკიცედ დამკვიდრდნენ მხარის მმართველო-

ბაში. საბჭოს თავმჯდომარე იყო პროფესიით <sup>ფურცელი</sup> (ცარიზმის დროს აკრძალული ჰქონდა სასამართლო საქმეების დაცვა, როგორც ცბიერსა და მატყუარა პიროვნებას. გაზ. "ერთობა", 1919 წ., ოთხშაბათი. 19 თებერვალი №39) მასლოვი, ხოლო წევრები მახინჯაურისა და ციხისძირის მოაგარავე თადარიგის გენერლები და მეფის მთავრობის ჩინოვნიკები, აგრეთვე ვილაც ვოლფინზონი და ქართველი მუსლიმანი "სედაი მილეთის" (სახალხო პარტია) პარტიიდან ალი ჯაფარიძე.

ყოველივე ეს ინგლისელებს თავისი მიზნების შესანიღბად სჭირდებოდათ. სინამდვილეში კი ზემოთ აღნიშნული დაპირებების მიუხედავად ინგლისს ბათუმი და საერთოდ ამიერკავკასია მხოლოდ თავისთვის უნდოდათ და მასზე არავის უფლებებს არ სცნობდნენ, რასაც მოწმობს გენ. დენიკინის შტაბიდან ამიერკავკასიაში მივლინებული წარმომადგენლების მოხსენებითი ბარათები და შეტყობინებები. დენიკინის ემისარი თავადი გოლიცინი 1919 წლის 12 იანვარს ბათუმიდან გაგზავნილ მოხსენებაში შენიშნავდა, რომ ინგლისი ბოლშევიზმთან ბრძოლის მიზეზებით ახდენს მთელი ამიერკავკასიის ოკუპაციას, ხოლო გენერალი ერდელი მთავარსარდალს ატყობინებდა: "ინგლისელები ამიერკავკასიას საკუთრივ იჩემებენ და "არავითარ ანგარიშს არ გვიწევენ არც ჩვენ და არც რუსეთის უფლებებს ამ მხარეზე". დენიკინელთა ამბიციების წინააღმდეგ ბათუმის ოლქში ინგლისის ხელისუფლება ცდილობდა ოსმალური კარტის გათამამებასაც, რაც თითქოსდა ამ კუთხის ოსმალურ ორიენტაციაში მდგომარეობდა და საამისოდ სათანადო ნაბიჯებს თუმცა ძლიერ ფრთხილად, (ისე რომ, დიდი ბრიტანეთის პრესტიჟს ჩირქი არ მოსცხებოდა), მაგრამ მიზანმიმართულად დგამდა. ასე რომ ინგლისი აქ ატარებდა მისთვის ჩვეული "გათიშე და იბატონეს" პოლიტიკას და საკმაოდ ოსტატურად მოახერხა ამ რეგიონში ყველას ერთმანეთზე წაკიდება.

ბრიტანეთის იმპერიის ინტერესებისა და შეხედულებების ანარეკლს ბათუმის ოლქში წარმოადგენს სტამბოლში ინგლისის ჯარის ოფიციალურ გაზეთ "The orient Neus" მოწინავეში გამოქვეყნებული წერილი, რომელიც ბათუმის საკითხს ეძღვნება.

"აზერბაიჯანისა და საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა სრულიად არ შეეხო ბათუმის ოლქის საკითხს". — წერს აღნიშნული გაზეთი და შემდეგ მიუთითებს, რომ "ბათუმი უნდა დარჩეს ისეთი სახელმწიფოს პროტექტორატის ქვეშ, რომელიც არ არის მით დაინტერესებული".

ინგლისელებს არც მამინ, როდესაც ქალაქს იკავებდნენ და არც ეხლა, არავითარი სარგებლობა არა აქვთ. ბათუმის ოლქი

თავისთავად არ არის მდიდარი. ჩაისა და მანდარინის პლანტაციების და ტყის ექსპლოატაცია რომ წესიერი იყოს, მანდარინის რასაკვირველია, ბათუმი მადლიანი ადგილი იქნებოდა, მაგრამ ეხლა ეს პლანტაციები ექსპლოატაციისათვის მეტად ნორჩია.

მომავალში ბათომი მნიშვნელოვანი ქალაქი შეიქმნება. ჩვენ ვიცით, რომ რუსები ბათომს თავიანთ ქალაქად სთვლიან, თუმცა ამ ქალაქს არაფერი აქვს საერთო რუსეთის ჰავასთან. რუსეთი ამჟამად ისეთ მდგომარეობაშია, რომ ძნელად თუ შეიძლება მასზე თავისი უფლებების განხორციელებას და ამიტომ ბათომის მომავალის საკითხი გადაუწყვეტელი უნდა დარჩეს.

“ჩვენ ვიცით, —აგრძელებს გაზეთი —რომ ოლქში მრავალია ჩვენით უკმაყოფილო, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ვერავინ შესძლებდა ბათომის ოლქის მართვას ისე როგორც ბრიტანელები. თუმცა ამით ბრიტანელებს არავითარი სარგებლობა არა აქვთ. პირიქით, მათ ხვდებათ ბევრგვარი დაბრკოლებანი. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბათომი თითქმის ველური ქალაქია. სავსე ველური ხალხით და ველური მეზობლებით გარემოცული. ჩვენ რომ გონივრულად ვმართავთ ქალაქს, ამას ის გარემოებაც მოწმობს, რომ ამ ბოლო ხანს ბათომს მრავალი ხალხი მოაწყდა და აქ დასახლების მსურველი ხომ ათასობითაა. უწინ თუ ქალაქში 20 ათასი მცხოვრები იყო, ამჟამად მათი რიცხვი 80 ათასს აღემატება. უნდა ითქვას ისიც, რომ მთელს კავკასიაში იგი ყველაზე მყუდრო ადგილად უნდა ჩაითვალოს. ჩვენ შევქმენით ქალაქში ასეთი ორგანიზაცია, რომელიც ყველგან ნამდვილ წესრიგს იცავს. კვირაობით პარკში მუსიკა უკრავს. ჩვენს მიერ მოწყობილი მილიციის წყალობით მთელს ოლქში სრული მყუდროებაა” და ა.შ.

ბრიტანეთის ხელისუფლების მიერ ბათუმის ოლქით თითქოს და დაუინტერესებლობის ხაზგასმით აქ საკმაოდ ნათლადაა წარმოდგენილი მისი ინტერესების სულისკვეთება ამ მხარეში თავისი გავლენის გასაძლიერებლად. ბათუმის მისი გავლენის ქვეშ შენარჩუნების აუცილებლობის შენიღბვას იგი ჩვეული ოსტატობით ცდილობს.

ასე რომ აღნიშნული პერიოდისათვის ამ რეგიონში თავს იყრდა სრულიად განსხვავებული ორიენტაციისა და მიმართულების მქონე პოლიტიკურ ძალთა მრავალფეროვანი ინტერესები, რომელთა მოქმედებაშიც ამ რეგიონის მცხოვრებთა ნამდვილი მისწრაფებანი მეტად ფერმკთალად ან სრულიად არ აისახებოდა, ხშირად მას არავითარი ყურადღება არ ექცეოდა



და აჭარის ადგილობრივი მოსახლეობა ამ რთული პოლიტიკური თამაშის მიქველად გამოიყურებოდა, რაც უქმნიდა მას მთელ რიგ პრობლემებს, როგორც შინაური ისე გარეშე ძალების წინააღმდეგ ბრძოლის დროს.

ინგლისის ჯარების მიერ ბათუმის ოკუპაციის შემდეგ აქ მრავლად ჩამოდიოდნენ მოხალისეთა არმიის სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები, რომლებსაც აქედან სამხრეთ რუსეთში გაქონდათ მრავალგვარი მოწყობილობა, სამხედრო აღჭურვილობა და თხევადი საწვავი. აღსანიშნავია, რომ ლენიკინის ემისართა ვიზიტები თავდაპირველად არაორგანიზებულ ხასიათს ატარებდა, რაც ხშირ შემთხვევაში აფერხებდა მათ მიერ დავალებების სრულყოფილად შესრულებას.

1919 წლის 5 იანვარს ბათუმში ჩამოვიდა ლენიკინის რწმუნებული გენერალი ერდელი, რომელსაც ევალებოდა ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებასთან შეთანხმებით გადაეჭრა ბათუმიდან მოხალისეთა არმიის საარტილერიო საჭურვლით მომარაგების საკითხი. ამ მიზნით ერდელი შეხვდა ინგლისის ჯარების მთავარსარდალს გენერალ მილნს. მოლაპარაკება დადებითად დამთავრდა. ერდელი ლენიკინს ატყობინებდა: **“Получено разрешение от генерала Мильн о вывозе артиллерийского имущества из Батума”.**

მოლაპარაკების დროს ინგლისელებმა გენერალ ერდელის მისცეს წინადადება, რომ ლენიკინს ბათუმში დაენიშნა თავისი მულმივი წარმომადგენელი, რომელიც მოახდენდა მოხალისეთა არმიის მომარაგების ცენტრალიზაციას და საერთოდ წარმართავდა ლენიკინსა და ბათუმში ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებას შორის ურთიერთობას. ეს პასუხობდა ლენიკინის ინტერესებსაც, იმიტომ, რომ მის შტაბში ინგლისელების ზემოაღნიშნული წინადადება სიხარულით მიიღეს. 1919 წლის თებერვლის დამლევს ბათუმში ჩამოვიდა მოხალისეთა არმიის ოფიციალური წარმომადგენელი გენერალი ნ.ნ.პროხონსკი, რომელმაც საკუთარ ხელში აიღო ნოვოროსიისკში სამხედრო ქონების გაგზავნის ორგანიზაცია, თეთრგვარდიელ ოფიცერთა რეგისტრაცია და მოხალისეთა არმიასთან დაკავშირებულ ყოველგვარ საქმეზე ინგლისელებთან ურთიერთობის წარმოება. მის ჩამოსვლამდე კი ბათუმში თეთრგვარდიელთა რეგისტრაციის საქმით დაკავებული იყო ბათუმის ოლქის რუსული ეროვნული საბჭოს სამხედრო სექცია, რომლის დავალებით ბათუმის გამაგრებული რაიონის არტილერიის უფროსის ყოფილმა მოადგილემ პოლკოვნიკმა ვორონცოვმა 1919 წლის იანვ-

რის დასაწყისში დაარსა საეტაპო პუნქტი. გატარებულმა ღონისძიებამ მალე შედეგიც გამოიღო და დიდძალი სამხედრო დანიშნულების ტვირთის გარდა 1919 წლის 17 მარტს ბათუმში შეიკრიბა 600 კაციანი კაზაკთა რაზმი და ღენიკინის ვანკარგულებაში გაიგზავნა ბიჩერიხოვის მეთაურობით.

გარდა ბათუმისა ღენიკინს თბილისშიც ჰქონდა თავისი ცენტრი, რომელიც არალეგალურად არსებობდა ინსგლისის სარდლობის შტაბთან და რომლის კავშირიც ღენიკინთან ბათუმის მეშვეობით ხორციელდებოდა.

1919 წლის დამდეგს ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელების წინააღმდეგ ბრძოლაში წითელმა არმიამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. აპრილში მათ დაიკავეს ოდესა და ჩრდილოეთ შავიზღისპირეთის სხვა ქალაქები. ინგლისელებმა ფართოდ გაუღეს ბათუმის კარები რუსეთიდან დევნილ თეთრგვარდიელებს. ბათუმი რუსი ემიგრანტებით გაივსო. ამის თაობაზე 1919 წლის მაისში ღენიკინს ატყობინებდნენ, რომ “უკანასკნელ ხანს ბათუმში თავი მოიყარა უამრავმა ოფიცერმა, რომლებიც აქ ჩამოვიდნენ ოდესიდან და ყირიმიდან. მათი უმრავლესობა არ იმყოფება სამხედრო სამსახურში, ეწევა სპეკულაციას, ლოთობას და ერთობა ბანქოს თამაშით. ხშირ შემთხვევაში ბათუმსა და მის შემოგარენში თავმოყრილი და საარსებო სახსრებს მოკლებული თეთრგვარდიელები და კაზაკები არბევდნენ და ძარცვავდნენ მოქალაქეებს, ეწეოდნენ მარადიურობას, ადგილი ჰქონდა მათ მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის დახოცვის შემთხვევებსაც.

ღენიკინის შტაბში გადაწყდა აღნიშნული სამხედრო ძალის თავის სასარგებლოდ გამოყენება, მაგრამ დამარცხებული და მარადიურობის გზაზე დამღვარი ყოფილი თეთრგვარდიელების კვლავ დარაზმვა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად მარტო ღენიკინელთა პროპაგანდისტული აქციებით შეუძლებელი აღმოჩნდა. ამიტომაც გადაწყდა მათი მიმხრობისათვის იძულებითი მეთოდებიც გამოეყენებინათ. ამ მიზნით ბათუმში ღენიკინის წარმომადგენელმა სთხოვა ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებას გამოეცა ბრძანება რუს ოფიცერ მოხალისეთა არმიის მიმობილიზაციის შესახებ, რაზეც არ დაყოვნა ბათუმის ინგლისელმა გუბერნატორმა კუკ-კოლისმა და 1919 წლის 12 ივნისს გამოსცა შესაბამისი ბრძანებულება. ასე რომ ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლება და ღენიკინის ბათუმელი დამქაშები ხელიხელჩაკიდებული მოქმედებდნენ. უზნის უფროსებად კი დანიშნული იყვნენ რუსეთის არმიის ოფიცრები. ესა და ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზები

(მშვიდობიანი მოსახლეობი რბევა, ძარცვა-გლეჯა, მშვიდობიან მოქალაქეთა მკვლელობანი) აჭარის მოსახლეობის, <sup>არმიის</sup> ~~არმიის~~ თავისი მხარის მართვა-გამგეობას სრულად ჩამოშორებული იყო, სამართლიან გულისწყრომას იწვევდა. ამის შესახებ 1919 წლის 17 იანვარს გაზეთი "ერთობა" წერდა: "ქობულეთის, ქვემო აჭარის, ართვინის, ართაჯანის და შავშეთ-იმერხევის უბნებში კომისრებად რუსების დანიშვნის შესახებ გავრცელებულმა ამბებმა ქართველ მაჰმადიანებში დიდი მწუხარება გამოიწვია. ამის შესახებ ინგლისის გერმანელ გუბერნატორს სხვადასხვა მემორანდუმები და საჩივარები კიდევ მოართვეს" და შემდეგ გაზეთს მოჰყავს ქობულეთის მცხოვრებთა მიერ წარდგენილი შემდეგი შინაარსის მემორანდუმი.

"ჩვენ კინტრიშის ნაწილის მცხოვრებლებმა გავიგეთ, რომ თქვენს მიერ დანიშნულ საბჭოს გადაუწყვეტია ჩვენში გამოგზავნოს ადმინისტრატორად რუსის მოხელეები ფონდენგრემენი და ორი მისი თანაშემწე. რადგან ჩვენ საერთო ყრილობაზე უკვე ავირჩიეთ ჩვენი საქმეების მოსაწყობად ადგილობრივი ცხოვრების მცოდნე ჩვენი ხალხი, და რადგან ჩვენ იმედი გვაქვს სრული წესიერება დავიცვათ ჩვენი ძალღონით და რადგან შეიძლება თქვენი საბჭოს მიერ არჩეული პირის გამოგზავნას მოჰყვეს მეტად მძიმე და სამწუხარო შედეგი, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ უყურადღებოდ არ დაგტოვოთ და აგვაცდინოთ მოსალოდნელი განსაცდელი... ჩვენ იმედი გვაქვს, რომ... ინგლისელთა მთავრობის წარმომადგენლები არ შელახავს ჩვენს აუცილებელ ბუნებრივ უფლებას და ჩვენს შინაგან საქმეების განმგებლობაში უცხო ხალხის ბატონობას თავზე არ მოგვახვევს. ამიტომაც ჩვენ განცვიფრებული დავრჩით, როცა გავიგეთ, რომ ადგილობრივი საქმის გამგებლობა ჩაბარდა ისეთ საბჭოს, სდაც არის მხოლოდ ერთი მაჰმადიანი ქართველი. ისიც კაცი, სრულიად უმეცარი და ხალხისაგან ყოველივე პატივისცემას და ნდობას მოკლებული დებუტატი. და ამავე დროს ამ საბჭოს ხელმძღვანელობა არის რუსის ხელში, რომელიც ჩვენი ხალხისათვის სრულიად უცხოა, ამასთანავე ჩვენ გვესმის, რომ განზრახულია ბევრს ადგილას მოხელეებათ მოწვეული იქნან ძველი ცხოვრების დროს ჩვენი მტანჯველნი, ღრმად დარწმუნებულნი... კრება ერთხმად ადგენს მიმართოს ხსენებული მთავრობის წარმომადგენელს, რათა აღდგენილი იქნას სამაჰმადიანო საქართველოს მცხოვრების კანონიერი უფლებანი და საბჭო შედგენილი იქნას ადგილობრივი მაჰმადიან ქართველთა უმრავლესობისაგან. ასეთი საშუა-

ლება სრულიად უზრუნველყოფს მშვიდობიანი ცხოვრების განმტკიცებას" — აღნიშნულია მემორანდუმში. მიუხედავად საკმაო ძალისხმევისა ადგილობრივ მცხოვრებთა სამართლიან მოთხოვნებს ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლება მანამ, სანამ მისთვის საჭიროდ არ დაინახა, წაყრუებით პასუხობდა. მდგომარეობა ფაქტიურად არ შეცვლილა ე.წ. მასლოვის "9-თა საბჭოს" დაცემის შემდეგაც, რამაც ასახვა ჰპოვა იმდროინდელ პრესაში. "მასლოვის მთავრობა დაეცა, მაგრამ ჯერ კიდევ მის მიერ მოწვეული პირების ხელშია ძალაუფლება," — წერს იგივე გაზეთი 1919 წლის 4 მაისს. "მასლოვის გადაყენების შემდეგ განსაკუთრებით საქართველოს წინააღმდეგ უფრო გაფართოვდა (იგულისხმება ძირგამოთხრილი საქმიანობა უ.ოქროპირიძე). მათი და სხვების აგენტები განაპირა მხარეებს მოადგნენ და ხალხს მოუწოდებენ "ახალი საფრთხის" წინააღმდეგ საბრძოლველად... გურიის მოსაზღვრე აჭარაში ბნელი ძალები საქმიანობენ. შეიარაღებული ძალები მასლოვის მიერ შექმნილი "სტრაჟნიკების" სახით ზოგიერთ სოფლებში დაძრწიან, ვინ იცის რას არ სჩადიან და აგრეთვე რაღაცას ელიან..."

განწყობილება ბათუმში მყოფ რუსულ ელემენტთა შორის, რუსეთის ძალებს შორის საქართველოსა და ქართველებისადმი საშინელია და ყველა ერთ ენაზე ლაპარაკობს...

...საინტერესოა, რომ რუსული იმპერიალიზმი, რუსეთის რეაქციონერი აგენტები ოსმალური მოძრაობის რეაქციონერებთან ერთად მოქმედებდნენ, ორი მოწინააღმდეგე მიმდინარეობა შეერთებულა.

ოსმალეთის ცნობილი ჯაშუშები, აჭარის ავანტიურისტები და მასლოვის აგენტები, დენიკინის შავრაზმელები ერთად ამხედრებულან საქართველოს წინააღმდეგ.

ბათუმის ოლქის მცხოვრებლები სრულად მოკლებულნი არიან საქართველოს შესახებ სწორ ცნობებს. სამაგიაროდ, მასლოვის აგიტაცია, ჭორებით და პროვოკაციით ყოველივე საზღვარს გადასულია და მთელი ხალხი იწამლება. ქართველების წინააღმდეგ ითესება გესლი და შხამი.

შავრაზმელი აგიტაცია პრესითაც სწარმოებს. "ნაშ კრაი" დღითი დღე სხვადასხვა სენსაციური ცნობებით და წერილებით კვებავს ფართო მასას.

გაზეთი "ნაშ კრაიას" მოწინავე წერილი ასე იმუქრება: "კავკასიის ქედი არც ისე მაღალია, რომ რუსის ჯარისკაცმა ვერ შესძლოს მეორედ მასზე გადმოსვლა და შავ ზღვაზეც მალე აფრიალდება ანდრეევის ბაირალი".



გაზეთის ეს ოკუპაცია, რა თქმა უნდა, ერთნაირად ეფინებოდა სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებსაც და აქედან გამომდინარე ბათუმში ისეთ განწყობილებას ქმნიდა, რომელიც ერთ მიზანს ემსახურებოდა, რომ ბათუმი დარჩენილიყო საქართველოს სახელმწიფოებრივი გავლენის გარეშე და შენარჩუნებულიყო აქ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა განსხვავებული ინტერესების განსახორციელებლად მყარი სათარეშო ბაზა. ასეთ პირობებში არ არის გასაკვირი რომ ყველაფერ ამას აჭარის ნაკლებად პოლიტიზირებულ მოსახლეობას ორიენტაციაში რყევა და დაბნეულობა გამოეწვია, რითაც სარგებლობდნენ სხვადასხვა ჯურის ავანტიურისტები და აგროვებდნენ ხელწერებს ამ რეგიონის ე.წ. სამხრეთ-დასავლეთ რესპუბლიკასთან შეერთების მოთხოვნით, მაგრამ როგორც შემდეგ დავინახავთ, ასეთი ავანტიურისტები ადგილობრივი მოსახლეობის ჯეროვან წინააღმდეგობას აწყდებოდნენ და საბოლოოდ მათი მცდელობა მარცხით დამთავრდა.

მანამდე კი ბათუმი და მისი შემოგარენი ე.წ. სააგარაკო არემარე მახინჯაური, მწვანე კონცხი, ჩაქვი, ციხისძირი და სხვა რუსეთიდან ბოლშევიკების მიერ დევნილი შავრაზმულად განწყობილი დენიკინის აგენტების ბაზა გახდა. ისინი ენერგიულ მუშაობას ეწეოდნენ ადგილობრივ მაჰმადიან მოსახლეობაში. დაინახავდნენ თუ არა გინდ უმნიშვნელო ჯგუფს მაჰმადიანებისა, მაშინვე ჩაერეოდნენ “მუსაიფში” და დაუზარებლად მოუთხრობდნენ მათ, თუ როგორ გააბედნიერა დენიკინმა ყველაფრით მხარეები, სადაც კი ფეხი შესდგა. მოუთხრობდნენ იმის შესახებ, თუ რა თავგამოდებით ცდილობდა გენერალი ჯერ საქართველოსა და შემდეგ კი ოსმალეთის მიერ განაწამები ბათუმის ოლქის მცხოვრებთა განთავისუფლებას განსაკუთრებით სოციალისტების გახრწნილი პოლიტიკისაგან, რომელმაც მათი აზრით, მთელ ქვეყანაში არევ-დარევა და ანარქია შეიტანა. ურჩევდნენ ქართველ მაჰმადიანებს რომ მათ გაეწმინდათ ოლქი “დაუნდობელი” ქრისტიანი ქართველებისაგან და ყოველ მხრივ ხელი შეუწყონ ოლქის დაკავებას “განმანთავისუფლებელი” მოხალისეთა ჯარის მიერ. აქედან გამომდინარე აუცილებელი იყო ამ რეგიონში ქართული ეროვნული სახელმწიფოს მიერ მუშაობის გაძლიერება იმის გასაშუქებლად თუ რა მიზნები ჰქონდათ ამ “სტუმრების” აქ მობრძანებასა და მათ ამგვარ საუბრებს. საჭირო იყო ამ შავი ძალების შავრაზმულ პროვოკაციას დაპირისპირებოდა ქართული საქმის თანმიმდევრული აგიტაცია ამ მეტად რთულ რეგიონში, სადაც



შავრაზმელთა ამ პროპაგანდისტულ პროვოკაციებს თან სდევდა მათი პროვოკატორული დივერსიებიც ამ მხარის მის მეზობელ რეგიონებთან წაკიდებისა და მათ შორის უნდოლობისა და მტრობის დასათესად. ეს რომ ასე იყო, ამის მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ჯერჯერობით საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღება გავამახვილოთ ერთ გარემოებაზე, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ მოვლენებისადმი მხარის მცხოვრებთა პოზიციის ჩამოყალიბებისა და მისი წარმოჩენის თვალსაზრისით.

საქმე იმაშია, რომ დენიკინის შტაბში გადაწყდა მოხალისეთა არმიაში მიეზიდათ კავკასიელებიც. ამ მიზნით 1919 წლის ივნისის დასაწყისში ბათუმში მოავლინეს წარმოშობით ქართველი გენერალი ნათიევი (ნათიშვილი). მან აქ გახსნა სპეციალური ბიურო, რომელიც აწარმოებდა ამიერკავკასიელ რეაქციონერთა ჩაწერას მოხალისეთა არმიაში. ამის თაობაზე სოციალ-დემოკრატების ვაზეთი "ერთობა" წერდა: "ამ ბოლო დროს ისინი (დენიკინელები) მთლად გათავზენდნენ, ჩოლოქზე ააფრიალეს "ნიკოლოზის" სამფეროვანი დროშა (მდ.ჩოლოქზე გადიოდა საზღვარი ინგლისელების მიერ ოკუპირებულ ბათუმის ოლქსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკებს შორის) და დენიკინის წარმოგზავნილმა გენერალმა გამოაცხადა, რომ ის ადგენს ამერკავკასიის "ტუზემნი კორპუსს". მოუწოდებს მცხოვრებლებს, რომ ჩაეწერონ. ნათიშვილის მოწოდება მთლად უშედეგოდ არ რჩება. მის კორპუსში ეწერებიან უმთავრესად სომხობა. არიან თითო-ოროლა ქართველებიც, რომლებიც ვერ შეგუებიან ჩვენს წყობილებას. ჯერ-ჯერობით ჩაწერილია 300-მდე კაცი, აქედან უმრავლესობა სომხები, შემდეგ რუსები და ბოლოს (ოციოდე) ქართველი.

ვინ იყო გენერალი ნათიევი და რას წარმოადგენდა მისი იდეური თუ პოლიტიკური კრედო, ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მის მიერ 1919 წლის აპრილში "სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალთა სამხედრო მმართველობის უფროსისადმი წარდგენილი მოხსენება, სადაც ის ამიერკავკასიაში, კერძოდ, კი ბათუმში "ტუზემნი კორპუსის" შექმნის აუცილებლობას და მის დიდ პერსპექტივებს ამტკიცებს. მოხსენებაში კერძოდ ნათქვამია: "მოხალისეთა ჯარის ძლევამოსილმა ოპერაციებმა ჩრდილოეთ კავკასიაში გასტეხეს ბოლშევიზმის ბატონობა და ეხლა რუსული სამფეროვანი დროშა თავისი ისტორიული უფლების ძალით ფრიალებს იქ, სადაც ამ ასი წლის წინათ დაიწყო ბრძოლა კავკასიის დასაპყრობად.

ჩრდილოეთ კავკასიაში მთიელთა ტომები აცხადებენ თავის მორჩილებას და ერთგულებას ერთიანი რუსეთის იდეასადმი და უკვე დაწყებულია "ტუზემნი" სამხედრო ნაწილების მოგროვება, რომ ერთიანი მუშაობა ვაწარმოთ ბოლშევიკების წინააღმდეგ.

სხვანაირი მდგომარეობაა ამიერკავკასიაში, რომელიც პოლიტიკური და ტოპოგრაფიული პირობების ძალით, თანდათან შორდება ერთიანი რუსეთის იდეას, და ამ გზაზე მიჰყავს იმ დემაგოგიურ და მეტად შოვინისტურ საქართველოს მთავრობას, სადაც მოხალისეთა ჯარის სამხედრო ძალთა ჩარევა ჯერ შეუძლებელია.

საჭიროა მიღებული იქნას სასწრაფო ზომები, რომ საქმის ამგვარ მსვლელობას ბოლო მოეღოს.

საქართველოს მთავრობა, ჩემ მიერ მიღებული გარკვეული ცნობებით სრულად არ სარგებლობს ავტორიტეტით მცხოვრებთა მასებში და მისმა შოვინისტურმა იდეებმა ჯერ-ჯერობით მოშხამა მეტად განსაზღვრული წრეები და მთელი მასა (უმთავრესად კი ინტელიგენცია ოფიცრების მეთაურობით). ყოველ წუთს მზადაა ჩადგეს საერთო რუსული საქმისათვის მებრძოლთა რიგებში, თუ მათ ამის შესაძლებლობას მისცემენ. ამის ერთადერთი შესაძლებლობა კი არის შექმნას საგანგებო ამიერკავკასიის "ტუზემნი" კორპუსისა. ყველაზე სასურველი პირობები ამგვარი კორპუსის შესაქმნელად ეხლანდელ მომენტში არის აჭარაში, ლაზისტანსა და აფხაზეთში, რომლებმაც აშკარად განაცხადეს, რომ ისინი არ არიან თანახმა საქართველოს მთავრობის მიმართულებისა და გამოსთქვამენ მტკიცე სურვილს რომ ისინი შეყვანილი იქნენ ერთიანი რუსეთის მებრძოლთა რიგებში. —პროვოკაციულად აცხადებს, როგორც ეტყობა, ეს მთლიანად გადაჯიშებული მეოცნებე გენერალი და შემდეგ ჩამოსვლის მის მიერ ამიერკავკასიელებისაგან ბათუმში კორპუსის შესადგენად გატარებულ ღონისძიებებს, რომელთა ცხოვრებაში გატარებისათვის ბათუმის ოლქში მობილიზებული იქნა ძველი რეჟიმის აქაური ადმინისტრატორები და სხვა თანამდებობის პირები, რომლებიც ადგილობრივ პირობებს კარგად იცნობდნენ. ესენი იყვნენ ბათუმის ოლქის ყოფილი გუბერნატორი რომანოვსკი-რომანკო, ჟანდარმთა პოლკოვნიკი დიომინი, სხვადასხვა სამხედრო და სამოქალაქო ჩინის მქონე პირები და პროვოკაციის, მოტყუებისა და მოსყიდვის სხვა დიდოსტატები. ნათიევის შტაბი გენერალ დიდენკოს მეთაურობით ძალიან დიდ აგიტაციას ეწეოდა ქართვე-

ელების წინააღმდეგ ერთი მხრით რუსობანი და მეორეს მხრივ ადგილობრივ ქართველებში. აჭარლებს არწმუნებდა, რომ ისინი სულ სხვა ეროვნების ხალხია და საერთო მას არა აქვს ქართველებთან. ესა და ნათიევისა და მისი დამქაშების სხვა ანტი-ქართული საქმიანობა, რა თქმა უნდა, არ გამოპარვია ქართულ საზოგადოებრიობას და მან სათანადო შეფასებაც მისცა მასა და მის მომხრეებს. სტატიაში “მოღალატენი ბათუმში” აპოლონ წულაძე აღნიშნავდა, რომ “გაზეთებიდან, დამფუძნებელი კრების ანგარიშიდან და კერძო ცნობიდან უკვე ვიცით, რომ დენიკინის რაზმში გაჩნდნენ საქართველოს უღირსი შვილები, იუდეები, რომლებიც შავ გენერალს ქვეყნის ასაოხრებლად წინ მიუძღვიან. ჯერჯერობით ამ რაზმში არიან: გენერალ-მაიორი ნათიშვილი, პოლკოვნიკი ძმები ერისთავები (იმერეთიდან), ოფიცრები: დადიანი, ახვლედიანი და გურიაში კარგად ცნობილი, ტოლმაჩევის მიერ ნაკურთხი პორუჩიკი დიმიტრა მგელაძე”.



## შინაარსი

### პოეზია, პროზა

ჯემალ ჯაყელი - ლექსები	3
ვახტანგ ახვლედიანი - ნოველები	6
ქსენია მჟავია - ლექსები	23
ალექსანდრე ჩხაიძე - ნაწყვეტი წიგნიდან "ჩემი წილი საუკუნე"	28
ევგენი თავდგირიძე - ლექსები	38
მაია მახარაძე - პასუხი ყრმამ იცის	43
ბელა ქებურია - ლექსები	47
მარიამ კეჩუაშვილი - მავანი	51
მამია ვარშანიძე - სიცრუე და ორპირობა	62
დავით ნაცვალაძე - ბედი და-ძმისა	74

### თარგმანი

გაბრიელ გარსია მარკესი - შენი სისხლის კვალი თოვლზე	84
<b>ფრანგი სიმბოლისტები</b> - ლეკონტ დე ლილი, პოლ ვერლენი, გიიომ აპოლინერი, სუპერვილი	103

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

რამაზ სურმანიძე - "სკვერნიე თუ სევერნიე?"	109
ნური ვერძაძე - პოეტური ენის სპეციფიკა	119
მაია ბერიძე - ადამიანის ტრაგედია და გარემომცველი სინამდვილე სელინჯერის მოთხრობებში	129
ავთანდილ დიასამიძე - ნუგზარი	135
ნაილა ჩელევაძე - ქვრივი ქალის სოციალური სტატუსისათვის	141
სერგო ლუმბაძე - წარუშლელი ფურცლები	148
უჩა ოქროპირიძე - დენიკინი და აჭარის გარშემო შექმნილი პირობები	151

ძვირფასო მკითხველავო!

გრძელდება ხელმოწერა ჟურნალ ჭოროხზე 1996 წლისათვის.  
შეგახსენებთ,  
ერთი წლის ხელმოწერის ფასია 6 ლარი.



#### ავტორთა საპუბლიკაციო!

ჟურნალ "ჭოროხისათვის" განკუთვნილი მასალები არ უნდა აღემატებოდეს ჩვეულებრივი ფორმატის ქაღალდის 20-25 გვერდს. მასალები დაბეჭდილი უნდა იყოს მანქანაზე 2 ინტერვალით. რედაქციაში უნდა გამოიგზავნოს პირველი პირი. მასალებს უნდა ახლდეს ცნობები ავტორის შესახებ: გვარი, სახელი, მამის სახელი, მისამართი, ტელეფონი.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

გადაეცა წარმოებას 12.IV.96. ხელმოწერილია დასაბეჭდად 6.V.96. ქაღალდის  
ზომა 60X901/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 10,25, სააღრიცხვო-საგამომცემლო  
თაბახი 8,17, პირობითი საღებავგატარება 10,38, შეკვ.№, 38 ა ტირაჟი 200.

ჟურნალი აიწყო და დაკაბდონდა შ.პ.ს. "პრინტიმპექსში", ბათუმი,  
რუსთაველის ქ. №6

დაიბეჭდა ქ.ბათუმის №1 სტამბაში, იბერიის ქ. №91